საერთაშორისო საზოგადოებრივი ოკულტო-რელიგიური ჟურნალი

სიცოცხლე 2. № 1 (12)
დეკემბერი 2015 e.v.

აპოკრიფი

მეცნიერების+რელიგია=ჯადოსნური

Nina Ge:
ენერგეტიკული მიჯაჭვულობა

ნიკა დვალიშვილი:
ტაროს კარტი

DaTo:
ტაროს არსი და როლი ჩვენს დროში;
ფსიქოანალიზი და ტაროლოგია;
«სულელის გზა» — საქართველოს მდგომარეობა

რუდოლფ შტაინერი:
ქადაგება მთაზე. ქვეყანა შამბალა;
ეთერულ სამყაროში ქრისტეს გამოცხადების შესახებ;
ქრისტე გოლგოთას მისტერიის დროს და ქრისტე XX საუკუნეში;
პიროვნულის სამი ასპექტი;
არგონავტების თქმულება და ოდისეა;
როგორ მოქმედებს ანგელოზი ჩვენს ასტრალურ სხეულზე;
კოსმიური საიდუმლოებანი: კომეტარული და ლუნარული

ოკულტური და რელიგიური ჟურნალის

აპოკრიფი

საქართველოში

თეთრი მაიმუნის ორდენის ოფიციალური გამომცემლობა

სიცოცხლე 2. № 1 (12).
დეკემბერი, 2015 e.v. (♐5.1 e.n.)

პროექტი დაარსებულია 2003 წელს. ქართულ ენაზე გამოდის 2013 წლის სექტემბრიდან.
გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი: *Fr. Nyarlathotep Otis (ადრიანოვი რ. ო.)*
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში: *Kasandra*
დიზაინი შექმნილია რომან — იგორ რჯევსკი.
გარეკანის გაფორმებისას გამოყენებულია მხატვრის "Художник" ნამუშევრები.

რედაქციის ადრესი: 0101, ქ. თბილისი, რუსთაველის ქუჩა 36.

ინტერნეტი:
ქართულ ენაზე: http://kat.apokrif93.com/, http://vk.com/apokrif93kat
რუსულ ენაზე: http://apokrif93.com, http://vk.com/apokrif93

ელექტრონული ფოსტა: 93in39@gmail.com

ჯურნალი გამოიცემა — http://imago-666.livejournal.com — ის მხარდაჭერით.

🄯 ჟურნალი «აპოკრიფის» რედკოლექცია და ავტორები, 2015

თბილისი

შინაარსი

სიცოცხლე 2. № 1 (12). დეკემბერი, 2015 e.v. (♐5.1 e.n.)

ოფიციOZo:
სალონი «კასანდრა» 7
Kasandra
ტრადიციები და წინასწარმეტყველები:
ენერგეტიკული მიჯაჭვულობა 11
Nina Ge
ტაროს კარტი 16
ნიკა დვალიშვილი
ტაროს არსი და როლი ჩვენს დროში 18
DaTo
ფსიქოანალიზი და ტაროლოგია 20
DaTo
«სულელის გზა» — საქართველოს მდგომარეობა 28
DaTo
ქადაგება მთაზე. ქვეყანა შამბალა 32
რუდოლფ შტაინერი
ეთერულ სამყაროში ქრისტეს გამოცხადების შესახებ 41
რუდოლფ შტაინერი
ქრისტე გოლგოთას მისტერიის დროს და ქრისტე XX საუკუნეში 57
რუდოლფ შტაინერი
პიროვნულის სამი ასპექტი 69
რუდოლფ შტაინერი
არგონავტების თქმულება და ოდისეა 77
რუდოლფ შტაინერი
როგორ მოქმედებს ანგელოზი ჩვენს ასტრალურ სხეულზე 86
რუდოლფ შტაინერი
კოსმიური საიდუმლოებანი: კომეტარული და ლუნარული 105
რუდოლფ შტაინერი

იუმორისა და საღი აზრისთვის!
გააკეთე რაც გსურს — გსურდეს შეუძლებელი!

ჟურნალისა და მისი ცალკეული მატერიალის
კოპირება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ მითითებულია წყარო და ჟურნალის ელექტრონული მისამართი.

რედაქციის აზრი შეიძლება არ დამეთხვეს ავტორისას.

რედაქცია იტოვებს უფლებას
უარი თქვას მატერიალის გამოქვეყნებაზე მიზეზის აუხსნელად.

გამოცემისთვის მზადება	**გამოცემა გამოშვებულია**
დასაწყისი 02.10.2015 წ.	01.12.2015 წ.

ინტერნეტი:
ქართულ ენაზე: http://kat.apokrif93.com/, http://vk.com/apokrif93kat
რუსულ ენაზე: http://apokrif93.com, http://vk.com/apokrif93

ელექტრონული ფოსტა: 93in39@gmail.com

ჯურნალი გამოიცემა — http://imago-666.livejournal.com — ის მხარდაჭერით.

ანგარიში სისტემაში Яндекс.Деньги:	41001416643125
ანგარიშები სისტემაში WebMoney:	Z318373604178, E263825672387, R412990927571, U141526320068, B411510488425, G198524212114
ტელეფონის ნომერი:	89632921917
რუსეთის ზბერბანკის კარტა:	67619600 0053924057
რუსეთის ზბერბანკის რეკვიზიტები:	**Калининградское ОСБ № 8626/01236** **ИНН** 7707083893 **БИК** 042748634 **КПП** 390602001 **к/сч** 30101810100000000634 **р/сч** 47422810920009902000 **Назначение платежа:** Адрианову Роману Олеговичу, **лицевой счёт** № 4230781082001344693448
მისამართი საფოსტო გზავნილებისთვის:	236022, Калининград, ул. Нарвская, д. 17, кв. 11, Адрианову Роману Олеговичу

ოფიცი OZo

სალონი «კასანდრა»

ქალაქის წენტრში, პატარა მყუდრო ეზოში გაიხსნა მაგიური სალონი «კასანდრა». სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები დაგეხმარებიან გადაჯრან თქვენი პრობლემები პირად ცხოვრებაში, აგრეთვე პროფესიულ და ბეზნეს სფეროებში.

ტარო, ასტროლოგია, პარაფსიქოლოგია, ბიოენერგეტიკა, აურის წმენდა, ბედის კორექტირება, ჯანმრთელობის, ცხოვრებისეული სიტუაციებისა და პრობლემების.

დიაგნოსტიკა. შავი და თეთრი მაგიის რიტუალების ჩატარება და შესწავლა, დიდი არჩევანი მომსახურეობების სახეობებში და სპეციალისტებში.



შაბათ დღეს მსურველებისთვის ტარდება შეკრება, სადაც იქნება განხილული სასურველი თემები მაგიაზე და აგრეთვე ჩატარდება ერთობლივი რიტუალები და სხვა ღონისძიებები (მოლაპარაკებით).

სალონის მისამართი — ქ. თბილისი რუსთაველის ქუჩა 36.

წინასწარ ჩაწერა ტელეფონით +995592987846 ალექსანდრე

კონსულტაცია ყველა სახის კითხვებზე — ტელეფონით, ინტერნეტით — მუშაობა (რუსულ ენაზე) +995597783366 ანნა.

ტრადი
ციები და
წინასწარმ
ეტყველ
ები

ენერგეტიკული მიჯაჭვულობა[1]

ენერგეტიკული ბმა (კავშირი) — ეს ის თემაა, რომელზეც ძალინ ბევრი დაწერილა და ძალიან ბევრს საუბრობენ, მაგრამ მაინც მინდა ის ინფორმაცია შევკრიბო რაც მაქვს და კიდევ ერთხელ დავწერო ამის შესახებ.

«ბმა ანუ კავშირი» — ეს არის ენერგეტიკული არხი, რომელიც წარმოიქმნება ადამიანის ურთიერთქმედების დროს სხვა ადამიანებთან, ნივთებთან ან ეგრეგორებთან.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ენერგეტიკული არხი და ენერგეტიკული ბმა (ან მიჯაჭვულობა) ძალიან განსხვევბული ცნებებია.

ენერგეტიკული არხი წარმოიქმენბა მუდმივად, ჩვენი ნებისმიერი ქმედების დროს და ამ არხში გამავალი ენერგიის საშუალებით დგება ქმედების შედეგი ანუ ვიღებთ შედეგს. თუ ადამიანს არ აქვს ენერგეტიკული კავშირი სხვა ადამინებთან ის უბრალოდ ვერ იცოცხლებს, არ შეიძლება მათი გაწყვეტა და დაბლოკვა.

ენერგეტიკული ბმა (ან მიჯაჭვულობა) — ესეც ენერგეტიკული არხია, მაგრამ აქ უკვე საქმე გვაქვს ენერგეტიკულ დარღვევებთან. უფრო მარტივად რომ ვთქვა, ამ დროს ადამიანი დამოკიდებულია (ანუ მიჯაჭვულია) ვინმეზე ან რამეზე, რაც იმას ნიშნავს რომ ირღვევა სამყაროს კანონები. რაც უფრო დიდია მიჯაჭვულობა, მით ნაკლებად ვითარდება ადამინის სული და მით უფრო ადვილია მისი მართვა იმ საგნებით ან ადამიანებით რაზეც/ვიზეც მიჯაჭვულია.

ცხოვრების მანძილზე ყველა ადამინს აქვს შექმნილი ენერგეტიკული დამოკიდებულება, ისე რომ ვერც კი აცნობიერებს ამას. ნებისმიერი ენერგეტიკული არხი რომელსაც ჩვენ ვქმნით ურთიერთქმედების დროს, თუ მასში ენერგეტიკა სწორად არ მიედინება — ჩვენთვის დამღუპველია, რადგან ადამიანი ამ დროს აჩერებს განვითარებას, ხოლო თუ არ განვითარდა მაშინ იწყებს დეგრადირებას.

[1] მოამზადა: Nina Ge.

ძირითადი მიზეზები, რის გამოც წარმოიქმნება ენერგეტიკული მიჯაჭვულობა არის ღვთაებრივი და სამყაროს კანონების დარღვევა. ეს ყველაფერი ძირითადად ნეგატიური ემოციებით გამოიხატება და პირდაპირ ბლოკავს ჩაკრებს. განვიხილოთ ძირითადი ემოციები, რომლის დროსაც **ჩაკრა** წყვეტს ენერგიის სწორ გატარებას:

1. **მულადჰარა (საბაზისო ჩაკრა)** — შიში და აგრესია.
2. **სვადჰისტანა (სქესობრივი ჩაკრა)** — აკვიატებული იდეა და რამის დაჟინებით ნდომა.
3. **მანიპურა (მზის წნული ან ჭიპის ჩაკრა)** — დამოჩილება ან პირიქით ძალაუფლებისკენ სწრაფვა.
4. **ანაჰატა (ცენტრალური ანუ გულის ჩაკრა)** — გადამეტებული სიყვარული ან სიძულვილი.
5. **ვიშუდჰა (ყელის ჩაკრა)** — თვითრეალიზაციისკენ სწრაფვის გადამეტებული ნდომა.
6. **აჯნა (მესამე თვალი)** — მიჯაჭვულობა პრინციპებზე და იმ თემებზე, რაც ადამიანს ჭეშმარიტება გონია.
7. **საჰასრარა (გვირგვინის ჩაკრა)** — მიჯაჭვულობა ეგრეგორებზე.

ნატიფ დონეებზე მიჯაჭვულობა ჩანს, როგორც სხვადასხვა დიამეტრის მქონე მილები, რომლებშიც მიედინება სხვადასხვა ფერის და კონსისტენციის ენერგია.

საშიში არა თავად კავშირია, ეს უბრალოდ ენერგეტიკულია არხია, საშიში ის ენერგიაა რომელიც მასში გადის, როცა ამ კავშირის ერთ მხერეს დგას ადამიანი, რომელიც არ არის თავისუფალი და ამასთან ცდილობს დაიმორჩილოს სხვა.

ამ დროს ადამიანი გრძნობს ძლიერ მისწრაფებას იმისკენ რაზეც ან ვისზეც მიჯაჭვულობა აქვს. ყველაზე ცუდი ის არის რომ ეს მიჯაჭვულობები გაუცნობიერებლად ხდება. ფიზიკურ დონეზე ეს ძირითადად სოციუმში დაწესებული კანონების და სტერეოტიპების საშუალებით ხდება, ხოლო უფრო ღმა ფენებში, მაგალითად ასტრალური თავდასხმის დროს (რაც ხშირად არც კი ახსოვს ადამიანს და სიზმარი გონია) ჩნდება ასეთი კავშრი თავდამსხმელს და მსხვერპლს შორის.

ენერგეტიკული მიჯაჭვულობების შექმნა ხელოვნურადაც შეიძლება. ძალიან მარტივი მაგალითებია ის რასაც ვეძახით «ჯადოს» ან გათვალვას. ამ დროს ნატიფ დონეზე მილების ნაცვლად კვანძები ან კაუჭები ჩანს, რომელშიც უარყოფთი ენერგია მიედინება. ოკულტიზმში არსებობს მეთოდები, რომლის საშუალებითაც ასეთი კავშირების გაწყვეტა ხდება.

ენერგეტიკული მიჯაჭვულობები შეიძლება იყოს აქტიური და პასიური, იმისდა მიხედვით მიედინება თუ არა მასში ენერგია.

განვიხილოთ მაგალითები:

- **შეცოდება, სურვილი დაეხმარო, გადაარჩინო.** ძალიან ბევრი ებმება ამ მახეში, რადგან თვლის რომ ამით სიკეთეს აკეთებს. ეს დათვური სამსახურია ენერგეტიკულ დონეზე. მრავალი წლის განმავლობაში შეცოდებიდან წამოსული ენერგიით იკვებება ის ადამიანი ვინც გვეცოდება, ეს დამანგრეველია. ასეთ კავშირს პარაზიტული ეწოდება,
- **წყენა** — ეს გრძნობა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ემოციად, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს იმ ადამინის ჯამრთელობაზე რომელსაც გულში წყენა აქვს. საქმე იმაშია, რომ გაბრაზების დროს ადამიანი აზრობრივად დაუსრულებლად უბრუნდება წყენის ობიექტს და მასზე ფიქრის დროს აძლევს საკუთარი საციცოხლო ენერგიის დიდ ნაწილს.
- **შურისძიება, სურვილი დაამტკიცო საკუთარი სიმართლე.** ძნელია დაივიწყო და გაუშვა ადამიანი, მაშინ როცა თავში მხოლოდ ის აზრი გიტრიალებს, როგორ დასჯი, როგორ ეტყვი საპასუხოდ რამეს, როგორი სახის გამომეტყველება ექნება ამ დროს და ა.შ.
- **სინანული, დანაშაულის გრძნობა.** აქ უკვე საქმე გვაქვს აგრესიასთან, რომელიც მიმართულია საკუთარი თავისკენ. ეს ნიშნავს, რომ თქვენ თქვენს თავს ართმევთ შეცდომის დაშვების უფლებას. ეს არაპროდუქტიული ემოციაა, რადგან ადამინს არ შეუძლია წარსულის შეცვლა. ამიტომ ადამიანი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ მოიპოვოს პატიება სხვა ადამინისგან. ამ დროსაც ძლიერი მიჯაჭვულობა წარმოიქმენბა.
- **მატერიალური დანაკარგები. არდაბრუნებული ვალი** აკავშირებს ორ ადამინს ენერგეტიკულად ძალიან დიდ ხნის მანძილზე, ამასთან რაც უფრო დიდ თანხაზეა საუბარი, მით უფრო ძლიერია კავშირი. ვინც გასცა იმას უფრო მარტივად შეუძლია გამოზრომა: თუ შეძლებს აზრობრივად დათმოს და «გამოიტიროს» თავისი ფული და დაკარგულად ჩათვალოს და აპატიოს მევალეს, ან ჩათვალოს რომ აჩუქა. რაც შეეხება მევალეს, აქ ცოტა უფრო რთულადაა საქმე; როგორც არ უნდა ეცადოს ვერ დაივიწყებს რომ ვალი აქვს. აქ ერთადერთი ვარინტია ვალის დბრუნება. ხშირად არის სიტუაციები, როცა ვალის დაბრუნება ძნელდება, ამ შემთხვევაში აუცილებელია გამოვიმუშაოთ ეს ვალი. ქურდობა, ყაჩაღობა, თაღლითობა — ეს ქმედებებიც ადიდ ენერგეტიკულ კავშირებს ქმნიან მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის. დასკვნა: უნდა მოიშოროთ ძლიერი სურვილი ფულის და ნივთების ქონის. თუ სწორ გზაზე დგეხართ ის რაც გჭირდებათ აუცილებლად მოგეცემათ, ასეთია ბუნების კანონი.

- **ვალდებულების გრძნობა, რომ გადაუხადოთ პატივისცემა და ამაგი სხვას**. აქაც იგივე სიტუაციაა, როგორც ზემოთ, მაგრამ აქ საუბარია უკვე არა მატარეალურ, არამედ სულიერ თემებზე. «მე შენს წინაშე ვალში ვარ» — ეუბნება ერთი ადამინი მეორეს და ამით ქმნის უძლიერს კავშირს მასთან. ვალებს დაბრუნება უნდა, რადგან არაფერი არ არის «უფსო», მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ის მეორე ადმინი ტავისი საკუთარი ნებით გვიკეთებს სიკეთეს და ასეთ შემთხევავში გულწრფელი მადლიერებაც საკმარისია.
- **ადამიანები ცხოვრობენ ერთად**, მაგრამ ფაქტიურად უკვე გაუცხოებულებბი არიან, გაიარეს რაღაც ეტაპი და ვეღარ მიდიან წინ, რადგან დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთის მიმართ. ან ერთ-ერთი პარტნიორი უფრო განვითარებულია სულიერად და მას სჭირდება წინ წასვლა და ზრდა, მაგრამ მეორე უფრო ნაკლებ განვითარებული პარტნიორი არ აძლევს მას ამის საშუალებას. რა ხდება ამ დროს ენერგეტიკულ დონზე და რითი იკვებება ეს კავშირი? — ჩვევები, ვალებულების გრძნობა, პასუხისმგელობა, ბავშვებზე ზრუნვა, მიჯაჭვულობა ერთად შექმნილ მატერიალურ ფასეულობებზე, პარტნიორის შეცოდება (როგორ იქნება უჩემოდ?), მოკლედ ყველაფერი შეიძლება იყოს მიზეზი სიყვარულის გარდა.
- **მოთხოვნილება ფლობდეთ მეორე ადამიანს**, დამოკიდებულება, ვნება, ეჭვიანობა და ა.შ. ყველაფერი ის რასაც ჩვენ ვეძახით სიყვარულს და მის გამოვლინებას. ამ დროს ადამიანი ემსგავსება პატარა ბავშვს, რომელსაც სათამაშო უნდა და არ აძლევენ, ჟინი იზრდება, ირგვლივ ვეღარაფერს ხედავს და იმდენად ფიქრობს ამ ყველაფერზე, რომ ჩნდება ენერგეტიკული დამოკიდებულება. არ აურიოთ ეს ყველაფერი სიყვარულში!!! სიყვარული არ მოიცავს თავის თავში მეორე ადამინის თავისუფლების შეზღუდვას და სურვილს აკონტროლო ის!
- **ცალმხრივი სიყვარული.** ეს შეიძლება ითქვას ყველაზე გრძელვადიანი და ხანგრძლივი ენერგეტიკული მიჯაჭვულობაა, ნატიფ დონეებზე კი სამუდამოც ალბათ (მოგძებნი შედეგ ცხოვრებაში... და ეს გრძელდება დასურულებლად, ერთი სული ეძებს მეორე სულს და ამის გამო ვერ ვითარდება). ეს კავშირი იმით არის ცუდი რომ ზუსტად იგივე დოზით ვნებს სიყვარულის ობიექტს, როგორც ამ ადამიანს ვისაც უყვარს. ეს ჩვეულებრივი ვამპირიზმია. ამასთან სანამ არ გააცნობიერებს ადამიანი ამ კავშირის ნეგატიურ მხარეს, მანამდე შეუძლებელია რეალურად შეუყვარდეს სხვა და გააგრძელოს ცხოვრება, თუ ასე მოხდა მაინც ეს იქნება ხანმოკლე და რთული კავშირები საკუთარი თავის მოტყუების მიზნით.
- **მშობლები**. ეს ის შემთხვევაა როცა მშობლები (განსაკუთრებით კი დედა) ცდილობს მთლიანად აკონტროლოს ბავშვი. თავისი ზრუნვით და სიყვარულით ახრჩობს (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ბავშვს

ენერგეტიკულ დონეზე. ასევე აქ ირთვება სხვა მიჯაჭვულობაც — დაიმორჩილო სხვა ადამიანი შენი შიშის გამო, რომ არ დარჩე მარტო. შედეგები საკმაოდ სავალალოა: თუ ბავშვი იპოვის ძალა საკუთარ თავში და გაწყვიტავს ამ კავშირს, ეს ნიშნავს, რომ აღარ ექნება მას მშობელთან ურთიერთობა, ან ვერ იპოვის ძალა და დარჩება არასრულფასოვალ პიროვნებად ბოლომდე. მაგალითად, თუ გარდატეხის ასაკში დედა არ აღიქვამს თავის ვაჟს დამოუკიდებელ პიროვნებად და არ უშვებს მას, მაშინ დედის ენერგია პირდაპირ ბლოკავს მის საბაზისო ანუ პირველ ჩაკრას, რასაც შედეგად მოყვება მუდმივი გაუმართლებლობა ვაჟის პირად ცხოვრებაში. ასევე ამ კავშირის შედეგია, როცა ადამნს არ შეუძლია დედისგან წამოსვლა და თან მთელი ცხოვრება იტანჯება მის გვერდით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედებს ზოგადად ვაჟებთან უჩნდებათ ენერგეტიკული მიჯაჭვულობა, ხოლო მამებს გოგონებთან (მაგრამ მამის მიჯაჭვულობა ძალინ იშვითი შემთხვევაა ხოლმე).

- **გულწრფელი გრძნობების და სურვილების დაფარვა**. ადამინი მთლინად ეხვევა სოციუმის ჩარჩოებში და სტერეოტიპებში, რის გამოც ხშირად მალავს სიყვარულს, ხშირად იქცევა სტერეოტიპულად, რადგან ადამინებმა არ დასცინონ, ხშირად იტყუილებიან და მილიონი შეცდომის დაშვება უწევთ. ამით ისინი ბლოკავენ გულის ჩაკრას.

რაც უფრო ძლიერია მიჯაჭვულობა, მით უფრო ხანგრძლივია ის და ხშირად რამოდენიმე რეინკარნაციის მანძილზე მისდევს ადამიანს. ყველა კარმული კავშირის საფუძველი მიჯაჭვულობაა: უპასუხო სიყვარული, შურისძიება, დუმთავრებელი საქმე და ა.შ... ეს ყველაფერი კი იქამდე გრძელდება, სანამ ადამიანი არ განთავისუფლდება ამ დამოკიდებულებებისგან.

ძალინ ბევრი პრაქტიკა არსებობს ამ კავშირების გასაწყვეტად, რომლებსაც შემდეგ სტატიში შემოგთავაზებთ, მანამდე კი დაფიქრდით:

- რეალურად გჭირდებათ ის რისკენაც ისწრაფვით?
- რეალურად არ შეგიძლიათ უარი თქვათ ცდუნებებზე და სტეროტიპებზე?
- რა არის თქვენთვის მთვარი მიზანი?! ძალაუფლება და მისი დემონსტრაცია თუ განვითარება?
- ხართ რეალურად თავისუფალი?

ნიკა დვალიშვილი

ტაროს კარტი[1]

ტაროს კარტი დღესდღეობით ერთერთი ყველაზე პოპულარული და გავრცელებული სამკითხაო სისტემაა. მისი წარმოშობის შესახებ დღემდე მიმდინარეობს დავა ტაროლოგებსა და მეცნირებს შორის, გამოიკვეთა უამრავი ვერსია: ეგვიპტე, ატლანტიდა, საფრანგეთი, ბოშები და ა.შ.

კლასიკური ტაროს დასტა შედგება 78 არკანისგან (ლათ. arcanum — საიდუმლო), რომლებიც იყოფიან ორ ნაწილად, მაღალ და დაბალ არკანებად.

მაღალი არკანები

მაღალი არკანები შედგებიან 22 არკანისაგან, ითვლება რომ, სწორედ ამ 22 არკანებში არის მოთავსებული მაღალი ცივილზაციების სიბრძნე ეს 22 არკანი ასახავს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს, ასევე ეს 22 არკანი ასოცირდება ივრითის ანბანის 22 ასოსთან, აპოკალიფსის 22 თავთან, მას ასევე უკავშირდება 12 ზოდიაქო + 10 პლანეტა.

დაბალი არკანები

დაბალი არკანები იყოფიან ოთხ კლასად: კვერთხები, ხმლები, თასები და პენტაკლები(მონეტები, დინარიები). ყოველი კლასი შედგება 14 დაბალი არკანისგან. დაბალი არკანები უფრო კონკრეტიკით არიან დატვირთული და მაღალ არკანებთან ერთად უფრო კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდიან. ყოველი კლასი ასევე უკავშირდება თითოეულ სტიქიას:

- კვერთხები — ცეცხლი;
- ხმლები — ჰაერი;
- თასები — წყალი;
- პენტაკლები — მიწა.

[1] GeoAstro.Ge.

ვერსიები ტაროს კარტის წარმოშობა

ტარო ეს არ არის უბრალოდ კარტის დასტა, როგორც შესაძლოა ბევრ თქვენთაგანს მოჩვენებოდა.ეს წარმოუდგენლად რთული სიმბოლოების სისტემა, რომლის წარმოშობაზე დღემდე მიმდინარეობს დავა, როგორც ზემოთ ვთქვით.

რაც შეეხება ტაროს წარმოშობის ვერსიებს, არსებობს უამრავი ჰიპოთეზა: ზოგი მიიჩნევს რომ, კარტი წარმოიშვა ინდოეთში, ზოგს მიაჩნია კარტის სამშობლო ეგვიპტე, სხვები მიიჩნევენ რომ ტარო არის ბოსათა კულტურის ნაწილი. მაგრამ ყველაზე ადრეული მოხსენება ტაროსი გხვდება V-III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეგვიპტურ და ზოროასტრიულ ნაწერებში.

ასევე უამრავი ჰიპოთეზა არსებობს სიტყვა ტაროს წარმოშობაზე. ერთერთი ყველაზე გავრცელებული ვერსია არის, რომ სიტყვა ტარო წარმოიშვა ძველიეგვიპტური ტა — როწ-ისგან, რაც ნიშნავს «ფარაონის გზას» რომელიც ამოღებულია თოტის წიგნიდან.

თოტი (ბერძ: Θώθ (თოოთ), ეგვიპტ: დჰოვტიი) სიბრძნისა და მეცნიერების ძველეგვიპტური ღვთაება. სიტყვა «თოთი» მომდინარეობს ძველბერძნული ფორმიდან Θωύθ, ხოლო თვითონ ეგვიპტელები კი მას ეძახდნენ ჯეჰუტი ანდჰოვტიი. თოტი ასევე არის დამწერლობის, კალენდრისა და მთვარის ღვთაება. გადმოცემით სწორედ მას მიეწერება ეგვიპტური იეროგლიფებისა და 335-დღიანი კალენდრის შექმნა. რომაულ მითოლოგიაში მისი ანალოგია ლუნუსი (ვიკიპედია).

ერთერთი ლეგენდით თოტი იყო ადრინდელი ეგვიპტეს მმართველი, რომელმაც გამოიგონა დამწერლობა, და ის შემდგომში გახდა სიბრძნისა და მეცნიერების ხვთაება.

კიდევ არსებობს ვერსია რომ ტარო შეიქმნა ატლანტიდაში, და რომ ის შექმნეს ბრძენებმა, რომლებმაც იცოდნენ რომ მათ ცივილიზაციას გადაშენება ელოდა და მთელი თავიანთი სიბრძნე სწორედ ტაროს კარტში ჩადეს.

100 წლის წინ ევროპაში შემოსულმა ბოშებმა შემოიტანეს ტაროს კარტი და დაიწყეს მასზე მკითხაობა, რამაც დიდი პოპულარობა მოუტანა კარტს ამიტომ ბევრნი მიიჩნევენ რომ სწორეთ მათი შექმნილია კარტი, და რომ ის არის მათი კულტურის ნაწილი.

ვერსიები ვერსიებადვე რჩება მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა ფაქტი რჩება ფაქტად, ტარომ გაუძლო საუკუნეებს, რელიგიებისა და კულტურის ცვლას და დარჩა აქტუალური და საჭირო. ტარო ეს არის ხელოვნების, ინტუიციის და ცოდნის სინთეზი. ტაროს შესწავლა ეს არის რთული, მაგრამ ამავდროულად საინტერესო და სურპრიზებით აღსავსე გზა.

ტარო არ არის მხოლოდ სამკითხაო სისტემა ტაროს დახმარებით ჩვენ შეგვიძლია ვიმედიტიროთ, მოვახდინოთ საგანზე ან სიტუაციაზე ზემოქმედება და ა.შ, მაგრამ ამ ყოველივეზე შემდეგ სტატიაში იქნება საუბარი...

ტაროს არსი და როლი ჩვენს დროში[1]

მერწყულის ეპოქის დადგომასთან ერთად ყველაფერი ფარული ცხადი ხდება. ამის ნათელი მაგალითია ტაროს დასტის პოპულარიზაცია და მასობრივი გავრცელება მსოფლიოს მასშტაბით. ამ დასტის შესახებ უამრავი ოკულტური და მეცნიერული ინფორმაცია არსებობს, სწორედ ამიტომ ის იმ უნივერსალურ ინტსრუმენტთაგანია, რომელიც ყოველთვის აქტუალური იქნება.

ტაროს წარმოშობის რამდენიმე ვერსიიდან აღსაღნიშნავია: ატლანტიდა, ეგვიპტე და შუა საუკუნეების ევროპა. მეცნიერული თვალსაზრისით ტარო პირველად მე-15 საუკუნეში ცნობილი იტალიური გვარის «ვისკონტი»-ს დაკვეთით შეიქმნა. ისტორიული წყაროებზე დაყრდნობით ტარო თავდაპირველად სათამაშოდ შეიქმნა. თუმცა ეს ვერსია საეჭვოა — სათამაშო დასტაში რატომ უნდა ყოფილიყო კარტი დასახელებით «სიკვდილი», «ჩამოკიდებული კაცი» ან «კოშკი»?! ეს ყველაფერი გვარწმუნებს იმაში, რომ ტარო ჩვეულებრივი სათამაშო დასტა არასდროს ყოფილა. ის მალე გავრცელდა მთელს ევროპაში, თუმცა მისი შეძენა მხოლოდ შეძლებულ ფენების წარმომადგენლებს შეეძლოთ. პირველი დასტა რომელიც შეიქმნა სამკითხაოდ იყო გრანდ ეტეილას ტარო. ეტაილა ეს მე-18-ე საუკუნის ოკულტისტია, მის სახელს უკავშირდება ისეთი ძლიერი კარტომანსი (არკანებისა და სხვა სამკითხაო დასტების შემსწავლელი პირი) როგორიცაა ანა-მარია ადელაიდა ლენორმანი. მიუხედავად იმისა, რომ ეტეილას სისტემა ნაკლებად პოპულარია ტაროს სკოლებზე მისი გავლენა უდიდესია და მისი სახელი ყოველთვის გამოკვეთილია.

[1] მოამზადა: DaTo.

არსებობს მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ტარო მხოლოდ სამკითხაოდ გამოიყენება. თუ დავუკვირდებით ტაროს სკოლების დამაარსებლებს როგორებიცაა პაპიუსი, ვეიტი და კროული, აღმოვაჩენთ რომ ისინი უდიდესი ოკულტისტები იყვნენ, რომლებსაც სამყაროს საიდუმლოებების ამოხსნა აინტერესებდათ. შესაბამისად ტარო ვერ იქნება უბრალო მანტიკური საშუალება.

ტარო ეს არის ერთგვარი ფილოსოფია. ეს არის 78 კარტში გადმოცემული სამყარო სხვადასხვა ხერხებით. მასზე შეიძლება მედიტირება, მაგიურ რიტუალებში გამოყენება და ა.შ.

ტაროს დასტა შედგება 22 მაღალი და 56 დაბალი არკანისგან. მაღალი არკანები დიდ, კარმულ პროცესებზე მიგვითითებს. შესაბამისად უდიდესი ნაწილი საიდუმლო ინფორმაციის სწორედ ამ არკანებშია ჩადებული. დანარჩენი 56 არკანი კი მათი განსხეულებაა უშუალოდ დედამიწაზე.

თანამედროვე ეპოქაში ბევრს აინტერესებს როგორ შეისწავლოს ტარო. ტაროს დასტის ათვისება ინდივიდუალურია, ზოგს ურჩევნია თავად ისწავლოს, ზოგი სკოლას ანიჭებს უპირატესობას, ზოგსიც კი მედიტაციური ხერხებით სწავლობს. რეცეპტი იმისა, თუ როგორ ვისწავლოთ ტარო არ არსებობს, ერთ რამ კი ცხადია ასეთი ცოდნა მიეცემა მხოლოდ კოსმოსის თვალით ზდასრულ ადამიანს. ჩვენს წინა, თევზების ეპოქაში რომელიც გრძელდებოდა ახალი წელთაღრიცხვიდან 2000 წლამდე, ტარო მხოლოდ მაგიურ ორდენებში ისწავლებოდა. თუმცა დღეს-დღეისობით თანამედროვე მერწყულის ეპოქამ მოიტანა ყველასთვის ხელმისაწვდომი სკოლები, სადაც უფრო მნიშვნელოვანი გახდა ზეინოფმრაციის მიღება (ურანი; მერწყულის მმართველი) ვიდრე მისი მედიტაციური თუ სხვა ენერგეტიკული საშუალებებით შეცნობა (ნეპტუნი; თევზების მმართველი).

მთავარი აქ მაინც ოქროს შუალედის პოვნაა, რადგან ტარო ეს არის სამყაროს მაკეტი თქვენს ხელში, მისი სრულად შეცნობა მხოლოდ აბსოლუტებს შეუძლიათ. ადამიანს შეიძლება მრავალი განსხეულება დაჭირდეს იმისათვის რომ ტარო შეისწავლოს. თუმცა ეს სულაცაა არ ნიშნავს, რომ უნდა შევეშვათ სწავლებას, პირიქით ეს მოტივაცია უნდა გახდეს, რათა შევძლოთ ჩვენი ცოხვრების უკეთესობისკენ წარმართვა და კითხვებზე პასუხების მიღება.

ფსიქოანალიზი და ტაროლოგია[1]

დღეს ფსიქოლოგიას ყოველდღიურობაში უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პრაქტიკაში დაინერგა ბიზნესის, სკოლების, თემატური სფეროების ფისოქლოგები და ა.შ. უფრო მეტი ადამიანი დადის ფსიქოთერაპევტთან და ხალხის დაინტერესება ამ მხირვ მატულობს. ფსიქოლოგიაში რატომღაც ტრენდი ხდება ფროიდსეული მოძღვრება, რომელიც მხოლოდ მატერიალურ მხარეს და მატერიალურ პროცესებს აღიარებს. გაურკვეველი მიზეზების გამო იჩაგრება და ნაკლები დაინტერესებაა იუნგის — ადამიანის, რომელმაც ფროიდის ცოდნა სრულყო — მიმართ. თანამედროვე ფსიქოლოგთა ნაწილი უარყოფს იმ უდიდეს ცოდნას და ნაშორმებს, რომელიც იუნგმა დაგვიტოვა. თუ რატომ ვახსენე იუნგი-ეს ალბათ მკითხველისთვის უკვე ნათელი გახდა. იუნგის დაინტერესება მისტიციზმით, ასტროლოგიით, ალქიმიით, მითოლოგიით და ტაროლოგიით ეს სახალხოდ ცნობილი ფატია და სწორედ ამიტომაც ბევრი ფსიქოლოგი მას ეჭვის თვალით უყურებს.

თანამედროვე ეპოქამ შესაძლებელი გახადა ინფორმაციის სინთეზი. ამის გათვალისწინებით გასაკვირი არ უნდა იყოს, უკვე ისეთი წიგნების გამოჩენა როგორებიცაა: «ტაროს ფსიქოლოგია», «ფსიქოტიპი და ტარო» და ა.შ. . მაგალითად, რუსეთიში არის პრაქტიკა, როდესაც საკმაოდ წარმატებული ფსიქოთერაპევტები მუშაობის დროს ტაროს დასტას იყენებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სეანსებს დიდი დრო მიაქვს, ტარო ამ შემთხვევაში დროს იგებს და იძლევა შესაძლებლობას უფრო მალე დაისვას დიაგნოზი. რა თქმა უნდა, ცოდნა ადამაინის ცნობიერების შესახებ კლასიკური ფსიქოლოგიის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა ეზოთერიაში, ამის ყველაზე მარტივი მაგალითია ტაროლოგიაში არსებული ცოდნა, რომლის გარჩევას სტატიის მომდევნო ნაწილში შემოგთავაზებთ.

[1] მოამზადა: DaTo.

აკითხი, რატომ უნდა დავუჯეროთ იუნგის მოძღვრებას და არა ფროიდისას. ბევრი საუბარი არ ჭირდება იმას, რომ ფროიდის როლი ფსიქოლოგიაში უზარმაზარია. მისი ესეები და მოძღვრება ცნობიერების შესახებ იმ დროის ნამდვილი ინოვაცია იყო.თუმცა ფროიდი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ ღვთაებრივ და თვალით უხილავ მოძღვრებებს. პირველი გახლეჩა ფროიდსა და მის მოსწავლე, იუნგს შორის არაცნობიერის ბუნების გაგებასთან დაკავშირებით მოხდა.**იუნგის აზრით არსებობდა კოლექტიური არაცნობიერი, რომელშიც არსებობდა არქეტიპები, ხოლო ფროიდი არ აღიარებდა კოლექტიური არაცნობიერის არსებობას.** თუ ამ ისტორიას ფაქტებს დავუმატებთ აღმოჩნდება, რომ იუნგი ამ დასკვნამდე მივიდა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის და უცხო კულტურათა შესწავლის შემდეგ. ანუ მან დაასინთეზა ინფორმაცია და მივიდა დასკვანმდე, რომ სხვადასხვა კულტურებში, რომლებსაც ერთმანეთთან შეხება არ ქონდათ ღმერთის შესახებ წარმოდგენა ერთნარი იყო.



სურათზე ხედავთ ამის ნათელ მაგალითს სხვადასხვა კულტურის სხვადასხვა ღმერთები: დაბადებულები არიან 25 დეკემბერს, ყველა იშვა ქალწულისგან, უმეტეს მათგანს ყავდა 12 მოწაფე და სიკვდილის შემდეგ ყველა მკდრედით აღსდგა. ეს ის თემაა სადაც ყველა ფროიდის მიმდევარი «იჭედება». მინდა მკითხველმა ზუსტად გაიგოს სათქმელის არსი. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ ღმერთი არ არსებობს — პირიქით აღმოჩნდა რომ სხვადასხვა კულტურებში წარმოდგენა ღმერთის შესახებ ერთმანეთს ემთხვევა. შესაბამისად გარდაუვალია გვერდი ავუაროთ კოლექტიური არაცნობიერის თემას, რადგან კოლექტიური არაცნობიერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ასეთი დამთხვევების არსებობა. თუ მაინც განვიხილავთ ფროიდის მოძღვრებას მაშინ სიტუაცია ასე უნდა დაიხატოს: ვინაიდან და რადგანაც, ადამაინი რომელსაც სწამს ღმერთის არის «ბავშვი» და მას სჭირდება იმედი და მიმთიებელი, ამიტომ იგონებს ღმერთს. მაშინ ყველა დიდი კულტურის ღმერთებს შორის არ უნდა იყოს მსგავსებები, ისინი აბსოლიტურად განსხვავებულები უნდა იყვნენ. ვინაიდან ყველა კულტურა განსხვავებულ ცხოვრებას და განვითარებას გადიოდა. მათ შესაბამისი მოთხოვნები და სურვილები ქონდათ, რომელთა დაკმაყოფილება არ შეიძლება მომხდარიყო ღმერთის იმ სახით, რომელსაც სხვა კულტურებიც იზიარებდა. იმედია მკითხველი დარწმუნდა კოლექტიური არაცნობიერის არსებობაში, სხვა შემთხვევაში საუბრის გაგრძელებას აზრი არ აქვს.

ფროიდის მოძღვრებების გარჩევისაას, საინტერესო იქნება გავიგოთ ვინ იყო მისი მასწავლებელი. მისი მასწავლეებლი იყო ჟან მარტენ შარკო, რომელიც ვიკიპედიაში როგორც ნევროლოგი ისეა მოხსენიებული. რა თქმა უნდა, მას ნევროლოგობას არავინ ართმევს, თუმცა ეს არ არის სრული სურათი და მხოლოდ ამით შემოფარგვლა ვერ დაგვანახებს სურათს.

ლიტერატურიდან ნელ-ნელა ქრება შარკოს შესაძლებლობებზე რეალური ინფრომაცია, შარკოს ქონდა უნარი მოეხდინა გავლენა სხვის ნებაზე. მისი ერთი დაყვირება «დაიძინე!», საკამრისი იყო იმისთვის, რომ პაციენტი ჰიპნოზის მდგომარეობაში გადასულიყო.ისმის კითხვა, თუ ასეთი ძლიერი იყო შარკო რატომ თავად არ დაუდო საფუძველი ფსიქოლოგიას და ფსიქიატრიას? ამაზე პასუხი ძალიან მარტივია, საზოგადოება ვერ მიიღებდა ისეთ სწავლებას, რომლის დამნერგავი იქნებოდა «გრძნეული», «შარლატანი» თუ ყველა ის სიტყვა რომელიც იმ დროინდელი საზოგადოება შესაფერისად ჩათვლიდა ასეთი ადამიანისთვის. აუცილებელი იყო, ეს ყველაფერი გადმოსულიყო მატერიალურად მარტივად აღქმად ენაზე. ფროიდი ეს იყო პროგრამა, რომლის მისია იყო ამ ცოდნის გადმოტანა ხალხში, საზოგადოებრივი წესების დაცვით. ამ ყველაფერით არ ვაკნინებთ ფროიდს, პირიქით უნდა ვაღიაროთ, რომ ის გაუცნობიერებლად გახდა ხიდი მისტიციზმსა და მატერიალურ სამყაროს შორის.

მაშ ასე მივედით რამდენიმე დასკნამდე:სინამდვილეში ყველა ის ცოდნა, რასაც დღეისათვის ფსიქოლოგია/ფსიქიატრია ფლობს არსებობდა დაფარულად ეზოთერულ სივრცეში. ფროიდი იყო ინფორმაციის მატერიალურ საზღვრებში გადმომტანი, ის უარყოფდა ღვთაებრივის იდეას. იუნგი კი ეს იყო ფროიდისეული მოძღვრების ღირსეული გაგრძელება — გზა ღვთაებრივის შეცნობისკენ.

ახლა ჩავატაროთ პატარა ექსკურსი ტაროლოგიასა და ფსიქოლოგიის გაგებებს შორის განსხვავებზე, რათა უფრო თვალსაჩინო იყოს ზედა დასკვნების მართებულობა. აქვე (წინასწარ) დავძენ, რომ, ის რაც ფსიქოლოგიისთვის აღმოჩენა იყო, უკვე დიდი ხანი იცოდნენ ტაროს ოსტატებმა.

ფსიქიკის ცნობიერად და არაცნობიერად დაყოფა

ცნობიერად და არაცნობიერად გაყოფა, ფსიქოლოგების აზრით ფროიდის დასკვნაა. ტაროლოგიაში კი კარგად ნაცნობი ფაქტია, ის რომ მე-19 არკანი «მზე» განასახიერებს ცნობიერს, ხოლო მე-18 არკანი «მთვარე» არაცნობიერს (კლასიკური ნუმერაცია). თუ ავიღებთ, ყველაზე ძველ შემორჩენილ ტაროს დასტას (ვისკონტი-სფორცას) ის თარიღდება 1441 წლით. რომ ავიღოთ სხვაობა ფროიდის დაბადებასთან (და არა სამეცნიერო სამუშაოების დაწყებასთან), გამოვა, რომ პირველ შემორჩენილ ტაროს დასტას 415 წელი აშორებს ფროიდის დაბადებამდე. მაგრამ აქ ისმის კითხვა, ნუთუ 1441 წლის ტექსტებში მოხსენიებულია არაცნობიერის და ცნობიერის არსებობა? რა გარანტია გვაქვს, რომ ეს არ რის

თანამედროვე ტაროლოგების დამკვიდრებული ტერმინი ფსიქოლოგიის კარგად შესწავლის შემდეგ? ლეგიტიმური კითხვებია და მეც აბსოლიტურად ლეგიტიმურ პასუხს გაგცემთ: არ გვაქვს შემორჩენილი 1441 წლის ტექსტები ტაროს შესახებ. თუმცა გვაქვს ფრანგი ოკულტისტის და ტაროლოგის ეტეილას ჩანაწერები. 1785 წელს გამოცემულ «როგორ უნდა გაირთო შენი თავი, დასტით რომელსაც ტარო ქვია». ეტეილამ არამხოლოდ მოგვცა ტაროდან ინფომრაციის მიღების მეთოდები, არამედ დანერგა ცოდნა ტაროს არკანებთან (იგივე კარტებთან) მუშაობისთვის. ეტეილა ამბობდა, რომ არკანი «მთვარე»(რომელსაც იგი თავის სისტემაში 3-ე ნუმერაციას ანიჭებდა) აჩვენებდა იმ თემებს, რომელიც ადმიანს ძალიან უნდა მაგრამ თვითონ არ იცის, რომ უნდა. რა თქმა უნდა, ეს არის პრიმიტული განმარტება მაგრამ ძალიან კარგად ჩანს არაცნობიერის ბუნება. არაცნობიერი ხომ ერთი დიდი მინდაა, რომელიც არ ითვალისწინებს არაფერს.

გარდა ამისა ეტეილას აქვს ერთი ძალაინ საინტერესო კვლევა. მისი თქმით, როდესაც ადამიანის «სულელის გზაში»(გაშლა რომელიც მოიცავს ტაროს მაღალ აკრანებს ერთად. ეს გაშლა აჩვენებს ადამიანის განვითარების ინდივიდუალურ გზას, ფსიქოტიპს და გარემო სიტუაციებს) როდესაც მზე და მთვარე რეცეფციაში არიან (ანუ როდესაც მზის კუთვნილ ადგილს იკავებს მთვარე და მთვარის კუთვნილ ადგილს მზე) ასეთი ადამაინები ხშირად ხდებაინ სულიერად ავადმყოფები.თუ ამას უფრო ჩავუღრმავებით აღმოვაჩენთ, რომ ეტეილა სულიერ ავადმყოფობაში აღწერს შიზოფრენიას. ცნობიერის(მზე) და არაცნობიერის (მთვარე) ადგილების გაცვლა, მათ შორის საზღვრების დარღვევა.

არქეტიპები

არქეტიპების ცნება ფსიქოლოგიაში მთლიანად იუნგის შემოტანილია. მან პირველად დაადგინა, რომ განურჩევლად ერისა, წარმომავლობისა, გარემოსა არის ის საერთო ფენა — რასაც არქეტიპები ეწოდება. გვაქვს ოთხი მთავარიარქეტიპი: შინაგანი «მე», ანიმა და ანიმუსი, აჩრდილი, პერსონა.

შინაგანი «მე»

წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების არაცნობიერს ნაერთს. ამ დროს ვითარდება პიროვნების სხვადასხვა ასპექტები. ეს არქეტიპი შეესაბამება არკან «სულელს» ანუ ცნობიერი+არაცნობიერი. რაც მთავარია «სულელი» მზადაა მისი პიროვნების მრავალმხრივი განვითარებისთვის. «სულელში» გამოხატულია ე.წ «ინდივიდუაციის» პროცესი, მასში ხდება პიროვნების სხვადასხვა ასპექტის განვითარება.მისთვის მთავარია მოიაროს 21 არკანი და მაქსიმალურად სრულყოს თავისი თავი

ანიმა და ანიმუსი

ანიმა-ქალის სახე მამაკაცის ფსიქიკაში, ანიმუსი-მამაკაცის სახე ქალის ფსიქიკაში. ანიმა და ანიმუსი ეს არის ქალური და მამაკაცური ენერგიების შერწყმა. ეს არის მცდელობა — გაერთიანებისკენ.

ანიმა-ეს არის მე-3 არკანი «იმპერატორი ქალი», ნაზი, მშვენიერი, ლამაზი, მოსიყვარულე ქალბატონი, რომელიც ნაყოფიერია და აქვს შთამომავლობის მოცემის უნარი/

ანიმუსი-ეს არის მე-4 არკანი «იმპერატორი», რომელიც გამოხატავს ხისტ, აგრესიულ, დამპყრობელ მამაკაცს, რომელიც მიმართულია ლიდერობისკენ, საკუთარი თავის დემონსტრაციისკენ.

«იმპერატორი ქალი» და «იმპერატორი» როგორც წესი ნებისმიერი ადამიანის «სულელის გზაში» გვაჩვენებენ თუ როგორ აწყობს ეს ადამიანი ურთიერთობებს, რა არის მნიშვნელოვანი მისთვის, რისკენ მიისწრაფვის. გარდა ამისა, აქ ადამაინი ახდენს მისი ნამდვილი ეგოს გამოვლენას. «იმპერატორ ქალს» აქვს ის, რაც არ აქვს «იმპერატორს» და პირიქით. ეს არის კლასიკური «ინ»-ის და «იან»-ის შერწყმა.

აჩრდილი

აჩრდილი მოიცავს დათრგუნულ იდეებს, სისუსტეებს, სურვილებს, სექსუალურ ინსტიქტებს. ეს არის გონების ბნელი მხარე. აჩრდილი ეს არის მე-15 არკანი «ეშმაკი». არკან ეშმკაში ხდება ჩვენი სისუსტეების კონცეტრაცია, აქ იხსნება ჩვენი დაფარული ინსტიქტები, ხოლო კმაყოფილების განცდისას ადამიანი ველურდება. ხდება მიჯაჭვება, ამ შემთხვევაში ადამაინი განიცდის კმაყოფილებას და ჩამოდის ცხოვრელის დონეზე . ეშმაკი ასევე დაკავშირებულია სექსუალურ სურვილებთან, ოღონდ ამ შემთხვევაში ეს სურვილები არის ძალიან ძლიერი და ისეთი რომელიც ადამიანს ამდაბლებს.

პერსონა

პერსონის არქეტიპი-ეს არის ის სოციალური სახე, როგორსაც ჩვენ მივაწოდებთ ჩენ თავს გარესამყაროს.რაც მთავარია საჭიროა მისი ცვლა, რათა არ დაზიანდეს ჩვენი იმიჯი.პერსონა ეს არის 1ლი არკანი «მაგი». «მაგს» შეუძლია სიტუაციის კონტროლი, სიტუაციაზე მორგება, თანაც ისე, რომ ყველასთვის სასურველი დარჩეს და სწორედ ამიტომაც აქვს მაღალი პრესტიჟი. მისით ყველა აღტაცებულია.

იუნგი ამბობდა, რომ არქეტიპების რაოდენობა არ არის ფიქსირებული. შეიძლება მოხდეს არქეტიპების გაერთიანება ან გადაფარვა. სწორედ ამიტომაც შეუძლებელია ზედმიწევნით აღვწეროთ ყველა სხვა არქეტიპი. თუმცა მკითხველის დასარწმუნებლად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ბავშვი

ბავშვი რა თქმა უდნა, უმწიკვლობასთან, მხიარულობასთან ასოცირდება. ბავშვის ფენომენი ეს არის 6 თასი, რომელიც ტაროში განასახიერებს წრფელ სიყვარულს, სუფთა გრძნობებს, ემოციებს და ცხოვრების ხალისს.

ბრძენი

ბრძენი გაიგივებულია ცოდნასთან და ამასთანავე დამოძღვრასთან. ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, ისევე როგორც დამოძღვრა და სწორ გზაზე დაყენება ტაროში აქცენტირებულია მე-5 არკანი «იეროფანტით» .სწორედ ეს არკანი იმეორებს ამ არექტიპს.

<u>შეჯამება:</u> როგორც ხედავთ ის ცოდნა რაც დღეს ფსიქოლოგიაშია, მასზე გაცილებით დიდი ხნის წინათ იყო გადმოცემული ტაროში. რა თქმა უნდა, ეს სტატია არ ისახავს მიზნად ფსიქოლოგების დისკრიმინაციას. პირიქით, ეს უნდა იყოს მათთვის მოტივაცია, რომ დაკავდნენ ტაროლოგიის შესწავლით. ასე უკვე ბევრი პრაქტიკოსი ფსიქოლოგი თუ ფსიქოთერაპევტი იქცევა მსოფლიო მასშტაბით. ტარო ეს ის ფენომენია, რომლის სწავლა არასდროს სრულდება და როგორც ხედავთ იმაზე უფრო რეალურია, ვიდრე ბევრს წარმოედგინა. ყველაფერი ამის გათვალისწინებთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაროლოგია ეს არის გასაღები ნებისმიერი ადამიანის ცნობიერების გამოკვლევისთვის. რა თქმა უნდა, ყველა ტაროლოგს არ შეუძლია ამ განხრით მუშაობა. ტაროს დახმარებით ფსიქოანალიზი ეს ძალიან დიდი თემაა, რომელიც ტაროლოგიის ერთ-ერთ განხრას წარმოადგენს. სტატიის ბოლოს კი უნდა აიღნიშნოს, რომ ტარო უნივერსალური ინსტრუმენტია და ის მხოლოდ ფსიქოლოგიასთან გადაკვეთებით არ შემოიფარგლება.

«სულელის გზა» — საქართველოს მდგომარეობა[1]

ნაწილი I

საქართველოს ბედ-იღბალი ყოველთვის დიდი მითქმა-მოთქმის იწვევდაა. ბევრი ადამიანისგან გაიგებთ შეკითხვას: «რა გვეშველება?». ზოგი საქართველოს ასტროლოგიურად, ზოგი ოკულტურად განიხილავს და აქედან დებს დასკვნებს. მე მინდა დღეს ტაროლოგიურად განვიხილო საქართველოს მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივა.

დიდი ობიექტების განხილვისას ტაროლოგიაში გამოიყენება ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური გაშლა, სახელად «სულელის გზა». სწორედ საქართველოზე შესრულებული «სულელის გზის» განხილვას მიეძღვნება ჩემი პოსტი.

მოდით დაივწყოთ სულ თავიდან, შევხედოთ რომ ციკლი იწყება მე-8 არკანი «ძალისგან» და მთავრდება მე-15 არკანი «ეშმაკით». ამით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სახელწმიფოსთვის მნიშვნელოვანია ძალაუფლება, გარე პრესტიჟი და საკუთარი სურვილების უპირობოდ დაკმაყოფილება. მას სურს იყოს გამორჩეული და ეს სჭრდება უპრიობოდ (არკანი «ეშმაკი»).

ამ გაშლის პირველი და ბოლო არკანი «სულელთან» და «სამყაროსთან» ერთად პასუხს აგებს სახელმწიფოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. არკანი «ძალა» დგას არკან «კოშკთან» ერთად, რაც მიუთითებს, რომ ჩვენი სახელმწიფოს თავისუფალ სვლას ხელს უშლის გარე პირები და გარე ძალები, ამასთან ერთად არკანი «სულელი» იკავებს მე-13-ე პოზიციას, რომელიც

[1] მოამზადა: DaTo.

შეესაბამება არკან «სიკვდილს». ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში ხშირად ხდება რიგი შეუქცევადი პროცესები, რომლთა პროვოცირება ხდება გარედან.

საინტერესო იქნება განვხილოთ არკანი «სიკვდილის» გალვენა სახელმწიფოს განვითარებაზე, შევხედოთ არკან «სიკვდილს» ის დგას მე-20 არკან «სამსჯავროსთან» ერთად — ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ სახელმწიფოში ხდება უამრავი რევოლუცია და გარდაქმნა, რომელიც გამოწვეულია ხალხის უკმაყოფილებით. მე-16 არკანი «კოშკი» გვიჩვენებს იმ სფეროს სადაც არის გარღვევა, სადაც ხდება მოულოდნელი ნგრევა და ცვლილება. ჩვენს შემთხვევაში ეს კარტი ხვდება 1 არკანი «მაგის» პოზიციაზე, ანუ ხალხს რაც უნდა ბოლომდე ის არასდროს არ გამოდის. ერთვება გარე ძალები, რომლებიც ყველაფერს ამას აფერხებს. ზემოთ მოყვანილი პირობების გამო ხალხს სჭირდება სჭირდება კომპენსაცია და ამ კომპენსაციას ის იღებს, რომელიმე სულიერი სწავლების, რელიგიური სახით.

ვნახოთ თუ რაში ხედავენ ადამაინები ბედნიერებას?! უფროსობაში (მზე დგას მე-4 არკანი «იმპერატორის» ადგილას), თუმცა ერთის ხმრივ ისინი განიცდიან ბედნიერებას, მაგრამ ეს ყველაფერი მათთვის არის ერთგვარი სტრესი, რადგან მის გვერდით არის არკანი «სიკვდილი» რომელიც იკავებს ‘‘იეროფანტის» ადგილს. მოკლედ ეს ყველაფერი ასე ჟღერს: «გასაჭირი ყველაზე კარგი მასწავლებელია».

საინტერესოა ვნახოთ რა არის ადამიანების მიზანი და მისწრაფება, ამას გვიჩვენებს მე-7 არკანი «ეტლი». ეს ნიშნავს, რომ ერთს მხრივ ადამაინები მიისწრაფვიან სულიერი განვითარებისკენ (ეტლის გვერდით არკანი «იეროფანტი»), თუმცა ცნობიერად სურთ განამტკიცონ («ეშმაკი») თავიანთი უპირობო ექსპანსია («სამყარო») და გავლენა («ეშმაკის ადგილას დგას «იმპერატორი»).

ყველაფერ ამას ქართველი ერი ქვეცნობიერად მაინც ხვდება, არკანი «ვარსკვლავი» გვაჩვენებს სანუკვარ ოცნებებს. ჩვენთან ვარსკლავი დგას არკანი «ჩამოკიდებული კაცის» ადგილას, შესაბამისად ხალხს უნდა რომ განთავისუფლდეს ამ მკვდარი პერიოდისგან, სურთ თავისუფლება («სულელი») და სურთ სამართლიანობა (არკანი «სმაართლიანობა»).

როგორც ხედავთ სიტუაცია საკმაოდ მძიმეა, კიდევ შეიძლებოდა საქართველოზე საუბრის გაგრძელება, თუმცა ვთვლი რომ ამ ეტაპზე ეს სკმარისია. საკმაოდ დიდი ხანი ვფიქრობდი დამეწერა თუ არა ეს, თუმცა ვფიქრობ რომ, ჯობია ხალხმა იცოდეს თუ რა ხდება რეალურად. მართალია ჩვენი სახელმწიფოს დაბადების მომენტიდან გამომდინარე ძალიან კარგად ვერ ვიცხოვრებთ თუმცა საშუალება გვაქვს ცოტათი მაინც გამოვასწოროთ მდგომარეობა.

ნაწილი II

წინა სტატიაში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საქართველოს შესახებ. იქ გაკეთებული კომენტარები და აქცენტები ძირითადად რეალურ მოვლენებსა და სიტუაციებზე იყო. თუმცა არანაკლებ საინტერესო იქნება გავიგოთ ქართველი ერის პოტენციალი.

ისევე როგორც, წინა შემთხვევისას აქაც გამოყენებული იქნება გაშლა სახელად «სულელის გზა», თუმცა სამუშაო დასტად ამ შემთხვევაში თოტი ავარჩიე, ვინაიდან ჩავთვალე რომ ამ დასტით უფრო საინტერესო იქნებოდა ამ ერთობ აქტუალური თემის განხილვა.

როდესაც ვსაუბრობთ ერის პოტენციალზე, უნდა გავითვალისწინოთ რომ მეტწილად ვეხებით კოლექტიურ არაცნობიერს. ჩვენ ამ სტატიაში განვიხილავთ ძალიან ღრმად ჩადებულ არქეტიპებს, რომლებიც ქართველი ერის ხასიათს და ფსიქოტიპს აყალიბებს.

შევხედოთ ციკლის დასწყისს, ამ პოზიციაში არკანი «სიკვდილი», რომელიც ერთის მხრივ მიგვითითებს, რომ ადამიანები თვლიან, მათ როგორც ერს მძიმე ჯვარი აქვთ სატარებელი, ხოლო მეორეს მხრივ, ისინი განვითარების ყოველ ეტაპზე ხვდებიან წინააღმდეგობას, მათი წინსვლა დაკავშირებულია ომებთან, კრიზისებთან, რევოლუციებთან.

სანამ ბოლო პოზიციის გარჩევაზე გადავიდოდეთ მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო პირველ სამ არკანზე რომელიც ერთად ხვდება, ესენია: «სიკვდილი», «ჩამოკიდებული კაცი», «ეშმაკი». ამ 3 ნეგატიური არკანის ერთად თავმოყრა გაშლის დასაწყისში მიუთითებს იმაზე, რომ ერმა დიდი გზა გაიარა სანამ ერად ჩამოყალიბდებოდა. აი უკვე ჩამოყალიბების შემდეგ რაც მოხდა არკან «ეშმაკზე», ადამაინისთვის პრიორიტეტული გახდა ლიდერობა. ლიდერობა არა მოპოვებითი, არამედ გარედან მოსული სიტუაციებით («ვარსკვლავი» «იმპერატორის» ადგილას, ხოლო «იმპერატორი» «ბედის ბორბალის ადგილას»).

ერის პოტენციალი და ძალა საკმაოდ მაღალია. ამას მიუთითებს «ძალის» ადგილას მდგარი «თავშეკავება», რაც თავისი არსით ნიშნავს, რომ ერს ენერგიის კონცეტრაციის უნარი გააჩნია. საინტერესოა საიდან იღებს მოტიაციას ენერგიის დაგროვებით. არკანი «ძალა» დგას არკანი «იეროფანტის» ადგილას, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანების ძალის წყარო ძირითადად რელიგიური საფუძვლებია და რწმენა ღმერთის, რომ ღმერთი მიცემთ საბრძოლო ენერგიას. და რაში გვჭირდება ეს ენერგია? ეს ენერგია კონფლიკტური სიტუაციებისგან განსათვაისუფლებლად და შემდგომ განსაკერძოველად გვჭრდება. განკერძოების შემდეგ, იმ უმაღლესი განვითარების დონეს მიღწეული ერი, ბუნებით კეთილი, ხელგაშლილი, სამართლიანია. მიზეზი იმისა, თუ რატომ ხდება ენერგიის აგრესიად გარდაქმნა ამ გაშლაში ძალიან მარტივად იკითხება. «ძალის» გვერდით არკანი «მთვარე» პირდაპირ მიგვანიშნებს რომ ხშირად ენერგიის მიმართვა ხდება არასწორი გზით. ამას გვიდასტურებს 18 არკანის ადიგლას არკანი «სამართლიანობის» დგომა.

როდესაც ვსაუბრობთ ერის სულიერი განვითარების სფეროზე, უდიდესი მნიშნველობა ენიჭება არკან «სულელს», რომელიც ჩვენს შემთხვევაში «ეტლის»

ადგილს იკავებს. ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ ქართულ გენში ჩაწერილია კოდის მიხედვით, აუცილებელია განვითარება და მ განივითარების გარეშე არაფერი მოხდება, სწორედ განვიტარების პრცესში გრძნობენ ადამინები აქ თავს ბედნიერად. ბედნიერებისთვის ჩვენს ერს ასევე სჭირდება სამართლიანობა. სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ თქმული «სამართლიანობის აღდგენა» სინამდვილეში ქართველი ერისთვის ძალიან არქიტიპულია, რადგან ეს ჩვენს ქვეცნობიერში დევს.

ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ქართული კულტურის დიდი და მნიშნველოვანი ნაწილია. «შეყვარებულების» ადგილას მდგარი «იმპერატორი ქალი» და «ძალის» ადგილას მდგომი «იმპერატორი» მიუთითებს იმაზე, რომ ქართველი ქალი მიმართულია პარტნიორობაზე, არის ძალიან სექსუალური. ისინი თვლიან რომ მხოლოდ ნახევრები არიან ერთი მთელის. კაცი კი თავისი ბუნებით კეთილშობილია, გულუხვი და ძლიერია. «იმპერატორი ქალის» და «იმპერატორს» შორის არსებული კარტები: «სულელი», «მზე» და «მაგი» ნიშნავს, რომ ადამაინებისთვის სასიცოცხლოდ მნიშნველოვანია პარტნიორული, პირადი ურთიერთობები. ეს არის მათთვის ქმედების საგანი და ამ თემაზე აქვთ უპირობო იმპულსი («სულელი»).

კიდევ საინტერესო იქნება განვიხილოთ დედის კულტი. დედა აქცენტირებულია არკანი «იმპერატორი ქალი» და «ქურუმი ქალის» სახით. ორივე ამ არკანს კავშირი აქვთ არკან «ძალასთან» ანუ დედა თავისი ბუნებით ძლიერია და როდის იჩენს ამ სიძლიერეს? შევხედოთ, «ქურუმი ქალი» დგას «ჩამოკიდებული კაცის» ადგილას და «ჩამოკიდებული კაცი» არკან «სიკვდილთან» და «ეშმკართან» ერთად გვხვდება ანუ იმ დროს როცა, არის კრიზისი დედა არ იბნევა და სწორად მაშინაა მისი ძალის ეგზალტაცია .სწორედ მაშინ კრებს ის ყველაზე დიდ ენერგიას. ასევე დედის როლზე გვიამბობს არკანი «მთვარე», რომელიც არკანი «იმპერატორის» ადგილს არის, ანუ აქაც დუბლირებს თემა იმის შესახებ, რომ ქართველი დედა მებრძოლია, მაგრამ ამასთანავე მეტად ქალური («მთვარე» არკან «ძალასთან» და «იმპერატორ ქალთან» ერთად).

როგორც ხედავთ ქართული ერი და გენეზისი მეტად რთული თემაა.რა თქმა უნდა ეს არ არის, ამ გაშლის სრულყოფილი ინტერპრეტაცია, თუმცა მე შევეცადე გამომეკვეთა ის თემები, რაც აქტუალურია.

ჩვენი ერის ეს პოტენციალი კი მთლიანად იკარგება, ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის არასწორ დროს გამოცხადების გამო. ამას რა შედეგები მოაქვს იხილავთ ჩემს წინა სტატიაში.

რუდოლფ შტაინერი

ქადაგება მთაზე. ქვეყანა შამბალა[1]

გუშინწინ მივუთითეთ, რომ დღევანდელი კაცობრიობა მძიმე გამოცდის წინაშე დგას. ამის გაგებას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენს თანამედროვეობას განვიხილავთ კაცობრიობის განვითარების გზასთან მიმართებაში. ამიტომ, საქმე გვექნება როგორც ნაცნობ, ასევე უცნობ ფაქტებთან. როგორც იცით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოწოდება, რომელიც წარმოითქვა ქრისტეს მოსვლის წინ, იყო შემდეგი: «შეინანეთ (შეიცვალეთ მშვინვიერი წყობა), რამეთუ მოახლოებულია სასუფეველი ცათა!», და ამ სიტყვებს უღრმესი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ისინი მიანიშნებენ ადამიანის მშვინვიერ განვითარებაში მომხდარ მაშინდელ მნიშვნელოვან მოვლენაზე.

ამ დროისთვის უკვე 3 000 წელი იყო გასული კალი იუგას, წყვდიადის ხანის დაწყებიდან. რა ამოცანა ჰქონდა ამ ხანას? ეს იყო ეპოქა, რომლის დროსაც ადამიანს ჩვეულებრივ მდგომარეობაში მხოლოდ გარეგან შეგრძნებებზე და ასევე ტვინის ინსტრუმენტთან დაკავშირებულ გონიერებაზე შეეძლო დაყრდნობა. ასეთი განცდა, შემეცნება და გაგება შესაძლებელი იყო კალი იუგას, წყვდიადის ხანაში. ამ ხანას წინ უძღოდა სხვა ეპოქა, როცა ადამიანი არა მხოლოდ გარეგანი შეგრძნებების და გარეგანი გონიერების ამარა იყო, არამედ ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული ჰქონდა მოგონებები ძველ სიზმრისეულ მდგომარეობაზე, რაც სულიერ სამყაროებთან კავშირის საშუალებას აძლევდა. ახლა კი წარმოდგენა ადამიანების ამ წარსულზე შევიქმნათ.

ადამიანს შეეძლო არა მარტო მინერალური, მცენარეული და ცხოველური სამყაროების ხედვა, და ასევე საკუთარ ფიზიკურ ყოფიერებაში თავადვე ჩახედვა, არამედ ძილ-ღვიძილის გარკვეული მდგომარეობისას იგი ღვთაებრივ სამყაროსაც ჭვრეტდა. ამ დროს იგი თავის თავს აღიქვამდა სულიერი სამეფოს იერარქიული

[1] მასალა აღებულია წიგნიდან «ქრისტეს გამოცხადება ეთერულ სამყაროში».

კიბის ბოლო საფეხურად, ბოლო წევრად, მის ზემოთ არსებული ანგელოზებით, მთავარანგელოზებითა და ასე შემდეგ. იგი ასეთ შემეცნებამდე პირადი განცდით მიდიოდა და ამიტომ, ამ სულიერი სამყაროს უარყოფა მაშინდელი ადამიანისთვის ისეთივე სისულელეს წარმოადგენდა, როგორც დღეს ჩვენთვის სისულელე იქნება მინერალური, მცენარეული და ცხოველური სამყაროების უარყოფა.

ამასთანავე იმ დროში სულიერი სამყაროებიდან ადამიანში იღვრებოდა არა მარტო შემეცნება, არამედ მას საშუალება ჰქონდა სულიერი სამეფოს ძალებითაც განმსჭვალულიყო: ამ დროს ის ექსტაზში იმყოფებოდა, «მე»-ს შეგრძნება დათრგუნული ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ სულიერი სამყარო პირდაპირ იღვრებოდა მასში. ამის გამო ადამიანს გააჩნდა არა მარტო ცოდნა და გამოცდილება, არამედ, მაგალითად, ავადმყოფობის შემთხვევაში ექსტაზის საშუალებით გამოჯანმრთელებასაც ახერხებდა.

იმ ეპოქებს, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ უშუალო კავშირში იყო სულიერ სამყაროებთან, აღმოსავლური სიბრძნე კრიტა იუგას, ტრეტა იუგას, დვაპარა იუგას უწოდებდა. ამ უკანასკნელის დროს უკვე აღარ იყო შესაძლებელი სულიერი სამყაროების პირდაპირი ხედვა, იგი უფრო საკუთარ ახალგაზრდობაზე მოხუცის მოგონებას ჰგავდა. შემდეგ სულიერი სამყაროს კარიბჭე საბოლოოდ დაიხშო. ნორმალური ცნობიერებით ადამიანს აღარ შეეძლო სულიერ სამყაროსთან ურთიერთობა.

და ასე მოვიდა დრო, როდესაც ადამიანს მხოლოდ საიდუმლო სკოლებში მოწაფეობისას მკაცრი და ხანგრძლივი გზის გავლით შეეძლო სულიერ სამყაროში შეღწევა. კალი იუგას დროს სულიერიდან ხანდახან რაღაც სული შემოდიოდა ფიზიკურ სამყაროში. მაგრამ იგი უმეტეს შემთხვევაში დემონური ბუნებისა იყო და არა კეთილი ძალებისა. ამ დემონური ძალების მოქმედების შედეგს ვხედავთ ჩვენ ყველა იმ პიროვნებაში, რომელთა უცნაურ ავადმყოფობებსაც აღწერს სახარება და მათ შეპყრობილებს უწოდებს. მათში ბოროტი სულიერი არსებების ზეგავლენა ჩანს. პატარა კალი იუგა იწყება ქრისტემდე დაახლოებით 3 000 წელს და იმით ხასიათდება, რომ ამ დროს ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის სულიერი სამყაროს კარიბჭე თანდათანობით დაიხურა, ისე რომ ყველანაირი შემეცნება ადამიანს გრძნობადი გარემოდან უნდა მოეპოვებინა.

ასე რომ გაგრძელებულიყო, ადამიანი საერთოდ დაკარგავდა კავშირს სულიერ სამყაროსთან. მანამდე ადამიანს ჯერ კიდევ გააჩნდა ტრადიციის გზით შენარჩუნებული მოგონებები; მაგრამ შემდეგში ადამიანმა უკვე ამაშიც დაკარგა ურთიერთკავშირის უნარი. თვით მასწავლებელსაც კი, რომელიც ტრადიციის დამცველი იყო, აღარ შეეძლო უშუალოდ მოეთხრო მისთვის სულიერი სამყაროს შესახებ. ამისთვის საჭირო აღქმის უნარი უკვე დაკარგული იყო. ადამიანის შემეცნების სფერო უფრო და უფრო მეტად ისაზღვრებოდა მხოლოდ მატერიალური სამყაროთი.

ასეთი განვითარების პროცესში ადამიანები საერთოდ დაკარგავდნენ სულიერ სამყაროსთან კავშირს, თუნდაც მისი აღდგენა ეცადათ. დახმარება

მოვიდა სხვა მხრიდან იმ ღვთაებრივი არსების მეოხებით, რომელსაც ჩვენ ქრისტეს ვუწოდებთ, და რომელიც ფიზიკურ პლანზე განსხეულდა.

ძველად ადამიანს სულიერ არსებებამდე ამაღლება შეეძლო. ახლა კი ისინი თავად უნდა მიახლოვებოდნენ ადამიანს, მთლიანად მის სფეროში ჩამოსულიყვნენ, რათა მას თავისი «მე»-არსებით შეეცნო ისინი. ამ პერიოდს წარსულის წინასწარმეტყველებიც აღწერდნენ. ნათქვამი იყო, რომ ადამიანი თავისი «მე»-თი და თავის «მე»-ში მოიპოვებდა კავშირს ღმერთთან. მაგრამ დადგა დრო, როცა საჭირო გახდა ენერგიული მითიტება იმაზე, რომ ეს მართლაც ნაწინასწარმეტყველების აღსრულება იყო. ყველაზე მძლავრად ეს იოანე ნათლისმცემელმა შეძლო. ის ქადაგებდა, რომ დროება შეიცვალა, რომ «მოახლოვდა სასუფეველი ცათა». შემდეგ იგივეს ქადაგებდა იესო ქრისტეც. ამაზე მინიშნებას წარმოადგენდა ნათლობა იორდანეში, იოანეს მიერ მრავალთა მონათვლა და ასევე თვით მისი სწავლება.

მაგრამ გარდაქმნისთვის მხოლოდ ეს არ კმაროდა. ადამიანების გარკვეულ რიცხვს სულიერ სამყაროში ისეთი რამ უნდა განეცად, რომ დარწმუნებულიყო ღვთაებრივის გამოცხადებაში. და ეს ხდებოდა წყალში ჩაძირვით: როდესაც ადამიანი დახრჩობის პირზეა, ეთერული სხეული გამოდის კიდეც ფიზიკურიდან. ამ დროს იგი განიცდის იმას, რაც სამყაროების განვითარებაში გარდატეხის ნიშანია. და აქედან მოდის მძლავრი გაფრთხილება: შეიცვალეთ მშვინვიერი წყობა, რადგან მოახლოვდა სასუფეველი ცათა! თქვენ მოგეცემათ ისეთი მშვინვიერი წყობა, რომლის მეშვეობითაც შეძლებთ განიცადოთ ქრისტე. ჟამი აღსრულდა.

თვით იესო ქრისტემ დაგვმოძღვა ჩვენ ამის შესახებ მთაზე ქადაგებისას. ეს არ იყო ხალხის წინაშე ქადაგება, რადგან გარლვევითაა ნათქვამი: «და ვითარცა იხილა იესომ ერი იგი, აღვიდა მთასა და დაჯდა იგი მუნ, და მიუხდეს მას მოწაფენი მისნი». ძველ დროში ადამიანი ექსტაზის საშუალებით ეზიარებოდა ღვტაებრივობას; თავისი «მე»-ს გარეთ იგი ნეტარებას განიცდიდა, რადგან უშუალოდ განიცდიდა სულიერ სამყაროს და მისგან იღებდა სულიერ ძალებსა და სიჯანსაღეს. ახლა კი, ასე ეუბნება იესო ქრისტე თავის მოწაფეებს, ღვთაებრიობას ეზიარება ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია თვითონვე განიმსჭვალოს მამა ღმერთისა და ქრისტეს იმპულსით და ამ იმპულსში ცხოვრობდეს როგორც «მე».

ძველად სულიერ სამყარომდე ამაღლება შეეძლო მხოლოდ მას, ვინც სავსე იყო ამ სულიერი სამყაროს ნაკადებით; მხოლოდ ასეთი ადამიანისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა მდიდარი სულითა. ეს იყო ნათელხილვა ძველი გაგებით და განსაკუთრებული ინდივიდუალობების ხვედრი. სხვა დანარჩენები კი იყვნენ «გლახაკნი სულითა». ახლა კი თავის «მე»-ში ციური სასუფევლის ყველა მძებნელისთვის შესაძლებელი გახდა მისი მოპოვება. ის, რაც ასეთ მნიშნელოვან ეპოქაში კაცობრიობის ცვლილებას იწვევს, მთელ ადამიანსაც ცვლის. მისი არსების ერთ ნაწილში მომხდარი, ყველა დანარჩენსი ჰპოვებს გამოძახილს. ადამიანის ყველა ნაწილები: ფიზიკური სხეული, ეთერული სხეული, გრძნობადი სამშვინველი, განსჯითი ანუ ხასიათის სამშვინველი, ცნობიერი სამშვინველი, «მე» და უმაღლესი მშვინვიერი ნაწილები, აღორძინებას განიცდიან ზეციური

სასუფევლის სიახლოვეს. ეს სწავლება თანხმობაშია ყველა დიდ და უძველეს სწავლებასთან.

ძველად, სულიერ სამყაროში შესვლილსას, ეთერული სხეული ადვილად შორდებოდა ფიზიკურ სხეულს, ანუ ეს უკანასკნელი განსაკუთრებული წყობის იყო. ამიტომ, ფიზიკურ სხეულზე მინიშნებით იესო ქრისტე ამბობდა: ნეტარ იქნებიან გლახაკნი, ანუ სულით ღარიბნი, რადგან ისინი ჰპოვებენ ზეციურ სასუფეველს, როცა «მე»-თი მართულ ამ გარეგნულ სხეულს სწორად განავითარებენ — **«ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა».**

ეთერული სხეულის შესახებ კი მან თქვა: ძველად ადამიანებს შეეძლოთ ექსტაზის საშუალებით სულიერ სამყაროში შეღწევა და ფიზიკური და მშვინვიერი ტანჯვისგან განთავისუფლება. თუ ტანჯულები შეძლებენ ღვთაებრიობით აღვსებას, მათ შეეძლებათ განკურნება და საკუთარ თავში საყრდენის, ნუგეშის პოვნა: **«ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშისცემულ იქმნენ»**.

შემდეგ იგი ასტრალურ სხეულზე ამბობს: ძველად ისინი, ვისი ასტრალური სხეულიც გაჯერებული იყო ველური, დაუოკებელი ვნებებით, სიმშვიდეს ჰპოვებდნენ სულიერ-ღვთაებრივი არსებების წყალობით, რომელთაგანაც მათში სიმშვიდე, გულისხმიერება და სიწმინდე იღვრებოდა. ახლა კი ადამიანებს საკუთარი «მე»-ს ძალითა და ქრისტეს გავლენით უნდა შეეძლოთ საკუთარი ასტრალური სხეულის განწმენდა. ასტრალური სხეულის განსაწმენდელ ადგილად ახლა დედამიწა იქცა. ამიტომ ეს მნიშვნელოვანი ცვლილება ასტრალური სხეულისთვის ისე უნდა აღწერილიყო, როგორც ითქვა: ნეტარი და ღვთაებრიობით სავსე ასტრალური სხეული ექნებათ მათ, ვინც ზომიერებას მოიპოვებენ, და მათი საზღაური, მათი ნუგეში იქნება ყოველი სიკეთე დედამიწაზე. **«ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანაი».**

გრძნობად სამშვინველზეა საუბარი მეოთხე ნეტარებაში. ვისაც თავისი გრძნობადი სამშვინველის ჭეშმარიტი განწმენდა და განვითარების უფრო მაღალი საფეხურის მიღწევა სურს, იმისმა «მე»-მ ქრისტეს ზემოქმედება უნდა განიცადოს; მისი გული სამართლიანობის წყურვილით აენთება, შესძლებს ღვთაებრიობის განცდას, ხოლო «მე» თავისი თავით დაპურდება. **«ნეტარ იყვნენ, რომელთაც შიოდეთ და სწყუროდეთ სიმართლისათვის, რამეთუ ისინი განძღენ».**

შემდეგი წევრია განსჯითი ანუ ხასიათის სამშვინველი. ეს მე მძინავს ღრმად გრძნობად სამშვინველში და პირველად ამ განსჯით ანუ ხასიათის სამშვინველში ვიღვიძებ. თუ ჩვენი «მე» ამ გრძნობად სამშვინველში თვლემს, ჩვენ ვერ შევძლებთ ადამიანებში იმის პოვნას, რაც მათ ჭეშმარიტ ადამიანებად ხდის: «მე»-ს. სანამ ადამიანი «მე»-ს განივითარებს, მან უნდა შესძლოს თავისი გრძნობადი სამშვინველის ამაღლება სულიერ სამყაროებამდე, რათა იქ რაიმეს აღქმის უნარი ჰქონდეს. ხოლო თუ იგი განსჯით ანუ ხასიათის სამშვინველს განივითარებს, მაშინ მის გვერდით მყოფი ადამიანების აღქმასაც შეძლებს. აქამდე ნახსენებ ყველა წევრთან დაკავშირებით, საჭიროა გავიხსენოთ თუ რა გააჩნდა ძველად «მდიდარს».

მხოლოდ განსჯით ანუ ხასიათის სამშვინველს შეუძლია აღივსოს იმით, რაც ადამიანიდან ადამიანისკენ მიედინება.

მეხუთე ნეტარების ფრაზის წყობაში რაღაც განსაკუთრებული ელემენტი უნდა შემოსულიყო; იგი უნდა ყოფილიყო სუბიექტი და პრედიკატი ერთდროულად, რადგან მინიშნება ხდება იმაზე, რასაც «მე» თავის თავში განივითარებს. ამ მეხუთე ფრაზაში ნათქვამია: **«ვინც განივითარებს თანაგრძნობასა და გულმოწყალებას, მას გულმოწყალება მიეგება (ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენ)»** ეს არის ამ ოკულტური დოკუმენტის სისწორის დასტური. ქრისტემ ადამიანური ბუნების ყოველ ცალკეულ წევრთან დაკავშირებით გვიჩვენა გზა, ყველაფერი სწორია.

ნეტარების შემდეგი ფრაზა დაკავშირებულია ცნობიერ სამშვინველთან. მისი საშუალებით «მე»-ს, როგორც წმინდა «მე»-ს, შეუძლია ისეთი განვითარება, რომ ღმერთი მიიღოს თავის თავში. როდესაც ადამიანი ასეთ სიმაღლეს მიაღწევს, შეეძლება ღვთაებრიობის ის წვეთ-მარგალიტი, რომელიც მასშია, ანუ საკუთარი «მე», აღიქვას თავის თავში. განწმენდილი ცნობიერი სამშვინველის გამჭოლ მას შეეძლება ღმერთის ჭვრეტა. ანუ ნეტარების ეს მეექვსე ფრაზა ღმერთის ჭვრეტას უნდა უკავშირდებოდეს. «მე»-სა და ცნობიერი სამშვინველის გარეგნული ფიზიკური გამოხატვა არის ფიზიკური სისხლი, განსაკუთრებით კი — გული. ამიტომ თქვა ქრისტემ: **«ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ»**. ამით იგი პირდაპირ მიანიშნებს იმ ინტიმურ ფაქტზე, რომ ჩვენი გული არის ადამიანში არსებული ღვთაებიობის, «მე»-ს გამომხატველი.

ახლა კი უნდა შევეხოთ უფრო მაღალ სფეროებს, კიდევ უფრო მაღალს, ვიდრე ცნობიერი სამშვინველია; ესენია: **მანასი, ბუდჰი და ატმანი**. სამშვინველის სამი წევრის განვითარება თანამედროვე ადამიანს ახლავე შეუძლია, მაგრამ ამ უმაღლესი წევრების: თვითება-სულის, სიცოცხლე-სულისა და სული-ადამიანის განვითარება მხოლოდ შორეულ მომავალში. ესენი ჯერ კიდევ არ ცხოვრობენ ადამიანში, იგი მასში მოგვიანებით გადმოიღვრება. ადამიანი ჯერ კიდევ არაა იმდენად განვითარებული, რომ შეძლოს თავის თავში მანასის მთლიანად მიღება, და ამ მხრივ იგი განვითარების გზის მხოლოდ დასაწყისში დგას, მხოლოდ ჭურჭელია, რომელიც ნელ-ნელა უნდა შეივსოს. ამაზე მიანიშნებს მეშვიდე ნეტარება. მანასი ადამიანს ჯერჯერობით მხოლოდ ათბობს. იგი ქრისტემ ჩამოიტანა დედამიწაზე, როგორც სიყვარულისა და ჰარმონიის ძალა. ამიტომ ამბობს ქრისტე: ნეტარ არიან ისინი, ვინც პირველნი მოიპოვებენ მანასს, რადგან ამგვარად გახდებიან ღმერთის შვილები — **«ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ»**. ეს ადამიანებს მიუთითებს ზევით, ზენა სამყაროებისკენ.

ამის შემდეგ ხდება მინიშნება იმ არსებითზე, რომელიც უნდა ამოქმედდეს მომავალში, მაგრამ რომელსაც უკვე აწმყო დევნის და ებრძვის მთელი ძალისხმევით. ეს ნათქვამია ნეტარების მერვე ფრაზაში. ღვთაებრიობით აღვსილნი ანუ ნეტარნი იქნებიან ისინი, რომელთაც სდევნიან სიმართლის გამო, რადგან მათში დაივანებს ზეციური სასუფეველი, სიცოცხლე სული, ბუდჰი — **«ნეტარ**

იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა». ამას უკავშირდება აგრეთვე ქრისტეს სიტყვებიც მისი ინტიმური მოწაფეების შესახებ იმ გაგებით, რომ ისინიც ნეტარნი იქნებიან, როგორც დევნილნი მისი გულისთვის: ამით მან მიანიშნა ატმაზე, რომლის მოპოვებასაც მხოლოდ ძალიან შორეულ მომავალში შევძლებთ.

ამრიგად მთაზე ქადაგებისას მოგვეცა დიადი სწავლება მოახლოებულ ციურ სასუფეველზე. ამ მოვლენების დროს პალესტინაში აღსრულდა კაცობრიობის განვითარების დიადი მისტერია: ადამიანის არსება თავისი ყველა წევრებით იმდენად მომწიფდა, რომ შესძლო თავისი განწმენდილი ფიზიკური ძალებით ქრისტეს იმპულსის უშუალო მიღება. ღმერთკაცი ქრისტე ასე დაუკავშირდა იესო ნაზარეველს და განმსჭვალა მისი ადამიანური არსი იმ სამი მიწიერი წლის მანძილზე. ეს უნდა მომხდარიყო, რათა ადამიანს კალი იუგას დროს მთლიანად არ დაეკარგა სულიერ სამყაროსთან კავშირი. მაგრამ კალი იუგა, წყვდიადის ხანა, კიდევ დიდხანს გაგრძელდა, კერძოდ 1899 წლამდე.

ეს კაცობრიობის განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წელია, რადგან ამ დროს დასრულდა კალი იუგას მეფობის ხუთიათასწლიანი ხანა. ამის შემდეგ შევძელით ჩვენ განვითარების ახალ საფეხურზე ასვლა. ადამიანის ძველ, კალი იუგას დროინდელ უნარებს დაემატა ახალი უნარების განვითარება. ჩვენ მივიწევთ ისეთი ხანის შესახვედრად, რომლის დროსაც ადამიანსი ისეთი ახალი ბუნებრივი უნარები და შესაძლებლობები გამოვლინდება, რომ იგი კვლავ შესძლებს ღვთაებრივ-სულიერი სამყაროების ჭვრეტას. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი ჩავლილი არც იქნება, რომ ზოგიერთი ადამიანი უკვე შესძლებს სრული «მე»-ცნობიერებით აღიქვას ღვთაებრივ-სულიერი სამყაროს ისეთი შემოჭრა ფიზიკურ-გრძნობად სამყაროში, როგორიც სავლემ განიცადა დამასკოს გზაზე პავლედ გარდაქმნისას. ეს ნორმალური მდგომარეობა იქნება ადამიანების გარკვეული რიცვხისთვის.

ქრისტე ფიზიკურად მეტად აღარ განსხეულდება ისე, როგორც განსხეულდა მაშინ იესოში, რადგან ამის შედეგად ახლა უკვე ვერაფერი მიიღწევა. მაშინ ასეთი ინკარნაცია საჭირო გახდა კოსმიურ-მიწიერი განვითარების ღრმა კანონზომიერებებიდან გამომდინარე, რადგან სხვანაირად ადამიანები ვერ შეიცნობდნენ მას. ახლა კი ადამიანმა განვლოა განვითარების გზა, რომელმაც მიანიჭა უნარი, თავისი მშვინვიერი ძალებით მიაღწიოს ეთერულ ხედვას. ამიტომ ადამიანებისთვის ქრისტე ხილული გახდა არა ფიზიკური, არამედ ეთერული სხეულით. ეს ყველაფერი უფრო და უფრო გაძლიერდება მომავალი 2500 წლის მანძილზე, დაწყებული მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან. ეს განცდა იმდენ ადამიანს ექნება, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა მხრიდან იქნება აღიარებული, როგორც ცნობილი მოვლენა დედამიწაზე.

სულისმეცნიერება გვჭირდება იმისათვის, რომ ამ ახალი, ჯერ კიდევ სუსტი უნარების აღმოცენებამ ადამიანებისთვის შეუმჩნევლად და უკვალოდ არ ჩაიაროს, და იმისთვისაც, რომამ უნარით დაჯილდოვებული ადამიანები მეოცნებეებად ან გიჟებად არ ჩათვალონ და მცირე ჯგუფებმა მაინც დაიცვას ამ უნარების ნაზი

მორჩები ადამიანური შეუგნებლობის სასიკვდილო წიხლისგან. სულისმეცნიერებამ უნდა შეძლოს მათი განვითარებისთვის საჭირო ნიადაგის შემზადება. ამ უნარებზე უკვე მივანიშნეთ, როგორც შამბალას კვლავ ხილვის, ადამიანის მიერ ქრისტეს არსებისა და მისი მნიშვნელობის შემეცნების შესაძლებლობაზე, რადგან მისი მეორედ გამოცხადება სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის მიერ მისი შეცნობა.

ზოგადად ეპოქები მეორდებიან, ოღონდ მუდამ სხვა სახით. სულისმეცნიერება კალი იუგას ხანის დაწყებას ხედავს როგორც სულიერი სამყაროების კარიბჭის დახურვას. პირველი ათასწლეულების ჩავლის შემდეგ კაცობრიობას მოევლინა დახმარება აბრაამის ინდივიდუალობის სახით. მელქისედეკის მიერ აბრაამის ხელდასხმით შესაძლებელი გახდა, სწორი ჭვრეტისა და შეფასების საშუალებით, ღმერთი ადამიანს შეეცნო გრძნობადად აღსაქმელი გარემოს ქსოვილშიც. აბრაამმა გვიჩვენა განთიადი «მე»-ღმერთის შემეცნებისა, ღმერთისა, რომელიც ადამიანის «მე»-ბუნებას ენათესავება. აბრაამისთვის ნათელი გახდა, რომ გრძნობადი სამყაროს მოვლენების მიღმა არსებობს რაღაც, რაც ცხადყოფს: ადამიანის «მე» განუსაზღვრელი, უკიდეგანო სამყაროსეული «მე»-ს ოდენ წვეთია.

ღვთის გამოცხადების მეორე საფეხურად შეიძლება მოსეს ხანა ჩაითვალოს, რადგან ამ დროს ღმერთი ადამიანს მიუახლოვდა ელემენტების საშუალებით. სინაის მთის ცეცხლწაკიდებულ ეკლის ბუჩქში, ელვასა და ჭექა-ქუხილში გამოეცხადა იგი მოსეს და შეეხო მის ყველაზე ღრმა არსს. მესამე ათასწლეულში ღმერთის ასეთ გამჭოლ შემეცნებას მოჰყვა სოლომონის ეპოქა, რომლის დროსაც ღმერთმა სოლომონის მიერ იერუსალიმში აგებული ტაძრის სიმბოლოებში გამოავლინა თავი. ამრიგად, ღმერთის გამოცხადება მოხდა შემდეგ საფეხურებზე:

- აბრაამთან, როგორც «მე»-ღმერთი, ანუ იაჰვე-ღმერთი;
- მოსესთან ცეცხლმოკიდებული ბუჩქის ალში, ელვასა და ჭექა-ქუხილში;
- ხოლო სოლომონთან ტაძრის სიმბოლოებში.

რომელიმე გარკვეული ხანისთვის დამახასიათებელი სულიერ თავისებურებანი, მოგვიანებით შებრუნებული თანმიმდევრობით მეორდება. გარდატეხა ხდება პალესტინაში იესო ქრისტეს გამოცხადებისას. და რაც უშუალოდ წინ უძღოდა ამ დროს, ამ გარდატეხის მომენტიდან ისევ აღმასვლას განიცდის. ამიტომ, ქრისტეს შემდგომ პირველ ათასწლეულში კვლავ სოლომონისეული ხანის სულიერება მეფობს და სოლომონის სული მოქმედებს საუკეთესო ადამიანებში, რათა ისინი გოლგოთის მისტერიით განმსჭვალოს. ამ ნიშნებს განსაკუთრებით აშკარად ხედავდა და ძლიერად განიცდიდა ის, ვინც ქრისტეს შემდგომ პირველ ათასწლეულში ყველაზე მეტად გაიშინაგნა გოლგოთის მოვლენა.

ქრისტეს შემდგომ მეორე ათასწლეულში ჩვენ ვხედავთ მოსეს ხანის განმეორებას. ის, რაც ამ ხანაში გარეგანი განცდა იყო, ამჯერა დგვევლინება მაისტერ ეკჰარტის, იოჰანეს ტაულერისა და სხვათა მისტიკაში. მისტიკოსები

საკუთარ შინაგან არსებაში განიცდიან იმას, რაც მოსემ ალმოდებულ ბუჩქში, ელვასა და ჭექა-ქუხილში განიცადა. ისინი ამბობდნენ, რომ საკუთარ თავში ჩაღრმავებისას, მათ ეცხადებოდათ «მე»-ღმერთი. მაშინ, როდესაც ისინი საკუთარ სამშვინველში აცნობიერებდნენ «მე»-ს ნაპერწკალს, მათ «მე»-ღმერთი, ერთიანობის ღმერთი იაჰვე ეცხადებოდათ. იგივე განიცადა ტაულერმაც, რომელიც უდიდესი მქადაგებელი იყო და ბევრს ქადაგებდა. მასთან მივიდა ვიღაც მსმენელი, ღვთის მეგობარი ობერლანდიდან (der Gottesfreund aus dem Oberlande), რომელზეც ჯერ იფიქრეს, რომ ტაულერის მოწაფეობა სურდა, მაგრამ იგი მალე თვითონ გახდა მისი მასწავლებელი. მისი მოწაფეობის წყალობით ტაულერს ისეთი დიდი შინაგანი სიძლიერით შეეძლო ღმერთი ექადაგა, რომ, როგორც გადმოცემა გვაუწყებს, მისი მოსმენისას მოწაფეები და მსმენელები მკვდრებივით ეცემოდნენ. ეს გვახსენებს იმ მოვლენებს, რომელთა დროსაც სინაის მთაზე მოსეს კანონები მიეცა.

დღევანდლამდე ამ სულით იყვნენ აღვსილნი გასული ასწლეულები. ახლა კი მოდის აბრაამის ხანის გახსენებისა და განმეორების ჟამი, მაგრამ ამჯერად იმ გაგებით, რომ ადამიანები გადააბიჯებენ მხოლოდ ფიზიკური შეგრძნებებით აღქმადი სამყაროს საზღვრებს. აბრაამის სული ჩვენს შემეცნებაზე იმგვარ გავლენას მოახდენს, რომ ადამიანები გათავისუფლდებიან გრძნობადი სამყაროს ფასეულობის პრიორიტეტისგან. ადგილი ექნება უკუპროცესს, კერძოდ, თუ აბრაამის პირველმა ხანამ სულისა და ღმერთის ჭვრეტა გრძნობადი სამყაროს გამჭოლ მოიპოვა, ამჯერად იგივე ხანის გამეორება მოხდება ადამიანების გასვლით გრძნობადი სამყაროდან და სულიერ სამყაროში შეღწევით. შეიძლება ითქვას: განვითარებისთვის ზიანი არ მოჰქონდა იმას, რომ ეს ყველაფერი ადამიანებმა აქამდე არ იცოდნენ, მაგრამ მოახლოებულ დროში ადამიანებმა იმდენი უნდა შესძლონ, რომ თავიანთი ბედი თავად მართონ. მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორ და რა გზით იქნება მოგვიანებით ქრისტეს აღქმა შესაძლებელი.

ის, რაც ნათქვამია ქრისტეს მიერ გარდაცვლილთა სამყაროში შთასვლისა და მათი გამოხსნის შესახებ, ჭეშმარიტებაა. ქრისტე დღესაც ამგვარად მოქმედებს. არა აქვს მნიშვნელობა ადამიანი ჯერ კიდევ აქ, ფიზიკურ სამყაროში იმყოფება თუ უკვე გარდაცვლილია — ქრისტეს გამოცხადება მას შეუძლია იმქვეყნადაც განიცადოს, თუ მან ამქვეყნად ამ მოვლენის გაგების უნარი გამოიმუშავა. მაშინ გამოჩნდება, რომ ადამიანს დედამიწაზე ამაოდ არ უცხოვრია. მაგრამ თუ ადამიანმა ვერ შესძლო ამ უნარის მოპოვება, მაშინ სიკვდილსა და ხელახალ დაბადებას შორის დროში მისთვის უკვალოდ ჩაივლის ამ მოვლენის მოქმედება, და იგი იძულებული იქნება დაელოდოს დედამიწაზე დაბრუნებას, ახალ დაბადებას, რათა კვლავ მიეცეს მომზადების შესაძლებლობა. როცა ზოგიერთი ცრუ მოძღვრება დედამიწაზე ქრისტეს ხორციელად მეორედ მოსვლას ქადაგებს, ჩვენ ამის დაჯერების უფლება არ გვაქვს. ასეთი მოძღვრება არ აღიარებს ადამიანური უნარების განვითარებას და სჯერა, რომ მოვლენები იგივე სახით მეორდებიან. მაგრამ ეს ასე არაა: მართალია ისინი მეორდებიან, მაგრამ ყოველთვის უფრო მაღალ საფეხურზე.

მომავალი ასწლეულების მანძილზე კიდევ მრავალჯერ იქადაგებენ ქრისტეს მეორედ მოსვლას და გამოცხადებას. გამოჩნდებიან ცრუ მესიები და ცრუ ქრისტეები. მაგრამ ისინი, ვინც ზემოაღწერილის შესაბამისად ქრისტეს მეორედ მოსვლას ჭეშმარიტად სწორ გაგებას მოიპოვებენ, არარ აჰყვებიან ამ ცდუნებებს. მათში მსგავსი ცრუ-მესიები არ გამოიწვევენ გაოცებას ან აღტაცებას, როგორც ეს ხდებოდა მაგალითად ჯვაროსნული ლაშქრობების წინ; ან კიდევ მე-17 საუკუნეში, როცა სმირნაში გამოჩნდა ცრუ მესია საბატაი ცევი, რომელთანაც საფრანგეთიდან და ესპანეთიდანაც კი მიედინებოდნენ მლოცველთა ნაკადები.

მაშინ მსგავსი ცრურწმენა არ იყო დიდად საზიანო. მაგრამ ახლა, როცა ადამიანის განვითარებული უნარების მეშვეობით ქრისტეს გამოცხადება ეთერულში სწორ და მართალ მოვლენად უნდა აღიქმებოდეს, ხოლო ქადაგება მის კვლავ ხორციელად მოსვლაზე ცრურწმენად, აუცილებელია ერთის მეორესგან განსხვავების სწავლა. აქ დაშვებული შეცდომა უაღრესად მძიმე შედეგებს იქონიებს. ხორციელად მოვლინებული ქრისტესი არ უნდა დავიჯეროთ, ვინაიდან მისი გამოცხადება მხოლოდ ეთერულში მოხდება. ეს გამოცხადება, რომელიც დღეს ხელდასხმულისთვის განსაკუთრებული განცდაა, ადამიანებისთვის იქნება ბუნებრივი ხელდასხმის შედეგი. ანუ ჩვენ ისეთი ხანის შესახვედრად მივდივართ, სადაც ადამიანი თავისი შემეცნების შესაბამისად, ფიზიკურ-გრძნობადი სამყაროს გარდა სულიერ სამეფოშიც იცხოვრებს. ხოლო სულების ამ სამეფოში წინამძღოლი იქნება ეთერული ქრისტე.

და ადამიანები, განურჩევლად რელიგიისა და რწმენისა, აღიარებენ ქრისტეს მოვლენას, რადგან მას საკუთარ თავში შეიცნობენ და მისი განცდის უნარიც ექნებათ. ქრისტიანები, როცა მათ მართლაც ექნებათ ეთერული ქრისტეს განცდა, ალბათ უფრო რთულ მდგომარეობაშიც კი იქნებიან ვიდრე სხვა რელიგიების წარმომადგენლები; მაგრამ ისინი უნდა შეეცადონ ქრისტეს გამოცხადებისას ასევე ნეიტრალურად მიიღონ ეს მოვლენა. ამოცანა იქნება სწორედ ის, რომ განსაკუთრებით ქრისტიანობიდან გამომდინარე გვესმოდეს, რომ სულიერ სამყაროებში შეღწევა მოხდება რომელიმე პოზიტიური რელიგიური რწმენისგან დამოუკიდებლად, გადამწყვეტი იქნება მხოლოდ კეთილი ნების ძალა.

ანთროპოსოფია ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა დაეხმაროს ადამიანებს. მან ჩვენ უნდა შეგვიყვანოს სულიერ სამყაროში, რომელსაც ძველი ტიბეტური ხელნაწერები გამქრალ ზღაპრულ ქვეყანად, შამბალად, მოიხსენიებენ. ამჯერად ადამიანებმა ქრისტეს წინამძღოლობით და სრული ცნობიერებით უნდა შეაბიჯონ შამბალაში. ხელდასხმულს უკვე ახლაც შეუძლია ახალი ძალების მისაღებად შამბალაში ხშირი სტუმრობა. მომავალში კი სხვა ადამიანებიც შეძლებენ ამას, ისინი იხილავენ მის ბრწყინვალებას ისევე, როგორც პავლემ იხილა ქრისტეს ბრწყინვალე ნათელი დამასკოს გზაზე. ეს ნათელი მათზეც გადმოიღვრება, და მათაც გაეხსნებათ ამ ნათლის სამყაროს კარიბჭე, რომლის გავლითაც ისინი წმინდა ქვეყანა შამბალაში შეაბიჯებენ.

მიუნხენი 15 მარტი, 1910 г.

რუდოლფ შტაინერი

ეთერულ სამყაროში ქრისტეს გამოცხადების შესახებ[1]

ადამიანს უამრავი კითხვა დაებადება, თუ იგი გარკვეული დროის მანძილზე სულისმეცნიერული მსოფლმხედველობის კვლევითაა დაკავებული და ამ გზით მოპოვებულ სხვადასხვა იდეებს, აზრებსა და ცოდნას თავის არსებაში მოქმედების საშუალებას მისცემს. იმისათვის, რომ სულისმეცნიერი ეწოდოს, მან ეს კითხვები, რომლებიც არსებითად გრძნობადი, მშვინვიერი, ხასიათებრივი, მოკლედ ცხოვრებისეული მნიშვნელობისაა, სულისმეცნიერულ იდეებს უნდა დაუკავშიროს. ეს იდეები აკმაყოფილებენ არა მარტო ჩვენს თეორიულ და მეცნიერულ ცნობისმოყვარეობას, არამედ გვიხსნიან სიცოცხლის საიდუმლოებებს, ყოფიერების გამოცანებს. და ეს აზრები და იდეები მართლაც რომ უაღრესად ნაყოფიერნი იქნებიან ჩვენთვის, თუ შევძლებთ მათი შინაარსი, მათი მნიშვნელობა არა მხოლოდ გავიაზროთ, განვიცადოთ და შევიგრძნოთ, არამედ ასე ვთქვათ, მათი საშუალებით ვისწავლოთ ჩვენი გარემომცველი სამყაროს სხვაგვარად დანახვა. ამ იდეებმა სითბოთი უნდა განგვმსჭვალონ, და ჩვენში იმპულსებად, შინაგანი ბუნების ძალებათ უნდა გარდაიქმნან. ეს გარდაქმნა უფრო და უფრო გაძლიერდება, თუ იმ პასუხებს, რომლებიც გარკვეულ კითხვებზე მივიღეთ, ახალ კითხვებს დავახვედრებთ, და თუკი ამგვარად, კითხვა გაგვიძღვება პასუხისკენ, პასუხი კი ახალი კითხვისკენ, რომელზეც ისევ ვიპოვით პასუხს და ასე შემდეგ.

[1] მასალა აღებულია წიგნიდან «ქრისტეს გამოცხადება ეთერულ სამყაროში».

სულიერი შემეცნების გზაზე და სულიერ ცხოვრებაშიც ადამიანი ამ პროცესის მეშვეობით მიიწევს წინ.

ღია ლექციებზე ჯერ კიდევ დიდხანს ვერ აეხდება ფარდა თანამედროვე კაცობრიობისთვის სულიერი ცხოვრების უფრო ინტიმურ მხარეებს, მაგრამ ჩვენს შტოებში (Zweigen) უფრო და უფრო ახლოვდება დრო, როდესაც ამ ინტიმურ საკითხებზე საუბარი შესაძლებელი გახდება. ამასთან, ყოველთვის იარსებებენ ახალი წევრები, რომლებსაც მოსმენილიდან ესა თუ ის აზრი დააბნევთ და გააოგნებთ. მაგრამ ჩვენი მუშაობა წინ ვერ წაიწევს, თუ სასიცოცხლო მნიშვნელობის კითხვების განხილვას სულისმეცნიერული კვლევიდან და შემეცნებიდან გამომდინარე არ დავიწყებთ. ამიტომ, ჩვენი სამშვინველების წინაშე დღესაც გადაიშლება სულიერი შემეცნების რამდენიმე უფრო ინტიმური მონაპოვარი — იმისდა მიუხედავად, რომ ამან შეიძლება გაუგებრობები წარმოშვას ზოგიერთი თქვენთაგანისთვის, მათთვის, ვინც არც თუ ისე დიდი ხანია რაც სპირიტუალურ ცხოვრებას ჩაუღრმავდა.

თუ მრავალჯერადი განსხეულების, განმეორებითი მიწიერი ცხოვრების იდეას გავიაზრებთ არა მარტო აბსტრაქტულად, არამედ სულიერი ცხოვრების ამ ფაქტს მართლაც ჩავუღრმავდებით, მაშინ ჩვენს სამშვინველში უეჭველად დაიბადება ერთი მნიშვნელოვანი კითხვა. მაშინ იმ პასუხს, რომელიც ჩვენ გვეძლევა განსხეულებების შესახებ იდეაში, ანუ ამ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ნაყოფს, ასე ვთქვათ, უკავშირდება ახალი კითხვები. მაგალითად, შეგვიძლია დავსვათ კითხვა: თუ ადამიანის ცხოვრება დედამიწაზე მეორდება, თუ ადამიანი ისევ და ისევ ბრუნდება ახალი განსხეულებებით უკან, რა ღრმა აზრია ჩვენს ამ მრავალჯერად ცხოვრებაში ჩადებული? — საერთოდ ამის პასუხად ითქმება: — ცხადია, ამ გზით უფრო მაღალ და მაღალ საფეხურებზე გადავდივართ; წარსული ცხოვრების შედეგებითა და ნაყოფით მომდევნო ინკარნაციებში ვცხოვრობთ, სრულყოფის საშუალება ხომ სწორედ ასე გვეძლევა და ა.შ. — მაგრამ ეს მაინც ზოგადი, აბსტრაქტული პასუხია. მხოლოდ მიწიერი ცხოვრების ნამდვილი აზრის შეცნობით ჩავწვდებით განმეორებითი ცხოვრებების მნიშვნელობას. საკუთრივ ჩვენი დედამიწა რომ არ იცვლებოდეს, ასე ვთქვათ, ადამიანი რომ მასზე ისევ და ისევ ბრუნდებოდეს, ხოლო დედამიწა არსებითად იგივე ხვდებოდეს, მაშინ ადამიანი ერთმანეთს მიყოლებული ცხოვრებებისა თუ განსხეულებების საშუალებით ბევრს ვერაფერს ისწავლიდა. ამ განსხეულებებს მხოლოდ იმის გამო აქვთ აზრი, რომ ადამიანს დედამიწაზე თავისი ყოველი ახალი ინკარნაციის თუ განსხეულებისას რაღაც ახლის სწავლა, ახლის განცდა შეუძლია. დროის ხანმოკლე მონაკვეთებში ეს ისე კარგად არ ჩანს, მაგრამ თუ სულისმეცნიერების დახმარებით დროის ხანგრძლივ მონაკვეთებს დავაკვირდებით, მაშინ დავინახავთ, რომ დედამიწის ეპოქები სულ სხვადასხვანაირ ფორმას და ხასიათს ატარებენ და სულ ახალი და ახალი მოაქვთ ჩვენთვის. მაგრამ აქ სხვა რამეც უნდა გავითვალისწინოთ, კერძოდ ის, რომ თვით დედამიწის ცხოვრებაც იცვლება. თუ ჩვენი მიწიერი ყოფიერების გარკვეულ ეპოქაში, ასე ვთქვათ, ხელიდან გავუშვებთ შესაძლებლობას, რომ ვისწავლოთ ის, რისი სწავლაც დედამიწის განვითარების ამ

ეპოქაში შეიძლება, მაშინ მართალია ხელახლა კი განვსხეულდებით, მაგრამ დაგვაკლდება ის, რაც ამ მოცემულ დროში უნდა შეგვეთვისებინა და არ შევითვისეთ. ამის გამო ვერ შევძლებთ მომდევნო ცხოვრებაში საკუთარი ძალებისა და უნარების სწორად გამოყენებას.

ისევ ზოგადად თუ ვილაპარაკებთ, შეგვიძლია ვთქვათ: ახლა, ჩვენს დროში, თითქმის მთელს დედამიწაზე შესაძლებელია ის, რაც მაგალითად, დღევანდელობაში მცხოვრები ადამიანებისთვის წინა ინკარნაციაში შეუძლებელი იყო. ეს უცნაურად ჟღერს, მაგრამ ამას სრულიად გარკვეული, თანაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დღევანდელ ინკარნაციაში ადამიანების გარკვეულ რიცხვს სულისმეცნიერებაში მოსვლის საშუალება ეძლევა, ანუ მათ შეუძლიათ შეითვისონ სულიერი კვლევის ის შედეგები, რომლის შეთვისება სულისმეცნიერების სფეროშ სწორედ დღესაა შესაძლებელი. რა თქმა უნდა, ზოგიერთებისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ რამდენიმე ადამიანი ამ გზაზე ერთმანეთს პოულობს, რომ სულიერი კვლევის შემეცნებას მათში მოქმედება შეუძლია. მაგრამ ვინც ამას მნიშვნელობას არ ანიჭებს, მას არც მრავალჯერადი განსხეულების მნიშნელობა ესმის, არ ესმის, რომ რაიმეს შესათვისებლად განსხეულებაა საჭირო.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა სწორად გავიაზროთ, რომ ის, რასაც დღეს სულისმეცნიერების საშუალებით ვსწავლობთ, ჩვენს სამშვინველს უერთდება და მას მომდევნო ინკარნაციაშიც თან მოვიტანთ.

დღეს ჩვენი მიზანია გავაცნობიეროთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩვენი სამშვინველისთვის. ამისთვის ჩვენ დაგვჭირდება სულიერი ცხოვრების თქვენთვის ნაკლებად ცნობილ ანდა საერთოდ ახალ ფაქტებს დავუკავშიროთ ის ცოდნა, რაც წარსული ლექციებიდან და თქვენი საკითხავი მასალიდან უკვე გაგაჩნიათ. ჯერ კაცობრიობის განვითარების ადრეულ ხანებს უნდა მივუბრუნდეთ. დედამიწის ადრეულ განვითარებას ჩვენ ხშირად მივუბრუნებივართ. უკვე ნათქვამი გვაქვს: ჩვენ ახლა ვცხოვრობთ დიდი ატლანტიდური კატასტროფის შემდგომ მეხუთე ხანაში. ამ მეხუთეს წინ უძღოდა ის ხანა, რომელშიც ბერძენი და ლათინი ხალხები მიწიერი ნების ძირითად იდეებსა და შეგრძნებებს განსაზღვრავდნენ: ეს იყო მეოთხე, ბერძნულ-ლათინური ხანა. მას წინ უძღოდა მესამე, ქალდეურ-ბაბილონურ-ასირიულ-ეგვიპტური ხანა, ამას კი ძველსპარსული, ხოლო ამ უკანასკნელს ძველინდური ხანა. და თუ დავბრუნდებით კიდევ უფრო შორეულ წარსულში, დავინახავთ, რომ იქ ატლანტიდის დიდმა კატასტროფამ გაანადგურა უძველესი კონტინენტი, ძველი ატლანტიდა, რომელიც მდებარეობდა დღევანდელი ატლანტიკის ოკეანის ადგილზე, ეს იყო ის ატლანტიდური კატასტროფა, რომელმაც თანდათანობით წალეკა მიწა და მეორე მხრივ დედამიწის სფეროს დღევანდელი სახე მისცა. ამის შემდეგ კიდევ უფრო შორეულ წარსულში, ატლანტიდის წინარე ეპოქაში გადავდივართ. იქ ვხვდებით იმ კულტურებსა და ცხოვრების ფორმებს, რომლებიც ატლანტიდის კონტინენტზე განვითარდნენ და რომლებსაც ჩვენ ატლანტიდური

რასების კულტურას ვუწოდებთ. და მათაც ასევე წინ უძღოდათ უფრო ადრეული ეპოქა.

თუ გადავხედავთ მხოლოდ იმას, რასაც ისტორია მოგვითხრობს, ის კი ვერ წვდება მთლად შორეულ წარსულს, მაშინ ადვილად შეიძლება გვეგონოს, თუმცა ეს თვით დროის მოკლე მონაკვეთებისთვისაც კი უსაფუძვლოა ის, რომ დედამიწაზე ყველაფერი ყოველთვის ისე გამოიყურებოდა, როგორც დღეს. მაგრამ ეს ასე არაა. დედამიწაზე დამოკიდებულებები ძირფესვიანადაა შეცვლილი, მათ შორის კი განსაკუთრებით ადამიანური სამშვინველებისა. დღეს აქ მსხდომ ადამიანთა სამშვინველები, ცხადია, დედამიწის ყველა იმ ეპოქებში შესაფერისი სხეულებით იყვნენ ინკარნირებულნი და მათ შეთვისებული ჰქონდათ ყოველივე ის, რაც დედამიწის განვითარების იმ ხანებში იყო შესათვისებელი. ინკარნაციიდან ინკარნაციამდე სამშვინველი თავის თავში ყოველთვის ახალ უნარებს ავითარებდა. ჩვენი მაშინდელი სამშვინველები დღევანდელისგან ძალიან განსხვავდებოდნენ, თუმცა უკვე ბერძნულ-ლათინურ ეპოქასთან მიმართებით ეს განსხვავება ისე ძლიერი აღარაა, როგორც ძველსპარსულ და კიდევ უფრო მეტად ძველინდურ ეპოქასთან შედარებით. იმ ხანაში ჩვენს სამშვინველებს დღევანდელისგან სრულიად განსხვავებული თვისებები გააჩნდათ, და იმ შორეულ წარსულში მათ სულ სხვა პირობებში უწევდათ ცხოვრება.

ყოველივე ამის უკეთ გასაგებად, დღეს შევეცდებით რაც შეიძლება ზუსტი წარმოდგენა შევიქმნათ იმაზე, თუ როგორები იყვნენ ჩვენი სამშვინველები, — მაგ. პირდაპირ მნიშვნელოვანზე რომ გადავიდეთ, — ატლანტიდური კატასტროფის შემდეგ, მაშინ, როდესაც ინკარნირებული ვიყავით ისეთ სხეულში, როგორიც პირველ ინდურ კულტურაში იყო შესძლებელი. ეს პირველი ინდური კულტურა ისე არ უნდა გვესმოდეს, თითქოს იგი მხოლოდ ძველ ინდოეთში არსებობდა. მართალია ინდოელ ხალხს მაშინ მთავარი, წამყვანი როლი ეკისრებოდა, მაგრამ იმ დროს მთელი დედამიწის კულტურაც სხვა იყო. ამ კულტურის თავისებურებათა საფუძველი იყო ის, რასაც ძველ ინდოელებს თავისი წინამძღოლები მიუთითებდნენ. თუ მაშინდელ ჩვენს სამშვინველეს დავაკვირდებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ: შემეცნების ისეთი ფორმა, როგორიც დღეს ადამიანებს გააჩნიათ, მაშინ სრულიად შეუძლებელი იყო. ადამიანები თითქმის სრულიად ვერ აცნობიერებდნენ, რომ თითოეული წარმოადგენდა ცალკეულ «მე»-ს. თუმცა, ეს «მე»-ს შემეცნება კიდევ უფრო სხვა რამეა, ვიდრე «მე»-ს ძალა, «მე»-ს მოქმედება. ამდენად, მაშინ ადამიანებს არ გააჩნდათ შინაგანობის ის განცდა, როგორიც დღეს აქვთ. სამაგიეროდ მათ სხვა უნარები გააჩნდათ, მათ ჰქონდათ ის, რასაც დღეს ძველ ბუნდოვან ნათელხილვას ვუწოდებთ.

თუ იმჟამინდელ ადამიანურ სამშვინველს ყოველდღიურობაში დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ «მე»-დ იგი თავის თავს ნაკლებად განიცდიდა. ადამიანი თავის თავს თავისი თემის, თავისი ხალხის კუთვნილებად თვლიდა. როგორც ხელია სხეულის ნაწილი, ასევე გრძნობდა ცალკეული «მე»-ც თავს თავს გვარისა და თემის ნაწილად. დღევანდელობისგან განსხვავებით ადამიანი თავის თავს ინდივიდუალური «მე»-დ ვერ აღიქვამდა. ერის «მე», გვარის «მე», აი ის, რასაც

შეჰყურებდა ყველა. ასე ცხოვრობდა ადამიანი დღის განმავლობაში. მას, ასე ვთქვათ, გაცნობიერებული არ ჰქონდა, რომა დამიანი იყო. მაგრამ ღამით, როცა იგი ძილს მიეცემოდა, ცნობიერება ისე მთლიანად კი არ უბნელდებოდა, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ ძილში ადამიანის სამშვინველს მის გარემოში მომხდარი სულიერი ფაქტების აღქმის უნარი გააჩნდა; დღევანდელი სიზმარი ასეთი სულიერი მოვლენებისა და ფაქტების აჩრდილს წარმოადგენს, რადგან, როგორც წესი, მათ მთელი სისავსით ვეღარ გადმოგვცემს. მაშინდელმა ადამიანებმა ამგვარი აღქმის საშუალებით იცოდნენ: სულიერი სამყარო არსებობს. მათთვის სულეირი სამყარო სინამდვილეს წარმოადგენდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი ლოგიკით მოპოვებული, რაღაც დასაბუთებული რამ იყო, არამედ იმიტომ, რომ ამ სულიერ სამყაროს ყოველ ღამე თვითონვე განიცდიდნენ, თუმცა კი ბუნდოვანი სიზმრისეული ცნობიერებით. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. ძილისა და ღვიძილის გარდა არსებობდა კიდევ საშუალო მდგომარეობაც, რომლის დროსაც ადამიანს არც მთლად ეძინა და არც მთლად ეღვიძა. ამ დროს «მე»-ს ცნობიერება კიდევ უფრო სუსტი იყო ვიდრე დღისით, სამაგიეროდ სულიერი მოვლენების ამგვარი აღქმა, ამგვარი სიზმრისეული ნათელხილვა გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ღამით. ამგვარად, ადამიანებს ნათელხილვის უნარს ანიჭებდა ეს საშუალო მდგომარეობები, თუმცა თვითცნობიერების გარეშე. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი შინაგანად შორს იყო, ასე ვთქვათ, აღარაფერი ესმოდა. მას არ ესმოდა — მე ადამიანი ვარ — მაგრამ დანამდვილებით იცოდა: მე სულიერი სამყაროს წევრი ვარ, მაქვს მისი აღქმის უნარი, ვიცი, რომ სულიერი სამყარო არსებობს. ასეთი იყო ადამიანების სამშვინველების განცდა მაშინდელ დროში. და კიდევ უფრო ნათელი, გაცილებით გაცილებით უფრო ნათელი იყო ეს ცნობიერება და სულიერი სამყაროს განცდა ატლანტიდურ ხანაში. ასე რომ, თუ იმ შორეულ წარსულს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ეს იყო ხანა ჩვენი სამშვინველების სიზმრისეული, ბუნდოვანი ნათელხილვისა, რომელმაც თანდათანობით იკლო კაცობრიობის განვითარების განმავლობაში.

ეს სამშვინველები იმ ძველ, სიზმრისეულ ნათელხილვაში რომ დარჩენილიყვნენ, მაშინ ჩვენ ვერ მოვახერხებდით დღევანდელი ინდივიდუალური თვითცნობიერების განვითარებას, არ გვეცოდინებოდა, რომ ადამიანები ვართ. ჩვენ, ასე ვთქვათ, სულიერი სამყაროს აღმქმელი ცნობიერება უნდა დაგვეკარგა, რათა ამის მაგივრად «მე»-ცნობიერება მოგვეპოვებინა. მომავალში ორივე ერთდროულად გვექნება. მომავალშ ყველა მივაღწევთ სრულ ნათელხილვას, რომლის დროსაც «მე»-ს ცნობიერებაც შენარჩუნებული იქნება, დღეს კი ეს ხელეწიფება მხოლოდ მას, ვისაც ინიციაციის გზა აქვს გავლილი. მომავალში კი ყველა ადამიანს შეეძლება კვლავ ჭვრეტდეს სულიერ სამყაროს და ამავე დროს თავის თავს «მე»-დ, ადამიანად გრძნობდეს.

მომხდარი კიდევ ერთხელ, ნათლად წარმოვიდგინოთ. სამშვინველმა გაიარა გზა განსხეულებიდან განსხეულებამდე. ადრე იგი ნათელმხილველი იყო, მოგვიანებით კი თანდათან გამკვეთრდა «მე»-ცნობიერება, მასთან ერთად განსჯის უნარიც. ეს იმიტომ, რომ სულიერი სამყაროს ისეთი ნათელმხილველური ჭვრეტის

დროს, როცა ადამიანი თავის თავს «მე»-დ არ გრძნობს, მას განსჯა, კომბინირება არ შეუძლია. ეს უნარი თანდათან ძლიერდებოდა, სამაგიეროდ ყოველ მომდევნო ინკარნაციასთან ერთად სუსტდებოდა ძველი ნათელხილვა. ადამიანი უფრო და უფრო იშვიათად განიცდიდა ისეთ მდგომარეობებს, როცა მას სულიერი სამყაროს ჭვრეტა შეეძლო. და იგი უფრო მეტად უკავშირდებოდა ფიზიკურ პლანს, ითვისებდა ლოგიკურ აზროვნებას და თავს «მე»-დ გრძნობდა. ამრიგად, ადამიანი ფიზიკურ სამყაროს აღიქვამს და მას უფრო მეტად და მეტად ეჯაჭვება, ხოლო ურთიერთკავშირი სულიერ სამყაროსთან კლებულობს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას: უძველეს წარსულში ადამიანი ერთგვარი სულიერი, სპირიტუალური არსება იყო, რადგან იგი, როგორც სპირიტუალური არსება, სხვა სულიერ არსებებთან ამხანაგურად, პირდაპირ სოციალურ ურთიერთკავშირში ცხოვრობდა, და თავს იმ სულიერ არსებათა წევრად თვლიდა, რომელთა ჭვრეტა დღეს მის უნარს ჩვეულებრივ აღემატება. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს გარშემო დღესაც არსებობენ სხვა სულიერი სამყაროები, სადაც სხვა სულიერი არსებები ცხოვრობენ. მაგრამ ადამიანს თავისი ნორმალური ცნობიერებით დღეს მათი ჭვრეტა აღარ შეუძლია. ერთ დროს კი იგი მათი ამხანაგი იყო, როგორც ღამეული ძილის, ასევე იმ საშუალო მდგომარეობისას, რომლის შესახებაც ვისაუბრეთ. იმ დროს იგი სულიერ სამყაროში სხვა სულიერი არსებების გვერდიგვერდ ცხოვრობდა. ახლა მას ეს უბრალოდ აღარ შეუძლია. იგი თავისი სამშობლოდან, სულიერი სამყაროდან, ასე ვთქვათ, გამოიყვანეს და ყოველ ახალ განსხეულებასთან ერთად უფრო და უფრო ქვემოთ, ამ მიწიერ სამყაროში ჩამოუშვეს.

სულიერი ცხოვრების ცენტრებში და იმ მეცნიერებებში, რომელთაც ჯერ კიდევ იცოდნენ ამის შესახებ, ყოველთვის ითვალისწინებდნენ იმას, რომ ჩვენს ინკარნაციებს ერთმანეთისგან ასეთი განსხვავებული მიწიერი ეპოქების გავლა უწევდათ. ისინი იხსენებდნენ ძალიან შორეულ წარსულსაც, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა ატლანტიდურ კატასტროფას, და სადაც ადამიანები, არსებითად, ღვთაებებთან და სულებთან ერთად ცხოვრობდნენ და ამის გამო ბუნებრივია თავის თავს სულ სხვანაირად განიცდიდნენ და შეიგრძნობდნენ. თქვენთვისაც ხომ ნათელია, რომ ადამიანის სამშვინველს სულ სხვანაირი განცდის უნარი ჰქონდა იმ ეპოქაში, რომელშიც მან დანამდვილებით იცოდა, რომ უმაღლესი სულიერი არსებების ჭვრეტა შეეძლო და თვითონაც ამ უმაღლესი სამყაროს წევრი იყო. ამის გამო იგი სრულიად განსხვავებულ განცდასა და შეგრძნებებს სწავლობდა. ამ ფაქტებზე დაკვირვებისას საჭიროა წარმოიდგინოთ, რომ მეტყველებისა და აზროვნების სწავლა დღესაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუ ადამიანებს შორის ვიზრდებით, რადგან ეს ის უნარებია, რომელთა მოპოვებაც მხოლოდ ადამიანებს შორისაა შესაძლებელი. თუ დღეს მავანი ბავშვი უკაცრიელ კუნძულზე მოხვდება და ადამიანებთან კავშირის გარეშე გაიზრდება, იგი მეტყველებისა და აზროვნების უნარს ვერანაირად ვერ მოიპოვებს. მაშასადამე, ნებისმიერი არსების განვითარება, არსებითად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ სხვა არსებებს შორის იზრდება და ცხოვრობს იგი. ამაზეა მისი განვითარება გარკვეულწილად დამოკიდებული. თვით ცხოველებზე დაკვირვებაც ამას ადასტურებს. მაგალითად,

ცნობილია, რომ ძალღებმა, რომლებიც ადამიანებს მოაშორეს და უკაცრიელ ადგიალს გადაიყვანეს, ყეფა დაივიწყეს. და ყეფა მათ შთამომავლობასაც აღარ შეეძლო. სხვადასხვა არსებებს შორის ზრდასა და ცხოვრებას სხვადასხვა შედეგი აქვს განვითარებისთვის, ამრიგად, ადვილი წარმოსადგენია, რომ სხვაა დღევანდელ ადამიანებს შორის ფიზიკურ პლანზე თქვენი ცხოვრება, და სულ სხვაა სამშვინველების მაშინდელი ცხოვრება სულიერ არსებებს შორის იმ სულიერ სამყაროში, რომლის ჭვრეტა დღეს ჩვეულებრივ აღარ შეგვიძლია. მაშინ სამშვინველებიც სხვანაირად ვითარდებოდა; ღვთაებებს შორის ცხოვრებისას ადამიანიც თავის თავში სხვა იმპულსებს ატარებდა. ადამიანებს შორის ცხოვრებისას მან სხვა იმპულსები განავითარა, ღვთაებებს შორის ცხოვრებისას — სხვა. სულიერმა შემეცნებამ ეს ყოველთვის იცოდა. ეს იყო შემეცნება, რომელიც ჭვრეტდა იმ უძველეს ხანას, სადაც ადამიანი ღვთაებრივ-სულიერ არსებებთან, ასე ვთქვათ, პირდაპირ ურთიერთკავშირში იმყოფებოდა. და ღვთაებრივ-სულიერ არსებებთან ეს პირდაპირი ურთიერთობა ისე მოქმედებდა, რომ სამშვინველი თავის თავს ღვთაებრივ-სულიერი სამყაროს წევრად გრძნობდა. ეს კი თავის მხრივ ისეთ იმპულსებს, ძალებს წარმოშობდა, რომლებიც დღევანდელ ძალებთან შედარებით სულ სხვანაირი გაგებით იყვნენ ღვთაებრივ-სულიერნი. როდესაც სამშვინველი თავის მოქმედებაში უმაღლესი სამყაროს წევრად გრძნობდა თავს, მაშინ ამ სამშვინველიდან მეტყველებს ის ნებაც, რომელიც ღვთაებრივ-სულიერი სამყაროდან მოდის და რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ეს ნება სამშვინველში ჩაიღვარა, რადგანაც ეს უკანასკნელი ღვთაებებს შორის ცხოვრობდა.

ღვთაებრივ-სულიერ არსებებთან ადამიანის ერთობის ხანას უმაღლესი შემეცნება ოქროს ხანას, ანუ **კრიტა იუგას** უწოდებს. ეს უძველესი ხანა უფრო ადრეულია ვიდრე თვით ატლანტიდური კატასტროფა. შემდეგ მოდის ხანა, როდესაც ადამიანები ისე ძლიერად აღარ გრძნობდნენ ღვთაებრივ-სულიერ სამყაროსთან კავშირს, როდესაც მათ იმპულსებს ისე ძალიან აღარ განსაზღვრავდა ღვთაებებთან თანაცხოვრება, და როცა მათ თვალსაც ნაკლებად შეეძლო სულისა და სამშვინველის ჭვრეტა. მაგრამ მოგონება სულიერ არსებებთან და ღვთაებებთან თანაცხოვრებისა ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ძველ ინდურ სამყაროში. იმ დროს სულიერზე ლაპარაკი ძალიან ადვილად შეიძლებოდა. რადგან ადამიანებს ფიზიკური აღქმა გარეგანი სამყაროს აღქმასთან ერთად ახალი შეძენილი ჰქონდათ, ამიტომ მათ ამ სამყაროში მაიას ანუ ილუზიის დანახვაც შეეძლოთ. ასე იყო ძველ ინდოეთში. ძველი ინდური სამშვინველები, მართალია, საკუთრივ ღვთაებებს ვეღარ ხედავდნენ, მაგრამ სულიერი ფაქტებისა და შედარებით დაბალი რანგის სულიერი არსებების აღქმა ჯერ კიდევ შეეძლოთ. უმაღლეს სულიერ არსებებს მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანებიღა ჭვრეტდნენ. მაგრამ მათთვისაც ისე ცოცხალი აღარ იყო ღვთაებებთან თანაცხოვრება. ღვთაებრივ-სულიერი სამყაროდან მომდინარე ნების უმპულსები გაუჩინარდნენ. სამაგიეროდ ჯერ კიდევ არსებობდა ცნობიერების განსაკუთრებულ მდგომარეობაში სულიერი ფაქტების დანახვის შესაძლებლობა: ძილში და ხსნებული შუალედური მდგომარეობებისას. მაგრამ ამ სულიერი

სამყაროს უმთავრესი ფაქტები, რომლებიც ადრე ადამიანებისთვის განცდას წარმოადგენდა, ამჯერად ცოცხლობდა როგორც ჭეშმარიტების გარკვეული სახის შემეცნება, როგორც მშვინვიერი ცოდნა. რა თქმა უნდა ადამიანები ჯერ კიდევ სულეირ სამყაროში იმყოფებოდნენ, მაგრამ ამის გაცნობიერება ამ გვიანდელ ხანაში ისე ძლიერი აღარ იყო. ამ ხანას ვერცხლის ხანას ანუ **ტრეტა იუგას** უწოდებდნენ.

ამას მოჰყვა იმ ინკარნაციების ანუ განსხეულებების ხანა, რომლის დროსაც ადამიანის მიერ სულიერი სამყაროების ხედვა თანდათან იხშობოდა, იგი უფრო და უფრო ემორჩილებოდა უშუალოდ გარეგნულ-გრძნობად სამყაროს, სამაგიეროდ ადგილი ჰქონდა მასში კიდევ უფრო გამყარებას. ამ გრძნობად სამყაროში მისი შინაგანი «მე»-ცნობიერება, კაცობრიული ცნობიერება უფრო მეტად და მეტად იზრდებოდა. ამ ხანას რკინის ხანას ანუ **დვაპარა იუგას** უწოდებენ. მართალია, სულიერი სამყაროს ისეთი მაღალი უშუალო შემეცნება ადამიანებს უკვე აღარ გააჩნდათ, მაგრამ კაცობრიობაში სულიერი სამყაროსგან მაინც რაღაც იყო დარჩენილი. ეს მდგომარეობა შეგვიძია შევადაროთ თანამედროვე ადამიანებისას, რომლებიც მართალია ხანში შედიან, მაგრამ ახალგაზრულ სიხალისეს ინარჩუნებენ, ახალგაზრობა ჩავლილია, მაგრამ ამავდროულად განცდილის, ვიცით და გვახსოვს, შეგვიძლია მასზე ლაპარაკი, როგორც ნაცნობ საგანზე. ასეთი ნაცნობი იყო მაშინდელი სამშვინველებისთვის ის, რასაც სულიერი სამყაროებისკენ მივყავართ. ეს არსებითია დვაპარა იუგაში.

შემდეგ მოვიდა ხანა, როდესაც თვით ეს განცდაც გაქრა, როდესაც ასე ვთქვათ, სულიერი სამყაროს კარიბჭე დაიკეტა. ადამიანების მზერა უფრო მეტად და მეტად შემოისაზღვრა გარეგნული გრძნობადი სამყაროთი და ისეთი სახის გაგებით, რომელიც გრძნობად შთაბეჭდილებებს ამუშავებს, ასე რომ ადამიანებს სულიერ სამყაროზე მხოლოდ ფიქრიღა შეეძლოთ. ეს არის სულიერი სამყაროს შესახებ ცოდნის ყველაზე დაბალი საფეხური. ის, რასაც ადამიანები ამ დროს მართლაც იცნობდნენ, იყო გრძნობად-ფიზიკური სამყარო. თუ ადამიანებს სულიერ სამყაროზე რაიმეს ცოდნა სურდათ, ამ ცოდნისთვის აზროვნების გზით უნდა მიეღწიათ. ეს ის ხანაა, როცა ადამიანი ყველაზე ნაკლებად იყო სულიერი და ამიტომაც ყველაზე მეტად გამყარდა და დამკვიდრდა გრძნობად სამყაროში. მაგრამ ეს თვითცნობიერების უმაღლეს საფეხურამდე განვითარებისთვის აუცილებელი იყო. მხოლოდ გარესამყაროს უხეში წინააღმდეგობის საშუალებით შეეძლო ადამიანს თავისსა და სამყაროს შორის განსხვავება და საკუთარი არსების განცდა ესწავლა. ამ უკანასკნელ ხანას **კალი იუგას** ანუ წყვდიადის ხანას უწოდებენ.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს სახელწოდებები დიდი ეპოქების დასახასიათებლადაც შეიძლება გამოვიყენოთ, მაგალითად, კრიტა იუგა დროის უფრო დიდი მონაკვეთისთვის შეგვიძლია ვიხმაროთ. სანამ ჩვენ მიერ აღწერილი ოქროს ხანა დადგებოდა, ადამიანი თავისი განცდით უმაღლეს სამყაროებში მონაწილეობდა და ამიტომ უფრო წინა ხანებიც ამ სახელით შეგვიძლია აღვწეროთ. მაგრამ თუ ზომიერებას დავიცავთ და დავკმაყოფილდებით სულიერი განცდის

აღწერილი საფეხურით, მაშინ შეგვიძლია დრო ზემოაღნიშნული წესით დავყოთ. ამრიგად, განსაზღვრული დროის მონაკვეთები შესაფერისი ხანის დამახასიათებლად შეგვიძლია ავიღოთ. მართალია დედამიწის განვითარება წინ ნელ-ნელა და თანდათანობით მიიწევს, მაგრამ არსებობს საზღვრები, რომელთა შესახებაც შეგვიძლია ვთქვათ: აქამდე არსებითად რაღაც სხვა იყო და ამის შემდეგ ცხოვრების სხვანაირი პირობები და ცნობიერება გამეფდნენ. თავდაპირველად აღწერილი წესით თუ ვიანგარიშებთ, მაშინ კალი იუგა დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3101 წელს იწყება. აქ ვხედავთ ჩვენი სამშვინველების ისეთ ახალ ინკარნაციებს, სადაც ადამიანთა სულიერი სამყაროების აღსაქმელი მზერა სულ უფრო მეტად და მეტად იხშობა და შესაბამისად უფრო და უფრო მეტად ექცევა გარეგნული გრძნობადი სამყაროს ჩარჩოებში. როგორც ვხედავთ, ჩვენი სამშვინველები ყოველ ახალ განსხეულებასთან ერთად მართლაც სულ ახალ-ახალ პირობებში ჩამოდიან და ამგვარად ახლის სწავლის შესაძლებლობა ეძლევათ. რისი მოპოვებაც კალი იუგაში შეგვიძლია, ესაა ჩვენი «მე»-ცნობიერების განმტკიცება. მანამდე ეს შეუძლებელი იყო, რადგან ამისთვის ადამიანს ჯერ თავის თავში უნდა მიეღო «მე».

თუ სამშვინველებმა ხელიდან გაუშვეს შესაძლებლობა, გარკვეული ინკარნაციის დროს შეითვისონ ის, რასაც შესაბამისი ხანა იძლევა, შემდეგში ძალიან გაუჭირდებათ ამის ანაზღაურება. ისინი იძულებულნი იქნებიან დიდხანს ელოდონ პირობებს, როცა საშუალება მიეცემათ დაკარგული გარკვეულწილად მაინც აინაზღაურონ; ამის იმედად ყოფნის უფლება კი ჩვენ არ გვაქვს.

შესაბამისად, საჭიროა ჩვენი სამშვინველების წინაშე დავაყენოთ ის ფაქტი, რომ კალი-იუგას ეპოქის დროს მოხდა რაღაც მეტად არსებითი, როდესაც ასე ვთქვათ სულიერი სამყაროს აღსაქმელად საჭირო კარიბჭე დაიხურა. ეს იყო ხანა, რომელშიც მოვლენილი იყო იოანე ნათლისმცემელი და მოვლენილი იყო ქრისტე. აღნიშნული დროისთვის, რომელიც უკვე ითვლიდა ამ წყვდიადის ხანის 3100 წელს, არსებითი მნიშნელობა ჰქონდა იმას, რომ ადამიანები რამდენჯერმე, ანუ არანაკლებ ერთი ან ორი ინკარნაციისა, ამ წყვდიადის ხანაში უკვე ნაცხოვრები უნდა ყოფილიყვნენ. «მე»-ცნობიერება განმტკიცებული იყო, ხოლო ცოდნა სულიერი სამყაროების შესახებ დავიწყებული, და იმისათვის, რომ სულიერ სამყაროსთან კავშირი მთლიანად არ დაეკარგათ, ადამიანებს ეს სულიერი თავის «მე»-ში უნდა გაეცოცხლებინათ. საკუთარი «მე» მათ ისე უნდა განევითარებინათ, რომ ამ «მე»-ს თავის სიღრმეში, ცოდნით მაინც, დანამდვილებით სცოდნოდა, რომ უმაღლესი სულიერი არსებები და სულიერი სამყარო მართლაც არსებობს და ადამიანი ამ სულიერ სამყაროს განეკუთვნება. «მე»-ს უნდა შეეძინა სულიერი სამყაროს რწმენის, მისი შინაგანად შეგრძნების შესაძლებლობის უნარი.

იესო ქრისტეს რომელიმე თანამედროვეს ინ დროის შესახებ სიმართლე რომ ეთქვა, ასე იტყოდა: წინათ ადამიანებს საკუთარი «მე»-ს გარეთ ციური სასუფევლის განცდა იმ შორეულ სივრცეებში შეეძლოთ, რომელთა მისაღწევადაც ისინი თავისი თავიდან უნდა გასულიყვნენ. ადამიანს ზეციური სამეფოები, სულიერი სამყაროს სამეფოები საკუთარი «მე»-დან შორს უნდა განეცადა. ახლა კი ამ სულიერი

სამეფოების განცდა მას ძველებურად აღარ შეუძლია და ადამიანი იმდენად შეიცვალა, რომ მისმა «მე»-მ ეს სამყაროები თავის თავში უნდა განიცადოს. ეს ზეციური სამეფოები ადამიანს ისე მოუახლოვდნენ, რომ პირდაპირ «მე»-ში მოქმედება შეუძიათ. იოანე ნათლისმცემელმაც სწორედ ეს უთხრა ადამიანებს: «მოახლოებულია სასუფეველი ცათა», ანუ ისინი მოუახლოვდნენ «მე»-ს. წინათ სასუფეველი ცათა ადამიანის გარეთ იმყოფებოდა, ახლა კი ადამიანს თავის ყველაზე სიღრმისეულ არსში, «მე»-ში უნდა შეეცნო იგი. და რადგანაც ადამიანს ამ წყვდიადის ხანაში, კალი იუგაში გრძნობადი სამყაროდან სულიერ სამყაროში აღლება აღარ შეეძლო, ამიტომ ფიზიკურ-გრძნობად სამყაროში უნდა ჩამოსულიყო ღვთაებრივი არსება, იესო ქრისტე. ქრისტე სწორედ იმის გამო უნდა განსხეულებულიყო ხორციელ ადამიანში, ისეო ნაზარეველში, რომ ფიზიკურ მიწაზე ქრისტეს ცხოვრებისა და საქმეების ხილვის შედეგად ადამიანებს ცათა სასუფეველთან, სულიერ სამყაროსთან ურთიერთკავშირი ფიზიკურ სხეულშივე მოეპოვებინათ. მაშასადამე ის ხანა, როდესაც ქრისტე დედამიწაზე დადიოდა, კალი იუგას შუა ხანა, წყვდიადის ხანაა. იმ დროში მას, ვინც სიბნელეში და უგრძნობელობაში კი არ ცხოვრობდა, არამედ ვისაც შეცნობილი ჰქონდა თავისი თანამედროვეობა, შეეძლო ეთქვა: ადამიანებს შორის ღმერთის ჩამოსვლა აუცილებელია, რათა კვლავ აღსდგეს დაკარგული კავშირი სულიერ სამყაროსთან.

იმ დროისთვის რომ არ არსებულიყვნენ ადამიანები, რომელთაც ცოცხალი შინაგანი დამოკიდებულება ჰქონდათ ქრისტესთან, მაშინ ადამიანები ვერ მოახერხებდნენ თავიანთ «მე»-ში ცათა სასუფევლის მიღებას. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ადამიანი დროის ამ მნიშვნელოვან მონაკვეთში წყვდიადში დარჩენას ამჯობინებდა, სრულიად ადვილი შესაძლებელი იყო, ასეთ მოვლენას მათთვის უშედეგოდ ჩაევლო. და მაშინ ადამიანთა სამშვინველები გამოიფიტებოდნენ, გამოშრებოდნენ, გადაგვარდებოდნენ. ისინი განსხეულებების გაგრძელებას, რაღაც დროის მანძილზე, ალბათ ქრისტეს გარეშეც შესძლებდნენ, მაგრამ მათ «მე»-ში ვერ დაინერგებოდა ის, რაც ცათა სასუფეველთან მათ კავშირს აღადგენდა. შეიძლება ქრისტეს გამოცხადებას დედამიწაზე ყველგან ისევე შეუმჩნევლად ჩაევლო, როგორც მაგალითად რომში, სადაც ეს მოვლენა ვერ შენიშნეს. მათ შორის დადიოდა ხმები, თითქოს სადღაც, მივარდნილ ჭუჭყიან შარაგზაზე, ცხოვრობს საშინელი ადამიანების ერთი განსაკუთრებული სექტა, მათ შორის კი საშინელი სული, რომელიც თავის თავს იესო ნაზარეველს უწოდებს, ქადაგებს ხალხში და მათ ბოროტი საქმეებისკენ უბიძგებს. — აი, მხოლოდ ეს იცოდნენ ქრისტეს შესახებ იმდროინდელ რომში! და ალბათ იცით, რომ პალესტინის მოვლენებიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგ ყოველივე ეს სწორედ ამგვარად აღწერა მნიშვნელოვანმა რომაელმა ისტორიკოსმა ტაციტუსმა.

ცხადია, რომ უამრავმა ადამიანმა ვერც კი შენიშნა, რომ მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი რამ, რასაც კალი იუგადან ადამიანების გამოხსნა შეეძლო და რაც ღვთაებრივ სინათლედ გაბრწყინდებოდა მიწიერ წყვდიადში კაცობრიობის შემდგომი განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ მოიძებნა

სამშინველები, რომელთაც თავისი ხანა შეცნობილი ჰქონდათ, და მათ იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა დედამიწაზე ქრისტეს ცხოვრება.

წარმოიდგინეთ თქვენი თავი იმ დროში და ადვილად იტყვით: დიახ, შესაძლებელი იყო გეცხოვრა იმ ხანებში და მაინც არაფერი გცოდნოდა ფიზიკურ პლანზე ქრისტეს გამოცხადების შესახებ! შეგეძლო დედამიწაზე გეცხოვრა და ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა შენი ცნობიერების გარეთ დარჩენილიყო.

შეიძლება თუ არა, რომ დღესაც რაღაც უსასრულოდ მნიშვნელოვანი ხდებოდეს და ადამიანები კი მას ვერ აცნობიერებდნენ? შეიძლება თუ არა, რომ ჩვენს თანამედროვეებს არავითარი წაარმოდგენა არ ჰქონდეთ იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენის შესახებ, რაც დღეს ქვეყნად ხდება? დიახ, ეს შესაძლებელია! ხდება რაღაც უმნიშვნელოვანესი, მაგრამ მისი აღქმა მხოლოდ სულიერ მზერას შეუძლია. დღეს ბევრს ლაპარაკობენ გარდამავალ ხანაზე; ჩვენც სწორედ ასეთ ხანაში ვცხოვრობთ, თანაც ძალიან მნიშვნელოვანში. და ეს მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ვცხოვრობთ სწორედ იმ დროში, როცა წყვდიადის ხანა დამთავრდა და იწყება ეპოქა, რომლის განმავლობაშიც ადამიანები ნელა და მეთოდურად განავითარებენ ახალ უნარებს და ადამიანთა სამშვინველები დროთა განმავლობაში თანდათან შეიცვლებიან.

მაგრამ ის, რომ ადამიანთა უმრავლესობა ვერაფერს ამჩნევს, გასაოცარი არაა, რადგან მათ უმრავლესობას არც ჩვენს წელთაღრიცხვის დასაწყისში შეუმჩნევია ქრისტეს გამოცხადება. 1899 წელს დასრულდა კალი იუგა, და ახლა გველოდება ახლაი ხანა. და ის, რაც დღეს იწყება, ადამიანებს ნელ-ნელა მოამზადებს ახალი უნარების გამოსავლენად.

ცალკეულ სამშვინველებში ამ ახალი უნარების პირველი ნიშნები უახლოეს მომავალში გამოჩნდება. და ისინი უფრო შესამჩნევნი იქნებიან ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, დაახლოებით 1930-ან 1940 წლამდე. 1933, 1935 და 1937 წლები ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია. ამ დროს ადამიანებში სრულიად განსაკუთრებული უნარები იჩენენ თავს, როგორც ბუნებრივად თანდაყოლილნი. ამ დროს მოხდება დიდი ცვლილებები და ახდება ბიბლიური წინასწამეტყველებები. ამ სამშვინველებისთვის, რომლებიც დედამიწაზე იცხოვრობენ, და ასევე იმათთვისაც, რომლებიც ფიზიკურ სხეულში აღარ იქნებიან, ყველაფერი შეიცვლება. სულერთია, სად იცხოვრებენ ეს სამშვინველები, მათ სრულიად ახალი უნარების შეთვისების შესაძებლობა გაუჩნდებათ. ყველაფერი იცვლება. ჩვენი დროის უმნიშნელოვანესი მოვლენა კი ადამიანთა მშვინვიერი უნარების უღრმესი ცვლილებაა.

კალი იუგა დასრულდა, და ახლა ადამიანთა სამშვინველები იწყებენ ახალი უნარების განვითარებას, უნარების, რომლებიც, შესაფერისი ხანის დადგომის გამო, თავისთავად გამოიწვევენ სამშვინველებში გარკვეული ნათელმხილვეური ძალების გამოღვძებას, იმ ნათელმხილველური ძალებისა, რომლებიც კალი იუგას მეფობისას არაცნობიერში ჩაიძრნენ. იარსებებს სამშვინველების გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ იმგვარი უცნაური მდგომარეობის განცდა, როცა მათ ერთი მხრივ «მე»-ცნობიერების შეგრძნება ექნებათ, მეორე მხრივ კი, თითქოს

თავიანთი ჩვეულებრივი ცნობიერების სამყაროსგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში იცხოვრებენ: ეს აღქმა აჩრდილს, წინათგრძნობას უფრო ემსგავსება, ისე, თითქოს ბრმად დაბადებულს ოპერაციას უკეთებენო. იმ საშუალებით, რასაც ჩვენ ეზოთერულ თვითაღზრდის გზას ვუწოდებთ, ამ ნათელმხილველური უნარების განვითარება გაცილებით უკეთესად შეიძლება. მაგრამ, რადგანაც ადამიანების განვითარება წინ მიიწევს, ეს უნარები — თავიანთ ყველაზე საწყის ელემენტარულ მდგომარეობაში — ადამიანების ბუნებრივ განვითარებაშიც იჩენენ თავს.

ძალზე ადვილი შესაძლებელია, და დღეს კიდევ უფრო ადვილი შესაძლებელი, ვიდრე ოდესმე, უწინ, რომ ჩვენი დროის ადამიანებმა კაცობრიობისთვის ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის შეცნობა საერთოდ ვერ მოახერხონ. შეიძლება, ადამიანები სრულიად უუნარონი აღმოჩნდნენ იმის გაცნობიერებისთვის, რომ ეს სულიერი სამყაროების ნამდვილი ხედვაა, თუმცა ჯერჯერობით ჩრდილოვანი და ბუნდოვანი. ეს მოხდება მაგალითად მაშინ, თუ ბოროტება, მატერიალიზმი დედამიწაზე იმდენად დიდი იქნება, რომ ადამიანების უმრავლესობა ზემოაღწერილის გაგებას სრულიად ვერ შესძლებს, ხოლო იმ ადამიანებს, რომელთაც ეს ნათელხილვა აღმოაჩნდებათ, გიჟებად ჩათვლიან და საგიჟეთებში დაამწყვდევენ — იმათთან ერთად, რომლებიც თავიანთ სამშვინველებს მართლაც არეულად ავითარებენ. ანუ ამ ხანამ შეიძლება სრულიად უკვალოდ ჩაუაროს ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე გაისმის მოწოდება, როგორც უწინ ქრისტეს წინამორბედი იოანე ნათლისმცემლისა და თვით ქრისტესი: მოახლოვდა ახალი ხანა, ხანა, როდესაც ადამიანთა სამშვინველებმა ცათა სასუფეველში უნდა შეაბიჯონ!

ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ ადამიანების გაგების გარეშე ამ დიადმა მოვლენამ შეუმჩნევლად ჩაიაროს. თუ 1930-1940 წლები მატერიალისტების ტრიუმფი იქნება და ისინი იტყვიან: დიახ, მართალია გამოჩნდნენ ვიღაც გიჟები, მაგრამ შეპირებული დიდი მოვლენები არ მომხდარა, — ეს სრულიადაც არ ჩაითვლება ზემოთქმულის საწინააღმდეგო საბუთად. თუ ისინი გაიმარჯვებენ და კაცობრიობა ამ მოვლენებს გვერდს აუვლის, ეს დიდი უბედურება იქნება კაცობრიობისთვის. თუნდაც ადამიანებმა ვერ შესძლონ ამ დიადი მოვლენის შემჩნევა, იგი მაინც მოხდება.

ეს დიადი მოვლენა იმაშ მდგომარეობს, რომ ადამიანებს შეეძლებათ ეთერულის აღქმის უნარის ხელახლა მოპოვება, თავიდან ადამიანების განსაზღვრულ რაოდენობას, შემდეგ კი მათ თანდათანობით სხვებიც შეემატებიან, რადგანაც ამ უნარის უფრო და უფრო განსავითარებლად კაცობრიობას 2500 წელიწადი აქვს ვადად მიცემული. ამ დროის მანძილზე ადამიანებმა ეს შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაუშვან. საპირისპირო შემთხვევაში ეს დიდი უბედურება იქნება, რადგან მაშინ ადამიანები დიდხანს უნდა ელოდონ ამ დაკარგული შესაძლებლობის განმეორებას. ამ უნარის საშუალებით ადამიანებს თავიანთ გარემოში ექნებათ ეთერულის ისეთი აღქმა, რაც აქამდე არ გააჩნდათ. დღეს ადამიანის მხოლოდ ფიზიკურ სხეულს ხედავთ, მაშინ კი გექნებათ უნარი ეთერული სხეული ბუნდოვან ხატებად მაინც დაინახოთ და ეთერულთან

დაკავშირებული ღრმა მოვლენებიც განიცადოთ. თქვენ შეგეძლებათ სულიერი სამყაროს მოვლენების ხატებებად და წინათგრძნობებად განცდა, ხოლო სამი-ოთხი დღის შემდეგ ამ მოვლენების ფიზიკურ პლანზე განხორციელების განცდა. ეთერული ხატებების სახით თქვენ დაინახავთ გარკვეულ საგნებსა თუ მოვლენებს და გეცოდინებათ: ხვალ ან რამდენიმე დღეში ესა თუ ის მოხდება.

ასე გარდაიქმნება ადამიანთა მშვინვიერი უნარები. მისაწვდომი გახდება ის, რასაც შეგვიძლია ეთერულის ხედვა ვუწოდოთ. და რა შედეგი მოჰყვება ამას?

არსება, რომელსაც ჩვენ ქრისტეს ვუწოდებთ, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ერთხელ ხორციელ ადამიანად უკვე მოევლინა დედამიწას. იმგვარი სხეულით იგი უკვე აღარ მოვა, ეს განუმეორებელი მოვლენა იყო. მაგრამ აღნიშნულ დროში ქრისტე კვლავ მოგვევლინება, ამჯერად ეთერულ სხეულში. ადამიანები ეთერულამდე ამაღლების საშუალებით ქრისტეს აღქმას ისწავლიან, რადგან იგი ახლა არა ფიზიკურამდე, არამედ მხოლოდ ეთერულ სხეულამდე ჩამოვა. მაშასადამე ადამიანებმა ქრისტეს აღქმას უნდა მიაღწიონ. ქრისტემ თქვა ჭეშმარიტება: «მე თქვენთან ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა». იგი აქაა, ჩვენს სულიერ სამყაროში, და განსაკუთრებულად მადლცხებულებს ყოველთვის შეუძლიათ სულიერ-ეთერულ სამყაროში მისი აღქმა.

ის, ვისი რწმენად ასეთი აღქმის საშუალებით განსაკუთრებით განმტკიცდა, იყო პავლე — დამასკოს გზაზე ქრისტეს გამოცხადებისას. მაგრამ ბუნებრივ უნარად ეს ეთერული ხედვა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებს განუვითარდებათ. დამასკოს მსგავსი მოვლენა, პავლეს განცდა მომავალში შეიძლება სულ უფრო და უფრო გახშირდეს.

ასე რომ სულისმეცნიერება სულ სხვა მნიშვნელობითაც უნდა გავიგოთ. მისი შესწავლა ჩვენს თავზე უდიდესი პასუხისმგებლობის აღებასაც ნიშნავს, რადგანაც იგი სრულიად კონკრეტული მოვლენისთვის, ქრისტეს მეორედ გამოცხადებისთვის გვამზადებს. ქრისტე მეორედ გამოგვეცხადება იმიტომ, რომ ადამიანები ეთერულამდე ამაღლდებიან. თუ ამას გავაცნობიერებთ, მივხვდებით, რომ სულისმეცნიერება ადამიანებს ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის ამზადებს, რათა უბედურება არ მოხდეს და ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა შეუმჩნეველი არ დარჩეს. სულისმეცნიერება ხელს უწყობს ადამიანების მომწიფებას იმ დიადი წამის შესაცნობად, რასაც ქრისტეს მეორედ მოსვლა შეიძლება ვუწოდოთ. ადამიანს ექნება ეთერული სხეულების დანახვის უნარი, და ამ ეთერულ სხეულებს შორის მას ქრისტეს ეთერული სხეულის დანახვის უნარიც ექნება. რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ამაღლდება იმ სამყარომდე, სადაც იგი თავისი ახლადგამოღვიძებული უნარების საშუალებით ქრისტეს გამოცხადებას იხილავს.

მაშინ ქრისტეს არსებობის დასამტკიცებლად სრულიად ზედმეტი იქნება რაღაც საბუთების ძებნა, რადგანაც იარსებებენ ცოცხალი ქრისტეს თვითმხილველები, ისინი, ვინც მას ეთერულ სხეულში შეხვდებიან. და ამ განცდის მეშვეობით ეს ადამიანები გაიგებენ, რომ ეთერულში განცდილი არსება და ის, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვის დასაწყისში გოლგოთის მისტერია აღასრულა,

ერთი და იგივე არსებაა, რომ იგია ქრისტე. ისევე, რგოორც პავლე დარწმუნდა დამასკოს გზაზე: ეს არის ქრისტე, — ამგვარად დარწმუნდებიან ეთერულის განმცდელი ადამიანებიც, რომ ქრისტე ჭეშმარიტად ცოცხალია.

ეს არის ჩვენი დროის უდიდესი საიდუმლოება: ქრისტეს მეორედ მოსვლის საიდუმლოება, და ეს არის მისი ჭეშმარიტი ფორმა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ წლებშიც კიდევ ხშირად გავიმეორებთ იმას, რასაც ახლა ვამბობთ, რაზეც მიუთითებს ყველა ჭეშმარიტი სულიერი შემეცნება ამ ხანებში, მიუხედვად ამისა მატერიალისტური გაგება ამ მოვლენას გარკვეული თვალსაზრისით მაინც მიისაკუთრებს; მატერიალისტური გაგება დღეს ყველაფერს აფუჭებს, და ამიტომაც იგი ვერ შეძლებს წარმოიდგინოს, რომ ადამიანთა სამშვინველები ეთერულ ხედვამდე ამაღლდებიან და ამით ეთერული სხეულით მოსულ ქრისტემდე.

მატერიალისტური გაგება ამ მოვლენას სხვანაირად წარმოიდგენს, მას ეგონება, რომ ქრისტე ისევ ხორციელად განსხეულდება. იარსებებენ რაღაც რაოდენობის უსაზღვროდ ამპარტავანი ადამიანები, რომლებიც ამით ისარგებლებენ და ადამიანებს მეორედ განსხეულებულ ქრისტედ წარუდგებიან. ასე რომ, მომავალში შეიძლება ცრუ ქრისტეები მომრავლდნენ. მაგრამ ანთროპოსოფები უნდა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც სულიერად იმდენად მომწიფებულნი იქნებიან, რომ ერთმანეთში არ აერევათ სულიერ სხეულში ქრისტეს მეორედ მოსვლა, რომლის აღქმაც მხოლოდ სულიერ ხედვას შეუძლია, იგივე მეორედ მოსვლასთან, ოღონდ მატერიალურ სხეულში. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე საშინელი იმ ცდუნებათაგან, რაც კაცობრიობას ელოდება. იმ ადამიანების ამოცანა, რომლებიც სულის შემეცნებას სულისმეცნიერების საშუალებით ისწავლიან, და რომლებსაც მატერიაში სულის ჩამოყვანა კი არა, არამედ თავისი თავის სულიერ სამყარომდე ამაღლება ენდომებათ, ასეთი ადამიანების ამოცანა იქნება დაეხმარნონ კაცობრიობას ამ ცდუნების დაძლევაში. ამიტომაც დღეს უფლება გვაქვს, ვისაუბროთ ქრისტეს მეორედ მოსვლაზე და იმაზე, რომ ეთერული ხედვის უნარის მოპოვების საშუალებით ქრისტემდე, სულიერ სამყარომდე ამაღლება შეგვიძლია.

ქრისტე ყოველთვის აქ არის, მაგრამ იგი სულიერ სამყაროშია. და თუ ამ სამყარომდე ავმაღლდებით, მასთან შეხვედრას შევძლებთ, მთელი ანთროპოსოფიული სწავლება ჩვენში უნდა გარდაიქმნას ერთ ძლიერ სურვილად: რომ ამ მოვლენამ კაცობრიობას უკვალოდ არ ჩაუაროს, რომ ვადად მოცემული დროის მანძილზე კაცობრიობამ იმდენად შესძლოს მომწიფება, რომ ეს ახალი უნარი თავის თავში განავითაროს და მისი საშალებით კვლავ დაუკავშირდეს ქრისტეს. ეს იმიტომ, რომ საპირისპირო შემთხვევაში კაცობრიობად დიდხანს, ძალიან დიდხანს მოუწევს ლოდინი, რომ მსგავსი შესაძლებლობა კვლავ მიეცეს, და მას მოუწევს ხანგრძლივი ლოდინი დედამიწის ახალ განსხეულებამდე. თუ კაცობრიობა ქრისტეს მეორეს მოსვლას უყურადღებოდ ჩაუვლის, მაშინ ქრისტეს ეთერულ სხეულში ჭვრეტა მხოლოდ იმ ადანიანების რიცხვით იქნება შემოსაზღვრული, რომლებიც ეზოთერულ თვითაღზრდის შედეგად ამ განცდამდე ამაღლებას მოინდომებენ. მაგრამ ის უდიდესი რამ, რომ ამ უნარის მოპოვება და ამ

უდიდესი მოვლენის გაცნობიერება ყველა ადამიანში ბუნებრივად განვითარებული უნარის საშუალებით მთელს კაცობრიობად, ყველა ადამიანს შეეძლება, დიდხანს, დიდხანს დარჩება აუხდენელი.

ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვეობას ახასიათებს ისეთი რამ, რაც ამქვეყნად სულისმეცნიერების არსებობასა და მოქმედებას ამართლებს. მისი ამოცანა არაა მხოლოდ თეორიული მოთხოვნილებების, მეცნიერული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება. ადამიანების მომზადება ამ მოვლენისთვის იმგვარად, რომ მათ შეძლონ მართებულად მოეკიდონ თავის თანამედროვეობას, გაგებასა და შემეცნების წმინდა სინათლეში დაინახონ, ის, რაც სინამდვილეში ხდება, მაგრამ რამაც შეიძლება უნაყოფოდ ჩაიაროს ადამიანებისთვის, — აი ესაა სულისმეცნიერების ამოცანა!

ქრისტეს გამოცხადების შეცნობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს იმიტომ, რომ მისგან სხვა მოვლენები გამომდინარეობენ, ისევე როგორც ქრისტეს გამოცხადებამ გამოიწვია სხვა მოვლენები პალესტინაში. ასე მაგალითად, ჩვენ მიერ დახასიათებულ ხანაში, მას შემდეგ, რაც იგი ეთერულ სხეულში კაცობრიობას კვლავ გამოეცხადება, ისინი, ვინც უწინ მის მოსვლას წინასწარმეტყველებდა, ამჯერად მისი მიმდევარნი იქნებიან. ადამიანები, ვინც ქრისტეს მეორედ მოსვლის განცდას შესძლებენ, ახალ სახეებში დაინახავენ და შეიცნობენ მათ, ვინც მისი პირველად მოსვლა მოამზადა. ადამიანები კვლავ შეიცნობენ იმას, რაც დედამიწაზე ცხოვრობდა, როგორც მოსე, აბრაამი და წინასწარმეტყველები. და ეცოდინებათ, რომ აბრაამი, რომელმაც როგორც ქრისტეს წინამორბედმა, მისი მოსვლა მოამზადა, მომავალში თავის თავზე აიღებს მისიას, ხელი შეუწყოს ქრისტეს საქმეებს. ამგვარად, თუ ადამიანი უახლოესი მომავლის უმნიშვნელოვანეს მოვლენას ფხიზლად შეხვდება, იგი შესძლებს გახდეს იმ ერთობის თანამონაწილე, რომელიც პატრიარქების სახით ქრისტეს გამოცხადების წინამობედი იყო. იგი მათ თავის თავს დაუკავშირებს. მთელი ის ქორო, რომელიც კაცობრიობად ფიზიკურ პლანზე ჩამოსვლაში დაეხმარა, ქრისტეს კვალდაკვალ გამოგვეცხადება, რათა ადამიანებს წინ გაუძღვეს და ისინი კვლავ დაუკავშიროს სულიერ სამყაროს.

კაცობრიობის განვითარების ადრინდელ ხანას თუ დავაკვრდებით, გარკვეული დროის მონაკვეთის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ: ამ მომენტიდან კაცობრიობა სულ უფრო და უფრო ღრმად ჩამოდიოდა სულიერი სამყაროს ერთობიდან მატერიალურ სამყაროში. მართალია, წინამდებარე ხატებას თავისი მატერიალური მხარეც აქვს, მაგრამ მაინც შეგვიძლია მისი გამოყენება: წინათ ადამიანი სულიერი არსებების ამხანაგი იყო, მისი სული სულიერ სამყაროში იმყოფებოდა. იმის გამო, რომ იგი სულიერ სამყაროში ცხოვრობდა, ადამიანი ღვთაებათა ძე იყო. ხოლო ის, რაც სამშვინველის სახით ისევ და ისევ ჩამოდიოდა განსხეულებებში, თანდათანობით მზარდ მონაწილეობას იღებდა გარეგანი სამყაროს ყოფაში. ადამიანებში მცხოვრები ღვთაებების ძეთ მოეწონათ მიწის ასულები, ანუ სამშვინველები, რომლებიც ფიზიკურ სამყაროსთან სიმპათიით იყვნენ დაკავშირებულნი. სხვანაირად რომ ვთქვათ: უწინ ღვთაებრივი

სულიერებით განმსჭვალული ადამიანის სული იმ ხანებში გრძნობად ფიზიკურში ჩამოვიდა, იგი იმ გონის მეუღლე გახდა, რომელიც ტვინზეა მიჯაჭვული და რომელიც მასაც გრძნობად სამყაროზე აჯაჭვავს. ახლა კი მოვიდა დრო, რომ მან უკან დასაბრუნებელი გზა იპოვოს და კვლავ ღვთაებათა ძე გახდეს. ძე კაცისა, როგორადაც იგი იქცა, დასაღუპავადაა განწირული აქ ქვემოთ, ფიზიკურ სამყაროში, თუ ვერ მოახერხებს სულიერ არსებებამდე, სულიერ სინათლემდე კვლავ ამაღლებას, თუკი მას მომავალში ღვთაებათა ასულები არ მიიზიდავს. კაცობრიობის განვითარებისთვის აუცილებელი იყო ის, რომ ღვთაებათა ძენი მიწის ასულებს დაკავშირებოდნენ, ანუ დაკავშირებოდნენ სამშვინველებს, რომლებიც დედამიწას არიან მიჯაჭვულები. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ ადამიანს, როგორც ძე კაცისას ფიზიკურ პლანზე ბატონობა შესძლებოდა. მაგრამ მომავლის ადამიანისთვის აუცილებელია, რომ მან, როგორც ძე კაცისამ, ღვთაებების ასულებთან შეუღლება მოისურვოს, მოისურვოს შეუღლება სიბრძნის ღვთაებრივ-სულიერ სინათლესთან, რათა ამ კავშირმა მას შესაძლებლობა მისცეს კვლავ ამაღლდეს სულიერ სამყარომდე.

ღვთაებრივი სიბრძნე გააღვიძებს ნებას, რის მძლავრ იმპულსადაც მოგვევლინება ის, რომ ამისთვის მომზადებულ ადამიანებს შეეძლებათ იესო ქრისტეს აღქმა ეთერულ სხეულში. ბუნებრივად განვითარებული ნათელხილვის უნარის მქონე ადამიანებისთვის ქრისტეს მეორედ მოსვლა ხილული იქნება იმგვარადვე როგორც პავლემ იხილა ეთერული ქრისტე სულიერ არსებად. იგი კვლავ გამოეცხადება ადამიანებს, თუ მათ ეცოდინებათ, როგორ გამოიყენონ ამისთვის ის ახალი უნარები, რომლებსაც ისინი ადამიანური სამშვინველების მომავალი განვითარებისას მოიპოვებენ.

ამიტომ, სულისმეცნიერებას მხოლოდ ჩვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად კი ნუ შევისწავლით, არამედ მივიღოთ იგი როგორც მომზადება იმ უდიდესი ამოცანისთვის, ადამიანთა მოდგმის იმ უდიდესი მისიებისთვის, რომელთაც ჩვენ სულ უფრო მეტად და მეტად უნდა შევეზიაროთ.

კარლსრუე, 25 იანვარი, 1910 г.

რუდოლფ შტაინერი

ქრისტე გოლგოთას მისტერიის დროს და ქრისტე XX საუკუნეში[1]

«განკითხვის დღე», ტრიპტიქის ნაწილი. მხატვარი ჰანს მემლინგი. გდანსკის ეროვნული მუზეუმი (იესო ქრისტეს ქვემოთ დგას მიქაელ მთავარანგელოზი სასწორით ხელში).

[1] გიორგი ნიშნიანიძის თარგმანი.

კაცობრიობის მთელი მისტერიებიდან გოლგოთას მისტერიის გაგება ყველაზე რთულია. იგი მათთვისაც რთულია, ვინც გარკვეულ საფეხურს მიაღწია ოკულტურ განვითარებაში. ყველა ჭეშმარიტებიდან, რომელსაც ადამიანი ეხება, სწორედ ეს ჭეშმარიტება შეიძლება ძალზე იოლად იქნას არასათანადოდ გაგებული. მისი ასეთი სირთულე გაპირობებულია იმით, რომ გოლგოთას მისტერია ერთადერთი მოვლენა იყო დედამიწის მთელს ევოლუციაში და იგი გახლდათ ის უდიდესი იმპულსი კაცობრიობის ევოლუციისათვის, რომელიც ადამიანის განვითარების მანძილზე მანამდე არასოდეს არსებულა და მომავალშიც მსგავსი სახით აღარასოდეს განმეორდება.

კაცობრიობა შედარებისათვის ყოველთვის ეძებს გარკვეულ საზომსა და ნიმუშს, რათა მისი დახმარებით გაიგოს საგნის არსი, ჩასწვდეს მოვლენათა ვითარებას; მაგრამ თავისი ერთადერთობის გამო, რაც შედარების მიღმა დგას და რისი გაზომვაც შეუძლებელია, გოლგოთას მისტერიის გაგებაც, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია.

ახლა ჩვენ თეოსოფიური მოძრაობის ცენტრში გვიხდება მუშაობა და ვცდილობთ, გოლგოთას მისტერია სხვადასხვა კუთხით განვიხილოთ.

მაგრამ განუწყვეტლივ შეიძლება სულ ახალი და ახალი ასპექტების წარმოზიდვა და ასევე განუწყვეტლივ სულ ახალი და ახალი შტრიხები შეიძლება დაემატოს ამ უდიდესი მოვლენის დახასიათებას, ყველაზე დიდი მნიშვნელობა რომ ენიჭება დედამიწის ევოლუციისათვის.

დღეს მისი გაგების ერთ თვალსაზრისზე ვილაპარაკებთ და აქ განსაკუთრებული ყურადღება იმას უნდა დაეთმოს, რომ ჩვენს დროში, კაცობრიობის ჩვენეულ, ახლანდელ ციკლში გოლგოთას მისტერია შეიძლება გარკვეულწილად განახლებულად, აღორძინებულად წარმოჩინდეს.

უკეთუ გოლგოთას მისტერიის ნამდვილ გაგებას ვესწრაფვით, მაშინ არ შეიძლება იგი განხილულ იქნას კაცობრიობის მთელი ევოლუციიდან გამოყოფილ მოვლენად, რომელიც მხოლოდ 3 თუ 30 წლის მონაკვეთით უნდა შემოიფარგლოს; უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ იგი მე-4 პოსტატლანტიკურ ეპოქაში მოხდა, ე.წ. ბერძნულ-ლათინურ კულტურაში; აქვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტიც, რომ გოლგოთას მისტერია ძველი ებრაელი ხალხის თანდათანობითი განვითარებით მზადდებოდა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმას, რომ გოლგოთას მისტერიას კაცობრიობისათვის, სახელდობრ, მე-4 პოსტატლანტიკურ ეპოქაში მოხდა, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ფაქტიდანაც გამოსჭვივის, რომ მას თანდათანობით ამზადებდა ძველი ებრაული კულტურა, სახელდობრ, იეჰოვას კულტი. ამ შემთხვევაში უპირველესი, რაც უნდა ვიცოდეთ, გახლავთ შემდეგი: ვინ იყო ის არსება, რომელმაც ძველ-ებრაული ეპოქის დროს თავისი თავი იაჰვედ ანუ იეჰოვად გააცხადა?

ჩვენი დროის ადამიანი უპირატესად თავისიგონებითა და შემეცნების შესაძლებლობებით გამოირჩევა. იგი ის არსებაა, რომელმაც ინტელექტი განავითარა და რომელსაც საგანთა წვდომა სწორედ ინტელექტუალური

თვალსაზრისით ძალუძს. მაგრამ რაწამს ადამიანი იმ ზღურბლს გადასცდება, რომელიც გრძნობად სამყაროს ზეგრძნობადისა განჰყოფს, მაშინვე წყდება სინამდვილის მხოლოდ ინტელექტზე დამყარებული მისეული წვდომა. ადამიანის ინტელექტს მარტოოდენ დედამიწაზე ხელეწიფება კარგი სამსახურის გაწევა, თუმცა, როცა ადამიანი ზესფეროში გადადის, ინტელექტი შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტად ჩაითვალოს, მაგრამ ახალ ცოდნას ვეღარ შესძენს.

ინტელექტს უფრო სხვაობათა დაფიქსირება ეხერხებადა საგანთა წვდომისათვის იგი გარკვეულ განსაზღვრებებს საჭიროებს, ვინც ხშირად ესწრება ჩემს ლექციებს, კარგად მოეხსენებათ, რომ ამ ლექციებში თითქმის სრულიად უგულებელყოფილია განსაზღვრებები, დეფინიციები. რეალურობის შემეცნება განსაზღვრებათა მეშვეობით არ ხორციელდება.რა თქმა უნდა, არსებობს კარგი და ცუდი განსაზღვრებები — ერთნი დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, მეორენი — არა. მაგრამ უკეთუ ადამიანს რეალობის, უპირატესად კი ზეგრძნობადი რეალობის შემეცნება სურს, ისიც უნდა მოეხსენებოდეს, რომ შეუძლებელია მათი განსაზღვრა; აქ საჭიროა დახასიათებები; აუცილებელია ფაქტებსა და მოვლენებზე ყოველი კუთხიდან დაკვირვება.

განსაზღვრება ყოველთვის ცალმხრივია და იმ გაწამაწიას მოგვაგონებს, როცა ძველ საბერძნეთში, (ვისაც ანტიკური ლოგიკა უსწავლია) ერთ დროს თავს იმტვრევდნენ როგორმე განესაზღვრათ, რა არის ადამიანი. ადამიანის იდეის გამოსახატავად ასეთი განსაზღვრება წამოაყენეს: «ადამიანი ორფეხა უფრთო არსებაა». მეორე დღეს ვიღაცამ გაპუტული ქათამი მოიყვანა და განაცხადა: აი, თქვენი ორფეხა უფრთო არსება, ეს არის ადამიანიო? ამ ამბავს ხშირად მაშინ იხსენებენ, როცა სურთ ფილოსოფიურად რთული და მრავალმხრივი რამ განსაზღვრონ, მაგრამ არასაკმარისია თვითონ განსაზღვრა და საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ დახასიათებებს საჭიროებს. მიუხედავად ამისა, ადამიანები რეალურ არსებათა ზეფილოსოფიურ არსთა განსასხვავებლად აუცილებლად გარკვეულ განსაზღვრებას საჭიროებენ. რას წარმოდგენს სახელდობრ ეს არსება? კითხულობენ ისინი. მაგრამ ზეგრძნობად სამყაროებში, რაც უფრო ღრმად ვერკვევით, აღმოჩნდება, რომ არსნი უფრო მრავალმხრივად არიან ერთმანეთზე გადაწნულ-გადახლართულნი და მათეულ კავშირებს საზღვრები არ აქვთ; ასე რომ, უდიდეს სირთულეს წარმოადგენს მათი რაიმე კუთხით გამოცალკევება.

უპირველეს ყოვლისა, იაჰვეს ანუ იეჰოვას სახელის განსახილველად გათვალისწინებული უნდა იქნას მთელი ევოლუცია, განსაკუთრებით, როცა ამ სახელს ქრისტეს სახელს ვუსადაგებთ. ახალ აღთქმაში ნათქვამია, და ჩემს წიგნებშიც ხშირად აღმინიშნავს, რომ ქრისტემ თავისი თავი იაჰვეში განაცხადა გოლგოთას მისტერიამდე.

იეჰოვასა და ქრისტეს ურთიერთშედარება რომ მოვახდინოთ, ამისათვის ყველაზე კარგი იქნება მზის ნათელი და მთვარის ნათელი წარმოვიდგინოთ. მართლაც, რა არის მზის ნათელი და რა არის მთვარის ნათელი? ისინი თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ ამავე დროს ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მზის ნათელი მზიდან მოედინება, ხოლო მთვარის ნათელი იგივე მზის ნათელია,

ოღონდ მთვარეზე არეკლილი. ასევეა ქრისტეცდა იეჰოვაც. ქრისტე მზის ნათელია, იეჰოვა კი თითქოს ქრისტეს ანარეკლია, რამდენადაც მან დედამიწას თავისი თავი გოლგოთას მისტერიამდე იეჰოვას სახელით განუცხადა. და მაინც, რაკი საკითხი ისეთ მაღალ არსს ეხება, როგორიც იეჰოვა-ქრისტეა, მისი რეალური მნიშვნელობა უთუოდ ზეგრძნობადი სამყაროს უმაღლეს სფეროებში უნდა ვეძებოთ. ჩვენი მცდელობა — ჩვეულებრივი მსჯელობით მივეახლოთ ისეთ არსს, როგორც იეჰოვა-ქრისტეა — უფრო პატივმოყვარეობას ჰგავს.

ძველი ებრაელები მისკენ მიმავალ გზას სირთულის გარეთ ეძიებდნენ.

ადამიანის აზროვნების ძალა სუსტია, მაგრამ მისი მეოხებით შეიძლება გამოიკვეთოს იდეა ამ მაღალ არსზე. ყურადღება უშუალოდ არა იეჰოვასაკენ იყო მიმართული(მისი სახელის ხსენებაც შეუძლებლად მიაჩნდათ), არამედ იმ არსებისაკენ, რომელიც დასავლურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც მიქელ(მიხეილი). რა თქმა უნდა, ამ კონსტანტაციაში გაუგებრობის დიდი საშიშროებაც მოიძევება, მაგრამ ეს ასე გახლდათ, შეიძლება გვითხრან, ეს ქრისტიანთა ცდომილებას იწვევსო; სხვანი არც მოისურვებენ ამ ფაქტის ოდნავად მაინც ყურად ღებას, მაგრამ ის არსება, რომელსაც მიქელს ვუწოდებთ და რომელიც მთავარანგელოზთა იერარქიას განეკუთვნება, აუცილებლად უნდა არსებობდეს. სხვებიც ბევრი არიან, იმავე საფეხურზე რომ დგანან, მაგრამ იგი განსაკუთრებული არსებაა, რომელსაც ეზოტერულად ეწოდება მიქელ და რომელიც ისე აღემატება თავის ძმებს, როგორც მზე — პლანეტებს.

მიქელი ყველაზე ძლიერი, ყველაზე მნიშვნელოვანი არსებაა მთავარანგელოზთა იერარქიიდან. ძველებმა მას ღვთის სახე უწოდეს. როგორც თავის თავს ადამიანი ხელის მოძრაობასა და სახის მეტყველებაში განაცხადებს, ასევე მიქელის წყალობით შეიმეცნებოდა იეჰოვაც. იეჰოვა იმგვარად ევლინებოდა ხელდასხმულს, ეს უკანასკნელი მთელი თავისი არსებით გრძნობდა, რომ მიქაელი მისი სახე იყო. ძველი ებრაელები მიქელ-იეჰოვაზე ასე ამბობდნენ: იეჰოვა მიუწვდომელია, მას ვერ შეეხები, ისე როგორც მწუხარებისა და ტანჯვის მიზეზს ადამიანის გამომეტყველებით ვერ ჩასწვდები. მიქელი იაჰვეს ანუ იეჰოვას გარე გამოხატულებაა, ისე ვითარცა «მე»-ს გამოვლინებას ადამიანის შუბლით ან პირისახით გრძნობენ.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იეჰოვაერთ-ერთი მთავარანგელოზთაგანის, მიქელის, სახით ცხადდებოდა. ძველი ებრაელებისათვის იეჰოვას შემეცნება დაფარული არ გახლდათ, მოძღვრება მის შესახებ ფართოდ ისწავლებოდა.და, როცა ჩვენს ერამდე, უკანასკნელ ხუთ საუკუნეს მიმოვიხილავთ, ყოველთვის იგი ცხადდება მიქელის სახით.

იგივე გამოცხადებას, ოღონდ სხვა ფორმით, პლატონთან, სოკრატესა და არისტოტელთანაც — მთელს ბერძნულ ფილოსოფიასა და ძველბერძნულ ტრაგედიაშიც ვხვდებით მთელი ხუთი საუკუნის მანძილზე გოლგოთას მისტერიამდე.

უკეთუ ოკულტურის შემეცნების წყალობით განვჭვრეტთ თუ რა ხდებოდა იმ დროს, აღმოვაჩენთ, რომ ქრისტე-იეჰოვა ის არსია, რომელიც ადამიანს მთელს

ევოლუციაში თან სდევს. მაგრამ ქრისტე-იეჰოვა ეპოქათა უწყვეტ ციკლში სხვა არსებათა სახით ცხადდებოდა, რომლებიც მთავარანგელოზთა იერარქიას განეკუთვნებოდნენ. ეს არსი სხვადასხვა სახეს იღებდა კაცობრიობის წინაშე საუკუნეთა წიაღ. ამრიგად, ქრისტე-იეჰოვასა და კაცობრიობას შორის მოციქულად სხვადასხვა არსებები ირჩეოდა მთავარანგელოზთა იერარქიიდან, და ადამიანს გარკვეული იდეები და კონცეფციები, გრძნობათა იმპულსები და სხვა მათი სახით ეცხადებოდა. ჩვენ შეგვიძლია ეპოქა, რომელიც გოლგოთას მისტერიას წინ უსწრებდა, მიქელის ეპოქად მოვიხილოთ და დავინახავთ, რომ იგი იეჰოვას მოციქულია.

გოლგოთას მისტერიის წინარე დროს, რომელიც5 საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და რომელსაც კაცობრიობა ცივილიზაციისკენ მიჰყავდა, მიქელ მთავარანგელოზის ბეჭედი აზის. თავისი ძალმოსილებითა და ურყევი სიმტკიცით კაცობრიობაში მან დაამკვიდრა ის, რაც ამ დროისათვის უნდა გამოცხადებულიყო. იგი მთავარანგელოზთა იერარქიიდან სხვა სულებმა შეცვალეს, რომლებიც ზესფეროებიდან ასევე შთაგონებით მსჭვალავდნენ კაცობრიობას.

მიქელი იყო მათგან ყველაზე დიდი, უძლიერესი და მნიშვნელოვანი. ასე რომ, მიქელის ეპოქა ყოველთვის ყველაზე მრავლისმეტყველი, ან ერთ-ერთი გამორჩეულად მნიშვნელოვანი ეპოქაა კაცობრიობის ევოლუციაში. მას დანარჩენ მთავარანგელოზთა ეპოქები იმეორებენ და დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ საუკუნეს მთავარანგელოზები ანიჭებენ ძირითად ხასიათს. ისინი უპირატესად ერების წინამძღოლები გახლავან, მაგრამ რამდენადაც ისინი ეპოქათა წინამძღოლებიც არიან, ამდენად მთავარანგელოზები, გარკვეული თვალსაზრისით, მთელი კაცობრიობის წინამძღოლებად გვევლინებიან.

უკეთუ მიქელ მთავარანგელოზს ევოლუციის ჩვენეული ციკლის გადასახედიდან შევხედავთ, რაღაც სხვაობასაც აღმოვაჩენთ; თვითონ მიქელმაც გაიარა გარკვეული ევოლუცია და სწორედ ამას ენიჭება დიდი მნიშვნელობა: ოკულტური შემეცნების თანახმად, უკვე რამოდენიმე ათწლეულია, რაც ჩვენ იმ ეპოქაში შევედით, რომელსაც წარმართავს ის არსება, გოლგოთას მისტერიის ეპოქას რომ შთააგონებდა. დიახ, მე-19 საუკუნის ბოლოდან, 1879 წლიდან, მიქელ მთავარანგელოზი ჩვენი დროის წინამძღოლად უნდა მივიჩნიოთ.

ეს რომ უკეთ გავითავისოთ, გოლგოთას მისტერიას სხვა კუთხითაც უნდა შევხედოთ: რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მისტერიაში? ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ იმ არსებამ, რომელსაც ქრისტე ეწოდება, ამ დროს გოლგოთას მისტერია და სიკვდილის კარიბჭე განვლო. დედამიწის მთელი ევოლუციის მანძილზე ვერ ვილაპარაკებდით გოლგოთას მისტერიაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებდით ამ მისტერიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს — ქრისტეს მიერ სიკვდილის კარიბჭის გავლას.

აქ აუცილებელია, გარკვეული თვალსაზრისით ბუნების კანონებს შევხედოთ. ბევრ მათგანს, შეიძლება ითქვას, უკვე ვიცნობთ და ბევრიც დედამიწის შემდგომი ევოლუციის მანძილზე გამოაშკარავდება ჩვენი შემეცნების წყალობით. მაგრამ მეოცნებენი ვიქნებოდით, უკეთუ არ ვაღიარებდით, რომ წვდომა სიცოცხლისა,

რასაც იგი იდეალში წარმოადგენს, შესაძლებელია მხოლოდ განვითარების წყალობით და არა ბუნების კანონთა შემეცნებით. რა თქმა უნდა, დღეს დიდია მეოცნებეთა რიცხვი, რომელთაც სწამთ, რომ მეცნიერული შემეცნების გზით თანდათანობით სიცოცხლის პრინციპიც გაირკვევა. მაგრამ ეს დრო არასოდეს არ დადგება. დედამიწის ევოლუციის მანძილზე გრძნობათა მეოხებით ბევრ კანონს აღმოაჩენენ, მაგრამ ფიზიკურ სამყაროში სიცოცხლის პრინციპი არასოდეს არ გაცხადდება; მისი წვდომა მხოლოდ ოკულტური ცოდნის წყალობით ხდება შესაძლებელი.

ამრიგად, სიცოცხლე დედამიწაზე შემეცნებისათვის მიუწვდომელია, და რამდენადაც სიცოცხლე ადამიანური ცოდნის მიღმაა, იმდენადვე გაუგებარი რჩება სიკვდილიც, რომლის წვდომაც ასევე მხოლოდ ზეგრძნობად სფეროებში ხორციელდება. სიკვდილი ზეგრძნობადი სამყაროს არც ერთ სფეროში არ არსებობს; გარდაცვალება მხოლოდ ფიზიკურ სამყაროში, დედამიწაზე, ანდა დედამიწის განვითარების დონეზე მდგარ პლანეტებზეა შესაძლებელი; და არცერთმა არსებამ, ვინც იერარქიულად კაცობრიობაზე მაღლა დგას, არ იცის რაა სიკვდილი; მათ მხოლოდ ცნობიერების განსხვავებული მდგომარეობები იციან.

მათი ცნობიერება გარკვეული დროით შეიძლება იმდენად დაქვეითდეს, რომ ჩვეულებრივი ძილის ცნობიერებას დაემსგავსოს, მაგრამ ასეთი ცნობიერებიდან გამოღვიძება იოლია. სულიერ სამყაროში სიკვდილი არ არსებობს, იქ მხოლოდ ცნობიერების ცვლაა. მიცვალებულები, რომლებიც უკვე სულიერ სამყაროში ამაღლდნენ, აღარ განიცდიან იმ უდიდეს შიშს, სიკვდილის შიშს, ცოცხალი ადამიანები რომ გრძნობენ. როდესაც ადამიანი სიკვდილის კარიბჭეს გადის, იგი უკიდურესად მგრძნობიარეა, მაგრამ ამ დროს მისი ცნობიერება ან მხოლოდ ბუნდოვანია, ან მხოლოდ ნათელი. დიდი შეცდომაა, როცა ფიქრობენ, რომ სულიერ სამყაროში ადამიანს ცნობიერება არ გააჩნია.

ასევე, სიკვდილი არც იმათთვის არსებობს, რომლებიც მაღალ იერარქიებს განეკუთვნებიან — ქრისტე ერთადერთი გამონაკლისია. მაგრამ სიკვდილის კარიბჭის გავლა რომ შესაძლებელი გამხდარიყო ისეთი ზეგრძნობადი არსებისათვის, ვითარცა ქრისტეა, იგი მიწაზე უნდა ჩამოსულიყო. და გოლგოთას მისტერიაში უსაზღვროდ მრავლისმეტყველია ის, რომ ქრისტე, რომელიც თავის საკუთარ მეუფებასა და სიდიადეში ვერასოდეს ვერ განიცდიდა სიკვდილს, მიწაზე ჩამოვიდა, რათა სიკვდილის კარიბჭის გავლით, ადამიანისათვის ნიშანდობლივი გამოცდილება მიეღო. და დედამიწაზე ადამიანსა და ქრისტეს შორის შინაგანი კავშირი მხოლოდ იმის წყალობით დამყარდა, რომ მისმა არსმა, მთელი კაცობრიობის საერთო ბედის შესაცნობად და გასაზიარებლად, სიკვდილის კარიბჭე განვლო. უმთავრესი მნიშვნელობა სწორედ ამ სიკვდილს ენიჭება, განსაკუთრებით ჩვენი, ახლანდელი, დედამიწისეული ევოლუციისათვის. ჩვენ ხშირად გვითქვამს, თუ რა მოხდა მაშინ დედამიწის ევოლუციისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ თავისი სიდიადით ერთადერთი არსი, რომელიც სიკვდილის კარიბჭის გაუვლელად მხოლოდ კოსმოსის კუთვნილებად დარჩებოდა, გოლგოთას მისტერიის წყალობით, ჯვარზე გარდაცვალებით,

დედამიწის ევოლუციას დაუკავშირდა — დედამიწის ევოლუციაში იგი გოლგოთას მისტერიის დროს შემოვიდა. მანამდე იგი მიწაზე არ იყო, მანამდე მხოლოდ კოსმოსს ეკუთვნოდა. სწორედ გოლგოთას მისტერიის წყალობით იგი კოსმოსიდან დაეშვა და მიწაზე დაფუძნდა, მას შემდეგ, რაც მან მიწაზე იცხოვრა, თავისი თავი ისე დაუკავშირა დედამიწას, რომ იგი დედამიწისეული კაცობრიობის საფშვინველში ცხოვრობს და ასე მონაწილეობს დედამიწის ცხოვრებაში.

მთელი გოლგოთას მისტერიამდელი დრო დედამიწის ევოლუციაში მხოლოდ მოსამზადებელი დრო იყო. გოლგოთას მისტერიამ დედამიწას აზრი შესძინა, მისი არსებობა გაამართლა.

როცა გოლგოთას მისტერია მოხდა, იესო ნაზარეველის მიწიერი სხეული დედამიწის სტიქიებს მიეცა; იმიერიდან ქრისტე სულიერ სფეროებს დაუკავშირდა და იქ მკვიდრობს.

გოლგოთას მისტერიის აღწერა ძალზე ძნელია, რადგან ჩვენ შედარება არ გაგვაჩნია, მაგრამ შევეცდებით მას გარკვეული თვალსაზრისით მივეახლოთ.

სამი წლის განმავლობაში იორდანეზე ნათლიღებიდან მოყოლებული, ქრისტე კაცთა შორის, ვითარცა ერთ-ერთი მათგანი, დედამიწაზე იესო ნაზარეველის სხეულში ცხოვრობდა. როგორ ვლინდება ქრისტე მას მერე, რაც გოლგოთას მისტერიის დროს, მან ფიზიკური სხეული დატოვა?

ქრისტეს არსება ჩვენ უნდა გავიაზროთ, ვითარცა უსაზღვროდ უზენაესი არსება. მაგრამ მიუხედავად ასეთი სიმაღლისა, მან მაინც შესძლო, იორდანეზე ნათლიღების შემდეგ, სამი წლის განმავლობაში თავი ადამიანის სხეულით გამოევლინა, საკითხავია, როგორ ვლინდება იგი მას მერე?

რა თქმა უნდა, იგი უკვე ადამიანის ფიზიკური სხეულით არ ვლინდება, რადგან ის სხეული ფიზიკურ დედამიწას მიეცა და მის ნაწილს წარმოადგენს, ვისაც ოკულტური მეცნიერების დაუფლებით ხელეწიფება განჭვრეტა, მას ეს არსება დღეს ანგელოზთა იერარქიიდან ეცხადება. როგორც იორდანეზე ნათლიღების შემდეგ სამი წლის განმავლობაში ქვეყნიერების მხსნელი ადამიანის სხეულით ვლინდებოდა (თუმცა ქრისტეს არსება ეგოდენ დიდი სიმაღლისა გახლავთ), ასევე მას მერე იგი ვლინდება როგორც ანგელოზის არსება, ანუ როგორც ადამიანის არსებაზე ერთი საფეხურით ამაღლებული სულიერი არსება... ყოველთვის ასეთად განჭვრეტენ მას ნათელმხილველები და ყოველთვის ასე უკავშირდება იგი ევოლუციას. როგორც სარწმუნოა ის, რომ იესო ნაზარეველში განსხეულებული ქრისტე ადამიანს აღემატებოდა, ასევე უტყუარია ისიც, რომ ქრისტე აღემატება ანგელოზს — იგი მისი მხოლოდ დღევანდელი გარეგნული სახეა.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ უსაზღვროდ მაღალი არსება მიწაზე ჩამოვიდა და სამი წლის განმავლობაში ადამიანის სხეულში ცხოვრობდა, შეიცავს მეორე ფაქტსაც, რომ ეს არსება თავის დღევანდელ ევოლუციაში ერთი საფეხურით ამაღლდა თავისი ნებით.

როცა ასეთი არსება ამგვარად მოქმედებს, როცა იგი ადამიანის ან ანგელოზის ფორმას იღებს, თავადაც გადის გარკვეულ ევოლუციას. ქრისტე-იეჰოვას

ევოლუციაში ამაზე მივუთითებდით, როცა ვამბობდით, რომ ქრისტემ გარკვეულ განვითარებას მიაღწია: ამიერიდან იგი ვლინდება უშუალოდ და არა როგორც ადამიანის არსება, არა როგორც ანარეკლი ანუ არეკლილი ნათელი, არა იეჰოვას სახელის ძალით.

ევოლუციაში შემოსული ყველა მოძღვრების, ყველა სიბრძნის განსხვავებულობა იქიდან იქმნება, რომ მხოლოდ მიქელის სულის მობრძანებით დედამიწაზე, მხოლოდ მისეული ინსპირაციის წყალობით, ადამიანმა შესძლო დაეწყო გოლგოთას მისტერიის მთელი მნიშვნელობის თანდათანობით წვდომა. მაგრამ მაშინ მიქელი მხოლოდ იეჰოვას, ქრისტეს არეკლილი დიდების მაცნე გახლდათ; იგი ჯერ კიდევ არ იყო თვითონ ქრისტეს მესიტყვე.

მიქელ მთავარანგელოზი კაცობრიობას მრავალი საუკუნე შთააგონებდა — განსაკუთრებით კი გოლგოთას მისტერიამდე ხუთი საუკუნის მანძილზე, როგორც ძველ მისტერიებში ამაზე პლატონი და სხვებიც მიუთითებდნენ. მაგრამ, როცა გოლგოთას მისტერია მოხდა და ქრისტე დედამიწის ევოლუციას დაუკავშირდა, მალე მიქელისგან წარმომავალი უშუალო იმპულსი შეწყდა. და იმ ძველი ძეგლების შექმნის დროს, დღეს რომ სახარებათა სახით მოგვეძევება, კაცობრიობას მიქელის ინსპირაცია აღარ მსჭვალავდა. იმ დროს კაცობრიობას მთავარანგელოზთა იერარქიიდან ერთი მისი ძმათაგანი იმგვარად ინსპირირებდა, რომ ამ შთაგონების წყალობით შეუგნებლად ბევრი ფშვინვიერი ძალა იქნა აღქმული.

თვითონ სახარების ავტორებიც ვერ წვდებოდნენ ოკულტური მონაცემების იმ სხვაობას, რომ გოლგოთას მისტერიის შემდეგ მიქელის უშუალო ინსპირაცია მალე დამთავრდა. მიქელის ძმები, სხვა მთავარანგელოზები, ისეთი ძალით ვეღარ ინსპირირებდნენ, რომ კაცობრიობას გოლგოთას მისტერიის წვდომა შესძლებოდა, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ იმდროინდელი მრავალი ქრისტიანული მოძღვრების ერთმანეთისგან განსხვავებული ინსპირაციების მიზეზი. ამ მოძღვრებებში ბევრი რამ მიქელის ძმათა მიერ იყო შთაგონებული; ისინი მიქელის უშუალო იმპულსით არ შექმნილან და მისეულ ინსპირაციასთან ისეთ მიმართებაში იმყოფებიან, როგორისაშიც პლანეტები — მზესთან.

და მხოლოდ დღეს, ჩვენს დროში, ისევ განახლდა მიქელის უშუალო ინსპირაცია, მისი მომზადებაც მე-16 საუკუნიდან დაიწყო. მთელი ამ დროის მანძილზე კაცობრიობას ინსპირირებდა მიქელის უახლოესი თანამოსაგრე მთავარანგელოზი, რომლის წყალობითაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებმა დიდ განვითარებას მიაღწიეს. თანამედროვეობის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აყვავება არა მიქელის, არამედ მისი ძმის — გაბრიელის ინსპირაციამ განაპირობა. მისეული მეცნიერული ინსპირაცია მიზნად ისახავდა ისეთი ინსტიტუტის შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მხოლოდ მატერიალური სამყაროს შემეცნებას და იგი ფიზიკურ ტვინთან იყო დაკავშირებული.

უკანასკნელი ათწლეულებიდან მეცნიერების ინსპირატორის ადგილს მიქელი იკავებს და ახლო საუკუნეებში იგი ისეთ რაღაცას დაუმკვიდრებს ქვეყნიერებას, რასაც სულიერი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დიდი

მნიშვნელობა ენიჭება, რადგან უფრო სულისმიერი და განუზომლად დიდი ღირებულებისა იქნება, ვიდრე ფიზიკური მეცნიერება, რომლის განვითარება მე-16 საუკუნიდან დაიწყო. ისე როგორც წარსულში გაბრიელ მთავარანგელოზმა ქვეყნიერებას მეცნიერება მისცა, ასე მიქაელ მთავარანგელოზიც მომავალში ჩვენ სულიერ ცოდნას დაგვიმკვიდრებს, რის დასაწყისშიც ჩვენ ახლა უკვე ვდგავართ. უკეთუ მიქაელი იყო იეჰოვას, ქრისტეს ანარეკლის მაცნე გოლგოთის მისტერიამდე 5 საუკუნის მანძილზე, რათა იმ ეპოქისათვის სათანადო ძირითადი ტონი მიენიჭებინა, უკეთუ იგი მაშინ მხოლოდ იეჰოვას მაცნე გახლდათ, ჩვენი დროისათვის მიქაელი თვითონ ქრისტეს მესიტყვედ მოგვევლინა და როგორც ძველებრაულ ეპოქაში, რომელიც გოლგოთას მისტერიის უშალო მომამზადებელი ეპოქა იყო, ძველი ებრაელი ხელდასხმულნი მიქაელს, როგორც იეჰოვას გამოვლენას მიმართავდნენ, დღეს ასე მივმართოთ ჩვენც მიქაელს, ახლა უკვე არა იეჰოვას, არამედ როგორც ქრისტეს მესიტყვეს, რათა უახლოესი საუკუნეების მანძილზე სულ უფრო და უფრო მზარდი გამოცხადება მივიღოთ, რაც სულ უფრო და უფრო ღრმად ჩაგვახედებს გოლგოთას მისტერიის საიდუმლოებაში. იგი 2000 წლის წინ მოხდა, მაგრამ ქვეყანას სხვადასხვა ქრისტიანული წყაროებით ეუწყა, ხოლო მისი მთელი სიღრმე მხოლოდ მე-20 საუკუნეში გაცხადდება, როცა მეცნიერების ნაცვლად ჩვენზე სულიერი ცოდნა გადმოვა, ვითარცა მადლი მიქაელისა, და ჩვენს გულებს განუზომელი სიღრმის სულიერი გრძნობა აღავსებს. ჩვენ საშუალება მოგვეცემა ყოველივე იმ შეგნების წყალობით განვახორციელოთ, რომელიც მომავალი უახლოესი ათწლეულების განხვნილი კარიბჭიდან მოედინება.

მიქაელს ხელეწიფება ახალი სულიერი ნათელი მოგვანიჭოს, რომელიც შეიძლება იმ გარდაქმნილ ნათლად მივიჩნიოთ, მის მიერ გოლგოთას მისტერიის დროს რომ გადმოიღვარა. ჩვენი დროის ადამიანებს ძალუძთ ამ ნათლით შეიმოსონ. თუ ყოველივე ამას ჩავწვდებით, იმ ახალი საუკუნის მნიშვნელობასაც გავიგებთ, რომელიც ჩვენს დროს იწყება და შევძლებთ სულიერი გამოცხადების იმ რიჟრაჟსაც მივწვდეთ, რაიც მიწიერი კაცობრიობის ცხოვრებაში უახლოეს საუკუნეებში გამოკიაფდება. კაცობრიობა რომ უფრო თავისუფლად მიეახლოს ყოველივე იმას, ვიდრე წინათ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი თავისუფალი ნების განვითარებით დღეს უნდა მივიღოთ ეს გამოცხადება.

ახლა კი ზეგრძნობად სამყაროებში ის ვითარება მოვიხილოთ, რამაც გოლგოთას მისტერიიდან დღემდე ეს ცვლილება გამოიწვია. როცა უკან, პირველ საუკუნეშ ვიხედებით, ვიხსენებთ, თუ რა ხშირად ჩაედინებოდა ჩვენს საფშვინველში ძალა, რაც იორდანეზე ნათლიღების დღიდან, ქრისტეს ადამიანური ფორმით, მიწაზე ჩვენთვის ხილული სახით გამოვლენამ აღძრა, ჩვენი საფშვინველი ახლა იმ აზრითაც განვმსჭვალოთ, რომ როცა ქრისტე, უკეთუ მის გარეგნულ ფორმას გვულისხმობთ, ანგელოზთა იერარქიას დაუკავშირდა, იმ დღიდან იგი უხილავად ცხოვრობს დედამიწაზე.

გავიხსენოთ, რომ უხილავ სფეროებში სიკვდილი არ არსებობს. ხოლო მიწიერი ადამიანებივით თვითონ ქრისტემაც განვლო სიკვდილის კარიბჭე. და

თუმცა იგი მას მერე სულიერი ყოფიერებით ცხოვრობს, მას მაინც შერჩა თავისი სიკვდილის მოგონება. მაგრამ როგორც ანგელოზთა იერარქიის არსებას, როგორი ფორმითაც დღეს იგი გარეგნულად ვლინდება, გამოცდილება ცნობიერების ცვალებადობით ეფარგლება.

იმის გამო, რომ დედამიწის ევოლუციისათვის მე-16 საუკუნიდან აუცილებელი გახდა მეცნიერების განვითარება და თანდათანობით მისი ტრიუმფამდე ამაღლება, დედამიწის ევოლუციაში ამასთან ერთად შემოვიდა ისეთი რაღაც, რამაც უხილავი სამყაროებისთვისაც გარკვეული მნიშვნელობა იქონია. მეცნიერების აყვავებასთან ერთად კაცობრიობაში უფრო დიდ ინტენსივობას მიაღწია მატერიალისტურმა და აგნოსტიკურმა გრძნობებმა დღეს, ვიდრე წინათ. რა თქმა უნდა, მატერიალისტური მიმდინარეობები მანამდეც არსებობდა, მაგრამ უჩვეულოდ გაიზარდა მატერიალიზმის ინტენსიურობა მე-16 საუკუნიდან. სიკვდილის კარიბჭის გავლით სულ უფრო და უფრო ბევრ ადამიანს სულიერ სამყაროში თან შეაქვს თავისი დედამიწისეული მატერიალისტური აზრებისა და შეხედულებების შედეგი. ასე რომ მე-16 საუკუნიდან, სულიერ სამყაროებში მატერიალიზმის სულ უფრო და უფრო მეტი თესლი განიბნა და გარკვეული თავისებურებით გაღივდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტე ძველ ებრაელ ხალხში მოვიდა და ამით თავის სიკვდილს ეზიარა, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს ანგელოსური არსებაა ანუ იმ დროიდან ანგელოზის სახე ქრისტეს გარეგნული ფორმაა, ამ 19 საუკუნის მანძილზე, მან მაინც განიცადა ცნობიერების გაბუნდოვანება (ერთგვარი ცხრომა), რაც იმ მატერიალისტური ძალების ზემოქმედების შედეგია, რომელმაც სულიერ სამყაროებში შეაღწია გარდაცვლილი ადამიანების მატერიალიზებული საფშვინველების ცად ამაღლების გზით. მაგრამ სულიერ სამყაროებში ამ არაცნობიერების შეღწევა მე-20 საუკუნეში გარდაისახება ქრისტეს ცნობიერების აღდგომად დედამიწაზე, ადამიანთა საფშვინველებში, მათი დაბადებიდან გარდაცვალებამდე მოცემულ დროში. ახლა უკვე შეიძლება გარკვეულწილად იმისი წინასწარი თქმაც, რომ დაკარგული ადამიანური ცნობიერება გარდულავად მოპოვებული იქნება როგორც ნათელმხილველური ხილვა და მალე სულ უფრო და უფრო მეტი არსებები შეძლებენ მიაღწიონ ეთერულ ქრისტეს, ანუ ქრისტეს ანგელოზის სახით ხილვას. კაცობრიობის ხარჯზე მოხდა ის, რასაც შეიძლება ცნობიერების ზრდა ვუწოდოთ იმ სამყაროებში, რომლებიც უშუალოდ ემიჯნება ჩვენს ადამიანურ სამყაროს. დიახ, იმ უახლოეს სამყაროებში, სადაც გოლგოთას მისტერიიდან დღევანდელ დღემდე ჩვენ ვჭვრეტთ ქრისტეს.

უნდა ითქვას, რომ გოლგოთას მისტერიის დროს პალესტინის ნაკლებადცნობილ კუთხეში კაცობრიობისათვის ყველაზე უდიდესი რამ მოხდა, რაც ოდესმე მისი არსებობის მანძილზე მომხდარა, მაგრამ მას ძალზე იშვიათად აღნიშნავენ ჩვენს დროში. მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს უკეთუ გვეტყვიან, რომ მე-20 საუკუნეში ქრისტეს წინააღმდეგობას ისინი უწევენ, ვინც მე-16 საუკუნიდან სიკვდილის კარიბჭეს გადიან.

ქრისტეს განახლებული ცნობიერება შეიძლება დაკავშირებული იქნას კაცობრიობის მიწიერ ცნობიერებასთან და ჩვენი დროიდან დაწყებული, ნაცვლად ანგელოზთა სფეროში მე-16 საუკუნიდან მოყოლებული მისეული ცნობიერების დაცხრომისა, მე-20 საუკუნეს მოაქვს აღმდგარი უშუალო ქრისტესმიერი ცნობიერება — ე.ი. ქრისტეს ცხოვრება სულ უფრო და უფრო აღიქმება ადამიანთა საფშვინველებში, როგორც უშუალო პირადი გამოცდილება.

და როგორც ძველ საუკუნეებში, მცირერიცხოვანთა ჯგუფს დროის გამოცხადებათა შეცნობა ხელეწიფებოდა და ძალუძდა გოლგოთას მისტერია განეჭვრიტა როგორც რეალიზაცია იმისა, რომ ამაღლებული უზენაესი არსება სულიერი სამყაროებიდან მიწაზე დაეშვა, რათა გაევლო სიკვდილის კარიბჭე და სიკვდილის წყალობით მისი სუბსტანცია დედამიწას შეერთებოდა, ასევე ჩვენც ხელგვეწიფება განვჭვრიტოთ ერთგვარი სულიერი სიკვდილი ანუ ცნობიერების დაბუნდოვნება, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ფიზიკურ სამყაროსთან უშუალოდ მომიჯნავე სულიერ სფეროებში და ამის კვალდაკვალ ვაღიაროთ გოლგოთას მისტერიის განახლების გარდუვალობა, რათა დედამიწაზე ადამიანთა საფშვინველებში განხორციელდეს ქრისტეს მიმცხრალი ცნობიერების აღდგომა.

გოლგოთას მისტერიიდან მოყოლებული ადამიანთაგან მრავალს შესწევდა ძალა ქრისტე ექადაგა, ხოლო მე-20 საუკუნიდან სულ უფრო და უფრო გაიზრდება იმათი რიცხვი, რომლებიც შეძლებენ სხვათა დასამოძღვრავად ახსნან ქრისტეს არსი როგორც ამას თეოსოფია გვამცნობს. ისინი ქრისტეს საკუთარი გამოცდილებიდან იქადაგებენ და გააცხადებენ.

ქრისტე ორჯერ ეცვა ჯვარს: ერთხელ ფიზიკურად — ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, დედამიწაზე; მეორედ სულიერად — მე-19 საუკუნეში, როგორც ზემოთ აღვწერეთ, შეიძლება ითქვას რომ უწინ კაცობრიობა მისი სხეულის აღდგომას განიცდიდა; მე-20 საუკუნიდან მოყოლებული იგი მისი ცნობიერების აღდგომას განიცდის.

ის, რაც მხოლოდ რამდენიმე სიტყვით მოვნიშნე, თანდათანობით ადამიანთა საფშვინველებში შეაღწევს, ხოლო შუამავლადა, მახარობლად მიქელ მთავარანგელოზი გვეყოლება, რომელიც დღეს ქრისტეს მესიტყვეა ისევე როგორც იგი ადამიანთა საფშვინველებს ოდესღაც განამზადებდა, რომ მათ ქრისტეს ცხოვრების ზეციდან მიწაზე გარდამოსვლა ეგრძნოთ, ასე დღესაც განამზადებს კაცობრიობას, რომ მან შეძლოს, განიცადოს ქრისტეს ცნობიერების შეუგნებელიდან შეგნებულისკენ წარმართვა. და ისე, როგორც ქრისტეს მიწაზე ცხოვრების დროს მის თანამედროვეთა უმრავლესობას არ ძალუძდა ერწმუნა, რომ დედამიწის ევოლუციაში უდიდესი ძვრა მოხდა, ასე ჩვენს დროშიც ისინი, რომლებიც ცდილობენ სულ უფრო და უფრო გაზარდონ მატერიალიზმის ძალაუფლება დედამიწაზე, ყოველივე იმას, რაც ეს-ეს არის ვთქვით, ძალიან დიდხანს მიიჩნევდნენ ფანტაზიად, ზმანებად და ზოგჯერ სისულელედაც კი. ასევე ეჭვის თვალით შეხედავენ სიმართლეს მიქელ მთავარანგელოზზე, რომელიც ისევ იწყებს ქრისტეს გამოვლინებას ჩვენს დროში. მიუხედავად ამისა, ბევრი ადამიანი აღიარებს ახალ ერად იმას, რაც ახლა იწყება და რაც მომავალ საუკუნეებში

ადამიანების საფშვინველთა წიაღ ვითარცა მზე აღმობრწყინდება. ხოლო მიქელ მთავარანგელოზის მზესთან მიდარება ნიადაგ ეგების. და ზევრმა მიქელის ახალი გამოცხადება რომც ვერ განჭვრიტოს, იგი კაცობრიობაში მაინც განიფინება.

აი რა შეიძლებოდა თქმულიყო დღეს იმ ადგილის თაობაზე, რომელსაც გოლგოთას მისტერია დაიკავებს ჩვენს დროში. მოდით, ეს გრძნობები ჩვენს საკუთრებად ვაქციოთ, რამეთუ ამის განხორციელება შეგვაძლებინებს ვიყოთ ნამდვილი თეოსოფები. თანდათანობით, შესაბამისად სხვა გამოცხადებებიც მოგვეახლებიან, რომელთაც დღეს უნდა განვუმზადოთ ჩვენი საფშვინველები, მაგრამ განა ეგოისტურად არ ჩაგვეთვლებოდა, უკეთუ ამ გრძნობებს მხოლოდ ჩვენთვის, როგორც სანუკვარ სიხარულს, გადავინახავდით? უმჯობესია, თეოსოფიისაგან ჩვენდამი მინიჭებულ მაღალ მოვალეობად მივიჩნიოთ, ვიყოთ ამ გამოცხადებათა მოხალისე მოსაგრენი! და თუმცა, ჩვენ მთელი კაცობრიობის უმცირეს ნაწილს წარმოვადგენთ, რომელიც მიილტვის ჩასწვდეს ახალ ჭეშმარიტებას გოლგოთას მისტერიის შესახებ, მიქელ მთავარანგელოზის ამ ახალი გამოცხადების სრული შემეცნებით ჩვენ მაინც ვქმნით ახალ ძალას, რაც ამ გამოცხადებაში ოდნავადაც არ არის დამოკიდებული ჩვენს სისუსტეზე, არამედ სავსებით თვითონ გამოცხადებით, თვითონ ჭეშმარიტებით არის შთაგონებული და გაპირობებული.

მაშინ მთლიანად განვახორციელებდით იმას, რასაც ახლა მხოლოდ მცირენი იუწყებიან კაცობრიობის მერმისად, რამდენადაც ადამიანს ამის ყურად ღება ძალუძს.

ჩვენი დროიდან იწყება ქრისტეს ახალი გამოვლინება — ჩვენ მზად ვართ ეს შევიმეცნოთ, ჩვენ გვსურს ვეკუთვნოდეთ იმ პატარა საძმოს, რომელიც ცდილობს ყოველივე ეს სულ უფრო და უფრო გაზარდოს და დააფუძნოს; ჩვენ გვსურს ამ გამოვლინების შინაგანი ძალა მოვიკრიბოთ, რათა იგი ისე განეფინოს დანარჩენ კაცობრიობას, რომ თანდათანობით მისი შემეცნება ყველამ შეძლოს.

ეს სწორედ ის ძალა გახლავთ, ჩვენ რომ სიბრძნეს ვუწოდებთ, ხოლო მავანნი სისულელედ მიიჩნევენ. უფრო მკვიდრად რომ დავეფუძნოთ, დღეს უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი დრო მიქელ მთავარანგელოზის მეორედ გამოვლინების დროა და უნდა გვახსოვდეს, რა თქვა ძველ ხელდასხმულთაგან ერთ-ერთმა მიქელის პირველი გამოვლინების დროს: «ხშირად რაც კაცთათვის სისულელეა, ღვთისათვის ის სიბრძნეა».

ვეცადოთ, ჩვენთვის მოვიწიოთ დღეს ძალა ამგვარი გრძნობებიდან, ამგვარი სულიერი შემეცნებიდან, სისულელედ რომ მიუჩნევიათ მავანთ, ვინც შემეცნებისას გრძნობადზე არიან დამოკიდებულნი, ხოლო ჩვენთვის ნათელს რომ წარმოადგენს და სულიერი სამყაროების, ზეგრძნობადის მკაფიო შემეცნება რომ ჰქვია, რასაც მთელი ჩვენი ფშვინვიერი ძალითა და ჩვენეული თეოსოფიური მრწამსით ვესწრაფვით.

1913 წ. თებერვალი. ლონდონი

რუდოლფ შტაინერი

პიროვნულის სამი ასპექტი[1]



პირველი გოეთეანუმი, 1913-1922 წლებში.

მიუნჰენის კონგრესი, რომელიც მეოთხეა ამსტერდამის, ლონდონის და პარიზის კონგრესების შემდეგ, ჩვენი თეოსოფიური თვალსაზრისით ერთგვარად აკავშირებს ევროპაში სხვადასხვა ერებს. დღეს კონგრესის შესახებ ინფორმაციის გაკეთებას როდი ვაპირებ, მე მხოლოდ ორიოდე სიტყვა მინდა ვუთხრა იმათ, ვინც მასში მონაწილეობა ვერ მიიღო.

მას უნდა ეჩვენებინა ის, რასაც მე გამუდმებით ხაზს ვუსვამდი ხოლმე თეოსოფიაზე საუბრისას — მას უნდა ეჩვენებინა, რომ თეოსოფია მხოლოდ პირადი საჭიროებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავებისთვის არ შექმნილა. თეოსოფია პრაქტიკულ ცხოვრებაში უნდა ჩაერთოს, განათლების ნაწილად იქცეს, პრაქტიკული ყოფიერების ყველა სფეროში შევიდეს. ვისაც საკუთრივ თეოსოფიური იმპულსი უფრო ღრმად ესმის, მან უკვე დღესაც უწყის თუ რა შესაძლებლობებს შემოგვთავაზებს იგი მომავალში. ის ჩვენს მიერ ნანახს ჩვენსავე შინაგან გრძნობებთან დააკავშირებს. ვინც უფრო ღრმად აკვირდება მოვლენებს, მისთვის საყოველთაო გაფანტულობის ძირითადი მიზეზია დისჰარმონია არსებულ მდგომარეობასა და იმას შორის, რასაც თეოსოფია მიელტვის. ეს იგრძნეს

[1] გერმანულიდან თარგმნა ნოდარ ბელქანიამ.

არა მარტო თეოსოფებმა, არამედ ისეთმა მნიშვნელოვანმა პიროვნებებმაც, როგორიცაა, მაგალითად, რიჰარდ ვაგნერი.

ადრეულ ეპოქებში ყოველი ბოქლომი, სახლი თუ სხვა რამ საგანი სამშვინველის ქმნილებას წარმოადგენდა. მშვინვიერი სუბსტანცია იყო შიგ ჩაღვრილი. ძველ დროში ხელოვნების საგანი ადამიანის გრძნობისა და აზროვნების ნაწილად მიიჩნეოდა. გოთიკური ეკლესიების ფორმები იმჟამინდელი მრევლის განწყობილებას შეესაბამებოდა. ისინი ამ უკანასკნელის მშვინვიერ განწყობილებას გამოხატავდა. ეკლესიას მიშურებული იმჟამად ამ ფორმებს — ისევე როგორც ძველი გერმანელი ერთმანეთს შეზრდილ ხეებს — ხელების ლოცვად აღპყრობად განიცდიდა. იმ ეპოქაში ყოველივე უფრო მჭიდროდ იყო ადამიანთან დაკავშირებული. ეს ჯერ კიდევ შესანიშნავად ჩანს მიქელანჯელოსა და ლეონარდო და ვინჩისთან. მთელი სოფლის თავმოყრა ეკლესიაში სხვა არაფერი იყო, თუ არა სოფლის მშვინვიერი ცხოვრების გამოხატულება. სხვადასხვა ეთერული ნაკადი იყრიდა თავს მოედანზე, სადაც ეკლესია იდგა. მატერიალისტურმა ეპოქამ ყოველივე ეს გააცამტვერა. ვინც ცხოვრებას არ იცნობს, მან ეს არ უწყის. ნათელმხილველმა კი იცის, რომ დღეს ქალაქში გავლისას თითქმის ვერაფერს შეხვდები გარდა კუჭთან და სისუფთავის მანიასთან დაკავშირებული ამბებისა. ვისაც ძალუძს მისდიოს ცხოვრების საიდუმლო ძაფებს, მან ისიც უწყის, თუ რამ გაუჩინა მატერიალისტურ კულტურას ასეთი ბზარი.

გარესამყაროს გაჯანსაღება მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი იგი გადაიქცევა ჩვენი უშინაგანესი მშვინვიერი განწყობილების გამოხატულებად. თუმცა სრულყოფილებაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ამის მაგალითი მიუნჰენში იქნა მოცემული. დარბაზის გაფორმება სულისმეცნიერული მსოფლმხედველობის გამოხატულება იყო. იქ მხოლოდ «თეოსოფიური რამ» არ ყოფილა წარმოდგენილი. მთელი დარბაზი წითლად იყო გაფორმებული. მართალია, წითელი ფერის შესახებ ხშირად გვხვდება არასწორი წარმოდგენები, მაგრამ შეუძლებელია ვერ დაინახო მისი სიღრმისეული მნიშვნელობა. კაცობრიობის განვითარება აღმასვლითა და დაღმასვლით ხასიათდება. დააკვირდით პირველყოფილ ხალხებს. მათ ბუნებაში აქვთ მწვანე ფერი. მაგრამ სიყვარულით რა უყვართ ყველაზე მეტად? წითელი! ოკულტისტმა იცის, რომ წითელი განსაკუთრებულად მოქმედებს ჯანსაღ სამშვინველზე. ჯანსაღ სამშვინველში ის აქტიურ ძალებს წარმოშობს, ძალებს, რომლებიც მოქმედებისკენ გვიბიძგებს და რომელთაც სამშვინველი ინერტულობის მდგომარეობიდან მოქმედების მდგომარეობაში გადაჰყავს. საზეიმოდ მორთული დარბაზი წითლად უნდა გაფორმდეს. ვინც საცხოვრებელ ოთახს აფორმებს წითლად, ის ამით ამბობს, რომ მისთვის უცნობია საზეიმო განწყობილება და წითელი ფერის პროფანაციას ახდენს. გოეთემ ამას უმშვენიერესი სიტყვები მიუძღვნა: «ამ ფერის მოქმედება ისევე განუმეორებელია, როგორც მისი ბუნება. ის ისევე მკაცრი და ღირსებით სავსეა, როგორც კეთილისმყოფელი და მომხიბლავი. პირველს გამოხატავს როცა მუქია და გაჯერებული, უკანასკნელს კი როცა ნათელია და ღია. და ასე ძალუძს ერთსა და იმავე ფერს გადმოსცეს ხანდაზმულის ღირსებაც და ჭაბუკის თავაზიანობაც».

ასეთია ის განწყობილებანი, რომელთაც წითელი ფერი იწვევს და რასაც ოკულტური კვლევაც ადასტურებს. შეხედეთ ლანდშაფტს წითელი სათვალით და იგრძნობთ, რომ ასე უნდა გამოიყურებოდეს განკითხვის დღე. წითელი აღძრავს სიხარულს იმის გამო, რაც ადამიანმა აღასრულა განვითარების პროცესში. წითელი მტერია რეტროგრადული განწყობილებისა, ცოდვის განწყობილებისა.

შემდეგ გვაქვს შვიდი სვეტის მოტივი იმ დროის მისანიშნებლად, როდესაც თეოსოფიასაც ექნება თავისი შენობა. სვეტების მოტივები აღებულია ხელდასხმულთა მოძღვრებიდან და უძველესი ეპოქებიდან იღებს დასაბამს. თეოსოფიას მიეცემა საშუალება ახალი სვეტების მოტივები შესძინოს არქიტექტურას. ძველი მოტივები ადამიანს უკვე დიდი ხანია აღარაფერს ეუბნება. ახლებს მიმართება აქვთ სატურნთან, მზესთან, მთვარესთან, მარსთან, მერკურთან, ვენუსთან. კაპიტელებში სხვადასხვა კანონზომიერებანი იქნა გადმოცემული. სვეტებს შორის როზენკროიცერთა მსგავსად შვიდი აპოკალიპსური ბეჭედი ჩავსვით. გრაალის ბეჭედი პირველად იქნა საჯაროდ წარმოდგენილი.

თეოსოფია შეიძლება ვაშენოთ კიდევაც: არქიტექტურის, აღზრდის, სოციალური საკითხის სახით. როზენკროიცერობის პრინციპია სამყაროში სულის დამკვიდრება, სამშვინველისთვის ნაყოფიერი მუშაობა. ხელოვნების მისტერიულ ხელოვნებამდე აყვანაც კი გახდება შესაძლებელი, ასერიგად რომ ეწადა რიჰარდ ვაგნერს. ამის მცდელობაა ედუარდ შურეს მისტერია-დრამა. შურე შეეცადა აღედგინა მისტერიული წარმოდგენები. ამას საფუძვლად ედო განზრახვა, თეოსოფიაც ჩართულიყო სამყაროს შენებაში. დაბეჭდილი პროგრამა საზეიმო წითელი ფერისა იყო, ვარდებით მორთული შავი ჯვრით ლურჯ ფონზე. როზენკროიცერობა აგრძელებს იმას, რაც ქრისტიანობამ მოგვცა. საწყისი ასოები პროგრამაზე ძირითად ფორმულას მიანიშნებენ.

დღეს მინდა შევეხო ზოგიერთ საკითხს, რომელიც ზემოთქმულიდან დაკავშირებით შეიძლება დაისვას. უპირველეს ყოვლისა: რა იქნება თუკი თეოსოფია როზენკროიცერულ ნაკადს შეერწყმება და მისი წარმოდგენებით იხელმძღვანელებს? მოდით, ამის თაობაზე ზოგიერთი მოსაზრება ჩამოვაყალიბოთ თეოსოფიური ეთიკის, ანუ ზნეობრივი მოძღვრების მაგალითზე. თეოსოფიური ეთიკა ანუ ზნეობრივი მოძღვრება როდი ამბობს ან ასე უნდა მოიქცე, ან ისეო. თეოსოფიას მოთხოვნები და მცნებები კი არ აინტერესებს, არამედ ფაქტები და მათი გადმოცემა. საკმარისია მოვიტანოთ ერთი ფაქტი ასტრალური სამყაროდან და დავრწმუნდებით, რომ არ არის საჭირო მორალის ქადაგება. სხვათა შორის, ეს მაინც ვერაფერს მოგვიტანდა, ვინაიდან გაფრთხილებები და მცნებები კი არ აფუძნებენ ჭეშმარიტ ზნეობრივ მოძღვრებას, არამედ უმაღლესი ცხოვრების ფაქტები. თუ თქვენ ოკულტისტი გეუბნებათ, სიცრუე მკვლელობას და თვითმკვლელობას ნიშნავსო, მაშინ ეს ისეთი ძალის ზნეობრივ იმპულსს მოგცემთ, რომ მას ვერ შეადარებთ უბრალო გაფრთხილებას: არ იცრუოთ! როდესაც ჩვენთვის ცნობილია თუ რა არის სიცრუე და რა არის სიმართლე, თუ ჩვენ ვიცით რომ ყოველივე იბეჭდება სულიერში, მაშინ ვითარება ცოტა სხვაგვარად წარმოგვიდგება. საუბარი, რომელიც სიმართლეს ემყარება წარმოქმნის

სასიცოცხლო ძალებს შემდგომი განვითარებისთვის, არასწორი მტკიცება კი დარტყმას აყენებს ჭეშმარიტებასაც და თავად მტკიცების ავტორსაც. ყოველგვარი სიცრუე მოგვიანებით უკანვე უბრუნდება ადამიანს. სიცრუე უდიდესი დაბრკოლებაა განვითარების გზაზე. ტყუილად როდი უწოდებენ ეშმაკს სიცრუის და დაბრკოლების სულს. სიცრუის დამანგრეველი ძალა სიკვდილს იწვევს ობიექტურად და მის გამავრცელებელს უბრუნდება უკან.

პიროვნების სამგვარი გაგებაა ცნობილი: პიროვნული, უპიროვნო და ზეპიროვნული. ოდესღაც არსებობდა ადამიანის წინაპარი, რომელიც ყველა ცხოველზე მაღლა იდგა, მაგრამ ადამიანის საფეხურს არ იყო მიღწეული. ის შედგებოდა ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულებისგან. ამით შემდგომ დაემატა მე, რომელმაც საკუთარი თავიდან გამომდინარე უმაღლესი ნაწილები შექმნა და ადამიანის არსება შვიდწევროვანი გახდა.

ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულების განვითარება დიდ ხანს გრძელდებოდა და ისინი მომწიფდნენ იმისათვის, რათა მიეღოთ მეს ცნობიერება. სამი უდაბლესი წევრისთვის დამახასიათებელი ტენდენცია და მათი განვითარების თავისებურებები იქნება ჩვენი დღევანდელი განხილვის საგანი. ადამიანმა სულ უფრო მეტად შეიძინა უნარი გამხდარიყო თვითცნობიერი არსება. ეს შესაძლებელია მხოლოდ ეგოიზმის, თავმოთნეობის ძალთა მეოხებით. ის შეიძლება ღვთაებრივიც იყოს და სატანურიც. ეს სიტყვები მათ მიერ გამოწვეული შეგრძნებებით კი არ უნდა განვსაჯოთ, არამედ მათში მოცემული ჭეშმარიტი არსის მიხედვით. დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ ადამიანი ეგოისტურ არსებად იქცა.

ეგოიზმის განვითარებას უკავშირდება ცნობიერების მოჩვენებითი დაკარგვის ის ფორმა, რომელსაც თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში სიკვდილის სახით ვიცნობთ. რამდენადაც განვითარდა თვითცნობიერება, იმდენადვე იჩინა თავი სიკვდილმაც. პირველ ხანებში ადამიანი არ კვდებოდა. ის ჰგავდა სხეულის ნაწილს, რომელიც შრება და შემდეგ კვლავ განაგრძობს ზრდას, ისევე როგორც თითის ფრჩხილი მოჭრის შემდეგ კვლავ იზრდება. ამჟამინდელი ჩვენი სიკვდილი და კვლავ დაბადება გაჩნდა იმისათვის, რათა მიგვეღო დღესდღეობით ჩვენთვის დამახასიათებელი მეს ცნობიერება. ეგოიზმი და სიკვდილი ერთი მოვლენის ორი მხარეა. ადამიანური ბუნების უმაღლესი ნაწილი იმგვარადაა მოწყობილი, რომ ის კვლავ სძლევს ეგოიზმს, ეზიარება ღვთაებრივს და ამით სიკვდილსაც თრგუნავს. რაც უფრო მეტად ივითარებს ადამიანი უმაღლეს ნაწილს საკუთარ თავში, მით უფრო მეტად აცნობიერებს საკუთარ უკვდავებასაც. როგორც კი ეგოისტი გახდა ადამიანი, მაშინათვე პიროვნებადაც ჩამოყალიბდა. ცხოველი პიროვნულს მოკლებულია, ვინაიდან მას მე აქვს მხოლოდ ჯგუფური სამშვინველის სახით, რომელიც ასტრალური პლანიდან არ ჩამოდის. პიროვნება ისაა, რაც სამ სხეულს — ფიზიკურს, ეთერულსა და ასტრალურს — მეთი გასხივოსნების საშუალებას აძლევს. ეს შეიძლება ბუნდოვნად, უფერულადაც მოხდეს — ასეთ შემთხვევაში სუსტს პიროვნებასთან გვაქვს საქმე.

ნათელმხილველისათვის ეს იოლად საცნობია. ის ადამიანის ირგვლივ აღიქვამს ფერად აურას, სადაც ზუსტადაა ასახული მისი განწყობილებები, ვნებები, გრძნობები, შეგრძნებები ფერადი ნაკადებისა და ფერადი ღრუბლების სახით. თუკი ჩვენ გადავინაცვლებთ იმ ეპოქაში, როცა ადამიანის არსების სამი წევრი ის-ის იყო მოემზადა ადამიანური მეს მისაღებად, ჩვენ ამ არსებაშიც, რომელიც ჯერაც არ იყო ადამიანის დონეს მიღწეული, ვიპოვით აურას. მაგრამ იქ ჯერ კიდევ არ იქნება ყვითელი ნაკადები. ძლიერ პიროვნებებს მკვეთრად ყვითელი, ელვარე აურა ახასიათებთ. მაგრამ, შესაძლოა ძლიერი პიროვნება იყო რაიმე აქტივობის გარეშე — შინაგანად ძლიერი რეაქციები გქონდეს, მაგრამ არ იყო ქმედითი ადამიანი. ამ შემთხვევაშიც ჭარბად იქნება ყვითელი ფერი აურაში. მაგრამ ქმედით ადამიანში, რომლის პიროვნებაც გარესამყაროზე ახდენს გავლენას, ყვითელი ფერი თანდათანობით ელვარე წითელში გადადის. წითლად მოელვარე აურა ქმედით ადამიანზე მეტყველებს; ოღონდ ის უნდა ელვარებდეს.

მაგრამ არსებობს ერთი საშიშროება, როცა პიროვნება მოქმედების ჟინითაა შეპყრობილი. ესაა პატივმოყვარეობა. ეს განსაკუთრებით ძლიერ ნატურებს ახასიათებთ. ნათელმხილველი ამას აურაში ჭვრეტს. პატივმოყვარეობის გარეშე ყვითელი უშუალოდ გადადის წითელში. მაგრამ თუ ადამიანი პატივმოყვარეა, ნარინჯისფერი იმალებს ხოლმე მის აურაში. ობიექტური მოქმედებისთვის აუცილებელია ამ ზღურბლის დაძლევა.

სუსტი პიროვნებები უმალ სხვის მოცემულს ელოდებიან, ვიდრე თავად გასცემენ ან იმოქმედებენ. აქ თქვენ ძირითადად ლურჯ ფერებს შეხვდებით. განსაკუთრებული ინერტულობის შემთხვევაში კი ინდიგოს. აქ უფრო შინაგანი ინერტულობა იგულისხმება, ვიდრე გარეგნული.

თქვენ ხედავთ, თუ როგორ აირეკლება ადამიანის აურაში პიროვნების სიძლიერე ან სისუსტე. ადამიანმა სულ უფრო მეტად უნდა დაძლიოს პიროვნული და აამოქმედოს უმაღლესი ნაწილი. ამიტომაცაა ამდენი ლაპარაკი პიროვნების და ეგოიზმის დაძლევაზე. მაგრამ აქ სწორედ საკვანძო საკითხს მივადექით. მთავარი ისაა, თუ როგორ ხდება პიროვნების დაძლევა — უპიროვნოს თუ ზეპიროვნულის მიხედვით.

რას ნიშნავს საკუთარი თავის დაძლევა უპიროვნოს მეოხებით? ეს ნიშნავს ჭარბი ძალის დასუსტებას, პიროვნული ენერგიის ჩახშობის სურვილს. ამას კი უპიროვნომდე მივყავართ. ზეპიროვნული იქნებოდა, გარკვეული გაგებით, ამის საპირისპირო რამ. ეს იქნებოდა პიროვნული ენერგიის ზრდა, პიროვნული ძალების გაძლიერება.

მეს ჩვენ სამშვინველში ვპოვებთ და სამშვინველშივე ვხვდებით სიმამაცეს, ერთის მხრივ, და ლტოლვას, გულისთქმას, მეორეს მხრივ. არსებითად ამ ორ ძალამდე დაიყვანება ყოველივე მშვინვიერ ცხოვრებაში. მათ სხვადასხვაგვარად უდგებიან და ეს იმითაა გამოწვეული, რომ ადამიანი ჯეროვან ძალისხმევას არ იჩენს იმისათვის, რათა მიიღოს უმაღლესი რამ. ის, მართალია, აგრძელებს განვითარებას, მაგრამ მასთან ერთად დაბალიც ვითარდება, სიმამაცის და ლტოლვის ძალებიც ვითარდება მთელი სიტლანქით. თუკი ადამიანი ამ

უკანასკნელთ დაასუსტებს, მივიღებთ უპიროვნო კულტურას. ის აქტიურ მხარესაც დაკარგავს. ქმედით მხარეს, ადამიანს რომ ადამიანად აქცევს სხვათა გვერდით და თავისი უნარის შესაბამის საქმეებს აკეთებინებს, გამუდმებით მოჰყავს იგი სხვა ადამიანებთან გარკვეულ კოლიზიაში. და ის უნდა შეეგუოს ამ კოლიზიას, თუკი სჯერა თავისი მოწოდებისა.

შესაძლებელია ლტოლვების ჩაკვლაც. მაგრამ ამით პიროვნება უფერულდება. არადა სხვა რამის გაკეთებაც შეიძლება: კერძოდ მათი გაკეთილშობილება. არ არის საჭირო მათი ჩაკვლა. შესაძლებელია მათი წარმართვა მაღალი მატერიებისკენ. მაშინ პიროვნებას თავისი ძალის დათმობის გარეშეც ძალუძს გახდეს უფრო კეთილშობილი და ღვთაებრივი. ლტოლვების ჩაკვლა როდია საჭირო, არამედ მათი გარდაქმნა უფრო ფაქიზ, უფრო კეთილშობილ ლტოლვებად, რომელთაც მაშინ ისეთივე დაჟინებით შეეძლებათ გამოავლინონ საკუთარი თავი. ავიღოთ, მაგალითად, ვარიეტე. ვინც ვარიეტეში არ დადის აუცილებლად ასკეტი როდია. მან, უბრალოდ, დაბალი ლტოლვები მაღალ ლტოლვებად გარდაქმნა და ამდენად, იქ მხოლოდ მოიწყენდა.

ამ გაგებით თეოსოფია ყველაზე მცდარად სწორედ თეოსოფოსებმა გაიგეს. ცხადია, პიროვნულის ჩაკვლა კი არ არის მიზანი, არამედ მისთვის ზემოთკენ, უმაღლესისკენ ბიძგის მიცემა. სწორედ ამისთვისაა აუცილებელი ყოველივე, რასაც თეოსოფია გვთავაზობს. ასე რომ, უპირველეს ყოვლისა, მთავარია უმაღლესი ინტერესების გაღვიძება. ამგვარი ინტერესები თავისთავად გამსჭვალავენ ადამიანს. მას თავისი გრძნობების ჩახშობა კი არ სჭირდება, არამედ უმაღლესი ღვთაებრივი ქმნადობისკენ, დიდი მსოფლიო ხდომილებებისკენ მათი მიქცევა. როცა ჩვენს გრძნობებს აქეთკენ მივმართავთ, მართალია ცხოვრების უხეში მხარისადმი ინტერესს ვკარგავთ, მაგრამ ამით ჩვენი გრძნობები კი არ იხშობა, არამედ მდიდრდება და ადამიანის მთელ არსებასაც აღანთებს. როდესაც ადამიანს ძალიან უყვარს ღორის მწვადი, ღორის მწვადისადმი მისი გრძნობის ჩაკვლა კი არ არის საჭირო, არამედ ამ გრძნობის გარდაქმნა. უნდა შევძლოთ გრძნობის მეტამორფოზა. იგივე გრძნობები, რაც მავანს სუფრის სიმფონიისადმი აქვს, სხვას ნამდვილი სიმფონიისთვის განაწყობს. თუ თქვენ ლტოლვისა და აქტივობის დაძლევას ქადაგებთ, ამით უპიროვნოს ქადაგებთ. მაგრამ თუ თქვენ უჩვენებთ გზას, რომელიც ლტოლვას სულიერისკენ წარმართავს, ამით ზეპიროვნულისკენ წარმართავთ ყურადღებას და ეს ზეპიროვნული უნდა იყოს თეოსოფიური მოძრაობის მიზანი.

სულისმეცნიერებას კაბინეტში ჩაკეტილი ან უცნაური ადამიანების გაზრდა როდი სურს, არამედ ქმედით, აქტიურ ადამიანთა ჩამოყალიბება, რომლებიც ცხოვრების ასპარეზზე გავლენ. მაგრამ რა გზით მივაღწევთ ზეპიროვნულს? არა პიროვნულში ჩაკეტვით, არამედ ჭეშმარიტის, მაღალის და ყოვლისმომცველის წვდომით. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ თეოსოფიაში ჩვეულებრივ ყოფიერების მაღალი მიმართებებისკენაა მზერა მიპყრობილი. ჩვენ ამით წვრილმანზე მაღლა ვდგებით და ვეჩვევით მოვლენების არა უპიროვნოდ, არამედ ზეპიროვნულად განხილვას.

არის რთი სფერო, სადაც ჩვენ შეგვიძლია ერთგვარი experimentum crucis მეოხებით განვასხვავოთ ერთმანეთისგან პიროვნული, უპიროვნო და ზეპიროვნული. შეიძლება მავანმა იფიქროს, რომ ის, რასაც ერთი ადამიანი მეორის მიმართ სიყვარულის სახით განიცდის უპიროვნო რამაა და უადგილოა ზეპიროვნულთან მისი დაკავშირება. აქ ადამიანებს უცნაური შეცდომა მოსდით: მათ საკუთარი თავის სიყვარული სხვათა სიყვარულში ერევათ. ადამიანთა უმრავლესობას ჰგონია, რომ სხვა უყვარს, სინამდვილეში კი საკუთარი თავი უყვარს სხვაში. სხვაში განზავება ხომ მხოლოდ საკუთარი ეგოიზმის დაკმაყოფილებაა. მავანმა არ იცის ამის შესახებ; არც სჭირდება ამის ცოდნა, მაგრამ ეს არსებითად ეგოიზმის დაკმაყოფილებაა არაპირდაპირი გზით.

ადამიანი არ არის იზოლირებული არსება. ის მთლიანის ნაწილია. თითს სიყვარული აკავშირებს ხელთან და ორგანიზმთან. ასე რომ არ იყოს, ის გახმებოდა. თითს უყვარს ჩვენი ხელი და ორგანიზმი, ვინაიდან მას სჭირდება ისინი. ასევე ვერასდიდებით ვერ შეძლებდა ადამიანი სხვა ადამიანთა გარეშე არსებობას. ამიტომაც იზიდავს ადამიანს ადამიანები. ზოგიერთი სიყვარული მშვინვიერი სიღარიბიდან მოდის, მშვინვიერი სიღარიბე კი — მოჭარბებული ეგოიზმიდან. და თუ მავანი და მავანი ამტკიცებს სხვის გარეშე ცხოვრება არ შემიძლიაო, მაშინ მისი პიროვნება ღარიბია და შევსებას ეძებს. ის ყოველივე ამას იმით ნიღბავს, რომ ამბობს: მე უპიროვნო ვხდები, მე სხვა მიყვარს.

ყველაზე დიდებული, უანგარო სიყვარული იმით გამოირჩევა, რომ ჩვენ სხვა ადამიანი არ გვჭირდება, მის გარეშე ცხოვრებაც შეგვიძლია. ამ დროს ადამიანს უყვარს არა საკუთარი თავი, არამედ სხვა. მაშინ ის არაფერს კარგავს, თუ სხვა მიატოვებს. ამისათვის, რასაკვირველია, საჭიროა განჭვრიტო ადამიანის ფასი, ამის სწავლა კი მხოლოდ სამყაროში ჩაღრმავებითაა შესაძლებელი. რაც უფრო გაითავისებთ თეოსოფიას, მით უფრო უკეთესად შეგეძლებათ სხვა ადამიანის შინაგანი არსის წვდომა. შესაბამისად მით მეტი უნარი გექნებათ შეიგრძნოთ მისი ფასი და თვითანგარებით არ შეიყვაროთ იგი. თუ ამ გზას გაჰყვებით ცხოვრებაში იმასაც შეამჩნევთ, რომ მავანს ერთი სახის ეგოიზმი ახასიათებს, სხვას — მეორე სახის და ყველა თავისი ეგოიზმის კვალობაზე ცხოვრობს.

აუცილებელია პიროვნების სულ უფრო მაღალი განვითარება. უპიროვნო სიყვარული, რომელიც სისუსტეს ემყარება, მუდამ ვნებასთან იქნება დაკავშირებული. ზეპიროვნული სიყვარული სიძლიერიდან მომდინარეობს და სხვათა შეცნობას ეფუძნება. მას ძალუძს გახდეს სიხარულისა და კმაყოფილების წყარო. ყოველგვარ შესაძლო სასიყვარულო განწყობილებებს შორის მერყეობა იმაზე მიანიშნებს, რომ ეს სიყვარული სინამდვილეში შენიღბული ეგოიზმია და მის უკან ღარიბი პიროვნება დგას. ასე რომ, სიყვარულის მაგალითზე ყველაზე მკაფიოდ შეგვიძლია განვასხვავოთ ერთმანეთისგან უპიროვნო და ზეპიროვნული.

ვისაც სულისმეცნიერება ძალას არ მატებს ცხოვრებაში, მას იგი ვერ გაუგია, რამეთუ ის არის მომავალი წყარო შინაგანი ცხოვრებისეული კმაყოფილებისა. თუ კიდევ უფრო მეტად აღზევდება მატერიალიზმი და ამით მასთან დაკავშირებული ეგოიზმი, კაცობრიობაც სულ უფრო მეტად მიეცემა პესიმიზმს, რომელიც

ჩანაცრულ სულთა ფერფლია. ხოლო თუ კაცობრიობა მიიღებს სულისმეცნიერებას, მას კვლავ დაუბრუნდება ჭეშმარიტი სიხარული, რომელიც ამავე დროს სიჯანსაღის წყაროცაა. დისჰარმონია ხომ ბოლოს და ბოლოს ეგოიზმის პროდუქტია; მხიარული, ხალისიანი განწყობილება კი უმაღლესი ადამიანისგან მომდინარეობს. რაც უფრო მეტად მოიკიდებს მასში ფეხს უზენაესი, ღვთაებრივი, მით უფრო ბედნიერი იქნება ადამიანი. ჩვენ უფრო იმაზე უფრო ვიფიქროთ, თუ როგორ შევეწიოთ მთელ კაცობრიობას, ვიდრე იმაზე, თუ როგორ შევირგოთ სულისმეცნიერება. ჩვენ მით უფრო ვეზიარებით ნამდვილი ხალისის და სიხარულის, მარადიული სიჭაბუკის წყაროს, რაც უფრო ღრმად გავითავისებთ ზეპიროვნულის ეთიკას.

თეოსოფიის მიზანი უარყოფა როდია, არამედ თანხმობა. უპიროვნო უარყოფას ნიშნავს, ზეპიროვნული თანხმობას, რაც უნდა სუსტად იჩენდეს თავს ჯერჯერობით ეს უკანასკნელი. ეს, ამავე დროს, მიგვანიშნებს იმ ამოცანაზეც, რომელიც კაცობრიობის არსებიდან გამომდინარე აკისრია სულისმეცნიერებას. მას ნაყოფით გამოიცნობთ — იმით, რომ იგი ადამიანებს ცხოვრებისთვის უფრო გამოსადეგს და გამრჯეს ხდის, მათ სახეებზე მშვინვიერ ჰარმონიას აღბეჭდავს. სული ვერასდიდებით ვერ გამოვლინდება მწუხარე სახეზე. თვით გადატანილი ტკივილიც კი მოაზროვნის სახედ გარდაიქმნება და გაკეთილშობილებულად გვევლინება; ტკივილი განწმენდილად გამოიყურება მოაზროვნის ჰარმონიულ სახეზე. მწუხარე სახე ჯერაც დაუძლეველ ეგოიზმს გამოხატავს. სულისმეცნიერება გვასწავლის საკუთარი თავიდან გასვლას, მაგრამ არა ისე, რომ გარე სამყარო შევიძინოთ. მას გავყავართ პიროვნულიდან, მაგრამ არა პიროვნების ჩაკვლით უპიროვნოსკენ, არამედ მისი გაძლიერებით ზეპიროვნულისკენ.

ბერლინი, 1907 წლის 12 ივლისი

რუდოლფ შტაინერი

არგონავტების თქმულება და ოდისეა[1]

სხვადასხვა მითების განხილვით მე მინდა საფუძველი ჩავუყარო გარკვეულ ეზოტერულ მოძღვრებას, რომელსაც მომდევნო ლექციებში შევეხები. დღეს მინდა ვისაუბრო ერთ ძალზე მნიშვნელოვან მითზე, რომელსაც საბერძნეთშიც ვხვდებით და რომელიც, როგორც ყოველი მითი, სხვადასხვა საფეხურზე და მრავალგვარად შეიძლება იქნას გაგებული. ჩვენი მიზანი იქნება მისი რეალური შინაარსის გარკვევა. მაგრამ ვიდრე ამას შევუდგებოდე, ზოგიერთ თეორიულ საკითხს შევეხები.

«ლუციფერ-გნოზისის» ბოლო ნომერში მე ყურადღება გავამახვილე იმაზე, რომ ბოლო სამ ატლანტურ კულტურაში ადამიანის მოდგმაზე ხდებოდა თავისებური ზემოქმედება, რომელიც გარკვეული გაგებით დღესაც გრძელდება. ეს ზემოქმედება იმიტომ დაიწყო, რომ იმჟამად ადამიანები მომწიფდნენ იმის მისაღებად, რასაც ჩვენ ინტელექტს, განსჯას ვუწოდებთ. მანამდე ადამიანი უფრო მეხსიერების მატარებელი არსება იყო. მეოთხე ატლანტურ კულტურამდე განსაკუთრებით მისი მეხსიერება ვითარდებოდა. კომბინირების უნარი, ანგარიში, ერთი სიტყვით, ყოველივე, რასაც ჩვენი თანამედროვე კულტურა ემყარება, შემოვიდა მეხუთე ატლანტურ კულტურაში, პირველსემიტების დროს. და ამიტომაც ეს პირველსემიტები მთელი მეხუთე ძირეული რასის ფუძემდებელი რასა გახდა. ამ ძირეული რასის ამოცანაა ევოლუციის პროცესში უპირატესად ფიზიკურისკენ მიმართული განსჯის უნარის გამომუშავება. როდესაც კაცობრიობა განვითარების ისეთ ახალ ფაზას იწყებს, როგორიც განსჯის ფაზაა, ძლიერდება ევოლუციაზე ისეთი ახალი არსებების ზეგავლენა, რომლებიც მანამდე მხოლოდ დაფარულად მოქმედებდნენ. და მართლაც იმ დროიდან, მეხუთე ატლანტური

---

[1] გერმანულიდან თარგმნა ნოდარ ბელქანიამ.

კულტურიდან მოკიდებული ადამიანის ევოლუციაზე ზემოქმედება დაიწყო გარკვეულმა ჯგუფმა არსებებისა, რომელთა საქმიანობაც მანამდე შეუმჩნეველი იყო. ეს არსებები მაღალგანვითარებულნი იყვნენ, გაცილებით უფრო განვითარებულნი, ვიდრე იმჟამინდელი ადამიანები. მაგრამ ისინი გარკვეული გაგებით ჩამორჩებოდნენ არსებებს, რომლებიც ლემურიის შუა პერიოდიდან ერევიან კაცობრიობის განვითარებაში. მაშინ მოხდა სწორედ ახალი ჩარევა. არსებანი, რომელთაც ახლა შევეხები, მთელი თავიანთი ბუნებით განვითარების მთვარისეულ საფეხურს გამოხატავდნენ. მათ მთვარის ეპოქაში გაიარეს განვითარება, მაგრამ ისე შორს ვერ წავიდნენ, როგორც ისინი, რომელთაც ლემურიის შუა პერიოდში დაიწყეს ზემოქმედება. ისინი მთვარეზე ნორმალურ განვითარებას ჩამორჩნენ. ისღა შესძლეს, იმჟამად ადამიანთა მიერ შემუშავებული უნარ-შესაძლებლობები შეეცნოთ როგორც თავიანთი შესაფერისი და შეეთვისებინათ ისინი. მანამდე ადამიანები ინტელექტუალურად განუვითარებელნი იყვნენ; ახლა კი ინტელექტი შეიძინეს. და ამ ახალ უნარს იყენებდნენ შემდგომი განვითარებისთვის. ასე რომ, მაშინ დაიწყო განვითარების ის ფაზა, რომელსაც ჩვენ ობიექტური მეცნიერულობის შემამზადებელ ფაზას ვუწოდებთ. მანამდე ის არ არსებობდა და არც შემდგომში იარსებებს. მთელი სიბრძნე, რომელიც მოპოვებული იქნა კაცობრიობის ევოლუციაში არსებითად სიყვარულთანაა დაკავშირებული. ცივი, მხოლოდ გამოთვლითი მეცნიერება იმ არსებათა ზეგავლენით შეიქმნა, რომელთაც აღნიშნული «ჩარევა» განახორციელეს.

შესაბამისად, ამ არსებათა გავლენა, დღესაც რომ მოქმედებენ გარკვეულწილად, მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც მთელი ჩვენი ინტელექტუალური მოღვაწეობა, ყოველივე, რასაც განსჯისეულ მოღვაწეობას ვუწოდებთ კვლავინდებურად სიყვარულით განიმსჭვალება. როდესაც განსჯა და სიყვარული კვლავ შეერწყმიან ერთმანეთს უზენაეს სიბრძნეში, მაშინ ფიზიკურ სამყაროში უხილავ ამ არსებათა გავლენაც ამოიწურება. ადამიანთათვის, უპირველეს ყოვლისა კი მისტერიათა მოწაფეთათვის, ამ არსებათა გავლენის გაცხადება იყო სახელდობრ ბერძნული მისტერიების ამოცანა.

ქრისტეს დაბადებამდე დაახლოებით მერვე საუკუნეში ამ არსებებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ეპოქა დაუდგათ. თუ თქვენ დააკვირდებით ჩვენი მეხუთე ძირეული რასის კულტურებს: ძველი ვედების კულტურას, ძველ სპარსულ, ქალდეურ-ეგვიპტურ კულტურას, თვით დრუიდთა კულტურასაც კი, ნახავთ, რომ ობიექტური, პრაგმატული მეცნიერება ჯერაც არ არსებობდა. ეს უკანასკნელი გაჩნდა მხოლოდ მაშინ, როდესაც თანდათანობით ფეხი მოიკიდა მეოთხე კულტურამ. მეოთხე კულტურა დაიწყო დაახლოებით მერვე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. ამით დასაბამი მიეცა ადამიანის ყველა სხვა მშვინვიერი შინაარსისაგან განსხვავებულ ობიექტურ მეცნიერებას. ქალდეველი ქურუმი ასტრონომიის მეოხებით ჯერ კიდევ სამყაროს განმგებელთა განზრახვის ჩაწვდომას ლამობდა. იგივე ითქმის ეგვიპტელ ქურუმებსა და დრუიდებზე; ისინი ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ სამყაროს განმგებლის განზრახვას. წმინდა განსჯითი მეცნიერება მხოლოდ საბერძნეთში იჩენს თავს. ეს განსჯითი

მეცნიერება, რომელიც თანდათანობით მომზადდა და აღნიშნულ არსებათა გავლენით მზის სინათლე იხილა, თავდაპირველად ადამიანის სხვა მოქმედებებთან იყო დაკავშირებული, სრულიად დამოუკიდებელი კი მეხუთე ძირეული რასის მეოთხე კულტურულ პერიოდში გახდა. ხელდასმულები, რომლებიც განისწავლებოდნენ იმ ეპოქის მისტერიებში, ადრე ადამიანის მოდგმისთვის მისაწვდომ პირველსიბრძნეს განიცდიდნენ როგორც დაკარგულს, რაც ხელახლა იყო მოსაპოვებელი. დადგა დრო, როდესაც ეს მკვდარი სიბრძნე გამოეყო ყოვლისმომცველ პირველსიბრძნეს. დროის ამ მომენტს, როდესაც ფხიზელი, მშრალი სიბრძნე ყოვლისმომცველ პირველსიბრძნეს გამოეყო, იმით აღნიშნავდნენ, რომ ამბობდნენ: ქრისტემდე დაახლოებით მერვე საუკუნეში მზემ გაზაფხულის ნიშნული ვერძის თანავარსკვლავედში გადაკვეთა. ეს გადაკვეთა იყო ათასწლეულების წინ მომხდარი მსგავსი გადაკვეთის განმეორება. როგორც ცნობილია, მზე თანდათანობით გადის ზოდიაქოთა მთელ წრეს — ვერძის, კუროს, მარჩბივის, კირჩხიბის, ლომის, ქალწულის და ა.შ. თანავარსკვლავედებს, ასე რომ მას უკვე მრავალჯერ აქვს გავლილი ვერძის ზოდიაქო. უკანასკნელად მან ვერძი გაიარა მაშინ, როდესაც ადამიანი სიყვარულსა და შემეცნებას ჯერ კიდევ ერთიანად განიცდიდა და შესაბამისად პირველსიბრძნეს ფლობდა. ახლა კი ეს პირველსიბრძნე დაიკარგა და ადგილი დაუთმო გარეგნულ განსჯით კულტურას. მთელი ამ პროცესის ოკულტურ მნიშვნელობას ბერძნულ მისტერიათა ქურუმი გამოხატავდა არგონავტების შესახებ უაღრესად ღრმა მითის სახით, სადაც ვერძი სიყვარულისა და შემეცნების ერთიანობის სიმბოლოდ გვევლინება.

ჯერ მოდით, გავიხსენოთ თავად მითი. იგი მოგვითხრობს, რომ ფრიქსოსს და ჰელეს მრავალი ტანჯვა შეხვდათ ბოროტი დედინაცვლის — ინოსაგან. ამიტომაც გამოეცხადა ფრიქსოსს გარდაცვლილი დედა — ნეფელე და თავის დასთან ერთად გაქცევა ურჩია. დიდი, ოქროს საწმისიანი ვერძიც მისცა, რითაც მათ ზღვა უნდა გადაელახათ. ჰელე ვერძიდან გადმოვარდა და ჰელესპონტში ჩაიძირა, ფრიქსოსმა კი ვერძთან ერთად კოლხეთს მიაღწია. იქ მან ვერძი მსხვერპლად შესწირა, ტყავი კი მეფე აიეტს უბოძა, რომელმაც იგი გამოქვაბულის კარიბჭესთან მუხაზე ჩამოჰკიდა. მოგვიანებით ბერძენი გმირი იაზონი იმჟამინდელ უმნიშვნელოვანეს ბერძენ ხელდასმულთა — ორფეოსის, თეზევსის, ჰერაკლეს და სხვათა — თანხლებით გაემართა კოლხეთს, ბარბაროსი ხალხებისგან ვერძის ტყავის გამოსახსნელად. მეფე აიეტის უმრწემესი ასულის, მედეას გულის დაპყრობით მან მოახერხა ვერძის ტყავის საბერძნეთში დაბრუნება. ამისთვის ჯერ ორი ცეცხლისმფრქვეველი ხარი დაძლია. შემდგომ გველეშაპის კბილები დათესა. კბილებიდან აბჯარასხმული მეომრები ამოიზარდნენ და ბრძოლა გაუმართეს. მედეას წყალობით მან გაიმარჯვა. მისივე დახმარებით იგდო ხელთ ვერძის ტყავი და მასთან ერთად გაუდგა გზას უკან, საბერძნეთისკენ. მამის მოსატყუებლად მედეამ ძმაც იახლა, შემდეგ მოაკვდინა და ნაკუწ-ნაკუწ აჩეხილი ზღვის ტალღებს მისცა. ვიდრე სასოწარკვეთილი მამა ნაწილებს აგროვებდა, გაქცეულნი სამშვიდობოს გავიდნენ.

მედეა ადუნებს გველეშაპის ყურადღებას,
რაც უადვილებს იასონს დაეუფლოს ოქროს საწმისს

(ჩვ.წ-მდე IV საუკუნის გამოსახულება. ნეაპოლი, ეროვნული მუზეუმი).

ქრისტეს დაბადებამდე მერვე და მეცხრე საუკუნეებში მისტერიათა მოწაფეებს ამ თქმულებების ოკულტურ მნიშვნელობას ასწავლიდნენ. ეს ოკულტური მნიშვნელობა სხვა არაფერია თუ არა გაცხადება იმისა, რომ ამ არსებებმა, რომლებიც ადამიანის მშრალ, ფხიზელ ინტელექტს იყენებდნენ, ამ დროისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს. გამოიღვიძა ლტოლვამ პირველადი კულტურისადმი, ოდესღაც რომ არსებობდა მზის მიერ ვერძის უკანასკნელად გავლისას. ის, რომ ტყუპისცალნი ფრიქსოსი და ჰელე ვერძმა კოლხეთში გადაიყვანა მხოლოდ იმის მინიშნებაა, რომ ადრინდელ კულტურას, სპარსულ-ირანულს, თავისი მარჩბივისეული ბუნებით — ის სიკეთის და ბოროტების, ორმუზდის და აჰრიმანის ქვეშ იდგა — სურს კვლავ დაიბრუნოს შემეცნებისა და სიყვარულის ერთიანობა. წინა კულტურამ ეს ტყავი დაფარულ სფეროებში გადაიტანა. უფრო ადრე, ატლანტურ ეპოქაში ეს ტყავი, ეს სიბრძნე საერთო-საკაცობრიო კულტურის ნაწილი იყო, შემდგომ კი შორეული საიდუმლო სკოლების კუთვნილება გახდა. საჭირო იყო მისი დაბრუნება. ამგვარად,

არგონავტების თქმულება გარეგნული ფორმით საბერძნეთში საიდუმლო სკოლების დაარსებაზე მიგვანიშნებს.

მაშასადამე, გადმოცემის თანახმად, ატლანტური რასა პირველსიბრძნეს ფლობდა. ეს სიბრძნე იმჟამად მთელი კაცობრიობის კუთვნილება იყო. ის დაიკარგა და მხოლოდ მისტერიათა სკოლების ქვაბულებსა და კრიპტებში თუ შევხვდებოდით მოგვიანებით. ბერძნებმა კი თავიანთი ხელდასხმულებისთვის ხელახლა შექმნეს მისტერიები და თეზევსი, ორფეოსი, ჰერაკლე და სხვანი ამ სიბრძნის დამფუძნებელნი არიან იმ გაგებით, რომ მათ საბერძნეთში პირველსიბრძნე დააბრუნეს. თალესმა, ანაქსიმენემ, სოკრატემ და სხვა ფილოსოფოსებმა შემოიტანეს ფხიზელი, ცივი, განსჯითი მეცნიერება, რომელიც ობიექტურია. მისტერიათა სიბრძნე კი სიყვარულს უკავშირდება. ის იმგვარი სიბრძნეა, რომელიც ვერ მიიღწევა ვნებათაგან, კამასეულ ძალთაგან განწმენდის გარეშე. განსჯითი მეცნიერება კი კამასაგან განწმენდის გარეშეც მიიღწევა. ამრიგად არგონავტების ეს ეგზომ მნიშვნელოვანი თქმულება აღგვიწერს ჩვენი თანამედროვე ძირეული რასის მესამედან მეოთხე კულტურულ პერიოდზე გადასვლას. გადასვლა იმას ნიშნავს, რომ საკაცობრიო კულტურის მანამდე ერთიანი ნაკადი ორად გაიყო: მისტერიათა სიბრძნედ და გარეგნულ განსჯით მეცნიერებად. ერთი ნაკადი დაფარული იყო, მაგრამ იმდენად ქმედითი, რომ გავლენას ახდენდა ბერძნულ ხელოვნებასა და კულტურაზე — ამას ნიშნავს ვერძის ტყავის დაბრუნება. ამიერიდან მხოლოდ განსჯით მეცნიერებაზე არ უნდა მოეხდინა მას გავლენა. ეს რაც შეეხება თქმულებას არგონავტების ლაშქრობაზე.

ოდისევსის თქმულებაც ერთი რასიდან მეორეზე გადასვლას მიგვანიშნებს. მას სხვადასხვა დროს უამრავი ინტერპრეტაცია და კომენტარი მიეძღვნა. დღეს ამ თქმულების მხოლოდ ჩონჩხს შევეხები. ჩემს წიგნში «ქრისტიანობა როგორც მისტიკური ფაქტი» მე შევეცადე გამომეყენებინა გაგების მეორე, ალეგორიული მეთოდი; დღეს ჩვენ გაგების მესამე, ოკულტურ მეთოდს გამოვიყენებთ.

ოდისევსი, რომელიც სხვებთან ერთად იბრძოდა ტროაში, თავისი ცბიერებით და ჭკუით დიდად დაეხმარა ბერძნებს მის აღებაში. მან ფათერაკებიანი გზებით იარა წყალდაწყალ; გთხოვთ, ეს დაიმახსოვროთ. ციკლოპთა ქვეყანაში მოხვდა, სძლია მათ ცალთვალა ბელადს, მიადგა კირკეს, რომელმაც მისი თანამგზავრები ღორებად აქცია. ჩავიდა ჰადესს და ტროას ომში დაცემული გმირები გაიცნო. ამის შემდეგ ტყვედ ჩაუვარდა სირენებს, მომნუსხველი ჰანგებით ადამიანებს რომ აცდუნებდნენ. შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ აჰყვა ცდუნებას მის თანამგზავრთა უდიდესი ნაწილი, თვითონ კი იმის წყალობით გადარჩა, რომ ხომალდზე დააბმევინა თავი; თუ როგორ მოხვდა ერთ ადგილას, სცილასა და ქარიბდას შორის, სადაც ხომალდებს დაღუპვის საფრთხე ემუქრებათ. აქ ის აზვირთებულ მორევს გადაურჩა. შემდეგ მიაღწია ოგიგიას, ნიმფა კალიპსოს კუნძულს, სადაც შვიდი წელი დაჰყო და ზევსის ბრძანებით კალიპსოს მიერ გათავისუფლებული ბოლოსდაბოლოს თავის სამშობლოს, ითაკას დაბრუნდა. ქალღმერთი ათენე პალასი მიუძღვა სახლში, თავის მეუღლესთან, რომელსაც ბევრი უსიამოვნება შეხვდა აბეზარ სასიძოთაგან. ის დღისით ქსოვილს ქსოვდა,

ღამით კი არღვევდა, ვინაიდან სასიძოებს იყო შეპირებული, მისთხოვდებოდა როგორც კი ქსოვილი მზად იქნებოდა.

ახლა კი მოდით, ოდისევსის თქმულების ეს ჩონჩხი ერთად განვიხილოთ ბერძნული მისტერიული სიბრძნის ჩვენეულის ცოდნიდან გამომდინარე. ხელდასხმის სკოლები, სადაც ნამდვილად ხდებოდა ის, რაც აქ იყო მოთხრობილი, ისე მიუძღვებოდნენ მოწაფეს ასტრალურ და მენტალურ პლანზე, რომ იგი კაცობრიობის განვითარების გარკვეულ მონაკვეთს გადიოდა, კერძოდ შუა ლემურიიდან იმ დრომდე, როდესაც ადამიანმა საბერძნეთში იაზონის მიერ ორფეოსთან, თეზევსთან, ჰერაკლესთან და სხვებთან ერთად დაარსებულ მისტერიათა სკოლებში კვლავ მოიპოვა პირველსიბრძნე. მოწაფეს მიუძღვებოდნენ ასტრალურ და მენტალურ პლანზე და უჩვენებდნენ პროცესებს, რომლებიც კაცობრიობამ გაიარა შუა ლემურიიდან ტროას ომამდე. არგონავტების ლაშქრობა მითების ენით პირველსიბრძნეზე მიგვანიშნებს. ის გვიჩვენებს, რომ ეს უკანასკნელი იმჟამად მეცნიერების გვერდით არსებობდა. ხოლო რას უცხადებდა ადამიანებს, მისტერიათა მოწაფეებს ოდისევსის თქმულება? ამას გვიმხელს თავად ოდისევსის გზა.

მოდით, ლემურიის შუა პერიოდს მივუბრუნდეთ. მაშინ ადამიანი გადავიდა ჰერმაფროდიტული მდგომარეობიდან სქესობრივ გაყოფაზე, ფიზიკური გრძნობის ორგანოს გარეშე ხედვიდან ფიზიკური თვალით ხედვაზე. მართლაც, ლემურიის შუა პერიოდამდე ადამიანს ჰქონდა ის «ერთი თვალი», რომელიც შემდგომ ორი გარეგნული ფიზიკური თვალით შეიცვალა. განვითარების ამ ფაზას წარმოუჩენდნენ იმჟამად მოწაფეს. მას უნდა განეცადა გადასვლა ლემურიამდელი ეპოქიდან ლემურიის შემდგომ ეპოქაში. უფრო სწორად, ლემურიული ეპოქის მეორე ნახევარში, როდესაც გაჩნდა გარეგნული თვალი. ციკლოპები არიან ლემურიამდელი ადამიანები. ოდისევსი მათ გაეცნო ასტრალურ პლანზე. ამ ეპოქის შემდეგ ადამიანის ასტრალური სხეული სულ უფრო და უფრო გამკვრივებულ და გამყარებულ მატერიაში ჩაიძირა. ამით ჩვენ მივადექით — ამას წარმოუდგენდნენ ხელდასასმელს — ატლანტური ეპოქის დასაწყისს. ატლანტი სულ უფრო და უფრო მეტად იძენს უნარს გამოიყენოს სასიცოცხლო ძალები თავისი საქმიანობისთვის. ეს იყო გარკვეული ასტრალური უნარ-შესაძლებლობანი, რომელნიც ატლანტებმა განივითარეს და რომელთაც ბერძენი მხოლოდ ასტრალურ პლანზე თუ მიუახლოვდებოდა. ეს იყო ეპოქა — მის შესახებ ბევრი რამ თქმულა ოკულტურ ლიტერატურაში —, როდესაც ატლანტთა მოდგმა შავი მაგიის მძვინვარე ფორმებს მიეცა. ეს ეპოქა ბერძნულ მისტერიათა მოწაფეს ეძლეოდა მეტამორფოზათა სურათების სახით. ამ ეპოქაში ადამიანთა ვნებები შავმაგიურ ძალთა გავლენით ისე გადაგვარდა, რომ ასტრალურმა სხეულმა უდაბლეს ცხოველთა სახე მიიღო. სწორედ მსგავსი სურათი ამოტივტივდება ხოლმე, როდესაც თურანელები მძვინვარე მაგიურ ხელოვნებას ეძლეოდნენ. ამ შავი ხელოვნების გავლენით ასტრალური სხეული ისე გარდაიქმნა, რომ სიმბოლურად ასე გამოიხატებოდა: კირკემ ოდისევსის თანამგზავრები ღორებად აქცია. — კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპს ეცნობოდა ბერძენი ხელდასმული.

შემდეგ იგი ქვესკნელს ჩადიოდა. ყველგან, სადაც კი ეს გვხვდება ბერძნულ თქმულებებში, მინიშნებულია ხელდასხმის პროცესი. როდესაც ამა თუ იმ გმირზე ნათქვამია, რომ ის ქვესკნელს ჩავიდა, მთხრობელს ამით სურს გამოხატოს, რომ მან ხელდასხმა მიიღო, გაიცნო სიკვდილის მიღმა ამბები. ოდისევსი ხელდასხმული იყო, ოდისევსის თქმულება კი მისი ხელდასხმის აღწერაა.

მოდით მივუახლოვდეთ იმ დროს, როდესაც ატლანტისის წარღვნის შემდეგ ადამიანებმა გაიცნეს იმ არსებათა მოქმედების პირველი შედეგები, რომელთაც მე შევეხე, გაიცნეს გარეგნული კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნებათა ნაყოფი, ყოველივე ის, რაც ინტელექტზე ახდენდა გავლენას ატლანტისის წარღვნის შემდგომ ეპოქაში. წმინდა გარეგნული, ფიზიკური კულტურის პირველი ეტაპი ხელდასხმულს ეძლეოდა წმინდა ამქვეყნიური ხელოვნების, წმინდა ამქვეყნიური კულტურისაგან მომდინარე ცდუნების სახით. ესაა ახალგაზრდა მეხუთე ძირეული რასის სირენათა ხმები. სწორედ ახალგაზრდა მეხუთე ძირეული რასის ამ სირენათა ხმებზე ითქვა ბევრი რამ ოკულტურ ლიტერატურაში. ვინაიდან, ერთის მხრივ, ჩვენ გვაქვს უდიდესი სიბრძნე მანუსი, რომელიც მეხუთე ძირეული რასის ადამიანებს მოუწოდებს ღვთაებრივისკენ წარმართონ თავიანთი ინტელექტი. ამან გამოხატულება ჰპოვა ვედებსა და სპარსი ზარატუსტრას მიერ თავისი რელიგიის მიმდევრებისთვის დატოვებულ მოძღვრებაში. მაგრამ ამის გვერდით ჩვენ გვაქვს წმინდა განსჯითი კულტურა, რაც ადამიანს აშორებს იმისაგან, რაც მანუს გავლენით ჩაინერგა მასში. თქვენ ყველა ოკულტუ წიგნში იპოვით იმჟამად მომხდარის აღწერას. მანუმ შეარჩია პატარა ჯგუფი და გობის ანუ შამოს უდაბნოსკენ წაიყვანა. მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი დარჩა მისი ერთგული, სხვებმა კი უღალატეს და ყველა მიმართულებით მიმოიფანტნენ. ხელდასასხმელს წარმოუდგენდნენ ამ მნიშვნელოვან პროცესს. მას უჩვენებდნენ, თუ როგორ შეარჩია მანუმ თავდაპირველად პირველსემიტთა ერთი ნაწილი, როგორ შემორჩა მას ამ რჩეულთაგან მხოლოდ მცირე ჯგუფი და როგორ განადგურდა დანარჩენი ნაწილი, გარეგნული კულტურის სირენათა ხმებს აყოლილი.

შემდგომი მნიშვნელოვანი მომენტი კაცობრიობის განვითარებისა მინიშნებულია სცილასა და ქარიბდას შორის სვლით. საკუთრივ რას ეყრება ამ დროს საფუძველი კაცობრიობის განვითარებაში? როგორც ვნახეთ, მხოლოდ ახლა იწყება საკუთრივ კამა-მანასის კულტურა. ის აქამდე თანდათანობით მზადდებოდა. ახლა ის იწყება. ჩვენი მეხუთე ძირეული რასა უპირატესად ამ კამა-მანასის კულტურას ავითარებს. კამა ასტრალურ სფეროშია და დღემდე ასტრალურ სხეულშიც მოქმედებს. მანასი კი ფიზიკურ ტვინში მოქმედებს. მეხუთე ძირეული რასის ადამიანი ფიზიკური ტვინით აზროვნებს. მხოლოდ განვითარების მომავალ ფაზაში შეიძენს კამაც, ასტრალური სხეულიც აზროვნების უნარს. დღესდღეობით მანასმა მხოლოდ ფიზიკურ სხეულში ჰპოვა ადგილი. ჩვენ უნდა გავიაროთ ორ აზობოქრებულ მორევს — სცილასა და ქარიბდას — შორის, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მიგვაქანებს. ამაზე მიგვანიშნებს ოდისევსის მიერ სცილა-მანასსა და ქარიბდა-კამას შორის გავლა. აქ, ერთის მხრივ, გვაქვს ასტრალური მორევი, ლტოლვები, ნდომანი, ვნებანი, სადაც შეიძლება ჩაინთქას ადამიანი, მეორეს მხრივ

კი კლდეზე მიჯაჭვული ფიზიკური განსჯა. კლდე ჩვენ პრომეთეს თქმულებაშიც გვხვდება. და აქაც კლდესთან გვაქვს საქმე. ადამიანის განსჯას ფიზიკური სამყაროსთვის, კლდისთვის დამახასიათებელი ყველა ხიფათი ემუქრება. ამიტომ ადამიანი მიცურავს ფიზიკური განსჯის ფლატეებსა და ასტრალური ცხოვრების მორევს შორის. თუ იგი აქ გაივლის, თუ შეიცნობს რა ფათერაკები ემუქრება და მათ გაუძლებს, მაშინ კალიპსოს კუნძულს, დაფარულ სიბრძნეს მიადგება. აქ მას ეხსნება კაცობრიობის მომავალი და ის გადის გამოცდას, რომელიც შვიდი წელი გრძელდება. ამიტომაც რჩება ოდისევსი შვიდი წელი კალიპსოსთან. ყველა, ვისაც ხელდასხმა სურს, გადის შვიდწლიან გამოცდას და ეს გამოცდა კალიპსოს კუნძულზე ყოფნითაა მინიშნებული, სადაც მოჩვენების უკან ფარული სიბრძნე მკვიდრობს. მხოლოდ ამის შემდეგ ძალუძს მას მიაღწიოს ადგილს, სადაც მიდის სამშვინველი, თუკი ის ასტრალური ვნებების მორევს დაუსხლტება. იკითხეთ ჰომეროსის ოდისეა; ის მიანიშნებს, რომ ადამიანი საკუთარ სამშვინველს ეძებს. საკუთარი სამშვინველის დაბრუნება — ესაა სამშობლოსაკენ ლტოლვა. ვისაც ოდისეის ჭეშმარიტად გაგება სურს, ვერ დაეთანხმება თანამედროვე მკვლევარს, რომელსაც ჰგონია, რომ პოლითემე და ციკლოპები სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ეთნიდან ცეცხლის გადმოფრქვევას და ოდისევსის მიერ ცეცხლის ენების გოლიათის თვალად ხილვას.

ოდისევსი ბოლოსდაბოლოს გლახაკი ბრუნდება შინ, ყოველგვარ გარეგნულ სიმდიდრეს მოკლებული. ამით მინიშნებულია, რომ ადამიანს, რომელმაც შეიცნო გარეგნული სამყაროსა და ამქვეყნიური სიმდიდრის არარაობა, სამშვინველის სამშობლოს მაიას მიღმა ეძებს და არა მასში, რომ ის მისტიკური გაგებით გლახაკი ბრუნდება სამშობლოში. ოდისევსი რომ ჭეშმარიტი ბრძენია, ეს მინიშნებულია იმით, რომ მას ათენე პალასი მიუძღვება შინისკენ. სამშვინველი ყოველგვარ ეზოტერულ ლიტერატურაში ქალის სახით გამოიხატება, სამშვინველის მისწრაფების სიმბოლოდ ყოველთვის ქალის არსებას ირჩევენ. გოეთე მას მარად ქალურს უწოდებს. არგონავტების თქმულებაში მედეა, აქ კი პენელოპე უნდა გავიგოთ როგორც ჩვენი სამშვინველი, რომლისკენ გზასაც კვლავ ეძებს ოდისევსი. ქრისტიანულ რელიგიაშიც ქალწული მარიამი მოსწრაფე ადამიანის სამშვინველია, ოღონდ აქ მისი მნიშვნელობა შეუდარებლად უფრო ღრმაა. პენელოპე, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეხუთე ძირეული რასის ადამიანის სამშვინველია. მეხუთე ძირეული რასის ამოცანაა ადამიანური განსჯის კულტივირება. განსჯაზე უნაყოფო თავისთავად არაფერია ამქვეყნად; მხოლოდ მაშინ ხდება ის ნაყოფიერი, როდესაც რაიმე შინაარსისკენ მივმართავთ. განსჯა — ბადეა, საგნებს ხლართში რომ აბამს, საგნებს, რომლებიც გარედან გვეძლევა. თუკი გარეგანმა გამოცდილებამ რაიმე გასწავლათ, შეგიძლიათ განსჯის ხლართებში მისი გაბმა. თუკი უმაღლესი ოკულტური სიბრძნე გასწავლით რასმე, მისი გაბმაც შეგიძლიათ განსჯის ხლართებში. ხშირად ამბობენ, ოკულტური სიბრძნე განსჯას ეწინააღმდეგებაო, განსჯას არაფერი არ ეწინააღმდეგება! ყოველთვის, როცა ახალი რამ გამოუჩნდებათ ჰორიზონტზე ამბობენ ეს განსჯას ეწინააღმდეგებაო. არადა განსჯა მხოლოდ კომბინირების, დაკავშირების საშუალებაა. თავისით ის ვერაფერს ვერ მოიპოვებს,

განსჯით თქვენ ვერაფერს ვერ დაამტკიცებთ. უნაყოფობა განსჯისა, რომელიც არსებითად მეხუთე ძირეული რასის სამშვინველის თვისებაა, მინიშნებულია პენელოპეს მიერ ქსოვილის გამუდმებული ქსოვით და რღვევით. ოდისევსს სიბრძნე მიუძღვება წინ. ხელდასხმულმა უნდა ჰპოვოს გზა მეხუთე ძირეული რასის სამშვინველისკენ, უნაყოფო განსჯისკენ. მაგრამ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუერთდება სწორად მეხუთე ძირეული რასის სამშვინველს, თუკი თავადაა სიბრძნით აღვსილი, თუკი მას ათენე პალასი, სიბრძნე მიუძღვება წინ. მეორეს მხრივ, ათენე პალასი — უზენაესი ქალღმერთი, სამშვინველის მეორე ძალა, სიბრძნე, საკუთრივ წინამძღოლია. მაგრამ სხვადასხვა ფათერაკების გავლის შემდეგ, რამდენადაც ეს განვითარების ფათერაკებია — ზოგიერთი ფათერაკი კი ლემურიულ ეპოქასაც ახლდა თან — ადამიანმა განსჯა უნდა შეიძინოს. აქ ათენე პალასია მისი მეგზური. ამას წარუდგენდნენ მისტერიათა მოწაფეს საბერძნეთში და ამის გადმოცემა სურდა ჰომეროსს ოდისევსის ღრმააზროვან თქმულებაში.

ოდისევსის თქმულებაში ჩვენ საქმე გვაქვს ხელდასხმასთან, როგორც ეს იმჟამინდელ საბერძნეთში იყო მიღებული, ხელდასხმასთან, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ასტრალურ-მენტალურ პლანზე განცდაში განმეორება ლემურიული ეპოქიდან საკუთრივ მისტერიათა ეპოქამდე მომხდარი ამბებისა. ოდისევსი ცბიერია და ჭკვიანი და მისი უნარის წყალობით იქნა ძლეული ტროა. განსჯის მატარებელი, ჭკვიანი ადამიანი მეხუთე რასის ადამიანია. მაგრამ თავისი სამშობლო, თავისი პენელოპე მან კვლავ უნდა ეძიოს შემოვლითი გზებით, რათა სწორად იაროს მეხუთე ძირეული რასის ეპოქაში. მხოლოდ ცბიერი და ჭკვიანი ვერ ჰპოვებს სწორ გზას მეხუთე ძირეული რასის ეპოქაში. მან უნდა დატოვოს საკუთარი თავი და გაფართოებული მზერა მიაპყროს ადამიანის მოდგმის მიერ გამოვლილ ხანგრძლივ გზას. ოდისევსი კამა-მანასის ეპოქის ცბიერი კაცობრიობის წარმომადგენელია, რომელიც სხვადასხვა ფათერაკებს გადის იმისათვის, რათა მეხუთე ძირეულ ეპოქაში კვლავ ჰპოვოს თავისი სამშვინველი.

ოდისევსი კლავს პენელოპეს სასიძოებს.

ბერლინი, 14 ოქტომბერი, 1904

რუდოლფ შტაინერი

როგორ მოქმედებს ანგელოზი ჩვენს ასტრალურ სხეულზე[1]

ჩეფალუს საკათედრო ტაძრის მოზაიკა. სიცილია, იტალია.

სინამდვილის ანთროპოსოფიული წვდომა მხოლოდ თეორიული მსოფლმხედველობის არეალით არ უნდა შემოიფარგლოს. იგი უნდა იქცეს ცხოვების შინაარსად, სასიცოცხლო ძალად. მხოლოდ მაშინ შეასრულებს იგი თავის ამოცანას, როცა ჩვენივე მეცადინეობით იმდენად მომძლავრდება ჩვენში, რომ ჭეშმარიტ სასიცოცხლო ძალად იქცევა. რაკიღა ჩვენს საფშვინველს ანთროპოსოფიულ წვდომასა და შემეცნებას ვუკავშირებთ, ძალაუნებურად კაცობრიობის განვითარების გარკვეული მნიშვნელოვანი პროცესების მონაწილედ და მეთვალყურედ წარმოვჩნდებით. ცნობილია, რომ ადამიანები, ეზიარებიან რა ამა თუ იმ მსოფლმხედველობას, დარწმუნებულები არიან, რომ აზრები და წარმოდგენები, გარდა იმისა, რომ ისინი მათ საფშვინველში წარმოიშვებიან, არაფრით არ ეხებიან, არ განაპირობებენ სამყაროთა ურთიერთკავშირს.

[1] გიორგი ნიშნიანიძის თარგმანი

მსგავს მსოფლმხედველობათა მქონე ადამიანები ასე ფიქრობენ: აზრები და წარმოდგენები იდეალად მხოლოდ მაშინ დაინერგებიან ცხოვრებაში, ან იმდენად აქცევს მათ ადამიანი იდეალად, რამდენადაც, რაკიღა მისი ასპარეზი ფიზიკური სამყაროა, სწორედ ფიზიკურ სამყაროში შესძენს და მიანიჭებს მათ ცხოვრებისეულ მნიშვნელობას.

ანთროპოსოფიული მრწამსის აუცილებელი პირობაა, კარგად გავერკვეთ იმაში, რომ ჩვენი აზრებისა და წარმოდგენების ცხოვრებაში განსახორციელებლად სრულიად სხვა გზები და საშუალებები უნდა გამოიძებნოს, განსხვავებით იმისაგან, რომ ამა თუ იმ აზრსა და წარმოდგენას ადამიანები გრძნობად სამყაროში ფიზიკური მოქმედებით ახორციელებენ. ამ ცხოვრებისეული აუცილებლობის შეგნებაშივე უკვე ჩანს მოთხოვნაც იმისა, რომ ანთროპოსოფოსი ვალდებულია გარკვეული მონაწილეობა მიიღოს ეპოქის გამოცხადებათა — ნიშანთა და სიმბოლოთა — შეცნობასა და აღიარებაში. უამრავი რამ ხდება სამყაროთა განვითარებაში, ხოლო ადამიანის, უპირატესად კი ჩვენი ეპოქის ადამიანის, პირდაპირი ვალია გამოიმუშაოს გამოცხადებათა შეცნობის უნარი სამყაროთა განვითარების იმ პროცესში, თავად რომაა ჩართული.

მოგეხსენებათ, როცა ცალკეულ ადამიანს ეხებიან, არავის არ შეეპარება ეჭვი, რომ ამ ადამიანის დასახასიათებლად მისივე განვითარების გათვალისწინებაა აუცილებელი და არა მხოლოდ ამ გარე მოვლენათა ყურად ღება, რაც მის გარშემო ხდება. უხეშად რომ ვთქვათ, წარმოვიდგინოთ, რომ დღევანდელი გარე მოვლენები ეხება 5, 10, 20, 30, 50 და 70 წლის ადამიანებს. არცერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა აზრად, რომ ხსენებული მოვლენები ერთნაირად უნდა განიხილებოდეს 5, 10, 20, 30, 50 და 70 წლის ადამიანთა მიმართებაში. ადამიანთა გარემოებისადმი დამოკიდებულება მხოლოდ მათივე განვითარების დონით უნდა განისაზღვროს, ე.ი. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თითოეული ცალკეული ადამიანი — ამას დღეს არავინ არ უარყოფს.

მსგავსად იმისა, რომ თითოეული ცალკეული ადამიანი გარკვეულ საკუთარ განვითარებას ემორჩილება, მსგავსად იმისა, რომ განსხვავებული ძალები მოქმედებენ ყრმობის, სიჭაბუკისა და მოწიფულობის ასაკში, ასევე მთელი კაცობრიობის განვითარებაში სრულიად სხვადასხვა ძალები ვლინდება და, ასე ვთქვათ, მხოლოდ მძინარე უგულებელყოფს სამყაროთა განვითარების შემეცნებისას, რომ XX საუკუნის კაცობრიობის არსი რამდენადმე განსხვავდება,, ვთქვათ, XIV საუკუნის, ან გოლგოთას მისტერიისდროინდელი, ანდა, თუნდაც უფრო ადრეული კაცობრიობის არსისგან. ასეთი რამის უგულებელყოფა, ეგოდენ უდიდესი დაბნეულობა და შეცდომა ჩვენი დროისა ის გახლავთ, რომ ადამიანსა და კაცობრიობაზე აბსტრაქტულად შეიძლება ილაპარაკო და სრულებითაც არ არის საჭირო გაერკვე, რომ დღევანდელი კაცობრიობა გარკვეულ განსხვავებულ განვითარებას ემორჩილება.

ისმება კითხვა: როგორ უნდა მივაღწიოთ ამის უფრო ზუსტად შემეცნებას? დამეთანხმებით, ჩვენ ხშირად გვიხდებოდა ლაპარაკი ერთ უძირითადეს პუნქტზე ამ განვითარებაში. ბერძნულ-ლათინურ ეპოქას — ჩვენს ერამდე VII საუკუნიდან

მოყოლებული ვიდრე XV საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვით — ე.წ. განსჯითი საფშვინველის ანუ ხასიათის საფშვინველის კულტურის ეპოქად ვთვლით; ხოლო XV საუკუნიდან მოყოლებული დრო კი ცნობიერი საფშვინველის ეპოქად ითვლება. სწორედ ეს გახლავთ ყველაზე უძირითადესი კაცობრიობის განვითარებაში, მით უმეტეს, როცა ეს უკანასკნელი დღევანდელ დღესაც გრძელდება. ამრიგად, ჩვენ ვიცით, რომ XV საუკუნიდან მოყოლებული დრო, ვიდრე მესამე ათასწლეულის მიწურვამდე, ანუ მეოთხე ათასწლეულის დამდეგამდე, ითვლება ცნობიერი საფშვინველის ეპოქად.

მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სულის მეცნიერებაში, როცა ჭეშმარიტად სულის მეცნიერებაზეა ლაპარაკი, მხოლოდ ზოგადი აბსტრაქტული აზრებით ვერ შემოიფარგლები. ყველგან და ყოველთვის უნდა ვესწრაფოდეთ კონკრეტული ფაქტების მოძიებას. მარტო აბსტრაქციით მხოლოდ რიგითი, ჩვეულებრივი ცნობისმოყვარე ადამიანი თუ დაკმაყოფილდება. ვისაც სურს სულისმეცნიერება სასიცოცხლო ძალად, ცხოვრების შინაარსად და აზრად აქციოს, იგი დიდის სერიოზულობით უნდა მოეკიდოს მას და ამდენად მარტო აბსტრაქციით ვეღარ დაკმაყოფილდება. ჩვენ ვცხოვრობთ ცნობიერი საფშვინველის ეპოქაში, რომელიც უპირატესად სწორედ ცნობიერი საფშვინველის განვითარებისა და გამოვლენისათვისაა განსაზღვრული. ეს სრული სიმართლეა და დიდი მნიშვნელობაც ენიჭება ამ აზრს, მაგრამ ყველაფერი ამით არ ამოიწურება.

თუკი გვსურს უფრო მივუახლოვდეთ და მკაფიოდ გამოვკვეთოთ საქმის არსი, უპირველეს ყოვლისა, უფრო გამოწვლილვით უნდა განვიხილოთ საკუთრივ ადამიანის არსიც. სულისმეცნიერების მიხედვით, ჩვენ, ვითარცა ადამიანნი, გარკვეულწილად, ზემოდან ქვემოთ რომ ჩამოვთვალოთ, შევდგებით: «მე»-ს, ასტრალური სხეულის, ეთერული სხეულისა (რომელიც ამასწინ მე ძალთამაფორმირებელ სხეულადაც მოვიხსენიე) და ფიზიკური სხეულისაგან. ადამიანური ბუნების ამ ოთხი შემადგენელი წევრისაგან მხოლოდ «მე» გახლავთ ის წევრი, რომელშიაც ვიწყებთ ცხოვრებასა და ფშვინვიერ — სულიერ შემოქმედებას. «მე» იმ დედამიწისეული განვითარებით გვენიჭება, რომელსაც ფორმის სულები (ელოიმები) წარმართავენ. ყოველივე, რაც ჩვენს ცნობიერებაში შემოდის, ძირითადად «მე»-ს წყალობით ხორციელდება. ხოლო, თუკი «მე» იმგვარად განვითარდება, რომ დროის რომელიღაც მონაკვეთში, თუნდაც სხვა სხეულთა მეოხებით, გარე სამყაროს ვერ დაუკავშირდება, მაშინ ჩვენი ცნობიერება გარდაიქმნება იმ ცნობიერებად, რომელიც მხოლოდ დაძინებიდან გაღვიძებამდე გაგვაჩნია. «მე» ის წევრია, რომელიც ჩვენ გარე სამყაროსთან გვაკავშირებს; ასტრალური სხეული ჩვენ იმ მთვარისეული განვითარების წყალობით გვებოძა, ჩვენს დედამიწისეულ განვითარებას რომ უსწრებდა. ეთერული სხეული მთვარისწინა მზისეული განვითარებით მივიღეთ; ხოლო ფიზიკური სხეულის პირველი ჩანასახები — წინარე სატურნისეული განვითარებით წყალობით.

უკეთუ «იდუმალმეტყველების ნარკვევში» ზემოთ ჩამოთვლილ სხეულთა აღწერას გადავხედავთ, ნათელი გახდება რაოდენ სირთულით ჩამოყალიბდა და შეიქმნა ის, რასაც დღეს ოთხწევრა ადამიანი წარმოადგენს. განა

«იდუმალმეტყველებიდან» არ ჩანს, რომ ადამიანის სამ გარსად, სამ სხეულად, შენაწევრებაში ყველა იერარქიის სულები მონაწილეობდნენ? განა არ ვრწმუნდებით, რომ ის, რითაც ჩვენ შევიმოსენით, ასტრალური იქნება ეს, ეთერული თუ ფიზიკური სხეული, თავისთავად ერთობ ურთულესი რამაა? ხსენებული იერარქები გარდა იმისა, რომ ჩვენს გარსთა შექმნაში მონაწილეობდნენ, დღესაც განაგრძობენ მათ წიაღ შემოქმედებას უფრო სრულყოფის მიზნით. ვისაც სწამს, რომ ადამიანი ძვლების, სისხლის, გვამისა და ა.შ. უბრალო ნაერთს წარმოადგენს, როგორც ამას ჩვეულებრივი საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი გვამცნობენ, ფიზიოლოგია იქნება ეს თუ ბიოლოგია, ანდა ანატომია, მას სრულებით არ გაეგება, რა არის ადამიანი.

უკეთუ ჩვენ ადამიანის ამ გარსობრივი არსებითობის სინამდვილეს მივუახლოვდებით, უკეთუ ადამიანის ამ გარსობრივ არსებითობას მათს ყოველდღიურ მოქმედებაში განვჭვრეტთ, დავინახავთ, რარიგ მიზანშეწონილად, რაოდენ გონივრულად მოქმედებენ ისინი ერთიმეორეზე და ყოველივე იმაში, რაც ჩვენს სხეულებში ხდება და ჩვენი ცნობიერების მიღმაა, როგორ გამოსჭვივიან უმაღლეს იერარქიათა სულიერი არსნი. ის, რაც ადამიანის თანაშექმნაში უმაღლესი იერარქიების ცალკეულ სულთა ურთიერთკავშირიან ერთობლივ ქმედებაზე აღვწერე «იდუმალმეტყველების» ნარკვევებში — მე ვიტყოდი, მონახაზის სახით — მკაფიოდ წარმოაჩენს, თუ რარიგ რთულია, დამეთანხმებით, ყოველივე ცალკე აღებული. და მაინც, მიუხედავად ამისა, უკეთუ ადამიანის არსის ჭეშმარიტ წვდომას ვესწრაფვით, ვალდებული ვართ ასეთი ურთულესი მოვლენებიც სულ უფრო და უფრო გამოცალკევებულად და უფრო და უფრო კონკრეტულად განვიხილოთ.

ამ სფეროში რომელიმე კონკრეტული საკითხის ცალკე გამოყოფა უდიდეს სირთულეებთან არის დაკავშირებული, რამეთუ საკუთრივ კონკრეტული კითხვებიც უსაზღვროდ რთულია. დავუშვათ, ასეთი კითხვა დაგისვეს: როგორ მოქმედებს კაცობრიობის განვითარების ახლანდელ ციკლში, წლევანდელ 1918 წელს, ადამიანის ეთერულ სხეულზე, ვთქვათ სერაფიმების ანდა ძალთა (მოძრაობის სულნი) იერარქია? მსგავსი კითხვის დასმა ისევე ადვილად შეიძლება, როგორც, ვთქვათ, ამდაგვარისა: წვიმს თუ არა ახლა ლუგანში?

სიმართლე უნდა ითქვას, ორივე საკითხის გადაწყვეტა ერთიანი უმნიშვნელო ხარისხით, მხოლოდ ჩვეულებრივი განსჯით ანდა გარკვეული თეორიის მეოხებითაა შესაძლებელი: საკითხს კონკრეტულად უნდა მივუდგეთ. ისევე როგორც პირადად მე დეპეშითა თუ წერილით, ანდა მსგავსი საშუალებით შევიტყობდი წვიმს თუ არა დღეს ლუგანში, ასევე კონკრეტულად უნდა მივდგომოდი ისეთ საკითხს, როგორიცაა, ვთქვათ, შემდეგი კითხვა: რა ამოცანას ითვალისწინებს კაცობრიობის დღევანდელ განვითარებაში სიბრძნის სულები (კირიოტეტეს) ან საყდარნი, ვთქვათ, ადამიანის ეთერული სხეულის მიმართ? ამდაგვარი საკითხი უჩვეულოდ რთულია და ჩვენც, რა თქმა უნდა, მხოლოდ თანდათან უნდა მივუახლოვდეთ იმ სფეროებს, სადაც ასეთი საკითხები აღიძვრებიან. სწორედ ამ სფეროებში ყოველივე ისეა დაფუძნებული, ადამიანი რომ

არ აღზევდეს ცათა წიაღ და რომ ქედმაღლურად არ განეწყოს იგი ჭეშმარიტი წვდომის მისეულ სწრაფვაში.

გარკვეული უახლოესი პერსპექტივები, ჩვენ რომ უშუალოდ გვეხება, სწორედ ის პერსპექტივებია, რომელთაც მკაფიოდ ვხედავთ და წარმოვიდგენთ. და ჩვენც, ჩვენის მხრით, ვალდებული ვართ, მათ რაც შეიძლება მკაფიოდ ვჭვრეტდეთ, თუკი არ გვსურს კაცობრიობის განვითარებაში ჩვენი მონაწილეობა მიძინების, სიფხიზლის დაკარგვის გამო გამოგვეპაროს.

ამრიგად, მე ვილაპარაკებ ერთ საკითხზე, რომელიც არც ისეთი გაურკვეველი და ბუნდოვანია, როგორც საკითხი: როგორ მოქმედებენ ძალნი თუ საყდარნი ჩვენს ეთერულ სხეულზე?

მე ვილაპარაკებ საკითხზე, რაც ხსენებული საკითხივით გაურკვეველი და ბუნდოვანი გახლავთ, უფრო მეტიც, ეს საკითხი პირდაპირ და უშუალოდ ეხება თანამედროვე ადამიანს. აი, ეს საკითხიც: როგორ მოქმედებენ ანგელოზები ჩვენს ასტრალურ სხეულზე კაცობრიობის დღევანდელ განვითარებაში? ამავე დროს, ანგელოზები იერარქიულად ყველაზე ახლოს დგანან კაცობრიობასთან და მათი მოქმედება უშუალოდ ეხება სახელდობრ ადამიანს.

როცა ადამიანის შინაგან ბუნებას განვიხილავთ, ვხედავთ, რომ ჩვენს ადამიანურ «მე»-სთან ყველაზე ახლო ჩვენი ასტრალური სხეულია; ამდენად, იმედი მაქვს, რომ ამ საკითხზე გაცემული პასუხი ჩვენში უდავოდ ცოცხალ ინტერესს აღძრავს. მართლაც ანგელოზთა იერარქია ყველაზე ახლოსაა თავად კაცობრიობის იერარქიასთან. მაშ ასე, ჩვენ დავისახეთ მორიდებული კითხვა: როგორ მოქმედებენ, სახელდობრ დღეს, კაცობრიობის ჩვენეულ სასიცოცხლო ასაკში, XX საუკუნეშიც რომ გრძელდება, რაიც XV საუკუნიდან დაიწყო და მეოთხე ათასწლეულის დამდეგისთვის მიილევა — აი, კაცობრიობის ამ სასიცოცხლო ასაკში როგორ მოქმედებენ ანგელოზები ადამიანის ასტრალურ სხეულზე?

ახლა ვნახოთ, ძვირფასო მეგობრებო, რა შეიძლება ითქვას საკუთრივ საკითხზე და მის პასუხზე. ერთი, რაც ცხადია, სულისმეცნიერებითი კვლევა, თუ იგი სათანადო სერიოზულობით ხორციელდება, არც გართობაა და არც სიტყვათა თუ წარმოდგენათა თამაში; ასეთი კვლევა ჭეშმარიტად იმ გარკვეულ სფეროთა გადამუშავებას ითვალისწინებს, რომელთა წიაღ სულიერი სამყარო ხილულად წარმოჩნდება. ამ უახლოესი სფეროების მოხილვა ნამდვილად არის შესაძლებელი, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ხსენებულ კითხვაზე სწორი და უტყუარი პასუხი ცნობიერი საფშვინველის ეპოქაში ხდება ხელმისაწვდომი.

შეიძლება ასეთმა აზრმაც გაგვიელვოს: მსგავსი კითხვა რომ სხვა ეპოქებში აღძრულიყო, სავარაუდოა, მისი შესაფერისი პასუხიც მოიძებნებოდა. მაგრამ სინამდვილეში ატავისტური ნათელხილვის პერიოდში და ბერძნულ-ლათინური კულტურის დროსაც, ამ კითხვაზე სწორი და ამომწურავი პასუხის გაცემა იმიტომ იქნებოდა შეუძლებელი, რომ ის ხატ-სახეები, რომელთაც საფშვინველი ატავისტური ნათელხილვის ეპოქაში იღებდა, უდავოდ გაგვიბუნდოვნებდნენ, ჩვენი მხედველობისაგან გარკვეული საბურველით წარიტაცებდნენ ანგელოზების ზემოქმედებას ადამიანის ასტრალურ სხეულზე. დიახ, ჩვენ ვერაფერს ვერ

განვჭვრეტდით, რადგან სავსე ვიყავით ხატ-სახეებით, ატავისტური ნათელხილვის წყალობით რომ გვეძლეოდა. ხოლო ბერძნულ-ლათინურ პერიოდში აზროვნება არ იყო ისეთი ძლიერი, როგორიც დღეს გახლავთ, აზროვნება სწორედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ეპოქის წყალობით მომძლავრდა. ასე და ამრიგად, ცნობიერი საფშვინველის ეპოქა სწორედ ის ეპოქაა, როცა შესაძლებელია ჩასწვდე და განჭვრიტო ისეთი საკითხები, რომელთაგან ერთ-ერთი ეს-ეს არის დავისახეთ.

ჩვენი სულისმეცნიერების სასიცოცხლო, ცხოვრებისეული მნიშვნელობა და ნაყოფიერება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თეორიებით არ ვკმაყოფილდებოდით; ჩვენ ძალგვიძს ისეთი რამ ვთქვათ, რასაც ცხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

როგორ მოქმედებენ ანგელოზები ჩვენს ასტრალურ სხეულზე? მათი მოქმედების უტყუარობა ჩვენს საფშვინველში მხოლოდ მაშინ შეიძლება ვირწმუნოთ, როდესაც ნათელმხილველური კვლევის გარკვეულ ხარისხამდე ავმაღლდებით, რომლის დროსაც ჩვენი ასტრალური სხეულის ფუნქციონირება და მოქმედება განიჭვრიტება. ამრიგად, დასმულ კითხვაზე სათანადო პასუხის გასაცემად საჭიროა, სულ მცირე, იმაგინაციური შემეცნების სათანადო ხარისხის მოპოვება.

ამ ხარისხის წყალობით ვიხილავთ, რომ ანგელოზთა იერარქიის არსებები — გარკვეულწილად თითოეული ანგელოზი ცალ-ცალკე, რომლებიც თავიანთი საკუთარი მიზანდასახულობით არიან განმსჭვალული თითოეული ადამიანისადმი ცალ-ცალკე — მაგრამ ამავე დროს და ძირითადად, ურთიერთთანამშრომლობითი და ერთობლივი ძალისხმევით მოქმედებენ, — ადამიანის ასტრალურ სხეულში ჰქმნიან ხატ-სახეებს. ფორმით სულების (ელოიმების) ხელმძღვანელობითა და წარმმართველობით ანგელოზები ჰქმნიან ხატ-სახეებს. იმაგინაციურ შემეცნებამდე აუმაღლებლად ვერ შევიტყობთ, რომ ჩვენს ასტრალურ სხეულში განუწყვეტლივ იქმნება ხატ-სახეები.

ხატ-სახეები ხან წარმოიქმნება და ხანაც უჩინარდება. ეს ხატ-სახეები ახლა რომ შეიქმნას, მომავალში ადამიანი ვეღარ მიაღწევს იმ განვითარებას, ფორმის სულების (ელოიმების) განზრახვასა და მიზანს რომ შეესაბამება. რასაც ფორმის სულები ესწრაფვიან, დედამიწის განვითარების დასასრულს მიაღწიონ, უპირველეს ყოვლისა მათ იგი ხატ-სახეებში უნდა განავითარონ; ხოლო მოგვიანებით, ხატ-სახეებიდან ახალი კაცობრიობა, ახალი სინამდვილე წარმოიშვება. ფორმის სულთა ხატ-სახეები ანგელოზთა მეოხებით ჩვენს ასტრალურ სხეულში დღეს იბეჭდება. ანგელოზები ჰქმნიან ჩვენს ასტრალურ სხეულში იმ ხატ-სახეებს, რომლებიც ნათელხილვამდე ამაღლებული აზროვნებით განიჭვრიტება. როცა ამ ხატ-სახეთა განჭვრეტის შესაძლებლობა გვეძლევა, ირკვევა, რომ მათ, ჩვენს ასტრალურ სხეულში, ანგელოზები სრულიად გარკვეული იმპულსებითა და მკაცრად განსაზღვრული პრინციპებით ჰქმნიან. მათი შექმნა და განზეჭდვა იმგვარად მიმდინარეობს, რომ იქ, სადაც თავად ხატ-სახეები ისახება, გარკვეულწილად კაცობრიობის განვითარებისათვის სათანადო ძალაც ინერგება —

როცა ანგელოზთა ამ რუდუნებას აკვირდები თუმცაღა უცნაურად ჩანს, მაგრამ იძულებული ვარ ასე გამოვთქვა — ანგელოზები ადამიანის მიწიერი ცხოვრების მომავალ გარკვეულ სოციალურ სტრუქტურას ესწრაფვიან; მათი ნება და სურვილია ადამიანის ასტრალურ სხეულში ისეთი ხატ-სახეები შექმნან, რომლებიც ადამიანთა მომავალ საერთო ცხოვრებაში სრულიად გარკვეულ სოციალურ მდგომარეობებს განაპირობებენ.

ადამიანებს ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ იმას, რომ ანგელოზები ილტვიან მათ საფშვინველში მომავლის იდეალები აღძრან. მაგრამ ეს ფაქტია. და ანგელოზთა მიერ ამგვარ ხატ-სახეთა ქმნადობაში მკაფიოდ გამოხატული კანონიც მოქმედებს: ამ კანონის ძალით, მომავალში არცერთ ადამიანს არ ექნება უფლება კუთვნილი ბედნიერებით მოგვრილ განცხრომას მიეცეს იმ დროს, როცა მის გვერდით სხვა ადამიანები იტანჯებიან.

თავის ყოვლისმომცველობას აღწევს აბსოლუტური ძმობის, ადამიანთა მოდგმის აბსოლუტური თანასწორობის ურყევი იმპულსი — იმპულსი სწორად გაგებული ძმობისა — რაიც ფიზიკურ ცხოვრებაში სწორედ სოციალურ მდგომარეობას ერწყმის და ეხმატკბილება.

ეს გახლავთ პირველი, ყოვლის უპირატესი პუნქტი, რომლის თანახმად, როგორც ვხედავთ, ანგელოზები ადამიანის ასტრალურ სხეულში გარკვეულ ხატ-სახეებს ქმნიან.

გარდა ამისა, არსებობს მეორე იმპულსი, რომლის მიხედვითაც ანგელოზები თავიანთ მოქმედებას ახორციელებენ. ისინი გარკვეულ მიზნებს არა მხოლოდ გარე სოციალური ცხოვრების მიმარებით მიელტვიან; ანგელოზები გარკვეულ მიზნებს ადამიანის საფშვინველის, მისი ფშვინვიერი ცხოვრების მიმართებითაც ესწრაფვიან. რაც შეეხება ადამიანის ფშვინვიერ ცხოვრებას, ადამიანის საფშვინველში გარკვეულ ხატ-სახეთა ჩასახვისა და განზეჭდვის მეოხებით, ანგელოზებს ასეთი მიზანი დაუსახავთ: მომავალში თითოეულმა ადამიანმა თითოეულ მეორე ადამიანში გაიდუმალებული ღვთაებრივობა უნდა განჭვრიტოს.

ზემოთქმულიდან, ძვირფასო მეგობრებო, ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ანგელოზთა მიზნების თანახმად, რომლებიც მათსავე რუდუნებას უდევს საფუძვლად, რაღაც უნდა შეიცვალოს. გარდაუვალია დამკვიდრდეს, რომ ადამიანს ისე არ უნდა ვუყურებდეთ, როგორც გარკვეულწილად მაღალგანვითარებულ ცხოველს, როცა მის ფიზიკურ თვისებებს ვითვალისწინებთ — არც თეორიულად და არც პრაქტიკულად; არამედ თითოეულ მეორე ადამიანთან სრულიად განვითარებული გრძნობით უნდა მივიდეთ. ადამიანში მსოფლიო ღვთაებრივი საფუძველთა საფუძვლებიდან ვლინდება რაღაც და იგი მისი სხეულიდან და სისხლიდანაც გამოსჭვივის. ანგელოზთა მიერ განზეჭდილ ხატ-სახეებში შთაისახება ის, რისი წყალობითაც მომავალში ერთი ადამიანი მეორეს ყველა თავისი შესაძლებელი სერიოზულობით, მთელი ძალითა და ყურადღებით აღიქვამს, როგორც სულიერი სამყაროდან წარმომავალ ხატებას.

ოდესღაც, როცა ზემოთქმული განხორციელდება, მას ღრმად განსაზღვრული სათანადო შედეგიც მოჰყვება. ყოველგვარი რელიგიური თავისუფლება, რაიც სულ

უფრო და უფრო დიდ გასაქანს მიიღებს მომავალში, დაემყარება არსობრივ შეგნებას, რომ ადამიანი არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკული უშუალობითაც წარმოჩენილ და ღირსყოფილ იქმნას, ვითარცა ცოცხალი ხატება ღვთისა. ამ დროს ადგილი აღარ ექნება რელიგიის მიერ ძალმომრეობას და აღარც მოთხოვნა იქნება ვინმეს მიმართ რელიგიური იძულებისა და ძალდატანებისა, რამეთუ ერთი კაცის ყოველი მიახლება მეორესთან, თავიდან ბოლომდე, რელიგიურ რიტუალს დაემსგავსება, საკრამენტს, წმინდათაწმინდა იდუმალებას გაუტოლდება და აღარავის დაებადება სურვილი მოიძიოს ფიზიკურ პლანზე არსებული რაღაც განსაკუთრებული ეკლესია თავისი რელიგიური ცხოვრების განსამტკიცებლად.

ანგელოზთა რუდუნებას, ერთი სიტყვით, ასეთი იმპულსი განაპირობებს: კაცობრიობის სულში რელიგიური ცხოვრების თავისუფლება შთაიღვაროს.

ანგელოზთა რუდუნების მესამე ძირითადი იმპულსი შემდეგი გახლავთ: ადამიანს უნდა მიენიჭოს უნარი და შესაძლებლობა თავისი აზროვნებით მიაღწიოს სულს, რათა აზროვნების წყალობით გადალახოს გრძნობადსა და ზეგრძნობელობას შორის არსებული უფსკრული და მიუახლოვდეს სულიერი განცდების სამყაროს.

სულისმეცნიერება — სულს, რელიგიური თავისუფლება — საფშვინველს, ძმობა — ფიზიკურ სხეულს; აი, ეს გახლავთ ის მსოფლიო მუსიკა, ჩვენს ასტრალურ სხეულზე ანგელოზისმიერ ზემოქმედებაში რომ ჟღერს.

ამრიგად, ჩვენ ახლა ცნობიერი საფშვინველის ეპოქაში ვცხოვრობთ, ხოლო ამ ეპოქაში ანგელოზები ისე მოქმედებენ ადამიანის ასტრალურ სხეულზე, როგორც ეს-ეს არის აგიწერეთ: ადამიანები სულ უფრო და უფრო უნდა მიუახლოვდნენ ყოველივე იმის ცნობიერ წვდომას, რაც უკვე მოგახსენეთ. იგი კაცობრიობის განვითარებას ეკუთვნის. ხოლო ეს ქმნადობა და მისთანანი სად უნდა მოვიძიოთ? ასე ვთქვათ, როგორ მიმდინარეობს ხსენებული ქმნადობა?

ეს ქმნადობა დღეს მძინარე ადამიანში ხორციელდება. იგი შეიძლება ადამიანის მძინარე მდგომარეობაში შეინიშნოს დაძინებიდან გაღვიძებამდე, ასევე ძილ-ფხიზლობის, თვლემის დროსაც. ხშირად მითქვამს თქვენთვის, რომ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, რომ დღისით ფხიზლობენ, თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე მძინარესავით გამოეპარებათ ხოლმე უმნიშვნელოვანესი მოვლენები.

ყოველ შემთხვევაში, შემიძლია დაგარწმუნოთ, თუმცა ერთობ არასასიამოვნოცაა ამის მოსმენა, რომ ჭეშმარიტად, ძალზე ბევრია დღეს ასეთი მძინარე ადამიანი. ისინი არას დაგიდევენ, რა ხდება დღეს სამყაროში, სრულიადაც არ იწუხებენ თავს იმაზე, რომ უშუალოდ არიან დაკავშირებული მოვლენებთან — სრულიადაც არ ითავისებენ მათ. ყოველივე ის, რაც მსოფლიო მოვლენების სახით დედამიწაზე მათ წინ გათამაშდება და წარსულში ჩაინთქმება, ისე იოლად სცდება მათ ცნობიერებას, როგორც მძინარე ადამიანს ძილის დროს ქალაქში მოხდარი ამბები... თუმცაღა, გარეგნულად ადამიანები ამ დროს ფხიზლობენ. მაგრამ, სწორედ ამავე დროს, როცა ფხიზელი ადამიანები მძინარესავით გამოტოვებენ

ხოლმე რაღაც განსაკუთრებულს, შეინიშნება, რომ მათ ასტრალურ სხეულში ანგელოზები — ადამიანთა ძილ-ფხიზლობისაგან სრულიად დამოუკიდებლად — ახორციელებენ თავიანთ იმ უმაღლეს მიზნებს, რაზედაც უკვე ვილაპარაკეთ.

ასეთი რამ მრავალგზის და თანაც იმგვარად ხდება, რომ ადამიანებს იგი უცნაურად და პარადოქსულად უნდა მოეჩვენოთ. ადამიანთაგან უმეტესობას მიაჩნია, რომ ამა თუ იმ მოვლენის სულიერ სამყაროსთან დაკავშირება უღირსი საქმეა. ასეთი ადამიანი თავის დღევანდელ ინკარნაციაში, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ გამოუსწორებელი ძილის გუდაა, რომელსაც ყველაფერი განზე რჩება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დროს მის ასტრალურ სხეულზე მოქმედებს ანგელოზი — მისი მფარველი ანგელოზი, კაცობრიობაზე მზრუნველი მთელი თავისი საძმოს ერთობლივი ძალისხმევის ფონზე. ამრიგად, მისი ასტრალური სხეული მაინც გამოიყენება. აი, ასეთი ქმნადობა შეიძლება შეინიშნოს მის ასტრალურ სხეულში.

მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ მსგავსმა ქმნადობამ ადამიანურ ცნობიერებაში უნდა შეაღწიოს. ცნობიერი საფშვინველი იქამდე უნდა ამაღლდეს, რომ აღიაროს ის, რაიც მხოლოდ ამგვარად მოიძიება.

ასეთი წინასიტყვაობის მაგიერი შენიშვნები, ძვირფასო მეგობრებო, მხოლოდ იმისთვის დაისახა, რომ უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს იმის მნიშვნელობა, რაზედაც ახლა მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო: სწორედ ჩვენი ცნობიერი საფშვინველის ეპოქას გარდუვალად მივყავართ გარკვეულ მოვლენამდე და რამდენადაც ცნობიერ საფშვინველს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, საკუთრივ ადამიანზე იქნება დამოკიდებული, როგორ და რა სახით წარიმართება ეს მოვლენა კაცობრიობის განვითარებაში.

ეს მოვლენა შესაძლოა საუკუნით ადრე ან გვიან განვითარდეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ იგი გარდუვალად უნდა შემოვიდეს კაცობრიობის ევოლუციაში. ამ მოვლენის არსი შემდეგში მდგომარეობს: ადამიანებმა საკუთრივ ცნობიერი საფშვინველით, საკუთრივ შეგნებული აზროვნებით უნდა განჭვრიტონ და გაითავისონ, თუ რარიგ მოქმედებენ და როგორ ამზადებენ ანგელოზები მომავალ კაცობრიობას. რასაც ამ მხრივ სულისმეცნიერება გვასწავლის, იგი კაცობრიობის პრაქტიკულ და ცხოვრებისეულ სიბრძნედ უნდა იქცეს — იმდენად უნდა მიენიჭოს ყოველდღიური ცხოველმყოფელობა, რომ მტკიცედ სწამდეთ: ანგელოზთა ჩემს მიერ აღწერილი რუდუნებისა და ლტოლვის აღიარება თვითონ ადამიანებისთვის იქნება სასარგებლოც და გონივრულიც.

მაგრამ ადამიანთა მოდგმამ თავისუფლების მისეული წყურვილით იმდენად ღრმად შეტოპა, რომ დღეს, თავად ადამიანთა მოდგმაზეა დამოკიდებული მძინარესავით ასცდება ამ მოვლენას თუ მთელი თავისი შეგნებით მიეახლება მას. ხოლო მთელი შეგნებით მასთან მიახლება შემდეგს ნიშნავს: დღეს უკვე შესაძლებელია სულისმეცნიერებას დაეწაფო; ასეთი მეცნიერება უკვე არსებობს; მართლაცდა, სულისმეცნიერების ათვისებაზე უკეთესს ადამიანი დღეს ვერაფერს ვერ გააკეთებს. გარდა ამისა, აღასრულებს რა სხვადასხვა მედიტაციებს და გაითვალისწინებს რა იმასაც, თუ პრაქტიკულად რისი მოცემა შეუძლია ამ მხრივ,

მაგალითად, წიგნს, «როგორ მივაღწიოთ ზესამყაროთა შემეცნებას?», იგი სათანადოდ მომძლავრდება ზემოხსენებულ მოვლენებთან მისაახლებლად.

მაგრამ ყველაზე მთავარი და აუცილებელი სწორედ მაშინ ხდება, როცა სულისმეცნიერებას ეწაფებიან და სწორედ იგებენ და ითვისებენ მას. დღეს, უკვე ნათელმხილველური უნარის გამოუმუშავებლადაც არის შესაძლებელი შეისწავლო სულისმეცნიერება. ასეთი რამ ნებისმიერ ადამიანს ხელეწიფება, თუ, რა თქმა უნდა, წინასწარ, აკვიატებულად არ გადაიტვირთავს თავს ცრურწმენებით. ხოლო თუ ადამიანები სულ უფრო და უფრო მეტის მონდომებით დაეწაფებიან სულისმეცნიერებას და მის იდეებსა და წარმოდგენებს გაითავისებენ, მათი ცნობიერება იმდენად გაიღვიძებს, რომ გარკვეულ მოვლენებს ისინი შეგნებულად შეეგებებიან.

ამ მოვლენების უფრო დეტალური დახასიათებაც შეიძლება, რადგან ის, რაც უკვე ანგელოზთა რუდუნების შესახებ ვიცით, ძირითადად, მხოლოდ წინასწარი შემზადებაა უმთავრესის გასათვალისწინებლად. უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს — როგორც უკვე მოგახსენეთ, კაცობრიობაზეა დამოკიდებული, როდის დადგება ეს დღე — ადრე თუ გვიან, ხოლო უარეს შემთხვევაში, შეიძლება საერთოდ არც დადგეს — ერთ მშვენიერ დღეს, ყოველ შემთხვევაში იმის გამო, რაც გათვალისწინებულია რომ მოხდეს, კაცობრიობისათვის, ანგელოზთა საუფლოს წყალობით სამი რამ გაცხადდება.

უპირველეს ყოვლისა, ადამიანისათვის ნათელი გახდება, რომ თავისი ადამიანური, უშუალო და არსებითი დაინტერესებით იგი რეალურად ჩასწვდება და შეეხება თავისი ბუნების დაფარულ სიღრმეებს.

დიახ, ძვირფასო მეგობრებო, დადგება დრო, რაიც სიზმარეულივით არ უნდა გამოგვეპაროს, როცა ადამიანი თავისი ანგელოზის წყალობით სულიერ სამყაროდან უძლიერეს იმპულსს მიიღებს, გაცილებით ღრმად დაინტერესდეს თითოეული მეორე ადამიანით, ვიდრე დღეს. ჩვენი ახლობლებისადმი მზარდი ინტერესი განვითარდება არა მხოლოდ სუბიექტურად, ვითარცა ეს დღევანდელ კაცობრიობას ეადვილება, არამედ უფრო ნახტომის სახით, რამეთუ ადამიანში რეალურად შთამოიღვრება სულიერი სამყაროდან ის საიდუმლოება... თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს მეორე ადამიანი?! ამ საიდუმლოებაში მე უაღრესად კონკრეტულს ვგულისხმობ, ეს თეორიული მსჯელობა არ გახლავთ; ადამიანები შეიტყობენ ისეთ რამეს, რაიც უდიდეს ინტერესს აღძრავს მათში მეორე ადამიანისადმი. ეს არის პირველი იმ სამთაგანი და იგი განსაკუთრებული ძალით დაიუფლებს მთელს სოციალურ ცხოვრებას.

მეორე ის გახლავთ, რომ სულიერი სამყაროდან ანგელოზი უწყვეტლივ შთააგონებს ადამიანს, რომ ქრისტესმიერი იმპულსი, გარდა სხვა დანარჩენისა, ადამიანისათვის სრულ რელიგიურ თავისუფლებასაც განაპირობებს და ნამდვილი ქრისტიანობა სახელდობრ ისაა, რაიც შესაძლებლად ხდის აბსოლუტურ რელიგიურ თავისუფლებას.

მესამე კი სამყაროს სულიერი ბუნების აუცილებელი წვდომა და შემეცნება გახლავთ.

ეს მოვლენა, როგორც უკვე ვთქვით, ისე უნდა განვითარდეს, რომ ადამიანის საფშვინველმა მისდამი ერთვარი დამოკიდებულება გამოიმუშაოს. ეს დამოკიდებულება ადამიანის განვითარების კვალდაკვალ უნდა ჩამოიქნას, რამეთუ ანგელოზი ამ მიმართებით მოქმედებს ადამიანის ასტრალურ სხეულზე თავისი ხატ-სახეების მეოხებით.

ახლა თქვენს ყურადღებას იმაზე მივაპყრობ, რომ ეს სამომავლო მოვლენა უკვე შთანერგილია ადამიანის ნებაში. ადამიანებს შეიძლება რაღაც გამორჩეთ. დღევანდელ დღესაც კიდევ ბევრი ადამიანი ვერ აფიქსირებს მრავალ ისეთ ნიუანსს, რამაც ხსენებული მომენტის შეგნებულ განცდამდე უნდა მიგვიყვანოს.

მაგრამ როგორც თქვენ უკვე უწყით, სამყაროთა განვითარებაში ისეთი არსებებიც მოიძევებიან, რომლებიც დაინტერესებული არიან, ადამიანი გზას ააცდინონ: ეს არიმანული და ლუციფერული არსებებია. ის, რაც ზემოთ მოგახენეთ, ადამიანის ღვთაებრივ განვითარებას განეკუთვნება. ადამიანი თავისი საკუთარი არსის თანახმად ბუნებრივ განვითარებას რომ დაექვემდებაროს, იოლად მივა იმის განჭვრეტამდე, რასაც ანგელოზი მის ასტრალურ სხეულში ავითარებს; მაგრამ ლუციფერული განვითარება იქითკენ მიდრიკავს ადამიანს, რომ მან ვერ განჭვრიტოს, ვერ შეიმეცნოს ანგელოზთა იერარქიის შემოქმედება. და ეს ლუციფერული არსებანი, ესწრაფვიან რა თავიანთ მიზანს, ამგვარად მოქმედებენ: ისინი ცდილობენ ადამიანში მისი თავისუფალი ნების პრაქტიკა გააბუნდოვანონ; მართალია, ისინი ისწრაფვიან ადამიანი კეთილ არსებად აქციონ: ლუციფერი ამ თვალსაზრისით, სახელდობრ, კეთილისაკენ, სულიერისაკენ მიილტვის, მაგრამ ამის განხორციელება მას ავტომატურად, თავისუფალი ნების გარეშე სურს... ასეთმა მოქმედებამ ადამიანი კეთილი პრინციპების თანახმად, ასე ვთქვათ, მექანიკურად, ავტომატურად უნდა გადართოს ნათელმხილველობის უნარში... მაგრამ ლუციფერს სურს ადამიანს წაართვას თავისუფალი ნება და ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა. ლუციფერული არსებანი იმას ესწრაფვიან, რომ ადამიანი ისეთ არსებად იქცეს, რომელიც თუმცაღა სულიერ წესრიგს დაემორჩილება, მაგრამ იმოქმედებს, როგორც სულიერი ანარეკლი, რომელსაც თავისუფალი ნება აღარ ექნება. მათ, ლუციფერულ არსებებს, სურთ ადამიანი მანქანად, ავტომატურ არსებად აქციონ.

ყოველივე ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული განვითარების მკაცრად განსაზღვრულ საიდუმლოებებთან. ლუციფერული არსებები, როგორც უკვე უწყით, ის ჩამორჩენილი არსებებია, განვითარების სხვა საფეხურებზე რომ გაიყინენ და რომლებსაც ნორმალურ განვითარებაში შემოაქვთ რაღაც უცხო, განსხვავებული. ისინი ერთობ არიან დაინტერესებული, რომ ადამიანი დაიპყრონ და არ მისცენ მას საშუალება, მიაღწიოს თავისუფალ ნებელობას, რამეთუ თავად ამ არსებებმაც ვერ მიაღწიეს თავისუფალ ნებას. თავისუფალი ნების მიღწევა მხოლოდ დედამიწაზე შეიძლება; ხოლო მათ დედამიწის გაგონებაც არ სურთ. მათი მიზანია, გაიარეს რა სატურნული, მზიური და მთვარეული განვითარებანი, შედგნენ და არავითარი კავშირი არ იქონიონ დედამიწისეულ განვითარებასთან. მათ სძულთ ადამიანის თავისუფალი ნება. მათი მოქმედებანი მეტად სულისმიერია... მაგრამ

ისინი მოქმედებენ ავტომატურად — დიახ, სულისმიერად, მაგრამ ავტომატურად. ამრიგად, ერთის მხრივ, მოსალოდნელია საშიშროება, რომ ადამიანი ძალზე ადრეულად, სანამ მისი ცნობიერი საფშვინველი დაიწყებდეს ფუნქციონირებას, მანამდე ჩამოყალიბდება სულიერ-ავტომატურ არსებად და მძინარესავით გამოტოვებს იმ სამომავლო გამოცდილებებს, რომლებიც ეს-ეს არის აგიწერეთ.

მაგრამ ამ გამოცხადებათა წინააღმდეგ, ასევე არიმანული არსებებიც მოქმედებენ. ისინი არ ესწრაფვიან, რომ ადამიანები განსაკუთრებულად სულიერი გახდნენ; პირიქით, სულ იმას ცდილობენ, რომ ადამიანში ჩაჰკლან მისივე სულიერების ცნობიერება. მათი მეცადინეობა იქითკენ მიიდრიკება, რომ ადამიანს რამენაირად ჩამოუყალიბდეს თავის თავზე გარკვეული წარმოდგენა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ სრულყოფილებამდე განვითარებული ცხოველია. მართლაც, სწორედ არიმანი გახლავთ მატერიალისტური დარვინიზმის დიდი მოძღვარი. ასევე არიმანი გვევლინება მთელი იმ ტექნიკური და პრაქტიკული მოღვაწეობის დიდ შემოქმედად, განუწყვეტლივ რომ თან სდევს დედამიწისეულ განვითარებას და რომელიც, ადამიანის გარეგრძნობადი ცხოვრების გარდა, ყველაფერს უარყოფს; ასეთი მოღვაწეობა მხოლოდ და მხოლოდ განვითარებული ტექნიკის შექმნას ემსახურება, რათა ნატიფად და რაფინირებულად აღსრულდეს შიმშილისა და წყურვილის დაკმაყოფილება, ცხოველებსაც რომ გააჩნიათ. ჩვენი დროის არიმანული სულები ადამიანის ცნობიერ საფშვინველზე ყველანაირი რაფინირებული მეცნიერული საშუალებებით მოქმედებენ, რათა ჩაჰკლან და სრულიად დააკნინონ ადამიანში შეგნება, რომ იგი ღვთაების ხატებაა.

უფრო ადრეულ ეპოქებში არიმანულ სულებს არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა ადამიანის ცნობიერების ათასგვარი თეორიებით დაბუნდოვნება და დაკნინება, როგორც დღეს. რატომ? იკითხავთ თქვენ. ბერძნულ-ლათინურ ეპოქებში და მითუმეტეს უფრო ადრეც, როცა ადამიანს ატავისტური ნათელმხილველობა ჰქონდა და გამოცხადებებს ემორჩილებოდა, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა იმას, თუ რას ფიქრობდა ადამიანი; მას გამოცხადებები გააჩნდა და მათი მეოხებით ჭვრეტდა სულიერ სამყაროებს. და, რაც არ უნდა ცდილიყო არიმანი, ადამიანისათვის ცხოველთან მისეულ კავშირზე მიეთითებინა, ოდნავადაც ვერ შეცვლიდა ადამიანის დამოკიდებულებას ცხოვრებასთან. აზროვნება გაიზარდა — შეიძლება ითქვას, თავის უმწეობაში გაძლიერდა — მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს მეხუთე, პოსტატლანტიკურ ეპოქაში — XV საუკუნიდან ჩვ.წ.-ით, მხოლოდ ამ პერიოდიდან იქცა აზროვნება სათანადო ძალად, ცნობიერი საფშვინველი რომ სულიერ სფეროებს მიეახლოს; ასევე, აზროვნებაა ის ძალაც, რომელიც დაამუხრუჭებს ცნობიერი საფშვინველის სულიერ სამყაროში შესვლას. სწორედ დღეს, ახლა გვიდგას ის დრო, როცა თეორია, მეცნიერება შეგნებულად და გაცხადებულად იტაცებს ადამიანის ღვთაებრიობას, ცდასა და მეცადინეობას ღვთაებრივში. ასეთი რამ მხოლოდ ცნობიერი საფშვინველის ეპოქაში შეიძლება მოხდეს.

სწორედ ამიტომაც ესწრაფვიან არიმანული არსებები, ისეთი მოძღვრებები და მეცნიერებები გაავრცელონ, ადამიანში ღვთაებრივ წარმომავლობას რომ მიჩქმალავს.

როცა ამ მიმდინარეობებზე ვლაპარაკობთ, რომლებიც კაცობრიობის ნორმალურ ღვთაებრივ განვითარებას უპირისპირდება, შეიძლება გარკვეული დასკვნებიც გამოვიტანოთ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება, რომ, ვიმეორებ, არ გამოგვეპაროს, რა უნდა შემოვიდეს ადამიანის განვითარებაში გამოცხადების სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დიდი საფრთხე შეიქმნას. რა თქმა უნდა, ადამიანი ვალდებულია ყურადღებით მოეკიდოს ამ საფრთხეს, რადგან იმ მრავალმნიშვნელოვანი მოვლენის ნაცვლად, რამაც უდიდესი ძალით უნდა განმსჭვალოს დედამიწის მომავალი განვითარება, შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, დიდ საფრთხეს რომ შეუქმნის ამ განვითარებას.

მოგეხსენებათ, გარკვეული სულიერი არსებანი თავიანთ განვითარებას ადამიანის წყალობით აღწევენ იმ მხრივ, რომ ადამიანი მათთან ერთად ვითარდება. როცა ანგელოზები ადამიანის ასტრალურ სხეულში ხატ-სახეებს განბეჭდავენ, ამას ისინი, რასაკვირველია, გართობისათვის არ სჩადიან; ამით ისინი რაღაცას აღწევენ. და რაკი ის, რასაც მათ უნდა მიაღწიონ, სწორედ კაცობრიობის დედამიწისეულ განვითარებაში უნდა განხორციელდეს, მთელი ისტორია გართობად გამოჩნდება, უკეთუ ადამიანები, მოიპოვებენ რა ცნობიერ საფშვინველს, შეგნებულად უარყოფენ ანგელოზთა მთელს შემოქმედებას. მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი გართობას დაემსგავსება. გამოდის, ანგელოზები მხოლოდ ერთობიან, როცა ადამიანის ასტრალურ სხეულს ავითარებენ! ხოლო რამდენადაც ეს განვითარება განხორციელდება, იმდენად წარმოჩინდება მათი რუდუნება სერიოზულ საქმედ და არა გართობად.

ასეთ ვითარებაში თქვენთვის ნათელი გახდება, რომ ანგელოზთა შემოქმედება, ყველა შემთხვევაში, სერიოზული უნდა დარჩეს. ალბათ წარმოგიდგენიათ, რა სიტუაცია უნდა შეიქმნას ყოფიერების კულისებს მიღმა, უკეთუ ადამიანები თავიანთი მთვლემარე ცხოვრების გამო, ანგელოზთა მთელს შემოქმედებასა და ლტოლვას გართობად აქცევენ!

წარმოიდგინეთ, ეს რომ მართლაც ასე მოხდეს! კაცობრიობას მართლა რომ გამორჩეს მომავალი მნიშვნელოვანი სულიერი გამოცხადების მოვლენა! ანდა, მაგალითად, მისი შუა ნაწილი გამოტოვოს, რომელიც რელიგიურ თავისუფლებას ეხება! ანდა ვერ განიცადოს გოლგოთას მისტერიის განმეორება ეთერულ პლანში, რაზედაც თქვენთან ხშირად მისაუბრია — ეთერული ქრისტეს მეორედ გამოცხადება! — მაშინ, ასეთ სიტუაციაში, ის, რასაც ადამიანთა ასტრალურ სხეულში ხატ-სახეთა განბეჭდვით უნდა მიაღწიონ, იმას ანგელოზები სხვა გზებით მოიპოვებენ.ვ უკეთუ ფხიზლობისას ადამიანები თავიანთ ასტრალურ სხეულში არ მისცემენ ანგელოზებს საშუალებას გარკვეულის მოსაპოვებლად, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, ანგელოზები მათთვის საჭირო განვითარებას მიაღწევდნენ მძინარე ადამიანების ფიზიკური სხეულების მეშვეობით. ამრიგად, ის, რასაც ადამიანები თავიანთი მთვლემარე ცნობიერების გამო ვერ გაითავისებენ

და რასაც, ამის შედეგად, ანგელოზები ვერ მიაღწევენ, ეს უკანასკნელნი მას მაინც მოიპოვებენ, ამჯერად უკვე ძილის დროს საწოლებში მდებარე ადამიანთა ფიზიკურ და ეთერულ სხეულთა მეშვეობით. ისინი ამ სხეულებში მოიძევებენ ძალებს იმის მისაღწევად, რაც ვერ განახორციელეს ფხიზელ ადამიანებთან, როცა დღის ცნობიერებაში ჩართული მათი საფშვინველები ფიზიკურსა და ეთერულ სხეულებში იმყოფებოდნენ. დიახ, ყოველივე ეს ჩაძინებული ფიზიკური და ეთერული სხეულების მეშვეობით განხორციელდება, როცა ადამიანის «მე» და ასტრალური სხეული, ფიზიკურისა და ეთერულის გარე იმყოფებიან ძილის დროს.

ცნობიერი საფშვინველის ეპოქაში მოსალოდნელი დიდი საფრთხე სწორედ ეს გახლავთ. ეს ის მოვლენაა, რომელსაც ადგილი ექნება დედამიწაზე, უკეთუ ადამიანები არ მოისურვებენ სულიერი ცხოვრებისაკენ წარიმართონ მესამე ათასწლეულის დამდეგამდე. მესამე ათასწლეული ხომ 2000 წლის მერე იწყება. როგორც უკვე ვთქვით, შეიძლება მართლაც მოხდეს, რომ, რაკი ის, რაიც ანგელოზებმა თავიანთი რუდუნებით, (უკეთუ მათი მიზანი ადამიანთა ფხიზლობისას ვერ განხორციელდა), მძინარე ადამიანთა ფიზიკური და ეთერული სხეულების მეშვეობით უნდა დაიუფლონ, ისინი მთელ თავიანთ მისწრაფებასა და შემოქმედებას აღმოფხვრიან ადამიანთა ასტრალური სხეულებიდან და ეთერულ სხეულში შთანერგავენ, რათა ასეთი გზით მიაღწიონ დასახულ მიზანს. მაგრამ აქ უკვე ადამიანი ვეღარ იმონაწილეებს! ამრიგად, ეს უნდა განხორციელდეს ეთერულ სხეულში მაშინ, როცა ადამიანი არ მონაწილეობს! რადგან ფხიზელ ადამიანს რომ ამ პროცესში მონაწილეობა მიეღო, ყველაფერს წინ აღუდგებოდა.

ამით შევეცადე ზოგადი წარმოდგენა მომეხაზა დასმულ საკითხზე. მაგრამ რა უნდა მოხდეს, რას უნდა მოველოდეთ, უკეთუ ანგელოზები მთელ თავიანთ მუშაობას ახლა უკვე ადამიანთა ფიზიკური და ეთერული სხეულებისაკენ მიმართავდნენ, როცა ამ პროცესში თავად ადამიანები ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას, ე.ი. მაშინ, როცა მათ ეძინებოდათ?

ამ ვითარების შედეგად, ძვირფასო მეგობრებო, ადამიანის განვითარებაში სამი რამ მოხდებოდა: უპირველეს ყოვლისა, ადამიანის მძინარე სხეულებში — როცა ადამიანს სძინავს, მისი «მე» და ასტრალური სხეული ფიზიკურისა და ეთერულის გარე იმყოფება — წარმოიშვებოდა რაღაც, რასაც იგი მოგვიანებით მოიპოვებოდა, დაიუფლებდა, მაგრამ დაიუფლებდა არა თავისუფალი ნებელობით, არამედ მაშინ, როცა დილით გამოიღვიძებდა; ნიადაგ იგი რაღაცას მოიპოვებოდა... მაგრამ ცნობიერი თავისუფლების ნაცვლად ეს იქნებოდა ინსტინქტი და ამის გამო, იგი მხოლოდ ვნებას მოუტანდა ადამიანს. კაცობრიობას ემუქრება ის საშიშროება, რომ შესაძლოა გარკვეული ვნება და ზიანი მიაყენოს მას იმ ინსტინქტურმა შემეცნებებმა, რომლებიც ადამიანის ბუნებაში უნდა შემოვიდეს და რომელთაც კავშირი აქვთ ჩასახვის მისტერიასთან, მთელს სექსუალურ ცხოვრებასთან... უკეთუ ის საფრთხე უნდა დადგეს, რაც უკვე აღვნიშნეთ: ანგელოზთა გარკვეულმა ნაწილმა ასეთ შემთხვევაში თავად უნდა განახორციელოს გარკვეული ცვლილება, რაზედაც ამჯერად არ ვილაპარაკებ, რადგან ხსენებული ცვლილება ინიციაციის მეცნიერების იმ უმაღლეს

საიდუმლოებებს განეკუთვნება, რის თაობაზეც დღეს საუბარი არ ეგების. მარამ იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ ის, რაც დღეს კაცობრიობის განვითარებაში მიმდინარეობს, თუკი სიფხიზლეში მკაფიოდ არ იქნა აღქმული, მაშინ სექსუალური ცხოვრებისა და სექსუალური არსის მავნე და დამანგრეველი გამოვლენა წარმოაჩენდა გარკვეულ ინსტინქტებს, რომლებიც არა მხოლოდ დაბნეულობა და გაუგებრობა იქნებოდა, არამედ შეერწყმოდნენ სოციალურ ცხოვრებას და ძალზე შეცვლიდნენ მას.

უპირველეს ყოვლისა, ის, რაც ამდაგვარი სექსუალური ცხოვრების შედეგად სისხლში შემოვიდოდა, დედამიწაზე არავითარი ძმობის დამკვიდრების სურვილს აღარ აღძრავდა ადამიანში. ადამიანები ნიადაგ წინ აღუდგებოდნენ ძმობას.

ეს უკვე ინსტინქტი იქნებოდა.

ამრიგად, დგება გადამწყვეტი მომენტი, როცა, ასე ვთქვათ, ხელმარჯვნივ უნდა წარვემართოთ... მაგრამ ამავე დროს ფხიზლადაც უნდა ვიყოთ, ხელმარცხნივ რომ არ გადავუხვიოთ... გადახვევისას ძილიც შეიძლება, მაგრამ მაშინ ინსტინქტებიც აღმოცენდებიან — უსაშინლესი ინსტინქტები!

საინტერესოა, რას ეტყვიან საბუნებისმეტყველო დარგების მეცნიერები, როცა ცხოვრებაში უსაშინლესი ინსტინქტები შემოიჭრებიან? «ეს ბუნებრივი აუცილებლობა გახლავთ! — იტყვიან ისინი. — ეს ასეც უნდა მომხდარიყო; იგი კაცობრიობის განვითარების შედეგს წარმოადგენს!»

ასეთ საკითხებზე ლაპარაკი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პოზიციიდან შეუძლებელია. ბუნებისმეტყველების პრინციპებით შეიძლება განმარტებულ იქნას, თუ რატომ იქცნენ ადამიანები ანგელოზებად, ისე როგორც ის, თუ რატომ იქცნენ ადამიანები ეშმაკებად (თუკი ასეთი რამ მოხდებოდა). ორივე შემთხვევაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგები ერთსა და იგივე მოსაზრებას გამოთქვამდნენ: ის, რაც მოხდა, გამომდინარეობს იქიდან, რაც ადრე არსებობდა... ასეთი გახლავთ ბუნების მიზეზ-შედეგობრივი ახსნის ეგრეთ წოდებული დიდი სიბრძნე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგები არაფერს არ შეცვლიან იმ მოვლენაში, რომელზედაც მე ვილაპარაკე, რადგან ისინი, რა თქმა უნდა, ბუნების კანონზომიერ აუცილებლობად ჩათვლიან იმას, რომ ადამიანები, ვთქვათ, სექსუალური ინსტინქტების წყალობით ნახევარეშმაკებად გადაიქცევიან. ამრიგად, ბუნებისმეტყველება ამ მოვლენებს ვერ ახსნის, რადგან მისი პრინციპებით განიმარტება მხოლოდ ის, თუ როგორ წარმოიქმნება ესა თუ ის მოვლენა. ხოლო ამგვარი მოვლენები მხოლოდ და მხოლოდ სულიერი შემეცნებით, მხოლოდ და მხოლოდ ზეგრძნობიერი შემეცნებით განიჭვრიტება. აი, ეს გახლავთ პირველი, რაიც არასწორ განვითარებას მოჰყვება.

მეორე: კაცობრიობისათვის გამიზნული ანგელოზთა რუდუნების უკვე იძულვებელყოფილი და ამდენად, შეცვლილი რუდუნების შედეგად მოვლენები ასე წარიმართება: დაიწყება ზოგიერთ სამკურნალო საშუალებათა ინსტინქტური, მაგრამ ამავე დროს მავნებლური შემეცნება!

ყოველივე, რაც მედიცინასთანაა დაკავშირებული, დიდის მასშტაბით და ამავე დროს მატერიალისტური მიმართებით შეიცვლის სახეს. დაიწყება

ზოგიერთი ნივთიერების სამკურნალო თვისებების ინსტინქტური კვლევა და შესწავლა, ამა თუ იმ ორგანოების მოქმედებათა ინსტინქტური ახსნა და ყოველივე ეს დიდ ვნებას მოიტანს. მაგრამ ამ ვნებას სასარგებლოდ მიიჩნევენ. ძვირფასო მეგობრებო, ამ დროს ავადმყოფობას ჯანმრთელობად წარმოაჩენენ, რადგან მთელი მკურნალობა დაექვემდებარება იმ გარკვეული ორგანოების მოქმედების უზრუნველყოფას, ადამიანებს სიამოვნებას რომ მოჰგვრის, ადამიანები სიამოვნებით დაემორჩილებიან იმ მკურნალობას, რომელიც გარკვეული მიმართულებით მათ ავადმყოფებად აქცევს.

ამრიგად, წარმოუდგენლად გაიზრდება გარკვეულ პროცესთა სამკურნალო ეფექტისა და გარკვეულ ორგანოთა მოქმედების შემეცნება, მაგრამ ყველაფერი სრულიად მავნე და ნეგატიურ მიმართულებას მიიღებს, რადგან, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული ინსტინქტების წყალობით შეუდგებიან იმის კვლევას, თუ რა სნეულებების გამოწვევა შეუძლია ამა თუ იმ ნივთიერებებსა და ამა თუ იმ ორგანოთა მოქმედებას და წმინდა ეგოისტური მოსაზრებებით იხელმძღვანელებენ, გამოიწვიონ თუ ჩააქრონ ესა თუ ის სნეულება.

მესამე: ცხოვრებაში შემოვა ასეთი რამ: აითვისებენ სრულიად ახალ ძალებს, რომელთა მეშვეობით, მე ვიტყოდი, ძალზე, ძალზე იოლად — გარკვეულ ვიბრაციათა ჰარმონიზაციით — გამოათავისუფლებენ დედამიწაზე არსებულ უზარმაზარ მანქანებსა და ენერგიის მომწოდებელ დანადგარებს. სწორედ ამ გზით ინსტინქტურად შეიმეცნებენ ყოველგვარი მანქანისა და მექანიკის სულიერ მართვას და მთელი ტექნიკა დამანგრეველი გზით წარიმართება. მაგრამ ეს დამანგრეველი ეფექტი განსაკუთრებით კარგად მოემსახურება ადამიანთა ეგოიზმს და სიამოვნებით დაჰყვებიან მას.

ყოველივე ეს, ძვირფასო მეგობრებო — ყოფიერების ევოლუციიდან ამოღებული კონკრეტული ნაწყვეტი, ცხოვრების იდუმალებათა წვდომის ფრაგმენტი გახლავთ, რომლის სწორი შეფასება, ძირითადად, მხოლოდ მას ხელეწიფება, ვინც განჭვრეტს, რომ ცხოვრების არასულიერი აღქმა ვერავითარ ახსნა-განმარტებას ვერ მოუძებნის მსგავს მოვლენებს. თუკი ოდესმე კაცობრიობისათვის მავნე მედიცინა შეიქმნება, თუკი ადგილი ექნება სექსუალური ინსტინქტების საშინელ უკუღმართობას, მოხდება საშინელი არევ-დარევა თვითონ მსოფლიო მექანიზმში, ანუ დაიწყება ბუნების ძალთა გამოყენება სულიერ ძალთა მეშვეობით — არასულიერი მსოფლშეგრძნება ვერ ახსნის ამ მოვლენებს; უფრო მეტიც, იგი ვერ გაარკვევს, რომ სწორი გზიდან გადაუხვია... იგი იმდენად გაერკვეოდა ზემოაღწერილ სიტუაციაში, რამდენადაც მძინარე კაცი, როცა მას გასაძარცვად ბანდიტი უახლოვდება — რა თქმა უნდა, მძინარე ვერაფერს იგრძნობს და გვიან, გამოღვიძების მერე მიხვდება, რა დაემართა. მაგრამ ვაი, ასეთ გამოღვიძებას! ჩვენს მაგალითშიც, ადამიანმა თუ ვერ გამოიღვიძა, სიხარულით შეეგებება გარკვეული პროცესებისა და გარკვეული ნივთიერებების სამკურნალო ეფექტის მნიშვნელობის ზრდას ინსტინქტური კვლევის გზით და ეგოდენ სიამოვნებას მიიღებს ზოგიერთი სექსუალური ინსტინქტის დარღვეული მოქმედებისაგან, რომ ამ დარღვევას ქებასაც შეასხამს და ზეკაცურობის მაღალ

საფეხურადაც დასახავს, როგორც ყოველგვარი ცრურწმენის, მიკერძოებულობისა და მეშჩანურობისაგან თავისუფალ მოვლენას. მაშინ გარკვეულწილად მახინჯი მშვენივრად წარმოჩინდება, ხოლო მშვენიერი — მახინჯად, ხოლო ადამიანები ამ აბსურდულობას ვერც შენიშნავენ და მხოლოდ იმის გამო, რომ ყოველივეს ბუნებრივი განვითარების აუცილებლობად მიიჩნევენ. ასეთი ვითარება იმ გზიდან გადახვევას გაუტოლდება, რაიც კაცობრიობას თავისი საკუთარი არსის თანახმად დაესახა.

მე მწამს, ძვირფასო მეგობრებო, რომ გაითავისებ რა იმ აზრს, რომ სულისმეცნიერება ზნეობრივ სფეროშიც იჭრება — შესაძლებელია, სერიოზულად მოეკიდო ისეთ ჭეშმარიტებებს, რომლებზედაც დღეს ვილაპარაკეთ. აქედანაც შეიძლება სათანადო დასკვნების გამოტანა, ისე როგორც მთელი სულისმეცნიერების წესრიგიდან: აუცილებელია სულისმეცნიერებიდან გარკვეული ვალდებულების მიღება, გარკვეული სასიცოცხლო მოვალეობის ტვირთვა, სადაც არ უნდა ვიყოთ, ძვირფასო მეგობრებო და რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ შევძლოთ ჩვენს თავში ასეთი აზრი აღვზარდოთ: ჩვენ ყველა მოქმედება ჩვენი ანტროპოსოფიული ცნობიერებით უნდა იქნას განმსჭვალული და გაჯერებული. მხოლოდ მაშინ შეიძლება მცირედი წვლილი შევიტანოთ ცხოვრებაში, რომ კაცობრიობამ თავის განვითარებაში წინ წაიწიოს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით.

შეცდომა იქნებოდა იმისი ფიქრი, რომ ჭეშმარიტი სულისმეცნიერება, როცა მას სერიოზულად და ღირსეულად ითვისებენ, ხელს შეუშლის მის მიმდევრებს ცხოვრებისეულ, ინტენსიურ, პრაქტიკულ საქმიანობაშ. ნამდვილი სულისმეცნიერება ადამიანს თვალს უხელს ისეთ მოვლენებზე, ჩვენ რომ დღეს წარმოვაჩინეთ. ძვირფასო მეგობრებო, შეიძლება ასეთი კითხვა დავსვათ: ხომ არ არის საზიანო დღის ფხიზელი ცხოვრება ძილისათვის? — თუ მოვიყვანთ ისეთ შედარებას, რომ სულიერ სამყაროში განჭვრეტა ჩვეულებრივ გამოღვიძებასთან შედარებით უფრო სავსე და ძლიერი გამოღვიძებაა, ისევე როგორც ჩვეულებრივი გამოღვიძება ძილიდან გამორკვევაა, მაშინ, იმისათვის რომ შედარება უფრო გასაგები გავხადოთ, ასეთი კითხვა დავსვათ: საერთოდ თუ შეიძლება დღის ფხიზელმა ცხოვრებამ ძილს ავნოს?

დღეს ფხიზელი ცხოვრება მხოლოდ მაშინ მოქმედებს ძილზე უარყოფითად, როცა იგი მოუწესრიგებელია. ვინც სწორი ცხოვრებით ცხოვრობს, მას ძილიც ჯანსაღი ექნება. ვინც სიფხიზლეშიც თვლემს და დრო მცონარობაში, სიმტკნარესა და უსაქმურობაში გაჰყავს, მას ძილიც არაჯანსაღი ექნება. ასეა ცხოვრებაშიც, ჩვენ რომ სულისმეცნიერების წყალობით გამოფხიზლებულ და სავსე ცხოვრებად გარდავქმნით. უკეთუ სულისმეცნიერების სათანადო ათვისებით სულიერი სამყაროსადმი სერიოზულ დამოკიდებულებას გამოვიმუშავებთ, მაშინ, როგორც ჯანსაღი, ფხიზელი ცხოვრება აწესრიგებს ძილს, ასევე სწორი აღზრდით, ჯანსაღად წარიმართება ჩვენი დამოკიდებულება გარე ფიზიკური სინამდვილისადმიც.

ჩვენი დროის ადამიანი, რომელიც ცხოვრებას აკვირდება, უდავოდ მძინარედ უნდა ჩაითვალოს, თუ ათასგვარ საკითხებზედაც არ გაამახვილებს ყურადღებას.

გაგახსენებთ, უკანასკნელ ათწლეულებში ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს რარიგ მოჰქონდა თავი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და პრაქტიკულობით! ხოლო ამან, თუ კარგად დავუკვირდებით, ბოლო წლებში მიგვიყვანა იქამდე, რომ გამორჩეული ადგილები იმ ადამიანებმა დაიკავეს, რომლებიც ყველაზე მეტად უარყოფდნენ იდეალურს, სულიერს, სპირიტუალურს. — ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მაღალფარდოვანი ლაპარაკი კი მანამდე ეგების, ვიდრე კაცობრიობა უფსკრულში არ გადაიჩეხება. ზოგიერთნი ახლაღა იწყებენ კრიახს — თუმცა, მათგან ბევრი ინსტინქტურად გაჰყვირის — რომ ახალი დრო უნდა დადგეს და რომ ახალი იდეალების შექმნაა საჭირო! მაგრამ ეს მხოლოდ კრიახია. როცა საკითხები ინსტინქტურად, სულისმეცნიერების შეგნებული დამკვიდრების გარეშე წამოიჭრება, ისინი საქმეს უფრო ავნებენ, ვიდრე სასიკეთო ძვრებს შეიტანენ განვითარებაში. მაღალფარდოვან ლაპარაკს მიჩვეული ადამიანები ზოგჯერ დღესაც იმსახურებენ გარკვეულ აპლოდისმენტებს. მაგრამ ადამიანი უნდა შეეგუოს მსგავს სიტყვებსა და გამოთქმებს, რათა ქაოსიდან კვლავ სოციალური კოსმოსი წარმოიქმნას.

უკეთუ რომელიმე ეპოქაში ადამიანები თვლემისა თუ მცონარობის გამო ვერ გამოავლენენ თავიანთ თავს მთელი სისავსით და ამდენად ცხოვრებაში შემოჭრილ მოვლენებს გამოტოვებენ, მაშინ არამარტო არაფერი არსებითი არ მოხდება, არამედ მათ თავზე წინარე, უკვე გასული ეპოქის ლანდები ირიალებენ; ისევე როგორც დღეს ჩვენში მრავალ რელიგიურ საზოგადოებას გარდასულ ეპოქათა რელიგიური საკრებულოების აჩრდილები დასტრიალებენ; ისევე როგორც ჩვენს დღევანდელ სამართლებრივ ცხოვრებას ჯერ კიდევ დასტრიალებს ძველი რომის აჩრდილი. სულისმეცნიერებამ ცნობიერი საფშვინველის ეპოქაში სწორედ ამ მხრივ უნდა გაათავისუფლოს ადამიანი და მიიყვანოს ისეთი სულიერი მოვლენის აღქმამდე, როგორიც ჩვენია: როგორ მოქმედებს ანგელოზი ადამიანის ასტრალურ სხეულზე? ანგელოზებსა და სხვა მაღალ არსებებზე აბსტრაქტული ლაპარაკი მხოლოდ დასაწყისში შეიძლება. წინსვლა კონკრეტული ლაპარაკით ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვითვალისწინებთ რა ჩვენს ეპოქას, პასუხი გავცეთ მომდევნო კითხვას, რომელიც ჩვენ გვეხება. იგი ჩვენ გვეხება, რამეთუ ჩვენს ასტრალურ სხეულში ანგელოზი გარკვეულ ხატ-სახეებს ჰქმნის, რამაც მომავალში ჩვენი განვითარება, ფორმირება უნდა გამოიწვიოს. ეს პროცესი ცნობიერი საფშვინველის მეოხებით უნდა განხორციელდეს. ხოლო ცნობიერი საფშვინველი რომ არ გაგვაჩნდეს, მაშინ თავსაც არაფერზე შევიწუხებდით; მაშინ სხვა მაღალი სულები, სხვა იერარქიები იმოქმედებდნენ სათანადოდ, რათა ანგელოზთა რუდუნებაში მოსალოდნელი შეუსაბამობანი გამოესწორებინათ. მაგრამ, რაკი ჩვენ ცნობიერი საფშვინველი უნდა განვავითაროთ, სხვა სულები აღარ მოქმედებენ; პირიქით, ანგელოზებს აძლევენ საშუალებას, თავიანთი ჩანაფიქრი განახორციელონ.

ეგვიპტურ ეპოქაში, ბუნებრივია, სხვა ანგელოზები მოქმედებდნენ. მალე ისინი კიდევ სხვა ანგელოზებმა შეცვალეს. ადამიანებმა თავიანთი ატავისტური ნათელმხილველობის გამო ეს ვერ შენიშნეს. ისინი მათ თავიანთ ხილვებში ჭვრეტდნენ, მაგრამ გამოსახულებები ნისლით იყო დაბუნდოვნებული. დღეს

ადამიანმა ეს ნისლი უნდა ჩამოაშოროს მათ. ამიტომ, ცნობიერი საფშვინველის ეპოქაში ადამიანს აღარ უნდა გამოეპაროს ის, რაც ცხოვრებაში დღეს შემოვა მესამე ათასწლეულის დამდეგამდე. სულისმეცნიერებიდან არამხოლოდ მოძღვრება და ორიენტაცია, კეთილი ნებაც უნდა გავითავისოთ! სწორედ ეს მოგვანიჭებს სიფხიზლის ძალას.

ჩვენ ძალგვიძს ფხიზლად ვიყოთ. ძალგვიძს უამრავი რამ შევნიშნოთ. დღესაც რომ გადავწყვიტოთ, ყველაფერში ფხიზელნი ვიყოთ, აღმოვაჩენთ, რომ ნიადაგ ხდება რაღაც სასწაული. ჩემი ეს ბოლო წინადადება შეიძლება ასე შევაბრუნოთ: მთელი ცხოვრების მანძილზე თუ ყოველ დღე ვერ აღმოვაჩინეთ საოცრება, ის დღე უბრალოდ მხედველობიდან გამოგვპარვია. ერთხელ მაინც სცადეთ, საღამო ხანს თვალი გადაავლოთ თქვენს ცხოვრებას. მასში რაღაც ისეთ წვრილმანს, ანდა რაღაც ისეთ მოვლენას აღმოაჩენთ, რომ უცილოდ იკითხავთ: ეს ხომ მართლაც უცნაურად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში? რა საოცარია! მერე და მერე ასეთ საოცრებებს ყოველთვის აღმოაჩენთ ხოლმე, თუ თქვენი აზროვნება მასშტაბურია, თუ ცხოვრებისეულ კავშირებს საკმაოდ ფართოდ, მთელი საფშვინველის დიაპაზონით მიმოიხილავთ. მაგრამ ჩვეულებრივ ცხოვრებაში ასეთ რამეს არავინ აკეთებს. არც არავინ ეკითხება საკუთარ თავს: რა შემთხვევა იქნა არიდებული რაღაცის საშუალებით?

უმეტესწილად ოდნავაც არ გვადარდებს ხოლმე ის მოვლენები, რომლებიც, თითქოსდა შემთხვევით, რაღაცამ შეაფერხა, მაგრამ, რომ განვითარებულიყვნენ, ძირეულად შეცვლიდნენ მთელს ჩვენს ცხოვრებას. იმ მოვლენების მიღმა, რომლებიც თითქოს შემთხვევით განირიდნენ ჩვენი ცხოვრებიდან, ძალზე ბევრი რამ იმალება ისეთი, რაც ჩვენს ფხიზელ ადამიანებად აღზრდას მოემსახურება. რა შეიძლება დღეს დამმართვოდა? — უკეთუ ამ კითხვას ყოველ საღამოს დავუსვამთ თავს და შემდეგ ცალკეულ მოვლენებს გაიხსენებთ, რომელთაც ესა თუ ის შედეგი შეიძლება გამოეწვიათ, მაშინ ამგვარი კითხვებიდან ის ცხოვრებისეული დაკვირვება გამომუშავდება, რასაც ადამიანის თვითაღზრდაში სიფხიზლე შემოაქვს. ყოველივე ეს იმ საწყისის, იმ სათავის საფუძველს ჰქმნის, რომელიც თავისთავად წაგვიყვანს სულ წინ და წინ და ბოლოს ჩვენი შეგნება იქამდე მივა, რომ უბრალოდ კი აღარ გამოვიძიებთ, თუ მაგალითად, რას ნიშნავდა ის უცნაურობა, რომ ერთხელ დილის 11 საათზე სახლიდან ვაპირებდით გასვლას და ზუსტად გასვლისას შინ ვიღაც გვეწვია და შეგვაყოვნა. გავბრაზდით, რომ შეგვაყოვნეს. მაგრამ არ იკითხავთ, რა შეიძლება მოჰყოლოდა ჩვენს იმ მომენტში სახლიდან გასვლას? რა შეიცვალა ამით?

აქ ერთხელ უკვე დაწვრილებით გესაუბრეთ ამგვარ საკითხებზე. ცხოვრებაში უარყოფით მომენტებზე დაკვირვებიდან — რაიც შეიძლება ჩვენი ცხოვრების ბრძნული წარმართვის მაჩვენებელიც გახლდათ — და ჩვენს ასტრალურ სხეულში მოქმედი ანგელოზის მფარველურ ზრუნვამდე პირდაპირი გზაა, ჭეშმარიტად უტყუარი გზა, რომელსაც შეეგვიძლია თამამად დავადგეთ. მოდით, ამაზე რვა დღის შემდეგ შევხვდეთ ერთმანეთს და ვისაუბროთ.

ციურიხი, 9 ოქტომბერი, 1918წ.

რუდოლფ შტაინერი

კოსმიური საიდუმლოებანი: კომეტარული და ლუნარული

ნათელ ვარსკვლავიან ღამეში ციურ სიღრმეებს მზერას რომ ვაპყრობთ, ჩვენ გვეუფლება ურიცხვ ვარსკვლავთა სიმშვენიერით გამოწვეული ამაღლებულობის განცდა, ზოგ ადამიანში უფრო მძაფრია, ზოგში ნაკლებად მძაფრი, თითოეულის განსაკუთრებული, ინდივიდუალური მიდრეკილებების მიხედვით. მაგრამ ყველა შემთხვევაში, — და ეს სწორედ ვარსკვლავიან ცასთან, როგორც მოვლენასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, — ადამიანში მალევე იბადება იმის ნატვრა, რომ შეიცნოს კოსმოსის საიდუმლოებანი, რომლებიც ამ დროს თავს დაჰყურებენ. და ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მოთხოვნილებას, სწორედ ვარსკვლავიან ცასთან მიმართებით, ვერ დააბრკოლებს ის მოსაზრება, თითქოს ვარსკვლავთა სამყაროს საიდუმლოებების ამოხსნით ამაღლებულობის შეგრძნება იკარგებოდეს. მართლაც, სრულად გამართლებულია, რომ შემეცნება და გაგება განსაკუთრებით ამ სფეროში ვერაფერს აკლებს ჩვენს უშუალო შეგრძნებას. მალე ყოფიერების სხვა სფეროებთან დაკავშირებითაც აშკარად გამოჩნდება, რომ სულისმეცნიერეული შემეცნება განსაკუთრებით აძლიერებს და ამაღლებს ჩვენს ჯანსაღ შეგრძნებებსა და განცდებს. ადამიანს ასევე შეუძლია დარწმუნდეს და მომავალში სულ უფრო მეტად დარწმუნდება, რომ სწორედ სამყაროს დიად, ამაღლებულ მოვლენებთან დაკავშირებული შემეცნება ვერაფერს აკლებს შეგრძნებებს.

ისიც გასათვალისიწნიბელია, რომ სამყაროზე ყოველი წარმოდგენა ასე თუ ისე მისი მხოლოდ გარკვეული კუთხით ხედვაა და დროა იმისთვის საჭირო, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ვისწავლოთ სამყაროსეული აქტების წვდომა. დღეს ჩვენი თემა იქნება სივრცული სამყაროს სწორად ისეთი პატარა, მცირე ნაწილი განვიხილოთ ადამიანის ცხოვრებასთან კავშირში. თუ ადამიანს თავდაპირველად მხოლოდ წინათგრძნობა აქვს იმისა, რომ მთლიანობაში იგი იშვა მთელი სამყაროსგან და სამყაროს საიდუმლოებები მისი საკუთარი არსების საიდუმოებებთანაა კავშირში, მაშინ იგი ამას შემდგომში სულისმეცნიერების საშუალებით სულ უფრო მეტად და მეტად შეიცნობს. ეს აშკარად გამოჩნდება, თუ ყურადღებას მივაპყრობთ ყოფიერების გარკვეულ საიდუმლოებებს.

ადამიანის ცხოვრებაში მიწერი განვითარებისას ვლინდება ერთი დაპირისპირებულობა. იგი ჩვენს წინაშე გამუდმებით და ყოველ ნაბიჯზე ჩნდება. ეს არის დაპირისპირებულობა მამრობითსა და მდედრობითს შორის. როგორც ვიცით ადამიანთა მოდგმის განვითარებაში ეს დაპირისპირებულობა ლემურიული ხანიდან მოდის, და ისიც ვიცით, რომ რაღაც დროის მანძილზე იგი კიდევ იარსებებს; შემდეგ კი ეს ორი პოლუსი კვლავ უმაღლეს ერთიანობად შეერწყმება ერთმანეთს.

თუ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ნებისმიერი ადამიანური სიცოცხლე სამყაროს სიცოცხლისგან იშვა, გაგვიჩნდება კითხვა: შეგვიძლია თუ არა საერთო უნივერსუმში, რომელიც ყველანაირი სიცოცხლის მშობელია, ვიპოვოთ იმის წინარეხატი, რასაც ადამიანურ ცხოვრებაში, ლემურიის ხანიდან მოყოლებული, კაცსა და ქალს ვუწოდებთ? შეგვიძლია თუ არა ვიპოვოთ კოსმიური საწყისი, რომლისგანაც იშვა ის, რასაც დედამიწაზე ქალისა და კაცის სახით ვიცნობთ? — ასეთი კითხვის დასმა სავსებით შესაძლებელია.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ვდგავართ სულისმეცნიერულ ნიადაგზე და ვერ გამოვიყენებთ იმ რეცეპტებს, რომელთაც დღევანდელი მატერიალისტები იყენებენ. დღევანდელ მატერიალისტს ვერ წარმოუდგენია ისეთი რამის არსებობა, რასაც თავის უშუალო გარემოში ვერ აღიქვამს. იგი მთელს სამყაროში ეძებს და მამრობითად და მდედრობითად ახასიათებს იმას, რასაც ადამიანურ ცხოვრებაში მნიშვნელობა მხოლოდ დედამიწასთან კავშირში აქვს, ხოლო ცხოველთა სამყაროსთვის მხოლოდ მთვარესთან და დედამიწასთან კავშირში. ეს არის ჩვენი დროის დიდი სისულელე. მკაცრად უნდა გვახსოვდეს, რომ ვიწრო გაგებით «მდედრობითი»-ს და «მამრობითი»-ს ცნება მხოლოდ ლემურიული ხანიდან არსებობს და ადამიანისთვის დედამიწის განვითარების გარკვეული საფეხურების შემდეგ გაქრება, ისევე როგორც აღარ იარსებებს იგი მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსთვის მთვარისა და დედამიწის განვითარებს შემდეგ. მაგრამ კითხვა იგივე რჩება: წარმოიშვა თუ არა მიწიერი მდედრობითი და მამრობითი მაღალი კოსმიური დაპირისპირებულობიდან? თუ ეს დაპირისპირებულობა ვიპოვეთ, თავდაპირველად გამოჩნდება საოცარი, იდუმალი ურთიერთკავშირი ამ მოვლენასა და კოსმიურ მოვლენას შორის.

დაპირსპირებულობა კოსმოსშიც ყველგან გვხდება. საჭიროა მხოლოდ მათი სწორი მოძებნა.

პირველი კოსმიური პოლარულობა, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი ადამიანური ცხოვრებისათვის, არის პოლარულობა მზესა და დედამიწას შორის. მართალია, დედამიწის განვითარებაზე დაკვირვებებმა დაგვანახეს, თუ როგორ გამოეყო მზე დედამიწას და როგორ იქცნენ ისინი დამოუკიდებელ სხეულებად, მაგრამ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: როგორ მეორდება მზისა და დედამიწის ეს დაპირისპირება, ეს მაკროკოსმიური, სამყაროსეული მოვლენა ადამიანებში, მიკროკოსმოსში? არსებობს თუ არა ადამიანურ ბუნებაში ისეთი რამ, რაც მზის სისტემაში მზისა და დედამიწის პოლარულობას შეესაბამება? დიახ, არსებობს! და იგი ადამიანის ორგანიზმში, — და აქ იგულისხმება საერთო, ფიზიკური და სულიერი ორგანიზმი, — თავს იჩენს როგორც პოლარულობა თავის ორგანოსა და იმ ორგანოებს შორის, რომლებიც გარეგნულად ადამიანურ მოძრაობას გამოხატავენ. ადამიანის თავისა და მის ხელ-ფეხს შორის დაპირისპირებლობაა ყოველივე ის, რაც შეესატყვისება იმ პოლარულობას, რასაც კოსმოსში მზესა და დედამიწას ვუწოდებთ. მოგვიანებით იმასაც დავინახავთ, თუ როგორ შეესაბამება ეს ფაქტი მზის პარალელს გულთან; მაგრამ ჩვენთვის ახლა მთავარია დაკვირვება იმ პოლარულობაზე, რომელიც არსებობს ადამიანის თავსა და მის მოძრაობის ორგანოებს შორის.

თქვენთვის ადვილი წარმოსადგენია, რომ ძველი მთვარის განვითარებისას ადამიანის მიმართება თავისი სხეულის წევრებისადმი სულ სხვა იყო, ვიდრე დედამიწის განვითარებისას. ადამიანი მხოლოდ აქ, დედამიწაზე გაიმართა და ისწავლა ხელებისა და ფეხების დღევანდელი სახით გამოყენება. მან მხოლოდ იმიტომ შესძლო თავისუფლად თავის აწევა და სამყაროს სივრცეებისთვის მზერის მიპყრობა, რომ მისი ხერხემალი, რომელიც მთვარის განვითარების დროს მთვარის ზედაპირის პარალელური იყო, მზის ძალებმა გაასწორეს, აღმართეს. დღევანდელი დედამიწის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ: მისი ბრალია, რომ ადამიანი თავის ხელ-ფეხს ისე იყენებს, როგორც ეს დღეს ხდება. ხოლო ის, რომ ადამიანის თავი გარკვეული სახით დედამიწის მიჯაჭვულობისგან გამოთავისუფლდა და ძალუძს სამყაროს სივრცეებისკენ მზერის მიპყრობა, მზის ზეგავლენის შედეგია. ანუ ის, რაც მზის პლანეტარულ სისტემაში მზისა და დედამიწის დაპირისპირებულობას წარმოადგენს, ადამიანში თავისა და ხელ-ფეხის დაპირისპირებულობაში გამოიხატება. და ეს გამოხატულება კაცშიც და ქალშიც ერთნაირია. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ: მზისა და დედამიწის პოლარულობის შესატყვისობა ქალშიც და კაცშიც ერთნაირად გამოიხატება. დედამიწა ქალზეც ისევე მოქმედებს, როგორც კაცზე; გარკვეული გაგებით ქალიც ისევეა დედამიწაზე მიჯაჭვული, როგორც კაცი; და ამ მიჯაჭვულობისგან ქალის თავიც ისევეა მზისგან გამოხსნილი, როგორც კაცის თავი.

ამ პოლარულობის მნიშვნელობის მთელს სიღრმეს მაშინ დავაფასებთ, თუ გავიხსენებთ, რომ მაგალითად ის არსებები, რომლებიც მეტისმეტად ადრე ჩამოვიდნენ მკვრივ მატერიაში, — ლაპარაკია ძუძუმწოვარა ცხოველებზე, — თავიანთი პირისახით მიწიერ ყოფიერებაზე მიჯაჭვულნი დარჩნენ და ვერ შესძლეს მიეღწიათ ციური სიღრმეების თავისუფალი ჭვრეტისთვის. მზისა და დედამიწის პოლარულობა მათ არსებაში ისე ვეღარ გამოიხატა, როგორც ადამიანში. ამიტომაც არ შეგვიძლია ძუძუმწოვარა ცხოველს მიკროკოსმოსი ვუწოდოთ. ჩვენ კი უფლება გვაქვს ადამიანს ვუწოდოთ მიკროკოსმოსი. ამ მიკროკოსმიური ბუნების მტკიცებულება ახლახან დავინახეთ მისი თავისა და ხელ-ფეხის პოლარულობის განხილვისას.

ეს მაგალითი ამავე დროს იმასაც გვიჩვენებს თუ რა უსაზღვრო მნიშნვნელობა აქვს იმას, რომ ჩვენი დაკვირვებები ცალმხრივი არ იყოს. ცხადია, შეიძლება ადამიანის სხეულში ძვლების დათვლა, შემდეგ ძუძუმწოვარა ცხოველების ძვლების დათვლა, შემდეგ ორივეში კუნთების რიცხვის დათვლა და ამის შედეგად იმ თანამედროვე თვალსაზრისამდე მისვა, რომელიც ადამიანებს ძუძუმწოვარა ცხოველების გვერდით აყენებს. ეს ხდება იმიტომ, რომ ადამიანებმა სულისმეცნიერების საშუალებით ისწავლონ: ეს ჭეშმარიტებები საკმარისი არ არის. შემდეგი ფრაზა თითოეულმა ანთროპოსოფმა გულში და გონებაში ღრმად უნდა ჩაიბეჭდოს: არსებობს მრავალი ჭეშმარიტება, მაგრამ მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ეს ჭეშმარიტებებია, საკმარისი არ არის! უეჭველად ჭეშმარიტებაა ის, რასაც მაგალითად თანამედროვე ბუნებსმეტყველება ადამიანებისა და მაიმუნების ნათესაობაზე ამბობს. მაგრამ მთვარია არა ის, რომ ეს რაღაცა ჭეშმარიტებას წარმოადგენს, არამედ ის, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანია ეს ჭეშმარიტება ყოფიერების ამოცანის ამოსახსნელად. და ამიტომ ისიც შესაძლებელია, რომ რომელიმე თითქოსდა ყოველდღიურ, ჩვეულ ჭეშმარიტებაში ვერ აღმოვაჩინოთ მისი გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ამ თვალსაზრისით მას არ დავკვირვებივართ. არსებობს ერთი ამგვარი ყოველდღიური ჭეშმარიტება, რომელსაც ყველა ადამიანი იცნობს და თუ მას მთელი თავისი სიღრმით აღვიქვამთ, შევძლებთ ჩავწვდეთ მის ღრმა, ძალიან ღრმა მნიშნვნელობას მიწიერი განვითარებისათვის. ეს ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი დედამიწაზე ერთადერთი არსებაა, რომელსაც მართლაც თავისუფლად შეუძლია სამყაროს სივრცეებს მიაპყროს სახე. თუ ამ მიმართებაში ადამიანთან ახლო მდგომ მაიმუნებს განვიხილავთ, უნდა ვთქვათ, რომ ისინი მართალია ეცადნენ წელში გამართვას, მაგრამ სწორედ ეს არ გამოუვიდათ. — აი ესაა მთვარი. საჭიროა რაიმე მოცემული ჭეშმარიტების მნიშვნელობა შევიცნოთ. ადამიანის ეს უპირატესობა უნდა მთლიანდ გავისიგრძეგანოთ იმისთვის რომ შევძლოთ მისი მნიშვნელობა მეორე სამყაროსეულ ფაქტს დავუკავშიროთ. კერძოდ იმას, რომ ადამიანში მოქნედებს არა მარტო დედამიწა, არამედ მზეც, რომელიც მას მიწიერი ყოფიერებისაგან ათავისუფლებს და ამიტომაცაა ადამიანი ციური სივრცეების მოქალაქე. და გარკვეული თვალსაზრისით უფლება გვაქვს ვთქვათ: იმისთვის, რომ ადამიანს სამყაროში ეს უპირატესობა მიეღო, საჭირო გახდა აგებულიყო მთელი

კოსმიური წყობა, რომელსაც დღეს ჩვენ მზისა და დედამიწის პოლარულობაში ვხედავთ. იმისთვის, რომ ადამიანი ცხოველურ მდგომარეობაზე ამაღლებულიყო, შედგა მზისა და დედამიწის მოცემული კონსტელაცია.

ამგვარად, ერთი და იგივე პოლარულობას ჩვენ ვპოულობთ ერთი მხრივ ადამიანში და მეორე მხრივ ციურ სიღრმეებში, როდესაც მზესა და მის საპირისპირო სურათს, დედამიწას, ვაკვირდებით.

ახლა კი ისმის კითხვა: შეგვიძლია თუ არა კოსმოსში იმ პოლარულობის პოვნაც, რაც დასაწყისში მდედრობითით და მამრობითით აღვნიშნეთ? არსებობს თუ არა კოსმოსში, და მე აქ ჩვენი მზის სისტემის კოსმოსს ვგულისხმობ, ისეთი რამ, რომელიც დედამიწაზე ქალისა და კაცის პოლარულობაში აისახება? დიახ, არსებობს ასეთი რამ და ეს უფრო მაღალი შესატყვისი გამოიხატება კომეტარულ და ლუნარულში, ანუ კომეტებისა და მთვარის პოლარულობაში. ამ უკანასკნელს იმგვარივე გაგებით თუ დავაკვირდებით, როგორც ეს მზისა და დედამიწის შემთხვევაში გავაკეთეთ, მივიღებთ მდედრობითისა და მამრობითის პოლარულობის ხატებას. ისე რომ შეგვეძლება თქმა: როგორც ადამიანის თავსა და ხელ-ფეხში აისახება მზისა და დედამიწის პოლარულობა, იმგვარადვე ირეკლება კომეტებსა და მთვარეს შორის პოლარულობა მდედრობითსა და მარობითში.

ამას გარკვეული გაგებით სამყაროს ძალიან ღრმა საიდუმლოებებში შევყავართ. კერძოდ, რაც არ უნდა უცნაურიად ჟღერდეს, ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის, რომ ადამიანის გარეგნული ფიზიკური სხეულის სხვადასხვა წევრებს სხვადასხვა ღირებულება აქვთ, — იმის მიხედვით თუ როგორი სიძლიერით გამოხატავენ ისინი სულიერებას. სინამდვილეში ადამიანის ფიზიკურ გამოვლინებაში თავისი გარეგნული ფორმით მისი მხოლოდ თავი და ხელ-ფეხი შეესაბამება შინაგან სულიერ ძალებს, რომლებიც მათ საფუძვლად უდევთ. ერთმანეთს რომ სწორად გავუგოთ, უნდა დავიმახსოვროთ: ყოველივე ის, რასაც ფიზიკურ სამყაროში ვხდებით, სულის ანაბეჭდია, გარეგნული ფიზიკური ფორმები სულის შემოქმედების ნაყოფია. როცა სული გარეგან ფიზიკურს ფორმას ანიჭებს, ეს ფორმა თავისი განვითარების რაღაც საფეხურზე მას მეტ-ნაკლებად ჰგავს ან არ ჰგავს. გარეგნული ფორმის მიხედვით ადამიანში მხოლოდ მისი თავი და ხელ-ფეხი ჰგვანან თავიანთ სულიერ წინარეხატს. ყველაფერი დანარჩენი ადამიანის სხეულში იმდენად არ ჰგავს მის მიღმა მოქმედ სულიერებას, რომ შეგვიძლია ვთქვათ: თავისა და ხელ-ფეხის გარდა ადამიანის მთელი გარეგნული გამოხატულება ცრუ ხატია. და ვისაც გამომუშავებული აქვს ნათელმხილვური მზერა, ის ადამიანებზე ჭეშმარიტ წარმოდგენას მხოლოდ მისი თავისა და ხელ-ფეხის მიხედვით იქმნის. მხოლოდ ამ ორგანოებთან დაკავშირებით აქვს ნათელმხილველს უტყუარობის შეგრძნება. ადამიანის მთელი დანარჩენი სხეული კი მასში იწვევს განცდას, რომ ეს ცრუ ფორმაა, არ შეეფერება ჭეშმარიტებას და არ ჰგავს მის მიღმა მოქმედ სულიერებას. ხოლო ამათგან იმ ყველაფერს, რაც მდედრობითია, ნათელმხილვური ცნობიერება აღიქვამს როგორც გარკვეულ საფეხურზე გაჩერებულ განვითარებას. თუ ვიტყვით, რომ განვითარება შემდეგნაირად მიიწევს წინ:



ანუ ნორმალური განვითარების გზით A წერტილიდან B წერტილამდე, C-ს გავლით, მაშინ C-ში საქმე გვექნება ადამიანის თავთან და ხელ-ფეხთან. ქალის სხეულის დანარჩენი ნაწილი კი თითქოს გაჩერებულია C-სთან და არ მიუღწევია განვითარების დღევანდელი წერტილისთვის. თუ ამას სწორად გავიგებთ, შეგვიძლია ვთქვათ: ქალის სხეული, იმ სახით, როგორიც დღესაა, სულიერ საფეხურზეა დარჩენილი; თავისი ფორმით იგი ისე ღრმად არ ჩამოსულა მატერიაში, როგორც განვითარების საშუალო საფეხურს შეეფერება. ყველანაირი განვითარება სულიერიდან სხეულისკენ ხდება. ქალის სხეული განვითარების უფრო ადრეულ საფეხურზეა დარჩენილი და განვითარების საშუალო წერტილისთვის არ მიუღწევია.

კაცის სხეულმა კი პირიქით, თავისა და ხელ-ფეხის გამოკლებით, განვითარების საშუალო საფეხურს უკვე გადააბიჯა. იგი ამ წერტილს გადაახტა. ამიტომ, კაცის სხეული მაცდურია, რადგან უფრო მატერიალურია ვიდრე მისი სულიერი წინარეხატი, ანუ მატერიაში იმაზე ღრმადაა ჩამოსული, ვიდრე ეს განვითარების საშუალო საფეხურს შეეფერება. ამგვარად, ქალის სხეული წარმოადგენს ნორმალურ განვითარებას ჩამორჩენილ ფორმას, ხოლო კაცის სხეული მატერიაში იმაზე მეტად ჩამოსულს, ვიდრე მთლიანი ადამინის თავისა და ხელ-ფეხის განვითარების დონეს შეეფერება.

ეს პოლარულობა არსებობს კოსმოსშიც, ჩვენს მზისეულ კოსმოსშიც. ამასთან, იგი გამოიხატება ისე, რომ თუ ჩვენი დედამიწისა და მზის ყოფიერებას განვითარების ნორმალურ საფეხურად მივიჩნევთ, მაშინ კომეტას ამ საფეხურისთვის ჯერ არ მიუღწევია; იგი კოსმოსში შეესაბამება იმას, რაც ადამიანში ქალურის სახითაა წარმოდგენილი. ამგვარად კოსმოსში კომეტარული ყოფიერება დედამიწაზე ქალური ორგანიზმის წინარე ხატებაა. ლუნარული კი მამაკაცის ყოფიერებას შეესატყვისება. როგორც ხაზგამით აღვნიშნეთ, მთვარე დედამიწას გამოეყო. იგი რომ დედამიწის ნაწილად დარჩენილიყო, დედამიწის განვითარება შეჩერდებოდა. მთვარე სწორედ თავისი სიმკვრივის გამო უნდა გამოყოფოდა მას. ამგვარად, კოსმოსში კომეტებისა და მთვარის პოლარულობა ადამიანში მდედრობითისა და მამრობითს წინარეხატია.

ყოველივე ეს განსაკუთრებით საინტერესო იმიტომაცაა, რომ აქ კარგად ჩანს: რაიმე არსებაზე დაკვირვებისას, განურჩევლად იმისა მიწიერია იგი თუ სამყაროსეული, მისი ერთი წევრის მეორეზე უბრალოდ გადაბმის უფლება ჩვენ არა გვაქვს. თუ ასე მოვიქცევით, გაუგონარი ილუზიების მსხვერპლნი გავხდებით. სივრცეში ერთმანეთის გვერდით არსებობა ტოლფასობას სულაც არ ნიშნავს. ცხადია, ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა წევრი ერთდროულად და ერთად გვაქვს მოცემული და ჩვეულებრივი მატერიალისტი ანატომი სივრცეში გვერდიგვერდ განლაგების გამო მათ ერთმანეთის ტოლფასად მიიჩნევს. ის კი, ვინც საგნების ჭეშმარიტ არსს ჭვრეტს, მათ ერთმანეთისგან ანსხვავებს განვითარების საფეხურების მიხედვით: იმისდა მიხედვით, რომ ერთი დგას განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, მეორე ამ საფუხერზე ოდნავ წინ, და მაინც მასთან ერთად გაუყვა გზას, ხოლო მესამემ გადააბიჯა იმ საფეხურს. ოდესმე, როცა მთელს ადამიანურ ორგანიზმს ამ თვალსაზრისით განიხილავენ, წარმოიშობა სწორი გაგებით ოკულტური ანატომია. რადგან საგნების განვითარების მდგომარეობაზე მხოლოდ ზემოაღწერილი სახით დაკვირვება გვაძლევს ადამიანის ორგანიზმის ჭეშმარიტი წვდომის შესაძლებლობას; ამ ორგანიზმის წევრები განვითრების სხვადასხვა საფეხურზე მდგომად უნდა აღვიქვათ. სივრცეში ერთმანეთის გვერდით მდგომი საგნები ტოლფასნი არ არიან და ამგვარად ერთმანეთის გვერდით ვერ დვაყენებთ.

თუ თქვენ გაიხსენებთ, რომ დღევანდელ მიწიერ განვითარებას წინ უძღოდა მთვარისეული განვითარების საფეხური, მაშინ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვიტყვით: მართალია, დღევანდელი მთვარე ძველი მთვარისეული განვითარების ნაწილია, მაგრამ მაინც არ დგას მთვარისეული განვითარების იმ საფეხურზე, ანუ იმ საფეხურს არ წარმოადგენს. ეს იმიტომ, რომ იგი განვითარდა არა მარტო დედამიწამდე, არამედ გადააბიჯა კიდეც მას, ანუ ვერ შეძლო დაეცადა დედამიწის იუპიტერად გარდასახისთვის და ამის შედეგად გაშეშდა, გამყარდა. მაშასადამე მთვარე, რაც მის მატერიალურ მხარეს შეეხება, ნორმალური განვითარების საფეხურს გადაახტა და ამიტომ გაშეშდა; მაგრამ სულიერ მიმართებაში ეს ასე არაა.

საპირისპირო მოვლენებთან გვაქვს საქმე კომეტის შემთხვევაში. იგი დღესაც გამოხატავს იმ ურთიერთკავშირს, რომელიც ძველ მთვარეს ჰქონდა მზესთან. კომეტა განვითარების იმავე საფეხურზე დარჩა. ამ საფეხურს იგი დღეს სხვანაირად გამოხატავს, მაგრამ მისი განვითარება მართლაც ძველი მთვარისეული ყოფიერების სტადიაში გაჩერდა. კომეტამ დედამიწის ნორმალურ განვითარებას ვერ მიაღწია. მაშასადამე, დღევანდელი მთვარე წარმოადგენს ნაადრევად დაბადებულ იუპიტერს, რომელიც ამის გამო გაშეშდა და უსიცოცხლოა, კომეტა კი დღევანდელ დედამიწას ძველი მთვარისეული განვითარების ნაწილად ევლინება.

სხვათაშორის უნდა ითქვას, რომ აქ საქმე გვაქვს საყურადღებო ფაქტთან, რომლის გამო სულისმეცნიერული დაკვირვების მეთოდმა გაკრვეული სახით პატარა ტრიუმფი განიცადა. მათ ვინც 1906 წელს ჩემს პარიზულ ლექციებს ესწრებოდა, ალბათ ახსოვთ ჩემს მიერ დედამიწის განვითარების ზოგიერთი

ასპექტის აღწერა, რომლებსაც ჩემს «იდუმალთმეტყველების ნარკვევში» არ შევხებივარ, რადგან იქ სხვანაირად იყო საჭირო ასეთ საკითხებზე საუბარი, ვინაიდან შეუძლებელია მსგავსი თემები ყოველთვის ყველა ასპექტიდან განიხილო. ამის განსახორციელებლად საჭირო იქნებოდა არა ერთი წიგნის, არამედ წიგნების უსასრულო რაოდენობის დაწერა. ამიტომ, პარიზში მე განვავითარე ის პუნქტი, რომელიც უფრო მატერიალურ-ქიმიურ მხარეს ეხება. მაშინ მე ვთქვი, რომ ძველი მთვარისეული განვითარება, როგორც ახლაც დავინახეთ, ჩვენს დღევანდელ კომეტარულ ყოფიერებაშიცაა შემორჩენილი, რადგან კომეტა განვითარების ამ საფეხურზეა გაჩერებული და რამდენადაც დღევანდელი პირობები ამის შესაძლებლობას აძლევს, იმ ძველი კანონზომიერებებით ცხოვრობს. და მე ვთქვი, რომ ეს მთვარისეული განვითარება დედამიწის განვითარებისგან იმდენად განსხვავდება, რომ მაგალითად ძველი მთვარისეული არსებებისთვის აზოტი, აზოტის გარკვეული შენაერთები, ციანი და ციანწყალბადმჟავა ისეთივე სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა, როგორსაც წარმოადგენს დღევანდელი მიწიერი არსებებისთვის ჟანგბადი. დღევანდელი მაღალგანვითარებული არსებებისთვის ციანწყალბადმჟავას მსგავსი ნივთიერებები გარკვეულ შემთხვევებში სასიკვდილოა და მათ განადგურებას იწვევს. მაგრამ მაშინ დღევანდელი ჟანგბადის მსგავს როლს სწორედ ნახშირბადის და აზოტის შენაერთები, ცინაწყალბადმჟავა და მსგავსი ნივთიერებები ასრულებდნენ.

პარიზში ეს ყველაფერი ითქვა სულისმეცნიერული კვლევებიდან გამომდინარე და ამგვარად მათ, ვინც ეს წლების მანძილზე თავის სამშვინველში ჩაიბეჭდა, თავისი თავისთვის უნდა ეკითხათ: თუ ყოველივე ეს მართალია, მაშინ დღევანდელი კომეტების შემადგენელ ნივთიერებებში უნდა მოიძებნებოდეს ნახშირბადისა და აზოტის შენაერთები. ახლა კი ვნახოთ რა გამოაქვეყნა სტოკჰოლმის კურსმა იანვარში, — შემდეგ ეს გაზეთებმაც დაბეჭდეს:კერძოდ ის რომ, მართლაც, კომეტების სპექტრში აღმოაჩინეს ციანწყალბადმჟავური შენაერთები. ეს ერთ-ერთი ბრწყინვალე საბუთია თუ როგორ გვიჩვენებს სულიერი კვლევის შედეგები უფრო ადრე იმას, რაც მოგვიანებით ფიზიკურ ბუნებისმეტყველებაშიც დასტურდება! მსგავსი მტკიცებულებების მოპოვებას ყოველთვის უნდა შევუწყოთ ხელი და აქაც სწორედ ამიტომ ვახსენეთ. როდესაც ადგილი აქვს ასეთ თავისთავად მეტყველ ფაქტებს, მნიშვნელოვანია, და ეს უნდა ითქვას ყოველგვარი პატივმოყვარეობის გარეშე, რომ ანთროპოსოფებმა მიუთითონ სულისმეცნიერების ასეთ პატარა ტრიუმფებზე და გაიხსენონ ისინი.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მამრობითისა და მდედრობითის პარალელურობას კოსმოსშიც ვპოულობთ, ოღონდ უფრო მაღალი გაგებით, თავისი წინარეხატების სახით — კომეტისა და მთვარის პოლარულობაში. ჩვენ ვერ მოვიცავთ მთელს განშტოებებს, ეს შეუძლებელიცაა, მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე ერთი მხრივ მთვარის სხეულის ზემოქმედების და მეორე მხრივ კომეტარული ვარსკვლავების სრული ზეგავლენის აღწერა რომ შეგვეძლოს, დავინახავდით თუ რა უდიდესი, ყველა სხვა ამაღლებულობის გრძნობაზე უფრო

მძლავრი განცდა დაეუფლებოდა ჩვენს სამშვინველს იმის გაცნობიერებისას, რომ აქ, დედამიწაზე ვხედავთ ისეთი რამის ანაბეჭდს, რომელიც თავს იჩენს სწორედ იმ ფუნქციაში, რაც კოსმოსში კომეტისა და მთვარის პოლარულობას ახასიათებს. მაგრამ ჩვენ შევიძლია მივანიშნოთ ამ საკითხის მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე, იმ ასპექტებზე, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავაცნობიეროთ ადამიანზე იმ პოლარულობის ზემოქმედება, რომელიც კომეტასა და მთვარეში გამოიხატება. არ უნდა გვეგონოს, რომ იგი მხოლოდ იმაში გამოიხატება, რასაც მაგალითად ქალი და კაცი ჰქვია კაცობრიობაში; ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ყოველ ქალში არსებობს მამაკაცური თვისებები, ხოლო ყოველ მამაკაცში—ქალური თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, როგორც ვიცით კაცის ეთერული სხეული მდედრობითია და ქალისა კი მამრობითი, მაშინვე ყველაფერი უაღრესად გართულდება. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ კაცისა და ქალის ეთერულ სხეულთან მიმართებაში კომეტარული და ლუნარული ზემოქმედება შებრუნებული ხასიათისაა. თანაც ამ ზემოქმედებას ადგილი აქვს ასევე ასტრალურ სხეულთან და «მე»-სთან დაკავშირებით. ასე რომ, მთვარისა და კომეტის ამ პოლარულობას კაცობრიობის მიწიერი განვითარებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.ის, რომ მთვარეს საპირისპირო სქესების ურთიერთობასთან იდუმალი კავშირი აქვს, ეგზოტერული დაკვირვებისთვის შეუცნობელი რჩება. მაგრამ ამ კავშირის აღქმა ჩვენ შეგვიძლია, თუ მაგალითად დავაკვირდებით იმ ფაქტს, რომ მდედრობითისა და მამრობითის ურთიერთზემოქმედების შედეგს — ბავშვს, ჩასახვიდან დაბადებამდე ათი მთვარისეული თვე სჭირდება განსავითარებლად, ასევე თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ამას თვით დღევანდელი მეცნიერებაც კი სწორედ მთვარისეული და არა მზისეული თვეებით ანგარიშობს. ეს ხდება იმიტომ, რომ მამრობითის კოსმიურ წარმომადგენელს ანუ მთვარეს, მდედრობითის კოსმიურ წარმომადგენელთან ანუ დედამიწასა და კომეტარულთან მიმართებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ეს აისახება კიდეც სქესების ურთიერთზემოქმედების ნაყოფში.

კაცობრიობის განვითარებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვან, მაგრამ საპირსპირო შედეგს დავინახავთ, თუ მეორე მხარეს, ანუ კომეტარულს დავაკვირდებით. კომეტარული, როგორც ვთქვით მდედრობითის გამოხატულებაა. კომეტების მოძრაობაში, მათი დროდადრო გამოჩენის ხასიათში იკვეთება, ასე ვთქვათ, ქალური ბუნება კოსმოსში. იგი მართლაც ისე გამოიყურება, თითქოს განვითარების რაღაც გარკვეული, საშუალო საფეხურის წინაშე შეჩერებულიყოს. კოსმიური მდედრობითი, თუმცა ეს სახელი მაინცდამაინც არ შეესიტყვება მას, მაგრამ უკეთესი არ მოგვეპოვება, ეს კოსმიური მდედრობითი, რომელიც კომეტარულ არსებაში გამოიხატება, შიგადაშიგ ისე შემოიჭრება ხოლმე ჩვენს ყოფიერებაში, რომ ადამიანის ბუნების ხასიათით კომეტა უფრო ქალურია. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ქალის გრძნობებისა და შეგრძნებებისგან განპირობებული საქციელი როგორ მიმართებაშიც არის მამაკაცურ ცივ ფხიზელ განსჯასთან, — ხაზგასმულია რომ სწორედ მამაკაცურ ცივ და ფხიზელ

განსჯასთან, — ასეთივე მიმართებაშია მთვარის კანონზომიერი, ფხიზელი მოძრაობიდან გამომდინარე შედეგები იმასთან, რაც კომეტარულის სახით თითქოსდა ურითმოდ და მხოლოდ დროდადრო იჭრება ჩვენს ყოფიერებაში. სწორედ ესაა ქალური სულიერი ცხოვრების განსაკუთრებული თავისებურება. ხაზს ვუსვამ: არა ქალის სულიერი ცხოვრების, არამედ ქალური სულიერი ცხოვრების. ეს განსხვავება საყურადღებოა. ბუნებრივია, რომ ქალის სულიერი ცხოვრება თავის თავში მამაკაცურ თვისებებსაც ატარებს; ხოლო იმას, რასაც ქალური სულიერი ცხოვრება ჰქვია (მნიშვნელობა არ აქვს კაცში თუ ქალში), მთელ ჩვენს ყოფიერებაში შემოაქვს რაღაც პირველყოფილი, რაღაც ელემენტარული. ასევე მოქმედებს კომეტაც. და სადაც კი ქალისა და მამაკაცის ეს პოლარულობა გვხდება, შეგვიძლია მისი მთელი სიმკვეთრის დანახვაც. ადამიანები, რომლებიც ყველაფერს მხოლოდ გარეგნულად აკვირდებიან, სულისმეცნიერებას ნაკლად უთვლიან იმას, რომ მისკენ მიმავალ გზას დღეს განსაკუთრებით ქალები პოულობენ. ვერ ხვდებიან, რომ ეს ბუნებრივია; ბუნებრივია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვეულებრივ მამაკაცის ტვინი თავის განვითარებაში მართლაც გადაცილებულია გარკვეულ საშუალო საფეხურს. იგი უფრო ცივი და გახევებულია, ამიტომ უფრო მეტად ეჭიდება უკვე მოცემულ ცნებებს, და არ შეუძლია წინასწარ შექმნილი შეხედულებებისგან გათავისუფლება. სწორედ ესაა, რასაც ხანდახან ასე მძიმედ განიცდის ის, ვინც სულისმეცნიერული თვალსაზრისით ამ მამაკაცურ ტვინს იყენებს: ის, რომ ამ ინკარნაციაში მას მამაკაცური ტვინი აქვს! რადგან ეს ტვინი არის მოუქნელი, მაგარი და უფრო ძნელი მოსახმარი, ვიდრე ქალური. ამ უკანასკნელს კი უფრო ადვილად შეუძლია იმ გარკვეული დაბრკოლებების გადალახვა, რომელიც მამაკაცურ ტვინს თავისი სიმკვრივის გამო წინ ეღობება; ქალურ ტვინს გარკვეული სირთულეების უკეთესად დაძლევა შეუძლია, და ამიტომ უფრო ადვილად მიჰყვება იმას, რაც სიახლედ შემოდის ჩვენს მსოფლმხედველობაში. ტვინის აგებულებაში ქალურისა და მამაკაცურის როლის მიხედვით შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ჩვენს დღევანდელობაში უკიდურესად უსიამოვნო და მოუხერხებელია, როცა იძულებული ხარ მაინცდამაინც მამაკაცური ტვინი გამოიყენო. მამაკაცური ტვინი ქალურზე გაცილებით მკაცრად, რადიკალურად უნდა ვავარჯიშოთ. ამრიგად, საოცარი სრულადაც არაა, რომ დღეს ქალი უფრო ადვილად იღებს ისეთ განსაკუთრებულ სიახლეს, როგორიცაა სულისმეცნიერება. ამ ყველაფერს კულტურის ისტორის თვალსაზრისით უზომოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დღეს თითქმის შეუძლებელია ამის შესახებ სადმე საუბარი, თუ არა ანთროპოსოფიულ გარემოში. ანთროპოსოფების გარდა ვინ მიიღებს სერიოზულად იმას, რომ მამაკაცური ტვინის ქონა უფრო უსიამოვნოა ვიდრე ქალურისა? მაგრამ აქვე ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქალის ტვინს ზემოაღწერილი მამაკაცური თვისებები დიახაც ახასიათებს. მოვლენები ქვეყანად არც ისე მარტივად გასაგებია, როგორც ეს ადამიანებს თავიანთი იდეებით სურთ დღევანდელობაში.

მაშასადამე ის, რასაც ჩვენს ცხოვრებაში შემოაქვს ელემენტარული, შემძრავი და გარკვეულ მიმართებაში კოსმოსის განვითარებისთვის ხელის შესაწყობად აუცილებელი რამ, არის კომეტარული. ადამიანებს ყოველთვის გააჩნდათ იმის წინათგრძნობა, რომ ამ კომეტარულს მიწიერ არსებებთან რაღაც კავშირი აქვს. დღეს კი ადამიანებს ეს განცდა აღარ გააჩნიათ, არც სურთ რომ ჰქონდეთ. უბრალოდ წარმოიდგინეთ, როგორ გაოგდნება დღეს რომელიმე საშუალო დონის მეცნიერი, მასაც იგივე რომ დაემართოს, რაც პროფესორ ბოდეს ჰეგელთან. კერძოდ, ჰეგელი პირდაპირ და მოურიდებლად უმტკიცებდა ამ წესიერ გერმანელ პროფესორს, რომ კომეტების გამოჩენას ყურძნის კარგი, მოსავლიანი წელიწადი მოსდევს. და ამას ასაბუთებდა იმით, რომ 1811 და 1819 წლის ყურძნის კარგ მოსავალს წინ კომეტების გამოჩენა უძღოდა. დღეს ეს დიდ გაუგებრობებს გამოიწვევდა! მაგრამ ჰეგელი ამბობდა, რომ ეს ისეთივე კარგი მტკიცებულებაა, როგორც ზოგიერთი პლანეტის მოძრაობის გამოთვლა; რომ ეს არის ემპირიული ფაქტი, რომელიც ამ ორმა მაგალითმა დაასაბუთა. ასეთ ხუმრობებს ყურადღება რომც არ მივაქციოთ, მაინც შეგვიძლია ვთქვათ: ამ მხრივ ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ რაღაც გარკვეული წინათგრძნობა.

ახლა ჩვენ ამის დეტალური განხილვა არ შეგვიძლია, რადგან ეს ამოუწურავი თემაა, მაგრამ მოდით ადამიანის განვითარებაზე მოქმედ ერთ მთავარ ფაქტორს მოვფინოთ ნათელი.

კომეტების გამოჩენა დროის დიდ მონაკვეთებში ხდება. დავსვათ კითხვა: მათ მთელ ადამიანურ განვითარებასთან თუ გააჩნდათ ისეთი მიმართება, რომ მათი გამოჩენა, ასე ვთქვათ, ადამიანურ ბუნებაში მოქმედ ძალურს რაღაც იმპულს აძლევდეს?

მაგალითად ავიღოთ ეგრეთწოდებული ჰალეის კომეტა, რომელიც ამჯერად აქტუალურია. ჩვენს სხვა კომეტების შესახებაც შეგვიძლია საუბარი. მაგრამ ამ კომეტას გარკვეული ამოცანა აქვს და დანარჩენი ყველაფერი, რაც მას მოჰყვება, გარკვეული სახით ამ ამოცანასთანაა კავშირში. ჰალეის კომეტის ამოცანაა, და ჩვენ ახლა ამ კომეტაზე სულიერი თვალსაზრისით ვსაუბრობთ, რომ მან თავისი არსებით ისეთი კვალი დატოვოს მთელ ადამიანურ ბუნებაზე, რომ ყოველთვის, როდესაც ჰალეის კომეტა დედამიწის განსაზღვრულ სფეროში შემოდის, როცა დედამიწას უახლოვდება, ადამიანურ არსებაში «მე»-ს განვითარება ერთი ნაბიჯით წინ მიიწევს, თანაც ისეთი მიმართულებით, რომელსაც იგი ფიზიკურ პლანში უფრო ღრმად შემოჰყავს. ეს კომეტა, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ადამიანური ბუნების ყველაზე დაბალ წევრებზე — მდედრობითსა და მამრობითზე, ანუ იგი მთვარესთან ერთად მოქმედებს; მის გარეშე მთვარის ზემოქმედება ცალმხრივია და იცვლება მაშინ, როცა კომეტა დედამიწასთან ახლოსაა. კომეტის ეს ზემოქმედება გამიხატება შემდეგში: ხომ ცხადია, რომ თუ ადამიანური «მე» ბიძგისებურად გადადგამს ნაბიჯს წინ, მაშინ იმისთვის, რომ ადამიანი ამ ნაბიჯს მთლიანობაშიც მიჰყვეს, შესაბამისად უნდა გარდაისახონ ფიზიკური და ეთერული სხეულებიც. თუ «მე»-ს აზროვნება მე-19 საუკუნეში განსხვავდება მისი აზროვნებისგან მე-18 საუკუნეში, მაშინ

სხვადასხვანარი უნდა იყოს მე»-ს გარეგანი გამოხატვაც ფიზიკურ და ეთერულ სხეულებში; აი სწორედ ესაა კომეტის ამოცანა! იგი ისე მოქმედებს ადამიანის ამ სხეულებზე, რომ ისინი «მეს»-ს მართლაც უქმნიან წინ წასული განვითარებისთვის საჭირო ახალ, ფაქიზ ორგანოებს. ცნობიერი «მე»-ს განვითარება განსაკუთრებით ქრისტეს იმპულსის დედამიწაზე შემოჭრის შემდეგ დაიწყო. ამ დროის შემდეგ კომეტების გამოჩენამ ის მნიშვნელობა შეიძინა, რომ თავისი ეტაპობრივი განვითარების გზაზე «მე», ასევე ეტაპობრივად, ისეთ ორგანოებს მიიღებს, ანუ ისეთ ფიზიკურ და ეთერულ ორგანოებს, რომელთა გამოყენებაც მას განვითარების ახალ მოცემულ საფეხურზე შეუძლია. რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს და რა საშინელ სისულელედაც არ უნდა მიიჩნიონ იგი ჩვენმა თანამედროვეებმა, წარმოიდგინეთ, რომ ეს მაინც ასეა: ბუხნერის «მე»-ს, მოლეშოტის «მე»-სა და 1850/60 წლების სხვა მატერიალისტებს შესაბამისად განვითარებული ფიზიკური და ეთერული ტვინი რომ არ ჰქონოდათ, ვერ შეძლებდნენ იმგვარ მატერიალისტურ აზროვნებას, როგორიც შეძლეს. მაშინ ბუხნერი ალბათ ერთი ჩვეულებრივი ყოჩაღი პასტორი იქნებოდა. და რაც მან თავის «ძალა და მატერია»-ში აზრობრივად ჩამოაყალიბა, ამისთვის არა მარტო მის «მე»-ს უნდა გაევლო ეს განვითარება, არამედ ფიზიკური და ეთერული სხეულებიც შესაბამისად უნდა ყოფილიყვნენ ჩამოყალიბებულნი. თუ გვსურს თვალი მივადევნოთ «მე»-ს განვითარებას, საჭიროა მხოლოდ სულიერ-კულტურულ ცხოვრებას დავაკვირდეთ. მაგრამ თუ გვსურს ვიცოდეთ: რამ გამოიწვია მე-19 საუკუნის ამ ადამიანებში მატერიალისტური აზროვნებისთვის შესატყვისი ასეთი ფიზიკური და ეთერული ტვინის ჩამოყალიბება? — მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ეს 1835 წელს გამოჩენილი ჰალეის კომეტის სინდისზეა. და რამ გამოიწვია მე-18 საუკუნეში ეგრეთწოდებული «განმანათლებლობა», რომელიც ასევე ერთ-ერთი ეტაპია «მე»-ს განვითარებაში? მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვეულებრივი ადამიანის ტვინში მოხდა სულიერი კონფიგურაცია, რომელსაც «განმანათლებლობა» ეწოდა. გოეთეც სწორედ ამის გამო იყო განრისხებული, ანუ: — ერთი-ორი ცნების დროშასავით ფრიალი და ამით დაკმაყოფილება! რამ შეუქმნა ამ «განმანათლებლობის ხანას» თავისი შესაფერისი ტვინები? — 1759 წელს მოვლენილმა ჰალეის კომეტამ. ეს არის მისი ზეგავლენის ცენტრალური შედეგი.

ამგვარად, თითოეულ კომეტარულ სხეულს სრულიად განსაზღვრული ამოცანა გააჩნია. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრების მდინარება გარკვეულ კოსმიურ, შეიძლება ითქვას, სამოქალაქო წესრიგს ემორჩილება. ისევე, როგორც ადამიანი ასრულებს ყოველდღე რაღაც გარკვეულ საქმიანობას თავისი მიწიერი მოქალაქეობრივი წესრიგით, მაგალითად, ამზადებს სადილსა და ვახშამს, ასეთივე წესრიგით მიმდინარეობს ადამიანის სულიერი ცხოვრებაც. მაგრამ ამას თან ერწყმის მოვლენები, რომლებიც ჩვეულებრივი სამოქალაქო ცხოვრების ზოგიერთი მოვლენის მსგავსად, უჩვეულოა და რომელთა წყალობითაც შესამჩნევი ხდება გარკვეული წინსვლა.მაგალითად, როდესაც ოჯახში იბადება ბავშვი. მთვარის ანუ ლუნარული სხეულის გავლენით მთელი ადამიანური განვითარება სწორედ ზემოაღნიშნული კოსმიური მოქალაქეობრივი

წესრიგით მიედინება. ამის საპირისპიროდ კი მოვლენები, რომლებიც განვითარებას წინ უბიძგებენ, კომეტარული სხეულების გავლენის შედეგია. სხვადასხვა კომეტებს სხვადასხვა ამოცანები გააჩნიათ. და როდესაც რომელიმე თავის ამოცანას ბოლომდე შეასრულებს, ეს კომეტა დაიშლება კიდეც. ამიტომაცაა რომ ზოგიერთი კომეტა დროის რაღაც მონაკვეთიდან ორმაგად ჩდება და შემდეგ იშლება. ისინი ქრებიან მას შემდეგ, რაც თავის ამოცანას შეასრულებენ. ამგვარად, ლუნარული გავლენის შედეგია ის ყოველდღიური, რაც ასე ვთქვათ სისტემატიური წესრიგით გამოირჩევა, ხოლო კომეტარულისა ის, რასაც ჩვენს ცხოვრებაში შემოაქვს ელემენტარული, ახალი. ეს ყველაფერი იმასაც გვიჩვენებს, რომ ცაში ამ თითქოსდა გაბნეულ ვარსკვლავებს, სამყაროს მთლიან ნაგებობაში დიახაც რომ ძალიან კარგი ადგილი და მნიშვნელობა გააჩნიათ.

ახლა თქვენ იმასაც მიხვდებით, რომ ის, რაც კოსმიური მდედრობითის შედეგის სახით კაცობრიობის განვითარებაში სიახლის ქარად ქრის, ხანდახან ქარიშხალადაც იქცევა. და ამ ქარიშხალის შემჩნევა დიახაც რომ შეიძლება, ოღონდ ადამიანებს ეს არ სურთ. მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ადამიანების ცნობიერებისათვის აშკარა გახდეს დედამიწაზე მომხდარი მოვლენებისა და კომეტების ყოფიერებას შორის ურთიერთკავშირი. როგორც ქალი ჩუქნის ყოველდღიურ ოჯახურ ცხოვრებას რაღაც ახალს, ასევე ახალი შემოაქვთ კომეტებს. მათი ყოველი გამოჩენა ოჯახში ახალშობილის მოვლინებას ჰგავს. მაგრამ ზოგიერთი კომეტის შემთხვევაში მართლაც ისეა, რომ მათ ადამიანის «მე» უფრო დაუფრო ღმრად შეჰყავთ ფიზიკურ სამყაროში, და საჭიროა კომეტების ზემოქმედების ასეთ შედეგს წინააღმდეგობა გავუწიოთ. თუ ჰარლეის კომეტას მომავალშიც ამგვარადვე შეეძლება ადამიანებზე გავლენის მოხდება, მის ახალ გამოჩენას ბუხნერული აზროვნების სტილის განსაკუთრებული გაძლიერება მოჰყვება. ეს კი ძალიან ცუდ ამბავში შეიძლება გადაიზარდოს. მაშასადამე თუ ჰალეის კომეტა ისევ გამოჩნდა, ეს ჩვენთვის იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ იგი გადაგვექცევა საშიშ სტუმრად, თუ ჩვენ მთლიანად დავემორჩილებით მის გავლენას და მის წინააღმდეგ არ ვიმუშავებთ. მთავარია ორიენტირებულნი ვიყოთ კოსმოსის ამ ქმედებებსა და გავლენებზე, რომლებიც ჰალეის კომეტის გავლენაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანნი არიან. მაგრამ ის კი მართლაც საჭიროა, რომ ადამიანები ამ კომეტის გამოჩენაში ხედავდნენ ნიშანს და იცოდნენ, რომ დღეს მისი მოქმედება აღარაა ისეთი ნაყოფიერი, როგორც ძველ დროში, რომ ისინი დაბლა დაეშვებიან. დღეს ადამიანები სხვა ძალებს უნდა დაუკავშირდნენ იმისთვის, რომ ჰალეის კომეტის სახიფათო გავლენა გააწონასწორონ. არა ძველი ცრურწმენის გასაცოცხლებლად, არამედ ღრმა ჭეშმარიტების გასაცნობიერებლად გვინდა ჰალეის კომეტის ახალ გამოჩენაზე მივუთითოთ. იგი იქნება იმის ნიშანი, რომ მის შეუზღუდავი ზეგავლენის შემთხვევაში კაცობრიობა უფრო და უფრო ზედაპირული გახდება, რომ ადამიანის «მე» თანდათან უფრო ღრმად ჩაეფლობა ფიზიკურობაში და რომ სწორედ ახლაა საჭირო ვიმოქმედოთ ამის წინააღმდეგ. ეს კი მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ განვითარების იმ მიმართულებაზე, რომელიც

ჰალეის კომეტის გავლენის შედეგია, ისეთი სპირიტუალური მსოფლმხედველობა იმოქმედებს, როგორიც ანთროპოსოფია.

შეგივძლია ასედაც ვთქვათ: მამა ღმერთი ზეციურ წკეპლას ჰკიდებს, რომ ადამიანებს მიანიშნოს: ახლა კი მოვიდა სპირიტუალური ცხოვრების გაჩაღების ხანა! მეორე მხრივ: განა საოცრება არაა, თუ სიცოცხლის როგორ სიღრმეებში მოქმედებს კომეტარული ყოფიერება, და არა მარტო ადამიანების, არამედ ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლეშიც? დიახ, ის, ვინც ასეთ მოვლენებს ყურადღებას აქცევს, შეამჩნევს რომ ყვავილობაც ყველგან უფრო სხვანაირია, ვიდრე ჩვეულებრივ არის ხოლმე. ეს ყოველივე აშკარად არსებობს, მაგრამ ადამიანებს ადვილად შეუძლიათ ამისთვის თვალის არიდება, ისევე როგორც საერთოდ თვალს არიდებენ და არ სურთ სულის დანახვა.

ახლა კი დავსვათ კითხვა: აქვს თუ არა ზემოაღნიშნულ სპირიტუალურ ცხოვრებას კოსმოსთან კავშირი? არსებობს თუ არა იქ, კოსმოსში ისეთი რამ, რაც ამ სპირიტუალურ ცხოვრებას შეესატყვისება? როგორც დავინახეთ, კოსმოსში საკუთრი პოლარული ხატი მოეპოვებათ თავსა და ხელ-ფეხს, ასევე მდედრობითსა და მამრობითს; მაშასადამე შეგვიძლია ვიკითხოთ: არსებობს თუ არა კოსმოსში სპირიტუალურის ამოფრქვევის, დაბალი «მე»-დან მაღალ «მე»-მდე ადამიანის ამაღლების შესატყვისი რამ?

ეს შეკითხვა, რომელიც ჩვენი დროის სულიერი ცხოვრების უდიდეს ამოცანებს უკავშირდება, ხვალ ჩვენი საუბრის თემა იქნება. დღეს მსურდა შემექმნა წინაპირობა იმისთვის, რომ გარკვეული კოსმიური ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, ხვალ უკეთესად გაგვეგო თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხი, მართალია, დღეს ჩვენ მიერ თქმულიდან ზოგიერთი რამ უშუალოდ ამ საკითხს არ ხება, მაგრამ ჩვენ კომეტარულ წელიწადში ვცხოვრობთ. ამიტომ კარგია, თუ გვეცოდინება დედამიწასა და კომეტარულ ყოფიერებას შორის იდუმალი კავშირის შესახებ. ხვალ ამ ცოდნაზე დაყრდნობით ჩვენი დროის დიდ სულიერ ამაცანაზე შეგვიძლია საუბარი.

შტუტგარტი, 5 მარტი 1910წ.

სიბრძნის გზაზე, შესაძლოა, არაა საფრთხე სასიკვდილოზე მეტი, არაა შხამი მომწამვლელზე მეტი, და ცდუნება მცირე, ვიდრე სულიერი სიამაყე. მზესავით ნათელი, ის მოქმედებს პირდაპირ გულში, ამის გარდა, ის იძრდება და აძლიერებს ეგოს, ამიტომ მის მსხვერპლს შავ გუბეში ჩავარდნისა და სამუდამოდ იქ დარჩენის საფრთხე ემუქრება.

ეს საფრთხე შეუძლია მოსპოს ორმა ანტიდოტმა:

სალმა აზრმა და იუმორის გრძნობამ.

როცა გამოფიტული წევხარ ვიშვარუპადარშანის შემდეგ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ «ახლა ყველაზე წმინდა ადამიანი ვარ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, ჯონ მ. ყოტკინსის შემდეგ». ჯობია გაიხსენო სიტყვები საკმაოდ სკეპტიკური მსაჯულისა «წმინდა ტუპიკში», ა.პ გერბერტის, მან მათგან მანტრა შექმნა:

«გეუბნებით თქვენ —
გეუბნებით თქვენ —
გეუბნებით თქვენ —
გაიგრილეთ თავი».

ალისტერ კროული,
«მაგია ცრემლების გარეშე», თავი 44

დამფუძნებელი: თეთრი მაიმუნის ორდენი (http://vk.com/obezjanki), 2003
გამომცემელი: მაგიური სალონი «კასანდრა»
რედაქციის ადრესი: 0101, ქ. თბილისი, რუსთაველის ქუჩა 36.
ჟურნალის ელექტრონული ვერსიები:
http://kat.apokrif93.com, http://vk.com/apokrif93kat, http://imago-666.livejournal.com